# კვირის პალიტრა
## ყოველკვირეული გაზეთი

№48 (613) ◆ 27 ნოემბერი – 3 დეკემბერი. 2006 წ. ◆ ფასი 60 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

ექსკლუზიური ინტერვიუ აშშ-ის ელჩთან

## „ქართული ჯარის ნატოში ინტეგრაცია უკვე შეუქცევადი პროცესია“



რას ფიქრობს მოსალოდნელი მძიმე ზამთრის, საკადრო ცვლილებებისა და კონფლიქტური რეგიონების შესახებ ჯონ ტეფტი

„ირანისა და საქართველოს გრძელვადიანი პარტნიორობა ენერგეტიკის საკითხებში ჩვენთვის მიუღებელია“

„საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ...“ გვ.3

## „ერთ დროს „ყოჩაღ ბიჭად“ ცნობილი მიშა სააკის გუშტივით გასკდება“



ქარელი გაქრალა?..

სუხიტაშვილი ჯერ კიდევ შიდა ქართლში შსს-ს სამხარეო სამმართველოს უფროსობისას ჰყავდათ დასაჭერთა სიაში შეყვანილი. გვ.6

## „ირაკლის ცხოვრებისა არაფერი სცოდნია“



ოქრუაშვილს მთავრობა ბაბუამისის დუქანი ხომ არ ჰგონია?!

„თუ ირაკლი ბოდიშს მოიხდის და სიმართლეს იტყვის, შეიძლება ვაპატიო კიდეც...

...პრემიერ-მინისტრი თუ შესაცვლელია, მაშინ მერაბიშვილის კანდიდატურას დავუჭერ მხარს“. გვ.7

ეკონომიკა: რატომ ვერ გაიხსნა რევოლუციის მესამე წლისთავზე შეპირებული აეროპორტი

გვექნება თუ არა გაზი ზამთარში? გვ.27

## ეს ქართული სამართალწარმოების გამოსაცდელი ტესტია გვ.5



დონაძე საზოგადოებრივ ასპარეზზე დაბრუნებას თავხედურად ისევ გეგმავს(?!)

„სამართალდამცველებმა რაც გააკეთეს, უმძიმესი დანაშაულია...

„ვიღაცამ „ზემოდან“ უნდა გამოიჩინოს ნება ამ საქმის ობიექტურად გამოძიების დასაწყებად“.

## პრეზიდენტი მძევალია „თავისუფლების ინსტიტუტის“, რომელიც ვიცი, დიდად გულზე არ ეხატება

„ეს ჯგუფი ეცდება, თავისიანი მოიყვანოს პრემიერის პოსტზე“

თავის დროზე ირაკლი ალასანიას პოლიტიკიდან ჩამოცილება ოქრუაშვილის დამსახურებაა. გვ.7



## „შევარდნაძეს რომ შევხედე, ქვედა ყბა უკანკალებდა“



„რაც უღელტეხილზე გადმოსვლისას ვნახე, ომშიც გვ.11,15 კი არ მინახავს“

ადგილობრივი ყაჩაღები თუ დრანდის ციხიდან გამოშვებული პატიმრები მუსრს ავლებდნენ იქაურობას. წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებოდნენ ლტოლვილები. ჩვენს ტანკსაც გადაუდგნენ ყაჩაღები...

## „აფხაზეთს წმინდა ნიკოლოზი დაგვაბრუნებინებს და მე ამას მოვესწრები...“ გვ.12

...რამდენიმე წლის წინ სიკვდილის პირას ვიყავი, – ვერც ვჯდებოდი, ვერც ვდგებოდი, ძილზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, 6 თვე თვალი არ მომიხუჭავს, მეშინოდა, როგორც კი ჩავთვლემ, მაშინვე მოვკვდები-მეთქი... სუნთქვისაც კი მეშინოდა... თვე-ნახევარი დავრჩი მასთან და წარმოიდგინეთ, საბოლოოდ განვიკურნე.



...მამა საბას მრავალთა საკვირველი ცხოვრება ახსოვს...

...სქემარქიმანდრიტის კურნების საიდუმლო...

## მალე!

„კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლი გამოსცემს გაზეთ „კვირის პალიტრის“ სრულფეროვან თემატურ დამატება-ჩანართს

„უძრავი ქონება – ბიზნესგიდი“

გავრცელდება „კვირის პალიტრასთან“ ერთად, კვირტალში ერთხელ.

რეკლამა ტელ: 37-78-07

## „მე ვინახავ ინფორმაციას“

რა საიდუმლოს ინახავს ხევსურული ციხე-კოშკების კრიპტოგრამები... გვ.18

ჩვენი მიზანია ჩვენს ტერიტორიაზე არსებული სიძველეებით დავაინტერესოთ მსოფლიოში მეტად პოპულარული ტელეარხები – „დისქავერი“ და „ნეიშენელ ჯეოგრაფიკი“, მათი მეშვეობით კი უძველეს კულტურათა შემსწავლელი მეცნიერები.

ჯანდაცვის მინისტრი ადასტურებს, რომ პრეპარატი „პანადოლ-ბეიბი“ ფალსიფიცირებული არ არის გვ.11 R

V ტურში გაიმარჯვა გვ.4,14 თემურ გოგატიშვილმა

## ახდენილი ნატვრა



მკითხველის ოცნებებს მკითხველები ასრულებენ!

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## სააკაშვილი დსთ-ის სამიტს დაესწრება



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ 28 ნოემბერს იგი აუცილებლად დაესწრება დსთ-ის ქვეყნების პრეზიდენტების სამიტს.

პრეზიდენტის თქმით, ჯერჯერობით გაურკვეველია, შეხვდება თუ არა იგი რუს კოლეგას ვლადიმირ პუტინს, რადგან რუსეთს შესაბამისი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

„სამიტზე მაინც წავალ, რათა დსთ-ის ქვეყნების სხვა ლიდერებს შევხვდე, რომლებთანაც ორმხრივი ურთიერთობები გვაკავშირებს“, — განაცხადა სააკაშვილმა. იგი იმედოვნებს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის შესახებ მოსაზრებათა გაზიარებას რუს კოლეგასთან მაინც შეძლებს.

## ნუ შეაშინებთ უცხოელ ინვესტორებს

26 ნოემბერს, ხელვაჩაურში ციტრუსების გადამამუშავებელი ქარხნის გახსნისას (ასეთი ქარხანა 3 დეკემბერს ქობულეთშიც გაიხსნება), საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა ფრანგ და იტალიელ ინვესტორებს აჭარაში ინვესტიციების შემოტანისთვის. ამასთან, სააკაშვილმა მთავრობის წევრები გააფრთხილა, რომ არ დაუჩაგრონ ეს ხალხი. „ისინი მართლაც ჩვენი მეგობრები არიან. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ხალხი უცხოეთიდან ჩამოდის და ფულს დებს საქართველოში. მათ უნდა იგრძნონ, რომ ეს ქვეყანა მიესალმება და პატივისცემით ხვდება. როცა ერთი იგრძნობს ამას, მაშინ ასი და ათასი სხვაც შემოვა. ამის სიტყვას უკვე მე გაძლევთ“, — განაცხადა პრეზიდენტმა. მისივე განცხადებით, ძალიან მალე ბათუმში ისევ უცხოელი ინვესტორების ძალისხმევით გაიხსნება შოკოლადის ქარხანა, მოგვიანებით კი — ავტობუსების ქარხანა.

## რომელი ქვეყანა გაგვათბობს საახალწლოდ



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოლაიდელის განცხადებით, დეკემბრის ბოლოს დადგინდება ქვეყნები, საიდანაც საქართველო ახალი წლიდან ბუნებრივ აირს მიიღებს. „გაზის მოწოდების თაობაზე პარალელურ მოლაპარაკებებს ოთხ ქვეყანასთან ვაწარმოებთ. მოლაპარაკებათა საფუძველზე საქართველოს მოსახლეობისთვის საუკეთესო ვარიანტს ავარჩევთ“, — განაცხადა ნოლაიდელმა.

მისივე თქმით, ირანში მოლაპარაკებათა მეხუთე რაუნდის დასრულების შემდეგ მთავრობას ირანიდან გაზის შესაძლო ტრანსპორტირების თაობაზე სრული ინფორმაცია ექნება. წლის ბოლოს ნოლაიდელი ირანში, ქართულ-ირანული სახელმწიფოთაშორის ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება, 30 ნოემბერს კი პრემიერ-მინისტრი სამუშაო ვიზიტით აზერბაიჯანში ჩასვლას გეგმავს.

## ევროკავშირი შავ ზღვას უახლოვდება

2007 წლის 1-ელ იანვარს ევროკავშირში კიდევ ორი ქვეყანა — რუმინეთი და ბულგარეთი გაწევრდება. საქართველოში რუმინეთის ელჩი დან მიჰაი ბარბულა აცხადებს, რომ რუმინეთი საქართველოს მეგობარი ქვეყანაა და ნატოსა და ევროკავშირში მის შესვლას ყველა დონეზე მხარს დაუჭერს.

ელჩის თქმით, რუმინეთის ევროკავშირში გაწევრება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ ქვეყნისთვის, არამედ მთლიანად რეგიონისა და საქართველოსთვის. ამ მოვლენის შემდეგ ევროკავშირი თავისი არსებობის ისტორიაში პირველად უახლოვდება შავი ზღვის რეგიონს და საქართველოსთან მეზობლობა უფრო სტრატეგიული გახდება მისთვის.

რუმინეთის ელჩი მიიჩნევს, რომ რუმინეთმა და საქართველომ უნდა გააქტიურონ ურთიერთობა სატრანსპორტო, სავაჭრო სფეროსა და ტურიზმში. მისი თქმით, აუცილებელია ბათუმსა და კონსტანცას შორის საბორნე მიმოსვლა განახლდეს.

რუმინეთი 1-ელ დეკემბერს ეროვნულ დღესასწაულს, რუმინეთის გაერთიანების დღეს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით თბილისში დაგეგმილია რიგი საზეიმო ღონისძიებები. [illegible]

## „კანონპროექტი სახელმწიფოს ბიზნესზე რეკეტის გაძლიერებაში დაეხმარება“



საქართველოს პარლამენტში „ფინანსთა სამინისტროში შემოსავლების სამსახურის შექმნის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვა მწვავე დებატებით წარიმართა. [illegible] ვერ მოვახერხებთ“, — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

## ცისკარიშვილი ნაცვლიშვილმა შეცვალა, ჩოგოვაძე — ხეთაგურმა



27 ნოემბრიდან კახეთის რეგიონში პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებულის მოვალეობის შესრულებას შეუდგება საქართველოს პარლამენტის წევრი გია ნაცვლიშვილი, რომელიც ამ პოსტზე პეტრე ცისკარიშვილს ცვლის. გია ნაცვლიშვილის ოჯახის საკუთრებაში შედის საგარეჯოს ტელეკომპანია „თვალი“, რომლის დირექტორი მისი დედა თამარ ქურდოვანიძეა.

ირაკლი ჩოგოვაძის პოსტიდან გადადგომის შემდეგ კი ნავთობისა და გაზის კორპორაციის პრეზიდენტად ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ალეკო ხეთაგური დაინიშნება. ამ თანამდებობაზე ხეთაგურის კანდიდატურა უალტერნატივოა. კორპორაციის პრეზიდენტად ხეთაგურის დანიშვნის საკითხს ორშაბათს ნავთობისა და გაზის კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს და დაამტკიცებს. ჩოგოვაძემდე კორპორაციას დავით ინგოროყვა ხელმძღვანელობდა, რომელიც იძულებული გახდა, კორპორაციაში აღმოჩენილი სკანდალური ფაქტების გამოვლენის შემდეგ თანამდებობა დაეტოვებინა.

## ვაჯობეთ კამბოჯას, გამბიას და ჰაიტს



პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ საინიციატივო ჯგუფი ქვეყნის ხელისუფლებას არადემოკრატიული და უსამართლო პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებს.

საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე კახაბერ შარტავა აცხადებს, რომ საქართველოს საერთაშორისო იმიჯი კატასტროფული ნიშნულისკენ მიექანება. „ვარდების რევოლუციის“ მესამე წლისთავზე ქვეყნის შიდაპოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მიუხედავად ხელისუფლების განცხადებებისა, რომ ქვეყანაში წარმატებული რეფორმები ხორციელდება და პოლიტიკური მდგომარეობა მზარდი დემოკრატიის მაჩვენებელია, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები საპირისპიროს ადასტურებს,“— განაცხადა კახა შარტავამ.

„ეროვნული ფორუმის“ წევრები შემაშფოთებელს უწოდებენ მსოფლიოში ცნობილი ჟურნალის „ეკონომისტის“ ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომლითაც მსოფლიოში დემოკრატიის ხარისხი განსაზღვრეს. აღმოჩნდა, რომ საქართველო ჰიბრიდული რეჟიმების სახელმწიფოთა რიცხვში აღმოჩნდა. კვლევების მიხედვით, საქართველოს დემოკრატიის ხარისხით უსწრებენ ვენესუელა, უგანდა, განა, ზამბია და რუსეთი.

104-ე ადგილზე მყოფ საქართველოს ჩამორჩება კამბოჯა, გამბია, ჰაიტი, სომხეთი, ყირგიზეთი. რუსეთი კი საქართველოს სულ ორი ადგილით უსწრებს.

## „ვაფიქსირებთ, რომ ხელისუფლება იტყუება!“

კონსერვატიული პარტია „ნაციონალურ მოძრაობას“ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებისკენ მოუწოდებს. ამასთან, ყველა მათგანზე კანონპროექტის შექმნასა და პარლამენტისთვის განსახილველად წარდგენას გეგმავენ.

პარტიის წევრების განცხადებით, ხელისუფლებამ 9 უმთავრესი დაპირება დაივიწყა: მიწისძვრით დაზარალებულთვის კომპენსაციები არ გაუცია; დაუშვა გაზისა და დენის ტარიფის გაძვირება; დააკანონა მშენებლობა მწვანე ზოლში; შეზღუდა ლუსტრაციის კანონის მიღება; დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა; მერებისა და გამგებლების პირდაპირი არჩევა; სახელფასო და საპენსიო დავალიანების სრული დაფარვა; პენსიების გაცემა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით და ანაბრების დაბრუნება.

„ხელისუფლებას მუდმივად შევახსენებთ შეუსრულებელ დაპირებებს და თუ მიზანს ვერ მივაღწევთ, უხერხულ მდგომარეობაში მაინც ჩავაყენებთ ამომრჩევლების წინაშე. დავაფიქსირებთ, რომ ხელისუფლება იტყუება!“ — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

პარტიას დაგეგმილი აქვს 2007 წლის საგაზაფხულო სესიაზე პარლამენტში ინიციატივით შევიდეს და თითოეულ დაპირებაზე კანონპროექტი წარადგინოს.

კონსერვატორების თქმით, პარტიას სამი კანონპროექტი — ანაბრების დაბრუნების, ლუსტრაციისა და პენსიების სტაჟისა და დამსახურების გაცემის შესახებ — უკვე მზად აქვს.

## პრეზიდენტის ნება კანონში უნდა აისახოს



საქართველოს პარლამენტის დეპუტატ ნოდარ გრიგალაშვილის განცხადებით, მწერალთა კავშირს შენობა დარჩება. „ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომლის გარანტი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია“, — განაცხადა გრიგალაშვილმა პარლამენტში „შემოქმედებითი კავშირების შესახებ კანონპროექტის“ პირველი მოსმენით განხილვისას. პარლამენტის განათლების, კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, შემოქმედებითი კავშირების მხოლოდ ის შენობა-ნაგებობები გაიყიდება, სადაც უკვე „მიკიოტები და ბუები ცხოვრობენ“.

გრიგალაშვილის განმარტებით, თუ სააკაშვილის მიერ მიცემული გარანტია შეიცვლება, ის თავის პოლიტიკურ გუნდს დატოვებს. ოპოზიცია პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადების კანონში ასახვას მოითხოვს. „დემოკრატიული ფრონტის“ ერთ-ერთი ლიდერის, კახა კუკავას და მემარჯვენე მანანა ნაჭყებიას განცხადებით, მისასალმებელია პრეზიდენტის გადაწყვეტილება, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისთვის ეს კანონშიც უნდა აისახოს.

## ქუთაისს ახალი მერი ჰყავს

როგორც იქნა, ქუთაისში მერი აირჩიეს. 15-კაციანი საკრებულოდან, ღია კენჭისყრაში 13-მა დეპუტატმა მხარი დაუჭირა ბაკურ ბალანჩივაძეს. იგი ქუთაისის მერად ოთხი წლის ვადით აირჩიეს.

ბაკურ ბალანჩივაძე მერად არჩევამდე ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი იყო, საკრებულოში კი „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიით მოხვდა.

ქუთაისის მერის მოვალეობას გიგა ჩოგოვაძე ასრულდებდა. გავრცელებული ინფორმაციით, იგი მუშაობას, სავარაუდოდ, თბილისში გააგრძელებს.

## გალში ქართველი პედაგოგები გაიფიცებიან

გალის რაიონში მოქმედი რვა ქართული სკოლის პედაგოგები საქართველოს ხელისუფლების ყურადღების მისაქცევად 27 ნოემბრიდან გაფიცვას მოაწყობენ. პედაგოგები ითხოვენ, ხელფასი განაკვეთების მიხედვით აუნაზღაურდეთ, რაც წლების განმავლობაში არ ხდებოდა. მათი თქმით, 2000-დან 2005 წლამდე პედაგოგები ერთჯერად დახმარებას იღებდნენ, ერთი წელია ეს დახმარებაც შეწყდა და ხელფასებიც არ ეძლევათ. — მიუხედავად იმისა, რომ ერთი წელია ამ პრობლემის გამო გამუდმებით ვითხოვთ დახმარებას, ხელისუფლების მხრიდან ყურადღებას არავინ არ გვაქცევს. ვის ვთხოვოთ ხელფასი, სეპარატისტებს? ისინი სიამოვნებით გადაგვიხდიან ფულს თუ ქართულ სკოლებს დავხურავთ და ბავშვებს რუსულად ვასწავლით! — აცხადებენ გალელი პედაგოგები. მათივე თქმით, აფხაზებისგან მიღებულ ხელფასს სიკვდილი ურჩევნიათ.

## კალაშოვის თანამზრახველები დააპატიმრეს

ესპანელი სამართალდამცველების მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია „კრაზანას“ ფარგლებში დაკავებული კიდევ ერთი ქართველის ვინაობა ირკვევა. კონსტანტინე ასათიანს ბრალად ედება ქრთამის მიცემა და პოსტსაბჭოურ სივრცეში მაფიის ლიდერ შაქრო კალაშოვთან თანამშრომლობა. ესპანეთის სასამართლომ ასათიანი, შაქრო კალაშოვის რუსი ადვოკატი ალექსანდრ გამშტეინი და უკრაინის მოქალაქე ოლეგ ვორონცოვი წინასწარ პატიმრობაში დატოვა. უკრაინის მოქალაქემ 18 ათასი ევრო გადაუხადა იმ ციხის სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლებს, სადაც კალაშოვია მოთავსებული. ვორონცოვი ქრთამის საშუალებით კალაშოვისთვის პირობების გაუმჯობესებას ითხოვდა.

უკვე ორი წელია გრძელდება ესპანეთში სპეცოპერაცია „კრაზანა“. ამ ხნის მანძილზე დაკავებულია 96 პირი, მათ შორის 12 ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდია. ყველა მათგანს შავი ფულის გათეთრება და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მაქინაციები ბრალდებათ.

## კოკოითი კრიმინალური ავტორიტეტია



— დღეს კოკოითის არა ინაუგურაცია, არამედ კორონაციაა! — განაცხადა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ხსნის კავშირის“ თავმჯდომარემ ვლადიმერ სანაკოევმა თვითაღიარებულ სამხრეთ ოსეთში დე ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის ინაუგურაციის ცერემონიის თაობაზე.

სანაკოევის განმარტებით, კოკოითი კრიმინალური ავტორიტეტია და მან ხელისუფლება ხელში უკანონოდ ჩაიგდო. „მივესალმები იმ ფაქტს, რომ ცხინვალში საზეიმო განწყობა და ფეიერვერკებია, მაგრამ ეს მხოლოდ თვალის ასახვევად ხდება. კოკოითს დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ვუსურვებ, რადგან ფინანსური მაქინაციების თაობაზე მისი ჩვენებები ძალიან გვჭირდება“, — თქვა ვლადიმერ სანაკოევმა.

ჯერჯერობით დაუზუსტებელია, სად და როდის გაიმართება დიმიტრი სანაკოევის ინაუგურაცია. მისი მთავრობის უახლოეს გეგმაში კი, პირველ ეტაპზე, მთავრობის აპარატის ქურთაში განლაგება შედის. „წარმომადგენლობა სხვადასხვა სოფელშიც გვეყოლება, რათა ახლოს ვიყოთ ხალხთან და კარგად შევისწავლოთ მათი პრობლემები“, — აცხადებს სანაკოევი, რომელსაც აუცილებლობად მიაჩნია კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია, რათა არც ერთი უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალა ცხინვალის რეგიონში აღარ იყოს. იგი ასევე ლაპარაკობს საერთაშორისო დონორების მიერ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილ თანხებზე და აცხადებს, რომ ფული იმ ძალას გადაეცემა, ვინც მეტ ნდობას დაიმსახურებს.

„ვფიქრობ, საერთაშორისო ორგანიზაციები მას გამოუცხადებენ ნდობას, ვინც საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს პატივს სცემს, არ არის გახვეული ფინანსურ მაქინაციებში, არ აცხადებს, რომ ქართველი და ოსი ხალხი ერთმანეთის მტერია და რეალურად დაინტერესებულია, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს“, — განაცხადა სანაკოევმა.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე ცხინვალის რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამების განსახორციელებლად 10 მილიონი ევროს გამოყოფაზე შეთანხმდა, თუმცა, შესაძლოა, თანხა 17 მილიონამდეც გაიზარდოს. რეაბილიტაციის პროცესი კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა ერთობლივად უნდა წარმართონ, მაგრამ ჯერ უცნობია, ვინ გახდება მილიონების განმკარგავი. რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მის მიერ გამოყოფილი თანხა კოკოითის მთავრობას გადასცეს.

## კონფლიქტის ზონაში თაღლითთა ჯგუფი მოქმედებს



ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომლის თანახმად ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 20 მლნ ყალბი დოლარია წარმოებული. გაზეთის ცნობით, ამერიკული და ქართული სპეცსამსახურები ცდილობენ გამოავლინონ თაღლითთა საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც თავს აფარებს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონას და ძირითადად ყალბი ასდოლარიანი კუპიურების წარმოებაზე მუშაობს. გავრცელებული ინფორმაციით, 20 მლნ ყალბი დოლარი უკვე გადაგზავნილია ისრაელში, აშშ-ში, რუსეთსა და საქართველოს ტერიტორიაზე. „ვაშინგტონ პოსტი“ ვარაუდობს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ზონაში ყალბი დოლარების წარმოება კიდევ უფრო გაამწვავებს რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობას.

# „ქართული ჯარის ნატოში ინტეგრაცია უკვე შეუქცევადი პროცესია“



„ირანისა და საქართველოს გრძელვადიანი პარტნიორობა ენერგეტიკის საკითხებში ჩვენთვის მიუღებელია“

„საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობისთვის ძალ-ღონეს არ ვიშურებთ“

ტემპერატურის დაცემასთან ერთად, მოზდოკში გაზსადენიც აფეთქდა. მართალია, ამჯერად ავარია რუსეთის შიდამოხმარების ქსელზე მოხდა, მაგრამ შესაძლებელია, რუსეთის მხრიდან ეს ერთგვარი „წინა მანევრიც“ იყოს. ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობის გასაფრთხილებლად მოწყობილი, მეორე მხრივ კი საერთაშორისო საზოგადოებისთვის განკუთვნილი, აქაოდა, ავარიები ჩემს შიდაქსელშიც ხდება, მაინცდამაინც მხოლოდ რუსეთ-საქართველოს მარშრუტი ხომ არ ზიანდებაო... მინავლდა საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებული აჟიოტაჟიც, თუმცა ვარდების რევოლუციის სამი წლისთავზე კიდევ ერთი ტენდენცია აღინუსხა — პარლამენტში გამოფენილი რევოლუციის ამსახველი კადრებიდან ჯერ ოპოზიციის წარმომადგენელთა, შემდეგ უკვე ოქრუაშვილის პორტრეტები გაქრა...

ამასობაში კოკოითმა სცადა, საქართველოს ხელისუფლებას პომპეზურობასა და საზეიმო ცერემონიების მოწყობაში არ ჩამორჩენოდა — მის ვითომ ინაუგურაციას კი აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის არა მხოლოდ პოლიტიკოსები, ესტრადის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ცერემონია, რასაკვირველია, რუსი ჩინოვნიკების მონაწილეობითა და ზედამხედველობით ჩატარდა. მოკლედ, საქართველოში და მის ირგვლივ მოვლენები კვლავაც თავისი გზით ვითარდება — რამდენად წაადგება ეს გზა ქართულ სახელმწიფოებრიობას, მეორე საკითხია. თუმცა ამაში, ალბათ ლომის წილი თბილისთან მეგობრულად განწყობილმა სახელმწიფოებმა უნდა შეიტანონ. მოსალოდნელი მძიმე ზამთრის, საკადრო ცვლილებებისა და კონფლიქტური რეგიონების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, **ჯონ ტეფტს** ექსკლუზიურ ინტერვიუში ვესაუბრებით:

— **საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ბოლო დროს საგრძნობლად დაიძაბა. რუსეთი საქართველოს არა მხოლოდ სახელმწიფოთაშორის დონეზე უპირისპირდება. აგრესიამ რუსეთის სახელმწიფო მანქანის მხრიდან საქართველოს რიგით მოქალაქეებზე გადმოინაცვლა. „ანტიქართული ისტერია“ რუსეთში სახელმწიფო ფაშიზმს ნიშნავს!“ — [illegible] მოსკოვში [illegible] ქართველები, [illegible] თქვენი აზრით, [illegible] რუსეთის ოფიციალური წრეების ამგვარი [illegible] საქართველოს მიმართ? [illegible] რუსეთ-საქართველოს [illegible] და რა [illegible] ამერიკის შეერთებულ შტატებს?**

— [illegible] მიგვაჩნია, რომ საქართველოსა და რუსეთს კარგი, მეგობრული ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ. [illegible] ნამდვილად [illegible] შტატები [illegible] ამგვარი [illegible] ამერიკის შეერთებული შტატები [illegible] განვითარების გამო. ამერიკის შეერთებული შტატები ოფიციალურ დონეზე, არაერთგზის მოუწოდებდა რუსეთს, გადაეხედა და გაეუქმებინა ის სანქციები, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ დააწესა. ჩვენთვის მიუღებელია ის დამოკიდებულებაც, რომელსაც ადგილი აქვს ბოლო დროს რუსეთში საქართველოს მოქალაქეთა მიმართ. ეროვნული ნიშნით ქართველების რუსეთში დევნა-შევიწროება, ოცდამეერთე საუკუნისთვის ძალზე საშიში და არასასურველი ტენდენციაა... ამ საკითხებზე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები შეშფოთებას გამოვთქვამთ როგორც საჯაროდ, ისე კერძო საუბრებში. ეს ის საკითხია, რომელიც ძალზე დიდ ყურადღებასა და ძალისხმევას საჭიროებს...

— **ამ კვირის ბოლოს ცხინვალის რეგიონში კოკოითის სეპარატისტულმა რეჟიმმა ე.წ. საპრეზიდენტო ინაუგურაცია მოაწყო, რასაც ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. ჯერ კიდევ ელჩად ნომინაციის დროს, სენატის კომიტეტში გამოსვლისას აღნიშნეთ, რომ საქართველოს კონფლიქტები მშვიდობიანად უნდა მოაგვაროს, თუმცა სტატუს-კვოს შენარჩუნება დაუშვებელია. უფრო და უფრო ცხადად ჩანს, რომ სტატუს-კვოს შენარჩუნებით არა მხოლოდ ოსი სეპარატისტები არიან დაინტერესებული. იმავე ინაუგურაციას საკმაოდ ფრცლად აშუქებდნენ რუსული მედიასაშუალებები, თვითმარქვია რესპუბლიკაში აუღიარებული არჩევნების შედეგად მოსული პრეზიდენტის ინაუგურაციას კი რუსეთის ოფიციალური პირებიც ესწრებოდნენ.**

— ზუსტად ისევე, როგორც ჩემი სენატში მოსმენის დროს, მიმაჩნია, რომ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნება დაუშვებელია. არა მხოლოდ მე — ჩვენი მეგობრებიც თბილისში, ვაშინგტონსა და მოსკოვში, ამერიკის საელჩოში ყველაფერს აკეთებენ იმ გზების გამონახვისა და მხარდაჭერისათვის, რომლებსაც არა მხოლოდ კონფლიქტის მოგვარება, კონფლიქტურ რეგიონებში ისეთი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება უნდა მოჰყვეს, რომლისთვისაც სამართალი და მშვიდობა უმნიშვნელოვანესი იქნება. ჯერჯერობით ისეთი წინსვლა არ არის, რომლის შესახებაც ლაპარაკს შევძლებდი. თუმცა ძალისხმევა რომ არსებობს, ფაქტია — მცირე ხნის წინ მე და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე მეთიუ ბრაიზა სოხუმში ვიმყოფებოდით, სადაც შეხვედრა გვქონდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელებთან — შამბასა და ლაკობასთან. დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია და მოსაზრებები, რომლებიც ეხებოდა კოდორის ხეობას, ვისაუბრეთ ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის გადაჭრისთვის აუცილებელ, ორივე მხრიდან თანამშრომლობის სურვილსა და ინიციატივაზე.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის რეგიონს, ვმონაწილეობთ სპეციალური რეაბილიტაციის პროექტში, რისთვისაც ამერიკის მთავრობამ საგანგებოდ, სახსრებიც გამოყო. პროექტი ეუთოს ეგიდით ხორციელდება და კონფლიქტის რეგიონში ბიზნესის, ეკონომიკის განვითარებას ისახავს მიზნად. მოგეხსენებათ, ეს რეგიონი საკმაოდ ღარიბია და ფინანსური დახმარება კარგი სტიმული იქნებოდა მოსახლეობისთვის, რომ ბიზნესისა და ეკონომიკის მშვიდობიან განვითარებაზე ეფიქრათ... ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიურ მუშაობას ვაპირებთ...

— **უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ კოკოითის, ისევე როგორც ბაღაფშის, სეპარატისტული რეჟიმი დამოუკიდებლად, პრაქტიკულად არაფერს წყვეტს. ძალზე ხშირად ეს ლიდერები პრესკონფერენციებს მოსკოვში მართავენ, ხვდებიან რუსეთის ოფიციალურ პირებს... ამავე დროს, მაგალითად, გალში ადამიანები გაუსაძლის მდგომარეობაში არიან (იხ. გვ.13) რა კეთდება მათი ცხოვრების გამოსწორების მიზნით?**

ჩვენ გაგებით მოვეკიდეთ იმ ფაქტს, როდესაც მილსადენის აფეთქების გამო საქართველო პრაქტიკულად გაზის გარეშე დარჩა. ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში საქართველო არჩევნის წინაშე დადგა და მაშინ ირანიდან გაზის მცირე რაოდენობით შემოტანა მოხერხდა. ეს, როგორც მოგახსენეთ, ფორსმაჟორულ ვითარებაში მოხდა... მაგრამ, ირანისა და საქართველოს გრძელვადიანი, სტრატეგიული პარტნიორობა ამ საკითხში ჩვენთვის მიუღებელია...

— ჩვენ, ჩვენი მხრივ ვცდილობთ, განახლდეს დიალოგი კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის. ასევე ვცდილობთ, დავადგინოთ ის სფეროები, სადაც დაპირისპირებული მხარეები თანამშრომლობას მოისურვებენ. მაგალითად, ვემხრობით იმას, რომ გალის რეგიონში შეიქმნას და რეალურად ამუშავდეს გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის ოფისი. ვფიქრობთ, გალის რეგიონში ასევე შედეგიანი იქნებოდა სამოქალაქო პოლიციის საქმიანობაც, რომელიც კრიმინალური ფაქტების რიცხვს შეამცირებდა. თუ სამოქალაქო პოლიცია არის ზუგდიდში, მაშინ რატომ არ უნდა იყოს გალში — ასე ხომ ადგილობრივი მოსახლეობა თავს გაცილებით უფრო დაცულად იგრძნობს და უფრო მეტი ნდობითაც იქნება განწყობილი. რაც შეეხება ოსეთის საკითხს — ვფიქრობთ, რომ ამ რეგიონში ეუთოს მონიტორინგის ჯგუფების რიცხვი კიდევ უნდა გაიზარდოს. რაც უფრო მეტი ასეთი ორგანიზაცია იქნება ჩართული კონფლიქტური რეგიონის მონიტორინგში, მით უფრო შემცირდება ძალადობის ფაქტები.

— **ამ კუთხით საინტერესო იყო მეთიუ ბრაიზას განცხადება საერთაშორისო პოლიციური დანაყოფების შექმნის შესახებ. რამდენად რეალურად გესახებათ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში რუსული სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალური შემადგენლობით ჩანაცვლება?**

— მეთიუ ბრაიზა კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო პოლიციური ძალების შესვლაზე ლაპარაკობდა. ეს თავისთავად, არ გულისხმობდა ამ რეგიონებში დსთ-ის ფორმატით მყოფი რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლებას. ლაპარაკი იყო გაეროს ეგიდით მოქმედ პოლიციურ სტრუქტურაზე, რომელიც რეგიონში დამატებით იქნებოდა და ხელს შეუწყობდა ადამიანის უფლებების დარღვევებთან ბრძოლას, სტაბილურობის შენარჩუნებას. თუმცა ზოგადად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში სამშვიდობო ძალები მრავალეროვნული უნდა იყოს და იქ მხოლოდ რუსეთი არ უნდა იყოს წარმოდგენილი.

— **რუსეთის პრეზიდენტი პუტინი თავის გამოსვლებში ხშირად ახსენებს კოსოვოს პრეცედენტს. რამდენად გამართლებულია კონფლიქტებისთვის კოსოვოს მაგალითზე ერთიანი, უნივერსალური მოდელის შექმნა, თუკი კოსოვოს დამოუკიდებლობა იურიდიულად გაფორმდება?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას თავისი ოფიციალური პოზიცია აქვს — სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმაც განაცხადა, რომ ჩვენთვის მიუღებელია კოსოვოს მაგალითის სხვა კონფლიქტურ რეგიონებზე განვრცობა. ეს არარეალურია. თითოეულ რეგიონს, ქვეყანას თავისი სპეციფიკური ნიუანსები გააჩნია. თავისი ნიუანსები აქვს ამა თუ იმ რეგიონში კონფლიქტის აღმოცენებას და განვითარებასაც. მიგვაჩნია, რომ კოსოვო, იქ მოწყობილი ეთნიკური წმენდით, გამწვავებული დაპირისპირებით უნიკალურია და მისი მოდელის განვრცობა არა მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებზე, მსოფლიოს სხვა ნებისმიერ რეგიონზეც შეუძლებელია. სამწუხაროდ, მსოფლიოში მრავლად არიან სეპარატისტულად განწყობილი ძალები და შესაბამისად არცთუ ისე იშვიათია ამით გამოწვეული დაძაბულობა (სამხრეთ ტიროლი იტალიაში, ტრანსილვანია რუმინეთში და სხვ.). როგორიც არ უნდა იყოს კოსოვის ფორმირების საბოლოო შედეგი, ეს იქნება უნიკალური მხოლოდ კოსოვოსთვის, სხვა კონფლიქტებისთვის კი უსარგებლო. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტების მოგვარების მხოლოდ და მხოლოდ იმ ვარიანტს, რომელიც განხორციელდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ჩარჩოში. ამასთან, ეს უნდა იყოს მთლიანად რეგიონში მშვიდობის და ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობიც. ნამდვილად არ მესმის, ამ კუთხით როგორ გამოდგება მშვიდობის დასამყარებლად კოსოვოს მაგალითი, რომელზეც ხშირად ლაპარაკობენ...

— **მცირე ხნის წინ საქართველოს ხელისუფლებაში მორიგი საკადრო ცვლილებები განხორციელდა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თავდაცვის ხაზი ამჯერად უკვე ეკონომიკაზე გავა...**

— ჩვენ ყოველთვის უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა საქართველოს ეკონომიკური განვითარება. ამ კუთხით ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში ბევრ საინტერესო პროექტს ახორციელებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ არა მხოლოდ ზოგადად ეკონომიკის განვითარებას, არამედ სახელმწიფო ინფრასტრუქტურის სწორად ჩამოყალიბებასაც. საკმაოდ პროდუქტიული თანამშრომლობა გვქონდა ნოგაიდელის მინისტრობისას და ვფიქრობ, გაგრძელდება მისი შემცვლელის, არველაძის დროსაც. ამავე დროს, ვაშინგტონი ძალისხმევას არ იშურებს საქართველოს თავდაცვის განვითარებისთვის — ქართული ჯარის ნატოში ინტეგრაცია უკვე შეუქცევადი პროცესია. სხვათა შორის, მეთიუ ბრაიზას თბილისში ვიზიტის დროს საინტერესო შეხვედრა გვქონდა თავდაცვის ახალ მინისტრთან, დავით კეზერაშვილთან. თანამშრომლობა არმიის განვითარებისა და სტრუქტურული ჩამოყალიბების საკითხებში ასევე გაგრძელდება და სასურველ შედეგსაც გამოიღებს.

— **თქვენ არაფერი გითქვამთ ყოფილ თავდაცვის მინისტრზე, ოქრუაშვილზე. თბილისში ამბობენ, რომ ჯარის სათავეებთან ემოციური ხელმძღვანელის ყოფნა ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც მიუღებელი იყო...**

— ამაზე კომენტარი უნდა გავაკეთო?

— **როგორც გნებავთ...**

— მიმაჩნია, რომ მისი თავდაცვის მინისტრობისას ნაყოფიერი თანამშრომლობა გვქონდა. ეს ეხება ჯარის განვითარებას, ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ სტაბილურობის უზრუნველყოფის ფარგლებში ქართველ ჯარისკაცთა მომზადებას... ოქრუაშვილთან ერთად ვიყავით პოლიგონზე, სადაც ქართველი სამხედროების წვრთნას დავესწარით და შედეგით უკმაყოფილო ნამდვილად არ დავრჩენილვართ. ამავე დროს, ვთვლი, რომ ოქრუაშვილს ესმოდა როგორც ჩვენი, ისე საქართველოს მთავრობის მთავარი პოლიტიკა — რომ კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ მშვიდობიანი გზით არის შესაძლებელი. მე მგონი, პრეზიდენტმა ბუშმა ეს პოზიცია თბილისში სტუმრობის დროს ნათლად დაადასტურა. ამავე დროს, ეს არის პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკაც...

— **რუსეთთან გამწვავებული სიტუაციის ფონზე ექსპერტები საქართველოს მძიმე ზამთარს უწინასწარმეტყველებენ — გამორიცხული არ არის, რუსეთმა ენერგეტიკული ბერკეტები გამოიყენოს. სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, მეთიუ ბრაიზამ საქართველოში ბოლო ვიზიტისას განაცხადა, რომ თეთრი სახლი წინააღმდეგი არ იქნება, თუ თბილისი ენერგეტიკული კრიზისის დასაძლევად ირანის გაზს მიიღებს.**

— როგორც ჩანს, მეთიუ ბრაიზას ამ განცხადებას არასწორი ინტერპრეტაცია მოჰყვა. ჩვენ გაგებით მოვეკიდეთ იმ ფაქტს, როდესაც შარშან ზამთარში, მილსადენის აფეთქების გამო საქართველო პრაქტიკულად გაზის გარეშე დარჩა და მოსახლეობას გაყინვის საფრთხე დაემუქრა. ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში საქართველო არჩევნის წინაშე დადგა და მაშინ ირანიდან გაზის მცირე რაოდენობით შემოტანა მოხერხდა. მაგრამ ეს, როგორც მოგახსენეთ, ფორსმაჟორულ ვითარებაში მოხდა და ამერიკის შეერთებული შტატები ამ ფაქტს გაგებით მოეკიდა. მაგრამ, ირანისა და საქართველოს გრძელვადიანი, სტრატეგიული პარტნიორობა ამ საკითხში ჩვენთვის მიუღებელია. ეს ერთი მხრივ, გაეროს რეზოლუციებთან არის დაკავშირებული და აგრეთვე, ირანის მიერ ბირთვულ იარაღზე მუშაობასაც უკავშირდება. თავის დროზე მტკიცედ დავუჭირეთ მხარი, რომ შაჰ-დენიზის გაზსადენს საქართველოზე გაევლო, ამ პროექტის ამოქმედება საქართველოს დამატებით, საიმედო ენერგეტიკულ წყაროს გაუჩენს. ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლება აქტიურად მუშაობს უკვე არსებული ჰიდრორესურსების ათვისებაზე, მათი გამოყენების გაუმჯობესებაზე. ამ მხრივ წარმატებებიც არის, რადგან უკვე ჰიდროელექტროსადგურებზე მოპოვებული ელექტროენერგიის ექსპორტიც მოხერხდა. მხარს ვუჭერთ საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას და ამ საქმის განვითარებაში ძალისხმევას არ ვიშურებთ. მიგვაჩნია, რომ ჩრდილოეთ-სამხრეთის მილსადენი საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის აქტივია. სწორედ ამიტომ აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატები მის აღდგენასა და რეაბილიტაციას.

— **რაც შეეხება სენატში მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ეჭვგარეშეა, რომ იგი საქართველოს ნატოში გაწევრებას დააჩქარებს. და მაინც, რამდენად ახლო პერსპექტივაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?**

— ამ რეზოლუციის ერთსულოვანი მიღება კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ორივე პარტია მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს განვითარებას, ტერიტორიულ მთლიანობას და მის ნატოში ინტეგრაციას. რაც შეეხება ახლო პერსპექტივებს, ამაზე ორი ფაქტორი მოქმედებს — ერთია, საქართველომ წარმატებით გაართვას თავი იმ საშინაო დავალებებს, რასაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსისგან იღებს, მეორე მხრივ კი ნატოში დროულად გაწევრებისთვის ალიანსის წევრმა ქვეყნებმა საქართველოს სასარგებლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიიღონ.

*დაჩი გრძელიშვილი*

# ახდენილი ნატვრა



## მკითხველის ოცნებებს მკითხველები ასრულებენ!

### ნატვრის ბარათი

სახელი, გვარი, წლოვანება ______________________

მისამართი, ტელ. ნომერი ______________________

ჩემი ნატვრაა ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

ქვირის პალიტრა ყველა სიახლე

თუ გსურთ, აგიხდეთ ნატვრა – შეავსეთ მოცემული „ნატვრის ბარათი“, მოკლედ ჩამოაყალიბეთ თქვენი „ნატვრა“, რომლის ასრულება **500 ლარზე** მეტი არ უნდა დაჯდეს (მაგალითად, სასურველი ნივთი, საყვარელი სპორტსმენის ან მომღერლის ავტოგრაფი, წიგნი, დასასვენებელი საგზური და ა.შ.) და გამოგზავნეთ რედაქციაში „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) ყუთების საშუალებით (მათი განლაგების შესახებ იხილეთ „კვირის პალიტრა“, გვ.36).

ყველაზე ორიგინალურ ოცნებებს გამოავლენს სპეციალური ჟიური მომღერალ **მერაბ სეფაშვილის** თავმჯდომარეობით და მათ „კვირის პალიტრასა“ და „ყველა სიახლეში“ ყოველკვირეულად გამოაქვეყნებს (ორშაბათს – „კვირის პალიტრაში“ და პარასკევს – „ყველა სიახლეში“). მათ შორის ყველაზე ორიგინალურსა და გულის ამჩუყებელ ნატვრას კი მკითხველი შეარჩევს.

„ნატვრის ბარათთან“ ერთად ვბეჭდავთ სპეციალურ ბარათს – **„ნატვრისთვალი“**, რომლითაც ნებისმიერ მკითხველს საშუალება ექნება მისცეს ხმა, მისი აზრით, ყველაზე ორიგინალურ ნატვრას, ნატვრას, რომელიც უნდა ახდეს. შევსებული **„ნატვრისთვალი“** გამოგზავნეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ხმის მიცემა შესაძლებელია SMS-შეტყობინებითაც (რომლის გამოგზავნის წესს ქვემოთ გაეცნობით). **გამარჯვებულად გამოცხადდება ნატვრა, რომელსაც 30 ნოემბრის 15 საათამდე მკითხველის ყველაზე მეტი ხმა დაუგროვდება** (წესები იხ. ქვემოთ). გამარჯვებულს „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლი მკითხველის სახელით ნატვრას აუსრულებს. ნატვრა, რომელიც ვერ გახდა ჟიურის რჩეული, შეგიძლიათ კვლავაც გამოაგზავნოთ. სრულიად შესაძლებელია, მან მომავალი ტურის ჟიურის მოწონება დაიმსახუროს.

*დაწვრილებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დარეკოთ: 37-50-03; 37-75-33*

## თქვენ შეგიძლიათ, ინატროთ და ნატვრა აიხდინოთ! თქვენ შეგიძლიათ, ნატვრა აუხდინოთ ადამიანებს!

### გამარჯვებული ნატვრა

V ტურში ჟიურის მიერ შერჩეული ნატვრებიდან გამარჯვებული მკითხველთა 556-მა ხმამ გამოავლინა. ყველაზე მეტი – 119 ხმა №51-ე ნატვრამ მოაგროვა.

გამარჯვებული ნატვრა ასეთი იყო:
**თემურ გოგატიშვილი, 22 წლის, თბილისი**
**ნეტავი ნატვრა მანატრა, ეს ნატვრა ამიხდებოდეს.**
**ჩემი ლამაზი სამშობლო — სამოთხედ გაბრწყინდებოდეს,**
**ჩვენი ჭკვიანი ჟიური — ჩემს სურვილს მაიწონებდეს,**
**კომპიუტერი მაჩუქოს და თანაც დააყოლებდეს:**
**— აჰა, ბალღო და ისწავლე, ქვეყანას გამასდგომოდე.**

**თემურ გოგატიშვილს მკითხველის სახელით „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლი კომპიუტერს გადასცემს.**

**მისი ნატვრა ასრულდა!**

გარდა ამისა, ნატვრის ავტორებს გამოეხმაურნენ კეთილი ადამიანები და მათი ნატვრის ასრულება გადაწყვიტეს: 91 წლის **გრიგოლ გობეჩიას** (თბილისი), რომელსაც კატარაქტის ოპერაციის გაკეთება სურს, გამოეხმაურა ქალბატონი, რომელმაც არ ინდომა ვინაობის გამოქვეყნება; 16 წლის **დათო კაპიტანოვს** (თბილისი) — სპორტულ ენციკლოპედიას, ხოლო 12 წლის **ნიკა ორაგველიძეს** (ქუთაისი) სახელმძღვანელოებს გადასცემს ინკოგნიტო პიროვნება; 14 წლის **ანას** დედას (თელავი, ვარდისუბანი) ნაღვლის ბუშტის ოპერაციას უსასყიდლოდ გაუკეთებს სულხან ქემოკლიძე, მე-2 კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელი, პროფესორი; 8 წლის **ლევან პაპიაშვილს** (კასპი, ხანდაკი) საჭადრაკო ნივთებს აჩუქებს ქალბატონი მარინე; 66 წლის **გულნაზ ლომიძეს** ქალბატონი ნანი ვიდეომაგნიტოფონს გადასცემს; **ირინა ჩერქეზიანის** (თელავი) ნატვრას კი ქალბატონი ლია აასრულებს და ირინას პატარა გოგონა ფუმფულა სათამაშოს და თოჯინას მიიღებს; **თამარ** და **ნინო ჩინჩალაძეებს** (თბილისი) სიმღერის ჩაწერაში დაეხმარება ბატონი დათო.

დაბოლოს, ჩვენ გამოგვეხმაურა ქალბატონი ანა, რომელმაც ასევე არ ისურვა ვინაობის დაფიქსირება და სურვილი აქვს, V ტურის სამი ნატვრის ავტორს აუხდინოს ნატვრა — 11 წლის **ირაკლი გოგოხია** (ზუგდიდი, რუხი) უზრუნველყოს ტანსაცმლითა და სასწავლო ნივთებით; 11 წლის **ბექა გელაშვილის** ოჯახს (თბილისი) დაეხმაროს ბუნებრივი აირის შეყვანაში და 8 წლის **მარიამ ვასაძის** დედიკოს სარეცხი მანქანა აჩუქოს!

„ყველა სიახლე“ და „კვირის პალიტრა“ მადლობას უხდის ყველა მათგანს გულისხმიერებისთვის!

ყოველ პარასკევს შესაძლებლობა გექნებათ, გაზეთ „ყველა სიახლის“ საშუალებით შეიტყოთ მიმდინარე ტურის გამარჯვებულის ვინაობა და წაიკითხოთ ინტერვიუ წინა ტურის გამარჯვებულთან.

### ნატვრისთვალი ტური №6



მსურს, ახდეს ნატვრა № ( )

ქვირის პალიტრა ყველა სიახლე

### ხმის მიცემა SMS-შეტყობინებით

ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიფეთ სიტყვა Natvra, გამოტოვეთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ კი ჩაწერეთ ტურის ნომერი, დეფისი და იმ ნატვრის ნომერი, რომელიც ყველაზე ძალიან მოგეწონათ და რომელიც გსურთ, რომ ახდეს. SMS-შეტყობინება გამოგზავნეთ ნომერზე 8884.

მაგალითად, ამ № 6 ტურში მოგეწონათ მესამე ნომრით გამოქვეყნებული ოცნება და გინდათ, რომ თქვენი ხმა მას მისცეთ. ტელეფონის სერვისში, **SMS**-ფუნქციაში აკრიფეთ: **Natvra** 6-3 და გამოგზავნეთ ნომერზე: 8884.




SMS-შეტყობინების გამოგზავნა შეიძლება „მაგთიდან“ და „ჯეოსელიდან“. ერთი SMS-შეტყობინების ღირებულება 50 თეთრია.

გამარჯვებულის გამოვლენაში მონაწილეობს ხუთშაბათს, 30 ნოემბრის 15 საათამდე გამოგზავნილი **SMS**-ები.

ნატვრისთვალის ბარათი „კვირის პალიტრის“, „სიტყვა და საქმის“ ყუთებში უნდა მოთავსდეს თბილისში – 29 ნოემბრის 13 საათამდე, რაიონებში – 29 ნოემბრის 10 საათამდე.

თუ გსურთ, დაუკავშირდეთ რომელიმე ნატვრის ავტორს, დარეკეთ ნომერზე: 37-75-33

VI ტურში სულ 1184 „ნატვრის ბარათი“ მონაწილეობდა. მათგან ჟიურიმ ეს ნატვრები აარჩია

### „ახდენილი ნატვრის“ ჟიურის თავმჯდომარე მერაბ სეფაშვილი წარმოგიდგენთ:

**1** *თამუნა მ, 7 წლის, ზესტაფონი*

ვარ II კლასში. ძალიან მინდა მქონდეს ახალი ლამაზი წითელი სკოლის ჩანთა. ჩემს ჯგუფში ყველა ახალი ჩანთით მოვიდა, მე კი ისევ I კლ ჩანთა მაქვს, არა და ძალიან მინდა სურვილი შემისრულდეს. ჩემს 8 წლის ძმიკოს უნდა ყავდეს ველოსიპედი. ჩემი მშობლები ვერ ყიდულობენ, თოვლის ბაბუა, იქნებ მოგვიტანო ეს საჩუქრები. მე მჯერა, რომ არსებობს თოვლის ბაბუა და ახარებს ბავშვებს.

**2** *ნონა კ, 13 წლის, თბილისი*

ნატვრის თვალო, ნატვრის თვალო,
გადმოგვხედე — გაგვიბრწყინდი,
მე და ჩემს ძმას აგვისრულე,
აგვიხდინე ეს სიზმარი:
ოქროსფერი სპანიერი ჩაგვახუტეთ
გე-ხვე-წე-ბით!!!

**3** *გიორგი ხ, 15 წლის, ქობულეთი*

საქართველოს ნაკრების ფორმა და ბურთი ფეხბურთელთა ხელმოწერებით. ძალიან გთხოვთ, ეს ნატვრა ამისრულოთ. წინასწარ მადლობას გიხდით.

**4** *ქრისტინა მ, 8 წლის, თბილისი*

მგონია, ისე დავბერდები, ველოსიპედი არ მეღირსება. ჩემი და 12 წლისაა და მასაც ჩემსავით უნდა ველოსიპედი. იქნებ დამეხმაროთ ამ ნატვრის ასრულებაში. წინასწარ გიხდით მადლობას.

**5** *მანანა ქ, 16 წლის, ხაშური*

გავხდე ცნობილი დიზაინერი, ტანსაცმლის შექმნა და მოდელირება ჩემი ჰობია, მაგრამ საკერავი მანქანა არ მაქვს. ნემსით კი საბრალო თითები სულ მთლად დამეჩხვლიტა. ნეტა შეეძლოს ოჯახს ჩემი დახმარება, დედა ძალიან განიცდის ამ ამბავს, მაგრამ ოცნებას ვერ მისრულებს თანხის უქონლობის გამო. ძვირფასო მკითხველო, ჩემი ნატვრისთვალი ახლა შენ ხარ, მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი სურვილის ახდენა. ბევრს არაფერს გთხოვთ, ერთი უბრალო საკერავი მანქანა ჩემთვის ძვირფასი ნივთია.

**6** *დავით ძ, 13 წლის, თბილისი.*

მე ისეთ რამეზე ვოცნებობ, რასაც ჩემი მშობლები თავიანთი პრობლემების გამო ვიცი, რომ არ მიყიდიან. ძალიან მინდა, რომ მქონდეს მობილური ტელეფონი. ხშირად საათობით ვმდგარვარ მაღაზიის ვიტრინასთან და მიოცნებია რომელიმე ტელეფონზე. ერთხანს ბუფეტში გატანებულ ფულს ვაგროვებდი, მაგრამ ხურდა ფულით არაფერი გამომივიდა.

**7** *კონსტანტინე რ, 69 წლის, ზუგდიდი*

ვარ იძულებით გადაადგილებული პირი აფხაზეთიდან. აფხაზეთის და სამეგრელოს თავადების შთამომავალი. დიდხანს ვყოყმანობდი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე ჩემი ნატვრა გამეზიარებინა თქვენთვის: იანვრის ბოლოს შემისრულდება 70 წელი და მინდა მქონდეს ეროვნული ჩოხა-ახალუხი თავისი ყაბალახით და აზიურით და თუ ნატვრაა ნატვრა იყოს — ჩოხოსანთა წევრობა და აფხაზეთში დაბრუნება. წინასწარ გიხდით მადლობას.

**8** *სოფიკო ს, 9 წლის, თბილისი*

გამარჯობა, მე ვარ სოფო, 4 წელია დავდივარ ცეკვაზე. მაქვს კონცერტი. ვცეკვავ აჭარულს და ფული არ მაქვს კაბის შესაკერად. გთხოვთ შემისრულოთ თხოვნა და მაჩუქოთ ჩემი ნატვრა.

**9** *მაია მ, 47 წლის, ხაშური*

გწერთ 4 წ. და 10 თვის ნინიკოს დედა. ჩემი ნატვრაა, ავუხდინო ჩემს ერთადერთ შვილს ნატვრა. ის მალე (ახალი წლის შემდეგ) 5 წლის გახდება. ძალიან კარგი გოგოა და დედიკოსაც უჯერებს, მაგრამ 2 წელია ელოდება და თოვლის ბაბუამ ვერა და ვერ მოუტანა დიდი, დიდი თოჯინა, რომელიც ნამდვილ ბავშვს ჰგავს, და რომელსაც შვილივით მოუვლის. იქნებ დაეხმაროთ თოვლის ბაბუას?... წინასწარ გიხდით მადლობას.

**10** *კახა ჩ, 9 წლის, თბილისი*

ვარ 9 წლის. ჩემი ერთადერთი ნატვრაა, კომპიუტერული თამაში:GTA Sanandreas-ი. ეს ამ თამაშის გამოშვებიდან ჩემი ნატვრაა. მაგრამ დედაჩემი ამ თამაშის ჩაწერას კომპიუტერში არ მაცდიდა, მაგრამ იმედი მაქვს ამ სურვილს ამისრულებთ, მაგრამ თუ, არა, თქვენგან ძალიან მეწყინება, მაგრამ მაინც გთხოვთ, რომ ეს სურვილი შემისრულოთ. მე თქვენი იმედი მაქვს.

**11** *ბაკურ ა, 16 წლის, თბილისი*

სპორტის ძალიან დიდი გულშემატკივარი ვარ. განსაკუთრებით მიყვარს ფეხბურთი და კალათბურთი, თუმცა სპორტის თითქმის ყველა სახეობასაც უდიდესი სიამოვნებით ვადევნებ თვალს. როცა გავიგე, რომ საქართველოში სპორტის ენციკლოპედია გამოუშვეს, ძალიან გამიხარდა და მისი შეძენაც მსურდა, მაგრამ ფასმა დამაბრკოლა. იმედია ჩემს თხოვნას ყურად იღებთ და ამ სამაგიდო წიგნს მაჩუქებთ.

(გაგრძელება გვ. 14)

# ეს ქართული სამართალწარმოების გამოსაცდელი ტესტია

## ვილაცამ „ზემოდან“ უნდა გამოიჩინოს ნება ამ საქმის ობიექტურად გამოძიების დასაწყებად



დონაძე საზოგადოებრივ ასპარეზზე დაბრუნებას თავხედურად ისევ გეგმავს(?!)

2004 წლის 24 ნოემბერს წერეთლის პროსპექტზე საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა გიორგი ბაშალეიშვილმა 19 წლის ამირან რობაქიძე მოკლა. მაშინ დააკავეს რობაქიძის ხუთი მეგობარიც. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე პოლიციის თანამშრომელთათვის წინააღმდეგობის გაწევისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით აღიძრა. გამოძიება ამტკიცებდა, რომ საეჭვო ავტომობილის გაჩერებისთანავე მანქანაში მსხდომმა ახალგაზრდებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციის თანამშრომლებს. საქმეში პოლიციის ოთხი თანამშრომლის ჩვენებაც იყო. ოთხივე მათგანი დეტალურად „აღწერდა“, როგორ გადმოვიდა ავტომობილიდან რობაქიძე, როგორ ჰქონდა ხელთ ავტომატი, როგორ გაუხსნა ცეცხლი სამართალდამცველებს და როგორ გადაარჩინა ბაშალეიშვილმა საპასუხო ცეცხლის გახსნით თანამებრძოლები სიკვდილს. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ჩატარებულმა ექსპერტიზამ გამორიცხა პოლიციელთა ჩვენებებში მოყვანილი ფაქტები. იძულებული შეიქნენ, პოლიციელი ბაშალეიშვილი დაეპატიმრებინათ. მისი დაკავების შემდეგ შემთხვევის ადგილზე მყოფმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ერთდროულად შეცვალეს ჩვენებები. თავდაპირველი ჩვენება შეცვალა ბაშალეიშვილმაც. ამჯერად ოთხივე მათგანი ამტკიცებდა, რომ ბაშალეიშვილს შემთხვევით გაუვარდა ცეცხლსასროლი იარაღი. გაირკვა ისიც, რომ რობაქიძეს იარაღი არ ჰქონია და, ბუნებრივია, ვერც ისროდა...

რობაქიძის საქმე ქართველ სამართალდამცველებს დღემდე ყელში აქვთ გაჩხერილი. მართალია, ბაშალეიშვილი გასამართლდა და მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, დღემდე პასუხგაუცემელია ამ საქმეში არსებული კითხვები, — ვინ მიიტანა შემთხვევის ადგილზე იარაღი, ვინ მოახდინა საქმის ფაბრიკაცია და ვინ გააყალბა მტკიცებულებები... მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ ამ პირთა ვინაობა იცის, ამირან რობაქიძის მკვლელობის მეორე წლისთავზე კითხვები ისევ უპასუხოა.

**სოსო რობაქიძე,** ამირან რობაქიძის მამა: — ეს არაკაცები საზოგადოებას თვალებში ნაცარს ურცხვად აყრიან... მთელმა საქართველომ იცის, რა მოხდა იმ დღეს. როგორ შეთითხნეს ეს საქმე საპატრულო პოლიციის მაშინდელმა ხელმძღვანელმა მიქაძემ და მისმა მარჯვენა ხელმა, შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მაშინდელმა უფროსმა გურამ დონაძემ. სწორედ დონაძე იყო ის კაცი, ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჩემი შვილის „ყაჩაღობის“ დამადასტურებელი სიუჟეტის გადაღებას; სწორედ ის აჩერებდა გამვლელებს, რათა მათ დაედასტურებინათ ჩადებული იარაღის შემთხვევის ადგილიდან ამოღება. უამრავი მოწმე არსებობს, მაგრამ მიქაძე და დონაძე ძველებურად აგრძელებენ საქმიანობას. მიქაძე თვალს მოაფარეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსად გადაიყვანეს, დონაძე კი თანამდებობიდან მოხსნეს. ეს შეგნებულად გააკეთეს, მისი სამომავლო რეაბილიტაციის მიზნით. ინტენსიურად ამუშავებენ ჩემი შვილის მეგობრებს. ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ერთ-ერთი მაინც აიძულონ და ათქმევინონ, რომ ბიჭებს იარაღი ჰქონდათ... თუ ამას მიაღწევენ, მაშინ დონაძე და მიქაძე თავის გამართლებას მოახერხებენ“.

**გიგა გიორგაძე,** სახალხო დამცველის მოადგილე: — სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში მიმართა სპეციალური წერილით გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს. საქმეში არსებული მტკიცებულებანი აშკარად მიუთითებს, რომ სამართალდამცველებმა იარაღი შემთხვევის ადგილას ჩადეს. ცხადია, საქმე გვაქვს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ბოროტად გამოყენებასთან, უკანონო დაკავებასა და ცრუჩვენების მიცემასთან. თითქმის დადგენილია ამ დანაშაულის ჩამდენთა ვინაობაც. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველი ითხოვდა, დაუყოვნებლივ დაწყებულიყო იმ სამართალდამცველთა სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლებიც მონაწილეობდნენ ოპერაციაში, შემთხვევის ადგილზე ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებასა და მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრებაში. სახალხო დამცველი ითხოვდა, დადგენილიყო იარაღისა და საბრძოლო მასალის წარმომავლობა. გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ ამ საქმეზე არავის უმუშავია. არ დაკითხულა არც ერთი მოწმე, არ ჩატარებულა იარაღის ექსპერტიზა...

— **ქსე იგი, ამ საქმის მიჩქმალვით არიან დაინტერესებულნი?**

— ახლა საქმე იმ კონდიციამდეა მისული, რომ მაღალ ეშელონებში გადაწყვეტილება უნდა მიიღონ. ვილაცამ „ზემოდან“ უნდა გამოიჩინოს ნება ამ საქმის ობიექტურად გამოძიების დასაწყებად. ეს ქართული სამართალწარმოების გამოსაცდელი ტესტია. მისი გადაცემა „ვიდეოპატრული“ ჯერ გაქრა ეთერიდან, მერე კი შუაღამისას დაიწყეს გაშვება, ხალხი რომ არ გაეღიზიანებინათ. ახლა ცოტა ადრე გადმოიტანეს და თანდათან ყურს უხედნიან საზოგადოებას დონაძის პერსონით (მისი გახმოვანებით), ერთ მშვენიერ დღეს კი თავადაც გამოჩნდება ახალ ამპლუაში. ჰგონიათ, ხალხს დაავიწყებენ იმ ენით აუწერელ სიყალბეს და სისასტიკეს, რაც მათ ჩაიდინეს, მაგრამ ამ ისტორიას მე არ დავავიწყებ საზოგადოებას, ვიბრძოლებ, ვიდრე პირში სული მიდგას.

ბაშალეიშვილის სასამართლო პროცესი საცირკო სანახაობად გადააქციეს. საგანგებოდ, ცალკე წარმოებად გამოყვეს საქმე, რომელიც ნორმალურ ქვეყანაში ასჯერ იქნებოდა გამოძიებული და პროკურატურის ისეთ ბნელ კუნჭულში მიჩქმალეს, რომ დღემდე ვერ გამირკვევია, ვინ იძიებს მტკიცებულებების გაყალბების საქმეს. სამაგიეროდ,



ის, რაც სამართალდამცველებმა გააკეთეს, უმძიმესი დანაშაულია

დასრულების შემდეგ გამოჩნდება, არის თუ არა კანონის წინაშე ყველა თანასწორი საქართველოში.

კანონით, თითქოს ყველაფერი წესრიგშია, — საქმის გამოძიების უფლება პროკურატურას მთელი ექვსი წლის განმავლობაში აქვს, რადგან კანონის ზოგადი ნორმა იძლევა საქმის გაჭიანურების შესაძლებლობას, მაგრამ კანონში ისიც წერია, რომ საქმის გამოძიება გონივრულ ვადაში უნდა მოხდეს. აი, ეს „გონივრულობის“ პრინციპია დარღვეული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვილაცები სხედან და ორგანიზებულად ფიქრობენ, როგორ „გამოასწორონ“ ეს საქმე.

— **რას გულისხმობთ?**

— დღეს, კანონით, ჩვენების შეცვლა პატიმრობას ითვალისწინებს. იმ ოთხმა პოლიციელმა თავის დროზე სწორედ ეს გააკეთა, მაგრამ მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა(?!), დღემდე საპატრულო პოლიციაში მუშაობენ (ბაშალეიშვილის გამოკლებით). მათ ძველი ჩვენება ახალი კანონის (რომელიც ჩვენების შეცვლისთვის პატიმრობას ითვალისწინებს) შემოღებამდე ცოტა ხნით ადრე შეაცვლევინეს. ცხადია, მთელი სახელმწიფო აპარატი მუშაობს ამ საქმის სათავისოდ შემოსაბრუნებლად.

— **ბაშალეიშვილი ისე მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომ მთელი სახელმწიფო მის გადასარჩენად მუშაობს?**

— ბაშალეიშვილი არავის აინტერესებს. აქ საქმე მუნდირის ღირსებას ეხებოდა. ყველა ის პირი, რომელიც საქმის ფაბრიკაციაში მონაწილეობდა, თავისი ჭკუით საპატრულო პოლიციის მუნდირის ღირსებას იცავდა. ის, რაც სამართალდამცველებმა გააკეთეს, უმძიმესი დანაშაულია. როცა უდანაშაულო კაცს კლავ, მერე თავის დაცვის მიზნით მტკიცებულებებს აყალბებ, უდანაშაულო ადამიანებს შენი დანაშაულის გამო ციხეში ამწესებ და საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრი, ამაზე დიდი დანაშაული რაღა შეიძლება იყოს? თუ ჩვენს სახელმწიფოს უნდა, რომ მას პატივი სცენ, დამნაშავენი სასწრაფოდ, უმკაცრესად და სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ.

> ის, რაც სამართალდამცველებმა გააკეთეს, უმძიმესი დანაშაულია. როცა უდანაშაულო კაცს კლავ, მერე თავის დაცვის მიზნით მტკიცებულებებს აყალბებ, უდანაშაულო ადამიანებს შენი დანაშაულის გამო ციხეში ამწესებ და საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრი, ამაზე დიდი დანაშაული რაღა შეიძლება იყოს? თუ ჩვენს სახელმწიფოს უნდა, რომ მას პატივი სცენ, დამნაშავენი სასწრაფოდ და სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ.

P.S. საპატრულო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გიორგი ბაშალეიშვილი თბილისის სისხლის სამართლის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებს. მიაჩნია, რომ ოთხწლიანი სასჯელი, რომელიც მას უდანაშაულო ახალგაზრდის მკვლელობისთვის მიესაჯა, ზედმეტად მკაცრია...

ეტყობა, ბაშალეიშვილის მსგავსადვე ფიქრობენ ამ საქმის მონაწილე სხვა პირებიც და საზოგადოებრივ ასპარეზზე დაბრუნებას მეტად თავხედურად და შეუპოვრად ისევ ცდილობენ.

# წყენა, რომელიც სიკვდილით დასრულდა

## ქართველი მოზარდები უმოწყალოდ ხოცავენ ერთმანეთს

## დანის ტარებაზე კანონი უნდა გამკაცრდეს



მოზარდებისთვის, და ხშირად ზრდასრულებისთვისაც, სულ მცირე საბაბიც კი საკმარისია ერთმანეთის გასაწირად. რას ან ვის უნდა დავაბრალოთ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქართველი ბავშვების ფსიქიკისა და ქცევის საგანგაშო ცვლილება, ზუსტად არავინ იცის. ზოგი ამას სისასტიკეზე გადაღებულ ფილმებს, ზოგი კომპიუტერულ თამაშებს, ზოგიც მშობლებსა და პედაგოგებს, ზოგიც კი კანონმდებელთა გულგრილობას აბრალებს...

ბოლო დროს ცივი იარაღით სულ უფრო მეტი ადამიანი იღუპება. სამწუხაროდ, მათი უმეტესობა ახალგაზრდები და სკოლის მოსწავლეები არიან. ლაპარაკი ზედმეტია ცივი იარაღით დაჭრილ-დაჩეხილებზე...

დასანანია, რომ მოზარდებისთვის, და ხშირად ზრდასრულებისთვისაც, სულ მცირე საბაბიც კი საკმარისია ერთმანეთის გასაწირად. რას ან ვის უნდა დავაბრალოთ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქართველი ბავშვების ფსიქიკისა და ქცევის საგანგაშო ცვლილება, ზუსტად არავინ იცის. ზოგი ამას სისასტიკეზე გადაღებულ ფილმებს, ზოგი კომპიუტერულ თამაშებს, ზოგიც მშობლებსა და პედაგოგებს, ზოგიც კი კანონმდებელთა გულგრილობას აბრალებს. ფაქტი ერთია, — ქართველი მოზარდები უმოწყალოდ ხოცავენ ერთმანეთს და ხშირად უცხოელ მოქალაქეებსაც ესხმიან თავს.

29 ოქტომბერს აშშ-ის ჯარების მთავარი სამხედრო ექსპერტი ტომას ლორდი რესპუბლიკის მოედანზე მეუღლესთან ერთად გასეირნებას აპირებდა. გამოძიების მასალებით, სამმა მოზარდმა, რომელთა ასაკი 16-დან 18 წლამდე იქნებოდა, შეურაცხყოფა მიაყენეს ამერიკელის მეუღლეს, რასაც ბუნებრივია, შეკამათება მოჰყვა. მოულოდნელად, სამივე მათგანმა დანა მოიმარჯვა და ტომას ლორდი მუცლის არეში დანით მძიმედ დაჭრეს...

2005 წელს ალექსანდრე შაუთიძემ მეგობარ გიორგი იორდანიშვილს მობილური ტელეფონი სთხოვა. შაუთიძეს ტოტალიზატორში თანხა ჰქონდა წაგებული. გავიდა ხანი და იორდანიშვილმა შაუთიძეს მობილური ტელეფონის დაბრუნება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ამის გამო ბიჭები წაკამათდნენ და ამ ამბიდან ზუსტად ერთ წლისთავზე, 2006 წლის 28 მარტს, შაუთიძემ გიორგი იორდანიშვილი მის სახლთან, ძმისა და მეზობლების თვალწინ დანით გამოასალმა სიცოცხლეს. მძიმედ დაჭრა ძმის საშველად მისული მათე იორდანიშვილიც. საბედნიეროდ, ის სიკვდილს გადარჩა.

**ნათელა იორდანიშვილი,** გარდაცვლილის დედა: „მობილურის ისტორია კი ვიცოდი, მაგრამ ბიჭები მას შემდეგ შერიგდნენ. შაუთიძე ძველებურად მეგობრობდა ჩემს შვილებთან. რას წარმოვიდგენდი, თუ წყენას გულში ჩაიდებდა და ერთი წლის მერე ასე სასტიკად გაუსწორდებოდა ჩემს შვილს.

ბიჭები ეზოში იდგნენ, რომ მოვიდა. არავინ არაფერში დაეჭვებულა... ჩემი შვილი გვერდზე გაიხმო და დაჩეხა. გიორგის ძველი უსიამოვნება აღარც ახსოვდა. იქნებ სხვა მიზეზიც არსებობს? რას ელოდა ერთი წელი შაუთიძე? — საქმე ის არის, რომ შაუთიძის დედა ესპანეთში ცხოვრობს. როგორც ვიცი, იმ დღეს შაუთიძე ესპანეთში უნდა წასულიყო. ბილეთი რომ დაიგულა ხელში, მაშინ მოკლა ჩემი შვილი; ეგონა, პასუხისმგებლობას გაერიდებოდა... ფაქტობრივად, მთელი ოჯახი გამინადგურა. უფროსი შვილი მომიკლა, მეორე დააინვალიდა, თავისი თვალით უყურა ძმის მკვლელობას. ამ სტრესიდან დღემდე ვერ გამოსულა“...

ასეთი შემზარავი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება. სამართალდამცველები ირწმუნებიან, რომ დანაშაულის 90% სწორედ ცივი იარაღით ხდება. ცივი იარაღის ჩამორთმევის უფლება კი არავის აქვს, რადგან მისი ტარება არც ადმინისტრაციულ და არც სისხლისსამართლებრივ დევნას არ ითვალისწინებს. პარლამენტართა დიდმა ნაწილმა არც კი იცის, რომ ასეთი მუხლი სისხლის სამართლის კოდექსიდან ჯერ კიდევ ხუთი-ექვსი წლის წინ ამოიღეს იმ მოტივით, რომ დანის ტარებისთვის ადამიანის დასჯა კორუფციული გარიგების ხელშემწყობ კანონად მოინათლა(?!). ერთი სიტყვით, შემაშფოთებელმა სტატისტიკამ საკანონმდებლო ორგანოს ყურამდეც მიაღწია, თუმც კანონპროექტი, რომელიც ამის შემდეგ პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში მომზადდა, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად გაუმართავია და ამ სახით მისი მიღება იმას ნიშნავს, რომ „მკვდრადშობილ“ კანონად დარჩება.

მუხლი 238' განმარტავს, რომ: „21 წლის ასაკს მიუღწეველი, ნასამართლეობის მქონე ანდა ნარკოტიკების მომხმარებისთვის ადმინისტრაციული სასჯელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“. თუ ამ კანონპროექტის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის, 18 წლამდე პირს რომ დანის ტარებისთვის სასჯელი დააკისრო, იგი ნარკომანი ან ნასამართლევი უნდა იყოს, 21 წლის ასაკს ახალგაზრდებითვის კი არც ნარკომანია და ნასამართლობა იქნება დაბრკოლება(?!).

პარლამენტში ზემონახსენებ კანონპროექტს ჯერჯერობით ბევრი არ გასცნობია. როგორც მოგახსენეთ, ზოგიერთმა პარლამენტარმა არათუ კანონპროექტის არსებობა, ისიც კი არ იცის, რომ ასეთი მუხლი კანონიდან ხუთი წლის წინ ამოიღეს(!). პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში კი განმარტავენ, რომ კანონპროექტი ყველას დაურიგდა. მიუხედავად იმისა, რომ ცივი იარაღის ტარებაზე თითქმის ყველა კანონის შემოღების მომხრეა, პარლამენტარები დასჯის მეთოდებსა და ფორმებზე ვერ თანხმდებიან. მაგალითად, პარლამენტარ კახა კუკავას მიაჩნია, რომ დანის ტარების გამო მოზარდის ციხეში გამწესება დაუშვებელია.

**კახა კუკავა:** „მიმაჩნია, რომ სასჯელი უნდა იყოს, მაგრამ — ადმინისტრაციული. დანის ტარებისთვის, ვთქვათ, ქუჩის დაგვა ან საზოგადოებრივი სასჯელი მიესაჯოთ მოზარდებს“.

კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში მომზადდა, მართლაც დასახვეწია. დგება კიდევ ერთი საკითხი, — ეს არის ცივი იარაღის გაყიდვის უკონტროლო მექანიზმი. დღეს მსურველს ყველა ზომისა და ფორმის დანა შეუძლია იყიდოს. ამის დასარეგულირებლად კი კანონპროექტში არაფერია ნათქვამი. ცივი იარაღის გამოყენებაზე, გაყიდვასა და მისი მოხმარების წესებზე კი მართლაც უმნიშვნელოვანესი რამ — მომავალი თაობის სიცოცხლე და ჯანმრთელობაა დამოკიდებული...

*გვერდი მოამზადა ხათუნა პაიჭაძემ*

ექსპერტის აზრით

# ნიანგი, რომელმაც შეიძლება ხელი მოგაჭამოს...



**კოკოითის ნერვიულობა მაშინ დაიწყება, როდესაც სანაკოევი ოთხმხრივ კომისიაში მონაწილეობას მოითხოვს(!)**

საქართველოს უსაფრთხოების საკითხებში ანალიზის ცენტრის დირექტორის დევიდ სმიტისთვის მიუღებელია რუსეთისთვის რაიმეს დათმობა არა მარტო საქართველოს, არამედ ევროპისა და ამერიკის მხრიდანაც. მისი აზრით, თუ რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე დათანხმდებიან, კიდევ უფრო გართულდება ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების მოგვარების საკითხი. მრავალწლიანი ოცნების ასრულების შემდეგ კი რუსეთს დასავლეთის მიმართაც გაუჩნდება პრეტენზია და არც მათთვის პრობლემების შექმნაზე დაიხევს უკან.

უცხოელი ექსპერტის თქმით, დღეს საქართველოს განსაკუთრებით მართებს პრინციპულობა და დიპლომატიურობა. ქართველმა დიპლომატებმა საგარეო პოლიტიკურ თამაშში ყველა შანსი და შესაძლებლობა უნდა გამოიყენონ და დაარწმუნონ დასავლეთი, რომ რუსეთთან ურთიერთობაში ლოიალურმა პოლიტიკამ, შესაძლოა, გამოუსწორებელი შედეგი მოიტანოს და თავდაყირა დააყენოს მსოფლიო პოლიტიკის საჭადრაკო დაფა. როგორც **დევიდ სმიტი** ამბობს, ევროპისა და გარკვეულწილად, ამერიკის დამოკიდებულება რუსეთისადმი არაადეკვატურია:



## დევიდ სმიტი: რუსეთს პირში უნდა მიახალო ყველაფერი, ფერებას აზრი არ აქვს

— დასავლეთს რიგიანად არ აქვს გააზრებული, რა პოზიცია უნდა დაიჭიროს რუსეთთან ურთიერთობისას. თითქოს მისთვის მხოლოდ რუსული ენერგორესურსებია მნიშვნელოვანი და არა პირიქით, — დასავლეთის ბაზარი რუსეთისთვის. ევროკავშირმაც და ამერიკამაც უნდა დააფიქსირონ, რომ თავად არიან ამ ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და არა — პირიქით. რუსეთს პირში უნდა მიახალო ყველაფერი, მის ფერებას აზრი არ აქვს. საქართველომაც აშკარად უნდა აგრძნობინოს დასავლეთს, რომ ისეთივე წესებით ეთამაშოს რუსეთს, როგორც თვითონ თამაშობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების მოგვარების საკითხი კიდევ უფრო გაჭიანურდება.

შეიძლება ვინმე შემედაოს: რას ამბობ, განა ვერ ხედავ, როგორ იღვწის ამერიკაც და ევროპაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განსამტკიცებლადო. კი იღვწის, მაგრამ დროდადრო; საქართველოს საკითხს საერთაშორისო პოლიტიკურ სამსჯავროზე ქვისა და წვეთის ეფექტი უნდა ჰქონდეს. დასავლელი ტიპური დიპლომატი საქართველოს დიდი სიმპათიით უყურებს, მაგრამ რადგან ის შორს არის და თან, „პატარ-პატარა“ პრობლემები აქვს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, დიდ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე მის ადგილს ვერ ხედავს. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აუხსნას ასეთ „ახლომხედველ“ დიპლომატებს, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი გაცილებით დიდი და გლობალურ მასშტაბში განსახილველი პრობლემაა. საქართველოს წაგებული თითოეული რაუნდი კი ევროპისა და ამერიკის პოზიციების შესუსტებასაც ნიშნავს. დასავლეთს ეგონა, თუ რუსეთს შეიყვანდა „დიდ რვიანში“, ის ცივილიზებული მეთოდებით წარმართავდა საერთაშორისო ურთიერთობებს, მაგრამ ასე არ მოხდა. სანქტ-პეტერბურგში „დიდი რვიანის“ შეხვედრაზე რუსეთმა ყველას დაუქნია თითი და ენერგოსაკითხი აგრესიულად წამოსწია წინა პლანზე.

ამიტომაც „დიდი რვიანის“ ბოლო შეხვედრის შემდეგ რუსეთისთვის რაიმეს დათმობაზე ლაპარაკს აზრი აღარ აქვს, რადგან ის ყველა შემთხვევაში და ყველა ქვეყანასთან ისე იქცევა, როგორც ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ამ თავნება სახელმწიფოსთან კატეგორიული ტონია საჭირო. ამერიკელებს აქვთ გამოთქმა, — „ეს ნიშნავს იმას, რომ აჭამო ნიანგს“, — რუსეთთან სწორედ ასეთი პოზიცია უჭირავს დასავლეთს. ნიანგი ნიანგად რჩება, არ ძღება და თუ ერთ დღეს თევზი გამოგელევა, ხელს მოგაჭამს.

რუსეთი ძლიერი სახელმწიფოა, მაგრამ არადიპლომატიური. ამიტომაც ქართველმა დიპლომატებმა ინტენსიურად უნდა იმუშაონ, რათა დასავლელ პარტნიორებს პუტინზე ზეწოლისკენ უბიძგონ. რუსეთის პრეზიდენტი უნდა მიხვდეს, რომ აუცილებელია ქცევის წესების შეცვლა. ვფიქრობ, საქართველოსთვის სწორედ ამ მხრივ მუშაობა იქნება ეფექტიანი.

**— ე.წ. სამხრეთ ოსეთში კოკოითის არჩევნების ალტერნატიულ არჩევნებს რუსეთის პოლიტიკურ კულუარებში საქართველოსა და ამერიკის ერთობლივ ექსპერიმენტულ პროექტს უწოდებენ. სეპარატიზმის წინააღმდეგ, როგორ ფიქრობთ, საქართველომ რამე მოიგო ალტერნატიული არჩევნებით?**

— არჩევნები მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ კოკოითისთვის, რადგან ეს არის რუსების თვალში მისი პრესტიჟის ამაღლების ერთადერთი გზა. არჩევნებში ვითომ გამარჯვებით კოკოითი აცხადებს, რომ ის რეგიონს აკონტროლებს(?!). იგივე ითქმის სანაკოევზეც ის იმიჯს იქმნის საქართველოს ხელისუფლების თვალში. ამიტომაც ალტერნატიულ არჩევნებს შეიძლება დავარქვათ იმიჯების თამაში, რომელმაც ჯერჯერობით ზოგადი სიტუაცია ვერ შეცვალა, კონფლიქტის ზონაში ისევ დგანან რუსი მშვიდობისმყოფელები...

როგორც ექსპერტსა და დამკვირვებელს, მიჭირს დაბეჯითებით რაიმეს თქმა იმაზე, რაც ჯერ არ მომხდარა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქართული მხარე უკვე გეგმავს, როგორ ჩასვას სანაკოევი კონფლიქტის მოგვარების სპეციალურ ოთხმხრივ კომისიაში. თუ ეს მოხდება, კოკოითი ახტება-დახტება, უარს იტყვის კომისიაში მუშაობაზე და რამდენიმე ხანს შეწყდება კონფლიქტის მოგვარებაზე მსჯელობაც. თუკი მოლაპარაკება განახლდება, კომპრომისზეც წავლენ, მაგრამ სანამ პუტინი მხარს უჭერს კოკოითს, კონფლიქტის მოგვარების ვერანაირ შანსს ვერ ვხედავ.

**— გინდათ თქვათ, რომ პუტინი და კოკოითი უფრო ძლიერები არიან, ვიდრე საქართველო და მისი მხარდამჭერი დასავლეთი?**

— ძლიერება შეიძლება დღეს არსებული სიტუაციისა და პოტენციურობის მიხედვით განვასხვაოთ. შესაძლოა, პირველ შემთხვევაში, პუტინი და კოკოითი უფრო ძლიერები არიან, მაგრამ ცხადია, საქართველო და საერთაშორისო საზოგადოებრიობა ჯობნის. ამიტომაც კონფლიქტის მოგვარების საკითხი დამოკიდებულია იმაზე, რა პოზიციას დაიკავებს დასავლეთი. ვეჭვობ, მისი რადიკალურობის შემთხვევაში, პუტინმა მთელი თავისი პოლიტიკური ზეგავლენა გამოიყენოს სამხრეთ ოსეთზე, კონტროლის დასამყარებლად. ეს რეგიონი არ უღირს პუტინს ამხელა თავის ტკივილად. დასავლეთის რადიკალური დამოკიდებულება საქართველოს კონფლიქტური ზონებისადმი ლოგიკურად გამოიწვევს პუტინის პოზიციების შეცვლას. რაც შეეხება კოკოითს, იგი უკვე მძიმე დღეშია, ტყე-ტყე დარბის და მხოლოდ იმიტომ არის ცოცხალი, რომ ჯერჯერობით სჭირდებათ(!).

**— ჯერაც აქტუალურ თემად რჩება ყოფილი თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის გადადგომა. მისი ეშინოდათ სეპარატისტებს, იმედი ჰქონდათ დევნილებს...**

— ჩემი აზრით, ყველაფერი ეს რიტორიკაა და სხვა არაფერი. კონფლიქტების მოგვარება გაცილებით დიდი თამაშის საქმეა, რადგან მათი საფუძველი რთული გეოპოლიტიკური ვითარება, საერთაშორისო პოლიტიკური თამაშებია. თუ ამ რიტორიკაზეა დამოკიდებული კონფლიქტების მოგვარების საკითხი, მაშინ ოქრუაშვილი უკვე აღარ არის მინისტრი და ეს პრობლემა მოხსნილია(?!). ეს ისეთივე აბსურდია, როგორიც სეპარატისტების მტკიცება, რადგან მინისტრი ორფოლოში ჯარს წვრთნის, ომს აპირებსო. სამხედრო წვრთნებზე ამდენი ტყვია, საწვავი, ენერგია დაიხარჯა, დაიღალა ხალხი და ასე დაქანცული ჯარი საომრად წავიდოდა? ასეთი განცხადებები სრულიად ალოგიკურია. ამაზე ლაპარაკში დროის დახარჯვაც არ ღირს.

საქართველომ უნდა გააგრძელოს დემოკრატიული კურსისკენ სვლა, მალე უნდა გაწევრდეს ნატოსა და ევროკავშირში და განუმარტოს ყველას, რატომ არის საქართველო დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი და რატომ და როგორ უნდა მოგვარდეს კონფლიქტები.

P.S. ჩანს, საქართველოს სხვა გამოსავალი არ აქვს, საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან უფრო მომთხოვნი უნდა იყოს, რათა მივიღოთ ის შედეგი, რომელიც შესაძლოა უფრო იოლად მისაღწევი იყო, მაგრამ ჩვენი ინერტულობის გამო მომენტი ხელიდან გავუშვით. ცხადია, საქართველოს გარდა ყველას (ოსების და რუსების) ინტერესს აზარალებს ცხინვალის რეგიონში ორი „მეფის“ ერთ ტახტზე ჯდომა.

„ქართულ-ოსური კონფლიქტი ოსურ-ოსურ კონფლიქტად გადაიქცა“, — მიაჩნიათ ქართველ ექსპერტებს ცხინვალსა და ერედვში საარჩევნო კომისიების საბოლოო დასკვნების გამოქვეყნების შემდეგ. საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობისგან აუღიარებელმა არჩევნებმა მსოფლიოს დაანახვა, რომ სეპარატისტების მიერ რესპუბლიკად გამოცხადებული ე. წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა თურმე სულაც არ დგას ერთ აზრზე, შესაბამისად, ედუარდ კოკოითს სულაც არ აქვს საზეიმოდ საქმე. ამას კარგად ხვდება, მაგრამ მანამ შეეცდება გასაჭირის დამალვას, სანამ ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე თვალში საცემი არ გახდება. დაპირისპირების შემთხვევაში კოკოითი საკუთარ „ქვეყანაშივე“ კოლეგა დიმიტრი სანაკოევსა და, შესაბამისად, ოს ხალხსაც დაუპირისპირდება, რითაც ჰარაკირის გაიკეთებს. ექსპერტების განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის პოსტზე თუნდაც ცხრა ირაკლი ოქრუაშვილის მოსვლა ისე ვერ აუთრთოლებდა ნერვებს კოკოითს, როგორც უახლოეს მომავალში ამას დიმიტრი სანაკოევი უქადის. ორ ოსურ ძალას შორის რეალური დაპირისპირება მაშინვე დაიწყება, როგორც კი სანაკოევი ოსი ხალხის სახელით ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების ოთხმხრივ სპეციალურ კომისიაში მონაწილეობას მოითხოვს. ეს კი, სავარაუდოდ, ძალიან მალე მოხდება(!)

# ქარელი გაქრალა?..



თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ შიდა ქართლში ადგილობრივი ხელისუფლება აღარ არსებობსო, — ამბობენ გორში. გორელების თქმით, ამის მიზეზი ის არის, რომ ქალაქის ხელისუფლებაშიც და სამხარეო ადმინისტრაციაშიც პირველი პირები სულ ოქრუაშვილის ახლობლები, ნათესავები ან მისი ტყვიაველი (ოქრუაშვილის სოფელი) მეზობლები ყოფილან. ამიტომაც ზოგს მფარველის გადადგომის გამო დაუტოვებია თანამდებობა, ზოგიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დარჩა უსაქმოდ, მაგრამ ახალი თანამდებობების მოლოდინში. გორელები ამბობენ, რომ არჩევნებში ისევ იმ ხალხმა გაიმარჯვა, ვინც თანამდებობაზე იყო. შიდა ქართლში არ სჯერათ, რომ დრონი მეფობენ და არა მეფენი. პირიქით, აქ თურმე „მეფეებმა“ აჯობეს დროს. ამიტომაც არიან დარწმუნებული, რომ ახალი თვითმმართველობის ორგანოების დაკომპლექტებისას თანამდებობებზე ისევ ოქრუაშვილის ხალხი მოვა. თუმცა, ასე ქართლელების ერთი ნაწილი ფიქრობს. გორში უფრო მკაცრ და მავანთათვის ავისმომასწავებელ პროგნოზსაც მოისმენთ. კერძოდ, ოქრუაშვილის კადრებს საბოლოო მარცხს უწინასწარმეტყველებენ; არა მარტო იმის გამო, რომ მათ მფარველს გავლენა აღარ აქვს, არამედ იმიტომაც, რომ ე. წ. „ირაკლის კადრებიდან“ ზოგიერთები თურმე დანაშაულებრივ საქმიანობაში, კერძოდ, კონტრაბანდისტობაში, ძალადობასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაშიც ყოფილან შემჩნეული.



„ერთ დროს „ყოჩაღ ბიჭად“ ცნობილი მიშა საპნის ბუშტივით გასკდება“

გორში ახლა გაცხოველებით ლაპარაკობენ შსს-ს შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსისა და შემდგომ პირველი სამხედრო პოლიციელის ალექსანდრე სუხიტაშვილის კარიერის დასასრულზე. როგორც ამბობენ, მას დაპატიმრება არ ასცდება. ერთხელ ირაკლიმ გადაარჩინა, მაგრამ ამჯერად ვერაფერი უშველისო, — ამტკიცებს ჩვენი ინფორმაციის წყარო.

გორში თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ახალი გამგებელი არ აურჩევიათ. შიდა ქართლში პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებულს, დღემდე გუბერნატორად წოდებულ მიხეილ ქარელს კი განცხადება დაუწერია გადადგომის თაობაზე და ქალაქიდანაც გაუჩინარებულა. „კვირის პალიტრამ“ ამაოდ სცადა იმის დადგენა, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში იყო თუ არა ბატონი მიხეილი სამსახურში. მისი ყოფილი ხელქვეითები დუმან. არც თვითონ ქარელი პასუხობს სატელეფონო ზარებს. მისი თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე არაფერს ამბობს ხელისუფლებაც. თუმცა, როგორც კულუარებში ამბობენ, ერთ დროს „ყოჩაღ ბიჭად“ ცნობილ მიშას განცხადებაზეც მოუწერენ ხელს და მოგვიანებით პასუხსაც მოსთხოვენ რაღაც-რაღაცებისთვისო(?!).

„კვირის პალიტრა“ კონფლიქტების საკითხებში ყოფილ სახელმწიფო მინისტრს **გოგა ხაინდრავას** დაუკავშირდა, რომელიც ჯერ კიდევ მინისტრის პოსტზე ყოფნისას უწოდებდა ალექსანდრე სუხიტაშვილს კონტრაბანდისტს, ხელისუფლების უმაღლესი პირებისგან მიხეილ ქარელის ქებაზე კი ღიმილს ვერ იკავებდა.

გორელების ვარაუდს ბატონი გოგა ხაინდრავაც იზიარებს და არ გამორიცხავს, რომ ოქრუაშვილის პროტეჟე ან უკვე ყოფილ ჩინოსნებს ძველი ცოდვების გამო პასუხს ხვალ-ზეგ მოჰკითხავენ:

„დაბეჯითებით პროგნოზირება ძნელია, მაგრამ რადგან ჩვენ ჯერაც ვერ განვიკურნეთ უძველესი სენისგან, შინაბრძოლებისგან, მოსალოდნელია, რომ ეს ხალხი მართლაც დააპატიმრონ ან სხვა ხერხებით დასაჯონ. ამ ხელისუფლებას ხომ დევიზად აქვს, ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერიაო.

არ გამიკვირდება, სუხიტაშვილი რომ დააპატიმრონ. ის ჯერ კიდევ შიდა ქართლში შსს-ს სამხარეო სამმართველოს უფროსობისას ჰყავდა მერაბიშვილს დასაჭერთა სიაში შეყვანილი. როგორც მახსოვს, ერთი თუ ორი წლის წინ მისი ორი მოადგილე სწორედ კონტრაბანდისტობისთვის ჰყავდათ დაკავებული. არ ვიცი, რა მოხდება და ვის რა მოელის, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ არ შეიძლება ერთ დღეს ღმერთი იყო და მეორე დღეს მტერი. დასანანია, რომ სწორედ ასე ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება, რის გამოც მავანთა თანამდებობიდან გათავისუფლებაც და დაპატიმრებაც არის მოსალოდნელი.

ჩვენი ხელისუფლება საპნის ბუშტებს უშვებს და მერე თვითონვე ხეთქავს. ერთ-ერთი ასეთი საპნის ბუშტია მიხეილ ქარელიც. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მისი სახელი და გვარი აღარც კი მსმენია. მისი არც ხელისუფლებაში ყოფნით კეთდებოდა რამე და არც წასვლით დააკლდებათ. ეს ხალხი დამოუკიდებლად არაფერს აკეთებდა, სხვების დავალებით მოქმედებდნენ, სხვებმა შექმნეს ისინი და დღეს თუ დამნაშავეები არიან, ეგენი კი არა, სწორედ დავალებების გამცემები უნდა დააპატიმრონ“.

P. S. „კვირის პალიტრამ“ ცხინვალიდანაც მიიღო ინფორმაცია, რომლის თანახმადაც სეპარატისტებს ძალიან არ გახარებიათ ირაკლი ოქრუაშვილის წასვლა. რასაც გვიპირებდა, ყველაფერს საჯაროდ ამბობდა. ახლა კი, ალბათ, ისეთს დანიშნავენ, რომელიც პირში წყალს ჩაიგუბებს და საქართველოს ხელისუფლების ჩანაფიქრსაც ვერაფრით გავიგებთო, — ჩივიან ოსი სეპარატისტები.

**გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ**

# პრეზიდენტი მძევალია „თავისუფლების ინსტიტუტის“, რომელიც ვიცი, დიდად გულზე არ ეხატება

## თავის დროზე ირაკლი ალასანიას პოლიტიკიდან ჩამოცილება ოქრუაშვილის დამსახურებაა

ირაკლი ოქრუაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ექსპერტები დაბეჯითებით ამბობენ, რომ ერთმა სახელისუფლებო გუნდმა მეორეს გაუსწორა ანგარიში. ტრიუმფატორი „თავისუფლების ინსტიტუტის ჯგუფია“, რომელიც კულუარებში გამოთქმული ვარაუდის თანახმად, მალე პრემიერ-მინისტრის პოსტზე „თავისი ოჯახის წევრს“ მიიყვანს.

რა შეიცვალა ქართულ პოლიტიკაში ოქრუაშვილის გადადგომის შემდეგ? დააწინაურეს თუ მოიცილეს გიორგი არველაძე, ვისი პროტეჟეა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი ეკა შარაშენიძე და რატომ არის მოსალოდნელი ბრძოლა რესპუბლიკელებსა და „თავისუფლების ინსტიტუტს“ შორის, მაშინ როდესაც საზოგადოების თვალში ისინი მონათესავე პოლიტიკურ ჯგუფებად აღიქმებიან, ამის შესახებ რესპუბლიკელი **პაატა ზაქარეიშვილი** გვესაუბრება:

— სააკაშვილმა ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, ირაკლი ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრობიდან რომ გაათავისუფლა, რის შემდეგაც მან პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვიტა. დასავლეთი დაჟინებით მოითხოვდა, ოქრუაშვილს თავდაცვის მინისტრის პოსტი დაეტოვებინა. მისი აგრესიული განცხადებები, გაუმჭვირვალობა თავდაცვის სამინისტროს მმართველობაში და ჯარზე სამოქალაქო ზედამხედველობის არარსებობა ხელს უშლიდა საქართველოს ნატოში გაწევრებას. თავდაცვის სამინისტროს უზარმაზარი ბიუჯეტი ჰქონდა. თავისი უდიდესი გავლენითა და მზარდი რეიტინგით ოქრუაშვილი აშანტაჟებდა პრეზიდენტს და იმდენ დაფინანსებას იღებდა, რასაც მოითხოვდა. როდესაც ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, მდიდარი და გაფუებული ჯარი ქვეყანას საფრთხეს უქმნის. არანორმალურია, როდესაც ღარიბ ქვეყანას ძალზე ძლიერი ჯარი ჰყავს. სანამ სააკაშვილის გამწონასწორებელი ჟვანია იყო, ის გაცილებით დემოკრატიული ჩანდა. მთავარ პოლიტიკურ მეტოქეს მისივე ღირებულებებით აწონასწორებდა, აქაოდა, ჟვანიაზე ნაკლებგონიერი, ნაკლებდიპლომატიური და ნაკლებდემოკრატი არ ვარო. მას შემდეგ, რაც ჟვანია პოლიტიკიდან გავიდა, სააკაშვილის მეტოქე და, შესაბამისად, გამწონასწორებელიც, ოქრუაშვილი გახდა.

ხელისუფლებაში გამოკვეთილად ჩანს „თავისუფლების ინსტიტუტის“ ჯგუფი, სწორედ ამ ჯგუფის დამბალანსებელი და სააკაშვილის გამწონასწორებელი იყო ირაკლი ოქრუაშვილი, მაგრამ ის პოლიტიკიდან წავიდა. „თავისუფლების ინსტიტუტის“ ჯგუფმა ყველაფერი გააკეთა, რათა აშშ-სა და ევროპაში სახელი გაეტეხათ ირაკლი ოქრუაშვილისთვის. სიმართლე გითხრათ, ამაში ჩვენც მიგვიძღვის წვლილი, ჩვენც იმავეს ვამბობდით, რასაც „თავისუფლების ინსტიტუტი“ ამერიკელებთან, ევროპელებთან, ელჩებთან და სხვადასხვა ორგანიზაციასთან კულუარებში ამბობდა.

**— ოქრუაშვილის თაობაზე მოლაპარაკებულებიც ხომ არ იყავით „თავისუფლების ინსტიტუტთან“?**

— რა თქმა უნდა, არა. სხვათა შორის, ოქრუაშვილმა დაინახა, რომ მოწინააღმდეგეები ცდილობდნენ ხელისუფლების მთელი ცოდვები მისთვის აეკიდათ. მანაც იფიქრა, ყველაფერი რატომ უნდა დამბრალდეს, რაკი ასეა, სულ წავალ პოლიტიკიდანო.

**— როგორც კი თავდაცვის სამინისტროს ჩამოაცილეს, მაშინვე რატომ არ წავიდა, თავიდან ხომ დაეთანხმა ეკონომიკური განვითარების მინისტრობას?**

— სწორი კითხვაა. ოქრუაშვილმა დრო მოიგო და სათავისოდ მოაწესრიგა სიტუაცია თავდაცვის სამინისტროში. ნიკოლეიშვილი მოადგილედ, ვილაცები კი სხვა თანამდებობებზე დანიშნა, ვილაც დაითხოვა. ოქრუაშვილი კარის გაჯახუნებით რომ წასულიყო, თავდაცვის სამინისტრო უპატრონოდ დარჩებოდა, მაგრამ მან წასვლამდე თავის ხალხს მიხედა. კეზერაშვილი ის ფიგურაა, რომელიც ირაკლისთვის ყველაზე სასურველი იყო მის შემცვლელად.

როდესაც ეკონომიკური განვითარების მინისტრად დანიშნეს, ოქრუაშვილმა უკვე იცოდა, რომ ამ პოსტს დატოვებდა. ამ შემთხვევაში მან მოხერხებული ტაქტიკური ნაბიჯი გადადგა, რითაც ყველა მოატყუა, პრეზიდენტიც კი. თუ ოქრუაშვილი დაბრუნდა პოლიტიკაში, ერთგული ხალხი ისევ ამოუდგება მხარში. სახელისუფლებო ბანაკებს შორის რომ დაპირისპირებაა, ოქრუაშვილის მუქარაშიც გამოჩნდა: დავბრუნდები და ისე არ იქნება საქმე, როგორც უგულავას უნდაო. ამით პირდაპირ გამოაცხადა, ვინც არის მისი მეტოქე, — უგულავა, ანუ „თავისუფლების ინსტიტუტი“.

დღეს ქვეყანაში ხელისუფლებაზე პასუხისმგებლობა ერთადერთმა „თავისუფლების ინსტიტუტის“ ჯგუფმა აიღო. ის უკვე ღიად იტყვის, ხელს ოქრუაშვილი გვიშლისო. პრეზიდენტი ერთგვარად მძევალია ამ ჯგუფის, რომელიც ვიცი, დიდად გულზე არ ეხატება. მახსოვს, იუსტიციის მინისტრობის დროს როგორ არ მოსწონდა თავისუფლების ინსტიტუტი სააკაშვილს და როგორ ნერვიულობდა, როდესაც მათთან ერთად ვმართავდი ხოლმე პრესკონფერენციებს. დამირეკავდა და ტყავს მაძრობდა, მაგათთან რა გინდოდაო. ასევე მახსოვს, თავად „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელთა ირონიული დამოკიდებულება სააკაშვილისადმი.

**— „თავისუფლების ინსტიტუტის“ რა არ მოსწონდა სააკაშვილს?**

— ამ ჯგუფს გავლენა აქვს დასავლეთზე. მათ იქ უჯერებენ. სააკაშვილსაც უნდოდა დასავლეთზე ჰქონოდა გავლენა. ამის გამოც, და ამ ჯგუფის წევრთა ინტელექტის გამოც, სააკაშვილი ეჭვიანობს. თავის დროზე, როდესაც ყველანი ერთად ვიყავით, ხელისუფლებას ჰქონდა ორი ინტელექტუალური ბაზა — რესპუბლიკური პარტია და „თავისუფლების ინსტიტუტი“. ორივეს შეგვეძლო ამერიკელებთან მათივე ენაზე გველაპარაკა აქაურ ვითარებაზე, მაგრამ ჟვანია გვებრძოდა ჩვენც, ოქრუაშვილსაც და „თავისუფლების ინსტიტუტსაც“. მან მოახერხა და რესპუბლიკური პარტია სააკაშვილს ჩამოაცილა. ჟვანიას პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ „თავისუფლების ინსტიტუტმა“ მოახერხა და სააკაშვილს ოქრუაშვილი ჩამოაცილა. ახლა მოსალოდნელია, რომ „თავისუფლების ინსტიტუტი“, სააკაშვილთან ერთად, რესპუბლიკურ პარტიას დაარტყამს. ეს ჯგუფი ერთი ხელით ქვეყნის მართვას შეუდგება, მეორეთი კი ოპოზიციასთან გამართავს ბრძოლას. ოქრუაშვილის პოლიტიკიდან წასვლა ფორმალურად აშშ-ისა და ევროპას დაბრალდა. არადა ის შინაპოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლიც არის...

**— ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე „თავისუფლების ინსტიტუტის“ სასურველი პირი ვიხილოთ?**

— რა თქმა უნდა, ეს ჯგუფი ეცდება თავისიანი მოიყვანოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე. ყველაზე რეალური კანდიდატი კახა ლომაიაა...

**— რამდენადაც ვიცი, თავად ლომაიას არ სურს პრემიერ-მინისტრობა.** ქა არაერთხელ განაცხადა ჩვენს გაზეთთან საუბრისას.

— რას ჰქვია, არ უნდა. ის საერთო გადაწყვეტილებას დაემორჩილება. სააკაშვილს ურჩევნია, ლომაია დანიშნოს პრემიერ-მინისტრად, ამით ყველაფერზე პასუხისმგებლობას „თავისუფლების ინსტიტუტის“ დაჯგუფებას აჰკიდებს და პასუხსაც მოსთხოვს.

ლაპარაკია უგულავას პრემიერობაზეც, მაგრამ, ვფიქრობ, ლომაია უკეთესი პრემიერ-მინისტრი იქნება.

„თავისუფლების ინსტიტუტის“ ჯგუფი ისე ძლიერდება, რომ მოსალოდნელია, მათ პრეზიდენტსაც შეუმცირონ ძალაუფლება და მხოლოდ შადრევნებისა და პარკების გამხსნელის ფუნქციაღა დაუტოვონ. ბოლოდროინდელ საკადრო გადაწყვეტილებებში სწორედ ეს ჯგუფი ერევა, ყველა მნიშვნელოვან სფეროზე ისინი ახდენენ გავლენას. სხვათა შორის, თუ ეს ჯგუფი დაიყაბულებს სააკაშვილს, რომ საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა შეამციროს, ძალიან კარგი იქნება, რადგან პრეზიდენტი დღეს საქართველოს კი არა, „ნაციონალური მოძრაობის“, შადრევნებისა და ქანდაკებების პრეზიდენტია. ის საფრთხეებზე არ ფიქრობს. ამაზე მერაბიშვილი და მისი კამპანია (ოპოზიციას და საზოგადოებას მასზე და მის მეგობრებზე სერიოზული კომპრომატები აქვთ) ფიქრობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ უმკლავდებიან.

**— არველაძის გამინისტრებაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ აქტივშია?**

— არველაძე თავისი ეშმაკობის გამო გაიწირა. ცდილობდა ყველასთან ყოფილიყო, საბოლოოდ კი არავისთან იყო. ასე ვიტყოდი: არველაძე ეკონომიკური განვითარების მინისტრად კი არ დაინიშნა, არამედ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობისგან გათავისუფლდა. მისი მდგომარეობა კანცელარიაში გაცილებით მაღალი იყო. პოლიტიკა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში კი არა, კანცელარიაში კეთდება. არველაძესთან ხომ ყველა ინფორმაცია და წერილი იყრიდა თავს. გაიხსენეთ, ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ ირაკლი ჩუბინიშვილი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. მისი შემცვლელი იყო არველაძე, რომელსაც არავინ ენდობოდა...

არველაძის შემცვლელი ეკა შარაშენიძე ადრე ნოღაიდელთან მუშაობდა; ანუ მან კარგად იცის, რა ხდებოდა პრემიერ-მინისტრთან. შესაძლოა, ამ შემთხვევაში ორი რამ ვივარაუდოთ: ან ნოღაიდელმა ჩასვა თავისი კაცი კანცელარიაში, ან კიდევ ნოღაიდელს წაართვეს ისეთი პირი, რომლის გამოყენებასაც საჭიროებისამებრ მის წინააღმდეგ შეეცდებიან. თუ პირველი ვერსიაა მართალი, ეს იმის მაუწყებელია, რომ სააკაშვილს ნოღაიდელი პრემიერ-მინისტრად სჭირდება.

**— ანუ ფიქრობთ, რომ სააკაშვილი პოზიციის გასამყარებლად ნოღაიდელს გამოიყენებს?**

— სააკაშვილს ოქრუაშვილი უფრო სჭირდებოდა. მან ხომ თქვა, დავბრუნდებიო. თუ ეს საპარლამენტო არჩევნებამდე მოხდა, ოქრუაშვილის დაბრუნება მართლაც ეფექტური იქნება. მას თავისი გუნდი ჰყავს. კეზერაშვილი მის კაცად ითვლება. ასევე მიხეილ მაჭავარიანი, მიხეილ ქარელი, მის ახლოს თამაშობდა არველაძეც, კირკიტაძე, გოგორიშვილი, ქიბარ ხალვაში, საკმაოდ ძლიერი იურისტები — გია გეწაძე და ლევან ალაფიშვილი. ამ ხალხის მეშვეობით ოქრუაშვილს პარტიის შექმნა და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია. თუ ოქრუაშვილი საპარლამენტო არჩევნებამდე არ დაბრუნდა პოლიტიკაში, მერე ველარ დაბრუნდება, დაიმარხება. სხვათა შორის, თავის დროზე ირაკლი ალასანიას პოლიტიკიდან ჩამოცილება და დიპლომატიურ სამსახურში გადასვლა ირაკლი ოქრუაშვილის დამსახურებაა.

თუ სააკაშვილი მოახერხებს ირაკლი ალასანიას დაბრუნებას პოლიტიკაში, ესეც გაამყარებს მის პოზიციას და ქვეყანაშიც გამოასწორებს ვითარებას. ამით აღდგება დიალოგი აფხაზებთანაც, რომელიც დღეს შეწყვეტილია. ალასანიას დაბრუნება „თავისუფლების ინსტიტუტთან“ პრეზიდენტის დაპირისპირების ნიშანიც იქნება.

„ეს ჯგუფი ეცდება, თავისიანი მოიყვანოს პრემიერის პოსტზე“



# „ირაკლის ცხოვრებისა არაფერი სცოდნია“

ოქრუაშვილს მთავრობა ბაბუამისის დუქანი ხომ არ ჰგონია?!

პრემიერ-მინისტრი თუ შესაცვლელია, მაშინ მერაბიშვილის კანდიდატურას დავუჭერ მხარს



## „თუ ირაკლი ბოდიშს მოიხდის და სიმართლეს იტყვის, შეიძლება ვაპატიო კიდეც“...

ირაკლი ოქრუაშვილმა კარი გაიჯახუნა და ამის თაობაზე ყველაზე მწვავე განცხადება ბესო ჯუღელმა გააკეთა; მას არც ის დაუმალავს, რა მძიმედ გადაიტანა პრეზიდენტმა მეგობრის საქციელი. ოქრუაშვილის „სასწავლებლად წასვლაც“ ვერ იქცა ისეთ საბურველად, რომელიც მთავრობაში წარმოქმნილ დაპირისპირებას შენიღბავდა. მართალია, სახელისუფლებო გუნდი გულმოდგინედ ირწმუნება, ჩვენი დაპირისპირება მხოლოდ ოპოზიციის ვარდისფერი ზმანებააო, მაგრამ ზოგჯერ მათ ნათქვამშიც გაიელვებს ხოლმე ის, რასაც სიმართლის მარცვალი ჰქვია. ამჯერად, ვეცადოთ და სიმართლის ნამცეცები **ბესო ჯუღელის** სიტყვებში მოვძებნოთ.

— ცხოვრებაა ასეთი, ჩემო კარგო. საკადრო ცვლილებები მომავალშიც იქნება და ამაში საგანგაშოსა და ახალს ვერაფერს ვხედავ. ცხოვრებისეული დინამიკა ცვლილებებს ითხოვს.

**— როდესაც ოქრუაშვილმა ეკონომიკური განვითარების მინისტრობაზე უარი თქვა, ხომ არ იჩქარეთ, როდესაც თქვით, ჩვენი გზები გაიყარაო.**

— რას ჰქვია ეკონომიკური განვითარების მინისტრობა არ უნდოდა!.. მაპატიეთ, მაგრამ ოქრუაშვილს მთავრობა ბაბუამისის დუქანი ხომ არ ჰგონია?! პრეზიდენტი მის ადგილს ამ სამინისტროში ხედავდა, მან კი უარი უთხრა. პრეზიდენტმა ოქრუაშვილზე უკეთ არ იცოდა, სადაც უშვებდა? მან კი ხელი აუკრა. მიშა ირაკლისგან ამას არ ელოდა. როდესაც მეგობრად მიაჩნიხარ, გენდობიან და ასეთ საპასუხისმგებლო პოსტს გაბარებენ, უფლება არ გაქვს მძაფრი და მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. ეს მეწყინა ირაკლისაგან, ჩემზე მეტად კი პრეზიდენტს ეწყინა. ძალზე გულნატკენია.

ვერ გავიგე, რა ჰქონდა ირაკლის გასაბრაზებელი. თუ ეკონომიკის მინისტრობა დაქვეითებაა, ე. ი. ცხოვრებისა არაფერი სცოდნია. ხომ უთხრა მიშამ, მთავარი პრობლემა ეკონომიკაში გვაქვს და ამიტომ გაბარებ ამ საქმესო. არ ნიშნავდა არაფერს ეს სიტყვები?

პრეზიდენტმა წყენა არ შეიმჩნია. დიდსულოვანი კაცია, დაუთმო, და ამით განმუხტა სიტუაცია. საზოგადოებას დაანახვა, არაფერი მომხდარაო, არადა სინამდვილეში იცით, როგორი ნაწყენია?!

**— ოქრუაშვილი ამბობს, ძალა ერთობაშია, არსადაც არ მივდივარო. თქვენ კი აცხადებთ, ჩვენი გზები გაიყარაო. რომელს დაგიჯეროთ?**

— უკვე აღარ ვიცი, რა ხდება. ეგ კაცი ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. ამიტომ ირაკლის ჰკითხეთ, როდის იყო მართალი, როდესაც ეკონომიკური განვითარების მინისტრობაზე თქვა უარი, თუ ამ განცხადებას რომ აკეთებდა... ან ის რა იყო, უგულავას რომ გადასწვდა. გიგიმ გულმართლად თქვა რასაც ფიქრობდა და სწორადაც მოიქცა.

**— რას ფიქრობთ, დაბრუნდება ოქრუაშვილი პოლიტიკაში?**

— ეჭვი მეპარება. ირაკლი ვაჟკაცია და თუ პოლიტიკაში ვაჟკაცობა კიდევ რამის მაჩვენებელია, აღარ უნდა დაბრუნდეს. რაკი წავიდა, საბოლოოდ უნდა წავიდეს. ან სად უნდა გააგრძელოს მუშაობა? ეკონომიკური განვითარების მინისტრი უკვე გვყავს.

**— საკრებულოში თქვენ და ირაკლი ოქრუაშვილი გვერდიგვერდ ისხედით და კარგი ურთიერთობაც გქონდათ. ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო თქვენი განცხადებები.**

— ჩემს ცოლთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს და სიმართლესაც ამიტომ ვეუბნები. ობიექტური განცხადების გაკეთებისას არავის მოვერიდები. კარგი დამოკიდებულება რომ მაქვს, ეს ხომ იმას არ ნიშნავს, სიმართლე დავუმალო და ის არ ვუთხრა, რასაც მის საქციელზე ვფიქრობ.

გაიძახიან, ოქრუაშვილი მთავრობიდან მოიცილესო. ვინ მოიცილა?! თვითონ მოსცილდა ხელისუფლებას. ეკონომიკური განვითარების მინისტრად დანიშნეს, ოპერაში ხომ არ გადაუყვანიათ მეგარდერობედ? ჩემი აზრით, ირაკლის პოპულარობა თავში აუვარდა, ამბიციამ სძლია. ეტყობა, ფიქრობდა, მე ყველაფერი მეპატიებაო, მაგრამ ასე არ არის. არ შეიძლება ემოციას სახელმწიფო ინტერესი ანაცვალო. გასაგებია, რომ თავდაცვის მინისტრობა უნდოდა, მაგრამ იცით, მე რამდენი რამ მინდა? ამის გამო გავებუტო ჩემს ქვეყანას და პრეზიდენტს?

ირაკლი ოქრუაშვილი რეიტინგული, საქმიანი, პრინციპული კაცი იყო, მისი წასვლა მთავრობას უთუოდ დაეტყობა და ეგ მიკლავს სწორედ გულს. როდესაც მისი განცხადება მოვისმინე, თვალზე ცრემლი მომადგა. თუ ირაკლი თავისი საქციელისთვის ბოდიშს მოიხდის და სიმართლეს იტყვის, რატომ წავიდა მთავრობიდან, ამის შემდეგ შეიძლება ვაპატიო კიდეც...

**— ფიქრობთ, რომ რაღაც სხვა მიზეზი ჰქონდა?**

— არ ვიცი და ამიტომ მინდა მისგან სიმართლის მოსმენა. იქნებ მართლა ჰქონდა ამ კაცს წასვლის მიზეზი და გავუგებ. მის ნათქვამს ავწონ-დავწონი და, შესაძლოა, ბოდიშიც კი მოვუხადო ჩემი სიტყვებისთვის.

**— ამბობენ, შესაძლოა, მალე ახალი პრემიერ-მინისტრიც დანიშნოს პრეზიდენტმაო.**

— რატომ უნდა შეცვალოს ვითომ ნოღაიდელი? მასთან ურთიერთობა და მუშაობა ადვილია. ეკონომიკურ ბლოკსაც რიგიანად უძღვება, რბილი(!) კაცია. თუ მაინცდამაინც უნდა შეცვალონ, მაშინ ვანო მერაბიშვილს დავუჭერ მხარს. უნარიანი და საქმის მცოდნეა...

**გვერდი მოამზადა იზო რიკაძემ**

# საკადრო ორომტრიალი თავდაცვის სამინისტროში

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო-ში რომ ბოლო სამი კვირაა დიდი გაურკვევ-ლობა სუფევს, იქ მომუშავეები კარგად ამ-ჩნევენ. ქვეყნის მთავარ სამხედრო უწყებაში სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა: შეიცვალა თავდაცვის მინისტრი, გენშტაბის უფროსი, დიპლომატიულ ფრონტზე დაბ-რუნდა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, მისი ადგილი გენშტაბის ყო-ფილმა უფროსმა დაიკავა.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სად „გაქრა“ თავდაცვის მინისტრის კიდევ ერთი მოადგილე? თუკი თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ საიტს დავუჯერებთ, ა.წ. 29 აგვისტოს პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელის ბრძანებით სამხედრო პოლიციის დეპარტა-მენტის უფროსი ალეკო სუხიტაშვილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგ-ილედ დაინიშნა.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, თუკი იმავე თავდაცვის სამინისტროს საიტს ვენ-დობით, დღეისთვის (25 ნოემბერი) თავ-დაცვის მინისტრის მოადგილეები არიან ლევან ნიკოლეიშვილი, მამუკა მუჯირი და ქეთევან ნაცვლიშვილი. სუხიტაშვილის გვარი არსად ფიგურირებს. ასევე არ არსებობს ინფორმაცია (იმავე საიტზე), რომ სუხიტაშ-ვილი ოფიციალურად გაეთავისუფლებინოთ თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტიდან.

არანაკლები გაუგებრობაა გენერალური შტაბის მოადგილესთან, ბრიგადის გენერალ ჯიმი ზარიძესთან დაკავშირებით. იგი ერ-თადერთი სამხედრო იყო, რომელიც ორი წლის განმავლობაში ოქრუაშვილმა ბრიგა-დის გენერლის წოდებაზე წარადგინა, მაშინ როდესაც გენშტაბის უფროსს, პოლკოვნიკ ნიკოლეიშვილს გენერლობა არ აღირსეს.

თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური საიტი არ იძლევა არავითარ მინიშნებას, თავ-დაცვის მინისტრის მოადგილე სუხიტაშვილ-ისა არ იყოს, სად გაქრა გენშტაბის უფრო-სის მოადგილე ზარიძე. თუმცა ჩვენ მიერ არაოფიციალურად მოპოვებული ინფორ-მაციით, იგი პენსიაში გასვლას აპირებდა.

ამბობენ (ამის მტკიცება ძალიან ძნელია), თავდაცვის მინისტრის პოსტზე ირაკლი ალა-სანიას კანდიდატურას ამზადებენო. თუკი ჭორი გამართლდა, მაშინ ოქრუაშვილის დროის თავდაცვის მინისტრის მოადგილეე-ბის გვარები ამ უწყების ოფიციალურ საიტზე ნამდვილად შეიცვლება...

# შეკვეთილი მკვლელობა მინიატომური „ბომბით“ და KГБ-ს ხელწერით

## ФСБ-ს ყოფილი აგენტი ლიტვინენკო ყოფილმა თანამშრომლებმა დასაჯეს?



ჩაიში ჩაყრილმა რადიოაქტიური იზოტოპის პოლო-ნიუმ-210-ის ფხვნილმა საღ-სალამათი ლიტვინენკო (მარცხნივ) ორ კვირაში ასეთ საშინელ მდგომარეო-ბამდე (მარჯვნივ) მიიყვანა და საბოლოოდ დაღუპა

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამ-სახურის ყოფილი პოდპოლკოვნიკისა და შემდგ-ომში დიდი ბრიტანეთის მოქალაქის, ალექსანდრ ლიტვინენკოს სიკვდილის მიზეზი გახდა ძლიერი რადიოაქტიური ნივთიერება პოლონიუმ-210.

რადიოაქტიური ნივთიერებები და თანაც ისე-თი იშვიათი, როგორიც პოლონიუმ-210-ია, არც ისე ადვილი საშოვნელია, რომ ლიტვინენკოს სხე-ულში შემთხვევით მოხვედრილიყო. უეჭველია, იგი სპეციალურად მოწამლეს. ამაზე მიუთითებს დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების ძიების პირვე-ლი შედეგები — ყველა იმ ადგილას, სადაც ბო-ლოს იმყოფებოდა ლიტვინენკო, მათ შორის იაპონურ სუში-ბარში, დაფიქსირდა რადიაციის გაზრდილი ფონი.

საგულისხმოა, რომ პოლონიუმ-210 იზოტო-პის სინთეზირება მხოლოდ ატომურ რეაქტორ-შია შესაძლებელი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი შოვნა ან სინთეზი ყველა ქვეყნის სპეცსამსახ-ურებს არ შეუძლიათ.

უკვე დადასტურებულია, რომ ФСБ-ს ყო-ფილი თანამშრომელი 1-ელ ნოემბერს რუსეთიდან ჩამოსულ ასევე ყოფილ თანამშრომელს, ანდრეი ლუგოვოის და მის თანმხლებ პირს შეხვდა. ლიტვინენკოს იმ დღეს შეხვედრა ჰქონდა იტალ-იელ ჟურნალისტთანაც, რომელსაც მისთვის, ცნო-ბილი რუსი ჟურნალისტის, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობასთან დაკავშირებით სკანდალური მასალები უნდა გადაეცა.

იტალიელი ჟურნალისტი დაბეჯითებით უარყ-ოფს ლიტვინენკოს მოწამვლას, იმავეს ამტკიცებს ანდრეი ლუგოვოიც. სხვათა შორის, ლუგოვოი KГБ-ს ყოფილი თანამშრომელია და ლიტვინენ-კოსთან შეხვედრის შემდეგ თბილისშიც იყო, რადგან საქმიანი ურთიერთობა აქვს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ფონდთან.

ეს ფაქტი ერთ-ერთმა ქართულმა ტელევი-ზიამ ლიტვინენკოს მოწამვლის თბილისთან დაკავ-შირების მისანიშნებლად გამოიყენა.

— ფაქტია, რომ ლიტვინენკო სწორედ 1-ელ ნოემბერს მოწამლეს და თა-ნაც ეტყობა, სწორედ იაპო-ნურ სუში-ბარში. მას, სავარ-აუდოდ, ძლიერი რადიაცი-ული ნივთიერება პოლონ-იუმ-210-ის შემცველი აბი ან ფხვნილი ჩაიში ჩაუყარეს.

არასასურველი პირის მოწამვლა ძლიერი საწამლავ-ით ან რადიოაქტიური ნივ-თიერებით არახალია და მას საბჭოთა KГБ ხშირად იყ-ენებდა საზღვარგარეთ გაქ-ცეული ყოფილი თანამშრომ-ლების ლიკვიდაციისთვის.

არ დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტი პუტინიც KГБ-

**ჩვენი ცნობა:** 1898 წელს მარია და პიერ კიურებმა აღმოაჩინეს პირველი რადიოაქტიური ნივთიერება, რომელსაც მარია კიურის სამშობლოს — პოლო-ნეთის პატივსაცემად „პოლონიუმი“ უწოდეს. იზოტოპი პოლონიუმ-210 ძლიერი ალფა გამომსხივებელია და მის ნახევრად დაშლას 138 დღე-ღამე სჭირდება. პოლო-ნიუმ-210 გამოიყენება ბირთვული ბომბე-ბის კონსტრუქციებში როგორც ნეიტრონუ-ლი ინიციატორი. სხვათა შორის, ლიტვინენ-კოს მოწამვლამდე რამდენიმე დღით ადრე ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსტრუქტორებმა, სწორედ პოლონიუმ-210-ის კვალი აღმოაჩინეს ირან-ში, რაც შეიძლება მიუთითებდეს თეჰ-რანის მზადებას ატომური იარაღის შესაქმნელად.

დან მოდის. ეს თითქმის ყოვლისშემძლე საიდუმ-ლო ორგანიზაცია გამყიდველებს არაფერს პა-ტიობდა და ყველა ღონეს ხმარობდა მათ ფიზ-იკურად მოსასპობად.

ყოფილ პოდპოლკოვნიკ ლიტვინენკოს კი, ეტყობა, საიდუმლო სასიკვდილო განაჩენი KГБ-ს შთამომავალ ФСБ-მ მას შემდეგ გამოუტანა, როდე-საც მისმა ყოფილმა თანამშრომელმა სახალხოდ განაცხადა და წიგნიც კი გამოუშვა იმაზე, თუ როგორ აფეთქებდნენ ФСБ-ს აგენტები რუსე-თის ქალაქებში მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს. 1999 წლის ბოლოს სწორედ ეს ფაქტე-ბი გახდა მაშინდელი რუსეთის პრემიერ-მინის-ტრ პუტინის მთავარი არგუმენტი, დაეწყო ჩეჩ-ნეთში მეორე ომი — სახლების აფეთქება ჩეჩენ ტერორისტებს დაბრალდა.

სხვათა შორის თავის დროზე ლიტვინენკოს უფრო დიდი თანამდებობა ეკავა, ვიდრე პუტინს. 1991 წელს საბჭოთა KГБ-ს დაშლის შემდეგ ლიტვინენკოს ФСБ-ში უფრო მეტი გავლენა ჰქონ-და, ვიდრე სანქტ-პეტერბურგში „ჩარჩენილ“ პუტინს, რადგან მოსკოვში, ФСБ-ს ცენტრალურ აპარატში მუშაობდა.

პოდპოლკოვნიკი ლიტვინენკო სამკვდრო-სასი-ცოცხლოდ დაუპირისპირდა მშობლიურ ФСБ-ს — 1998 წლის 18 ნოემბერს, რამდენიმე ამხანაგთან ერთად, ნიღაბაფარებულებმა პრესკონფერენცია გამ-ართეს, სადაც პირველად გახმაურდა სკანდალური ამბავი — ФСБ-მ ბორის ბერეზოვსკის ლიკვიდაცია ლიტვინენკოს დაუკვეთა. რუსულმა სპეცსამსახურებმა ლიტვინენკო იმიტომ აირჩიეს, რომ იგი 1994 წლ-იდან ახლოს იცნობდა ბერეზოვსკის (გარკვეულ-წილად სიმბოლურია, რომ ამ სკანდალური პრესკონ-ფერენციის ზუსტად 8 წლისთავზე ლიტვინენკო ასე-თი საშინელი მეთოდით მოკლეს).

1999 წლის მარტში ლიტვინენკო მოსკოვში დააპატიმრეს, მაგრამ ნოემბერში სასამართლომ გაამართლა; თუმცა სასამართლოს დარბაზიდან გამოსვლა ვერ მოასწრო, რომ ამჯერად ФСБ-ს მორიგი ბრალდების საფუძველზე მეორედ დაა-პატიმრეს. 2000 წელს რუსეთის პროკურატურამ დანაშაულის არარსებობის გამო ლიტვინენკო გაათავისუფლა, მაგრამ ФСБ-ს მოთხოვნით, მის მიმართ მესამედ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ამჯერად ციხეში აღარ ჩაუსვამთ, ქალა-ქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაუშვეს. ლიტვინენკო მიხვდა, რომ ФСБ არ მოასვენებდა და ყალბი საბუთებით (ნამდვილი საბუთები ФСБ-მ ჩამოართვა) ჯერ უკრაინაში გაიქცა, იქიდან ანტალიაში გადავიდა და ბოლოს ლონდონში ჩაფრინდა. ჰიტროუს აეროპორტში ჩაფრენი-სთანავე მან დიდ ბრიტანეთში თავშესაფარი მოითხოვა.

სხვათა შორის, ალექსანდრ ლიტვინენკოს დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობა ახლახან, 2006 წლის ოქტომბერში მისცეს. მისმა მომწამვლელებმა ცოტათი დაიგვიანეს, რადგან დიდი ბრიტანეთის მოქალაქის მკვლელობას ადგილობრივი სპეც-სამსახურები უფრო მეტი მონდომებით გამოი-ძიებენ.

ლიტვინენკოს გვარი 1998 წლის იმ ცნობილი სკანდალური პრესკონფერენციის შემდეგ მუდმი-ვად უკავშირდებოდა ბორის ბერეზოვსკის და აჰმედ ზაკაევს. ორივე მათგანმა პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა დიდ ბრიტანეთს და რამ-დენიმე წელია, თავს ნისლიან ალბიონს აფარებენ.

ზაკაევი, და მით უმეტეს, ბერეზოვსკიც, პრეზ-იდენტ პუტინის პირად მტრებად ითვლებიან. ბე-რეზოვსკიმ ორჯერ საქვეყნოდ განაცხადა რუსე-თის ხელისუფლების ძალისმიერი შეცვლის აუცი-ლებლობის შესახებ, რამაც კრემლი უკიდურე-სად გააღიზიანა. მიუხედავად რუსი დიპლომატე-ბის დიდი მცდელობისა, ლონდონი ბერეზოვსკისა და ზაკაევს მოსკოვს არ გადასცემს.

ლიტვინენკო სავარაუდოდ პირველი მსხვერ-პლი არ იყო რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი საშინელი „წერტილოვანი“ ტერაქტი-სა და არ არის გამორიცხული, ამ სიკვდილის მანქანამ იგივე ჩაიფიქროს ბერეზოვსკისა და ზა-კაევის მიმართ...

8-10

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საუბრის პირველივე წუთიდან

მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი - 13 თეთრი
აშშ - 13 თეთრი
ევროპა (უმეტესი ქვეყნები) - 15 თეთრი

ტარიფი მოქმედებს:
- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ღამის 12 სთ-დან დილის 8 სთ-მდე
- შაბათ-კვირასა და სადღესასწაულო დღეებში 24 სთ-ის განმავლობაში

ახალი ტარიფებით შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ თბილისის აბონენტებმა

www.telecom.ge 8-10

რუსთაველის გამზ. № 31
ტელ.: (995 32) 441919
ფაქსი: (995 32) 442929

# „ჟიგულებისთვის" სოხუმს ბომბავდნენ!

## აფხაზეთის დაბომბვის სანაცვლოდ რუსმა პილოტებმა კრასნოდარში ქართველების მანქანები ჩაიყვანეს



ერთი სახელმწიფო როდესაც მეორის ტერიტორიას ბომბავს, ამას საერთაშორისო ენაზე აგრესია ჰქვია, მაგრამ როცა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე სამხედრო პილოტები ასევე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების კუთვნილი მოიერიშე თვითმფრინავებით საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს ბომბავდნენ, ეს, სამწუხაროდ, საერთაშორისო დონეზე აგრესიად არავის შეუფასებია.

არადა აფხაზეთის ომის დროს ქართულ მიწას რამდენიმე ათეული (თუ ასეული არა) საავიაციო ბომბი დაეცა. ისინი ის Су-25 ტიპის მოიერიშეებიდან ჩამოყარეს, რომელთა კუდებზე რუსეთის დროშის ფერებით იყო მოხატული.

ამ სტატიის ავტორი აფხაზეთის ომში რამდენჯერმე შეესწრო რუსული მოიერიშეების თავდასხმას. მათგან ერთ-ერთი წმინდა ფსიქოლოგიური ხასიათისა იყო და არანაკლებ დამთრგუნველი, ვიდრე დაბომბვა: 1992 წლის ოქტომბერი იდგა. რუსულმა მოიერიშემ სოხუმში, სამხედრო კომისარიატის შენობას დაბალ სიმაღლეზე დიდი სისწრაფით გადაუფრინა და შიგ მყოფნი გვარიანად დააშინა (საერთოდ, დაბალ სიმაღლეზე დიდი ან ზებგერითი სიჩქარით თვითმფრინავის გადაფრენა გამოიყენება, როგორც საბრძოლო მოქმედების ფსიქოლოგიური ელემენტი).

მეორედ, დაახლოებით იმავე ტაქტიკით რუსულმა მოიერიშემ ფსიქოლოგიური შეტევა გაიმეორა [illegible], სადაც ქართული არტილერიის პოზიციები იყო განთავსებული.

[illegible] პარაშუტებით ჩამოშვებული ბომბების ნაწილი არ აფეთქდა, რადგან თურმე მათი აფეთქება საათის მექანიზმზე იყო დაყენებული. ამ ბომბთაგან ერთ-ერთის განნაღმვას კი ჩვენი 8 მენაღმისა და 4 ჟურნალისტის სიცოცხლე შეეწირა...

ძალიან მაინტერესებდა, რუსეთის საბრძოლო ავიაციის რომელი ნაწილი იდგა გუდაუთის სამხედრო აეროდრომზე და რა ძალებით ბომბავდა ქართულ დასახლებულ პუნქტებსა და საბრძოლო პოზიციებს.

1992 წელს რამდენჯერმე ვიყავი გუდაუთის სამხედრო აეროდრომზე და ვნახე წითელვარსკვლავიანი Су-25 ტიპის მოიერიშე საბორტე ნომრებით: 31, 44 და 47 (მეოთხე რუსული მოიერიშის საბორტე ნომერი ვერ გავარჩიე). ცხადია, სოხუმსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს ბომბებს სწორედ ეს მოიერიშეები აყრიდნენ, მაგრამ უცნობი იყო, რუსეთის რომელ [illegible].

და აი, რუსეთის ფედერაციის [illegible] მოიერიშე თვითმფრინავები გუდაუთის სამხედრო აეროდრომზე [illegible].

1992 წელს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების 266-ე საიერიშო ნაწილი გუდაუთის სამხედრო აეროდრომზე გადაფრინდა Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავების რგოლი ოთხი თვითმფრინავის შემადგენლობით.

266-ე სამხედრო ნაწილი კრასნოდარში განთავსებული და მას მეორენაირად „სტრელის" სახელით კრასნოდარის გაერთიანებულ საფრენოსნო-ტექნიკურ სასწავლებელსაც უწოდებენ.

თავიდან გუდაუთაში თვითმფრინავებთან ერთად რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ოთხი პილოტი (3 მაიორი და 1 კაპიტანი) მოვლინდა. ოთხივე პირველი კლასის პილოტი გახლდათ, ერთი ეკიპაჟისა მეთაური მოადგილე იყო, მეორე — რგოლის მეთაური, მესამე და მეოთხე — უფროსი მფრინავ-ინსტრუქტორები. ეს ყველაფერი ცხადად მოუთითებს, რომ მოსკოვი გამოცდილ და პროფესიონალ სამხედრო პილოტებს გამოუგზავნა საქართველოს ნინაალმდეგ საბრძოლველად.

საგულისხმოა, რომ რუსულ მოიერიშეებს გუდაუთის აეროდრომზე სხვადასხვა ნაწილიდან მოყვანილი ტექნიკური პერსონალი ემსახურებოდა. მათ დავალებული ჰქონდათ, მოესპოთ ყველა დოკუმენტაცია იმისა, რომ რუსული საბრძოლო თვითმფრინავები მეზობელი სუვერენული ქვეყნის — საქართველოს ტერიტორიას ბომბავდნენ. ამიტომაც მოიერიშე თვითმფრინავების ტექნიკოსები არ აწარმოებდნენ „თვითმფრინავის მომზადების ჟურნალს", ხოლო თვითმფრინავისა და ძრავების ფორმულირებაში ჩანაწერები (თუ რამდენი საათი იმუშავა ძრავებმა და რამდენი იფრინა თვითმფრინავმა) ძველი რიცხვებით ივსებოდა, თითქოს არავითარი „მივლინება" არ ყოფილიყო ქართულ ცაში.

რუსი პილოტები სოხუმის დასაბომბად რატომღაც შავად შეღებილი საფრენოსნო მუზარადებით დაფრინავდნენ. კრასნოდარში დაბრუნების შემდეგ ამ მუზარადებს ამაყად უჩვენებდნენ ახლობლებსა და რამდენიმე ჭიქა არყის შემდეგ არც იმას მალავდნენ, თუ რას აკეთებდნენ კავკასიის ქედის სამხრეთით, თუმცა საგანგებო ნაწილის უფროსისგან — „ოსობისტისგან" მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულნი — ენისთვის კბილი დაეჭირათ. და აი, მივედით ყველაზე კულმინაციურ მომენტამდე — სოხუმის დაბომბვისთვის რუსი პილოტები აფხაზი სეპარატისტების ლიდერებს დაუჯილდოებიათ 06 და 07 მარკის ახალი „ჟიგულებით", რომლებიც, სავარაუდოდ, ქართველებს წაართვეს და 1992 წლის აგვისტოში სოხუმიდან გაიყვანეს.

რუსი პილოტები კრასნოდარში კიდევ კარგა ხანს დადიოდნენ ამ „ჟიგულებით", რომლებსაც ეკეთათ საქართველოს სანომრე ნიშნები სერიით ГР.

როდესაც ამ ოთხ რუს პილოტს „მივლინება" ამოეწურა, ისინი სხვებმა შეცვალეს, რომლებიც ასევე მანქანებით დააჯილდოეს სოხუმის დაბომბვის გაგრძელებისთვის.

**რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა**

# ირანის ცა პენტაგონისთვის მალე შეუღწევადი გახდება...



თეირანი რუსულ „ტორებს" ამერიკული „ტომაჰავკების" დასახვედრად ამზადებს

ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლიდან" მოყოლებული, პენტაგონი საბრძოლო უპირატესობას თავიდანვე მოიპოვებდა, რადგან მოულოდნელ საჰაერო დარტყმებს აყენებდა მოწინააღმდეგის სტრატეგიულ ობიექტებს.

ასე იყო 1991 წელს ერაყში, ასევე გაგრძელდა 1999 წელს იუგოსლავიაში და 2003 წელს ისევ ერაყში (2001 წლის ბოლოს ამერიკელებმა ანალოგიური საჰაერო თავდასხმები განახორციელეს ავღანეთში, თალიბებისა და „ალ-ქაიდას" მიმართ, მაგრამ მას დიდი შედეგი იმიტომ არ მოჰყოლია, რომ ავღანეთში სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები თითქმის არ არსებობდა).

სავარაუდოა, ჩრდილოეთ კორეისა თუ ირანის მიმართ თეთრმა სახლმა იმგვარივე ტაქტიკა აირჩიოს; მაგალითად, ირანის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები (სამხედრო ბაზები, სარაკეტო კომპლექსების დისლოკაციის ადგილები, სამხედრო პორტები, ატომური მრეწველობის შენობები და ა.შ.) ზუსტი საჰაერო დარტყმებით გაანადგუროს.

პენტაგონის ტაქტიკა ასეთ დროს ცნობილია — ზღვიდან მრავალდანიშნულების ატომური წყალქვეშა ნავებიდან და კრეისერებიდან სტარტს იღებენ „ტომაჰავკის" ტიპის ფრთოსანი რაკეტები. პარალელურად — ავიამზიდების გემბანებიდან ჰაერში ადიან დამრტყმელი თვითმფრინავები, რომლებსაც ფრთებქვეშ „ჰაერი-მიწა" კლასის მართვადი რაკეტები და ბომბები ჰკიდიათ.

პირველი დარტყმები მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის სისტემებზე (რადიოლოკატორებსა და საზენიტო რაკეტების გასაშვებ დანადგარებზე) ხორციელდება. პარალელურად, მწყობრიდან გამოჰყავთ აეროდრომები და იქ განთავსებული საბრძოლო ავიაცია.

თუკი საბრძოლო ოპერაციის ეს პირველი ნაწილი წარმატებით შესრულდა, მაშინ პენტაგონი უდავო უპირატესობას მოიპოვებს მოწინააღმდეგის ცაში; ამის შემდეგ ამერიკული დამრტყმელი შვეულმფრენები და თვითმფრინავები უშიშრად ბარაჟირებენ ცაში და საჭიროების შემთხვევაში ზუსტ დარტყმას აყენებენ მიწაზე აღმოჩენილ სამიზნეს. ეს ტაქტიკა მომგებიანია და დღემდე მუდამ ამართლებდა (სხვა საქმეა, როდესაც მიწაზე პარტიზანული ომი იწყება. მას საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებითა და ატომური წყალქვეშა ნავებით ვერ მოიგებ, სხვა ტაქტიკა უნდა იხმარო), მაგრამ მომავალში მისი გამეორება პენტაგონს ძალიან გაუჭირდება.

დავიწყოთ იმით, რომ ერაყისა და ყოფილი იუგოსლავიის დემორალიზებული საჰაერო თავდაცვის სისტემებისაგან (ასეთი სისტემა ავღანეთში საერთოდ არ ყოფილა) განსხვავებით, ირანის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის. თვით დანაწევრებულმა ყოფილი იუგოსლავიის მეზენიტეებმაც კი მოახერხეს მოძველებული С-125 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსით ასე ნაქები ამერიკული „უჩინმაჩინის" F-117 Night Hawk-ის ჩამოგდება.

ადვილი წარმოსადგენია, რას იზამენ ირანელი მეზენიტეები, რომელთა განკარგულებაში საშუალო სიშორის რადიუსის მოქმედების საზენიტო რაკეტების 200-ზე მეტი გასაშვები დანადგარია, რომ აღარაფერი ვთქვათ სახმელეთო ჯარების შეიარაღებაში არსებულ 1700 საზენიტო დანადგარსა და ათასობით გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსზე. ირანის განკარგულებაშია არანაკლებ 200 რეაქტიული გამანადგურებელი თვითმფრინავი, რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ გამანადგურებელ-გზაგადამჭრელის ფუნქციები (სხვათა შორის, ირანის შეიარაღების დიდ ნაწილს სწორედ ამერიკული წარმოების საზენიტო რაკეტები „ჰოუკები" და თვითმფრინავები F-4 Phantom-ი და F-14 Tomcat-ი შეადგენს).

ირანის ცა თითქოს საიმედოდ უნდა იყოს დაცული, მაგრამ თეირანი დღეისათვის მოძველებული „ჰოუკებით", „ფანტომებითა" თუ „ტომკეტებით" თავს ძნელად დაიცავს. უფრო თანამედროვე ამერიკული ფრთოსანი „ტომაჰავკებისა", „ჰაერი-მიწა" კლასის მართვადი რაკეტებისა და ბომბებისაგან, რომლებიც მიზანში მოხვედრის დიდი სიზუსტით გამოირჩევიან.

სწორედ ამიტომ თეირანმა დაიწყო ისეთი ანტიიარაღის შეძენა, რომელიც ცივი ომის დროს შეიქმნა და ამერიკული „ტომაჰავკების", ზუსტი მართვადი რაკეტებისა და ბომბების ჰაერში გასანადგურებლად არის განკუთვნილი.

ლაპარაკია საბჭოთა მობილურ საზენიტო-სარაკეტო კომპლექს Тор-ზე, რომლის მოდიფიცირებულ ვარიანტს, Тор-М1-ს დღეს რუსეთი ირანში ყიდის.

რამდენიმე თვის წინ, როდესაც ვაშინგტონისთვის ცნობილი გახდა მოსკოვსა და თეირანს შორის ასეთი გარიგების ამბავი, თეთრმა სახლმა ყველა ღონე იხმარა ამ კონტრაქტის ჩასაშლელად, მაგრამ უშედეგოდ.

პირველი „ტორები" მოსკოვმა თეირანს ამ დღეებში მიაწოდა. ლაპარაკია Тор-М1-ის 29 კომპლექსზე, რომელიც თეირანს დაახლოებით 1,4 მლრდ დოლარი დაუჯდება.

„ტორებს", სავარაუდოდ, განათავსებენ ისპაჰანსა და ბუშერში, ირანის ატომური მრეწველობის ობიექტებზე. თეირანს ეშინია, რომ პენტაგონმა არ გაიმეოროს ისრაელის გამოცდილება, როდესაც თელ-ავივმა მოულოდნელი საჰაერო დარტყმებით სადამ ჰუსეინის აშენებული ატომური სადგური ნანგრევებად აქცია.

რუსული „ტორი" მეხუთე თაობის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსად ითვლება. მის რადიოლოკატორს შეუძლია ერთდროულად აღმოაჩინოს და „მიჰყვეს" 48 საჰაერო სამიზნეს 25 კმ-ის რადიუსში. ამ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსში შვეულად განთავსებულია 8 ცალი 165 კგ-იანი საზენიტო რაკეტა. რაკეტის მოქმედების ზონა განისაზღვრება 1,5-დან 12 კმ-ის მანძილზე, სიმაღლე — 10 მ-დან 6 კმ-მდე. „ტორის" მთავარი უნიკალური თვისებაა ავტომატურ რეჟიმში მოქმედება, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს საჰაერო სამიზნეების განადგურებას. ეს კომპლექსი, С-300-ისგან განსხვავებით, არ გამოირჩევა მოქმედების დიდი რადიუსით, სამაგიეროდ, პირდაპირ მისწრებაა მცირე ფართობის ობიექტების „წერტილოვანი" საჰაერო დარტყმებისაგან დასაცავად.

თუკი თეირანმა რუსული „ტორებით" თავისი ძირითადი სტრატეგიული ობიექტების დაცვა შეძლო, მაშინ მნიშვნელოვნად შემცირდება პენტაგონის შანსი, გაიმეოროს ბაღდადისა თუ ბელგრადის წარმატებული საჰაერო ოპერაციები.



# თეთრი უსასრულობა



*გაგრძელება. დასაწ. „კვირის პალიტრა“ №№41-47*

რის ვაი-ვაგლახით ჩავათავე თითქმის ციცაბო ფერდობი. კიდევ კარგი, ჩემს გოლიათს კარგა გვარიანად ჩაეთელა ეკალბარდები, თორემ უარესად დავიკაწრებოდი. ახლა ნაკადულის ნაპირას მიწოლილიყო და რაღაც ძირხვენას შეექცეოდა. კარგად დავაკვირდი, — უბედურს ერთიანად ჩაშავებოდა სახე; შუბლი, ნიკაპი, ყურები, ხელის მტევნები ერთიანად დალილავებული ჰქონდა. სამაგიეროდ, მოტეხილი არაფერი მაქვსო, მახარა და უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი თავი. არადა, ამისთანა ყოფაში რა ბედნიერებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი.

— მაშინ ადექი, ვიაროთ, თორემ საცაა დაღამდება, — შევძახე და თოკად ასხმული ჩვენი ძველმანები წამოვკრიფე.

— სიარული კი ნამდვილად არ შემიძლია, — მითხრა და მარჯვენა ფეხის სახსარზე დაიდო ხელი. ვიფიქრე, ხუმრობს-მეთქი.

— აგიყვან მაშინ ხელში და გატარებ. რავა, ვერ მოგერევი თუ... — გავუტრიზავე ნათქვამი.

— არა, ამდენს ვერ დაგავალებ. ისე კი, კარგს იზამ, თუ მაგ თოკს ხეზე დაამაგრებ და მერე ფეხში ჩამაბამ.

— რა მოხდა, ფეხი იღრძე?! — შევიცხადე და უარესის მოსასმენად მოვემზადე.

— კი არ ვიღრძე, სახსარი ამომივარდა. ის გააკეთე, რაც გითხარი, ფეხს მე თვითონ გავქაჩავ, შენ კი თეძოზე უნდა დამაწვე და როგორმე სახსარი ჩავსვათ, თორემ მარტო მოგიწევს სიარული, ძმობილო. პა, ნუ შეშინდი, ამას შევძლებთ. მიდი, დროზე!

არა, არც ისე გულჩვილი გახლდით. ან რაღა გულჩვილობა უნდა გამომყოლოდა ხორცსაკეპიდან, სადაც ამდენი წელი გავატარე, მაგრამ მე პრაგმატულად ვაზროვნებდი და შეყოვნების მიზეზიც ეს იყო.

— ჩემოდენა ან ნორმალური კაცის გაბარიტებში რომ ჯდებოდე, მაგ საქმეს მარტოც დავძლევდი, მაგრამ მეტისმეტად დიდი ხარ, გირ. დიდი ტკივილის მიყენება მოგიწევს საკუთარ თავზე.

— ის გააკეთე, რასაც გეუბნებიან, — ცოტა არ იყოს, გამიბრაზდა ჩემი გოლიათი.

სხვა რა გზა მქონდა, მისი ამოვარდნილი ფეხი ხეზე მივაბი. გირმა თავისი განუყრელი გრძელი კომბალი რაღაც მაგარ ფესვს გამოსდო. კომბალს მოეჭიდა და მარცხენა მხრით გახოხდა. მერე შედგა, ამომხედა, თვალი თვალში გამიყარა და მტკიცედ მითხრა:

— ახლა ერთმანეთის სიბრალულის დრო არაა, ძმობილო. მე დავძლევ ტკივილს და ფეხს იქამდე დავჭიმავ, რომლის შემდეგაც მხოლოდ შენს სიმარჯვეზე იქნება დამოკიდებული ჩემი გადარჩენა. მოკლედ, თუ შემიცოდებ, იცოდე, დამღუპავ. ხელით ვერაფერს გახდები. ორივე ფეხით უნდა დამახტე თეძოზე, აბა, მიდი!

გირი ორივე ხელით მოეჭიდა კომბალს. რაღაც არაადამიანური ხმით დაიბღავლა და ფეხი დაქაჩა. იმ წამსვე ვიგრძენი, როგორ ერთდროულად დაგვასხა სიმწრის ოფლმა ორივეს. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ჰაერში ავხტი და საჯდომით დავეცი გოლიათს თეძოზე.

ვისაც მსგავსი რამ არ გამოუცდია, ვერაფრით შეიგრძნობს იმას, რასაც იმ წუთებში განვიცდიდით. მით უმეტეს, როცა იმავე წამს სასურველ შედეგსაც იგრძნობ და დარწმუნდები, რომ შენც გადარჩი და ისიც, რომელსაც ასე არაადამიანური ტკივილი მიაყენე. გირს რომ გავხედე, მის სახეზე ტკივილზე მეტად კმაყოფილება ამოვიკითხე და საბოლოოდ ვირწმუნე, რომ სწორად მოვიქეცი. გირის თეძოს სახსარი ბუდეში ჩაჯდა. განცდილი ტკივილი ამ შედეგს უდავოდ ანაზღაურებდა.

ორი დღე ვერ შეძლო გოლიათმა ფეხზე წამოდგომა. არც მე მივძალებივარ. იღბლად აღარც მგლებს შევუწუხებივართ. თორემ გირი ნამდვილად არ იყო ხეზე ამსვლელი. ტანსაცმელიც გადაგვირჩა. ეს კი ცოტას როდი ნიშნავდა. მით უმეტეს, როცა გაუსაძლისი, სიცხიანი დღეების მიუხედავად, ღამით ძვალ-რბილში ატანდა სიცივე. ეს კარგი რაც გვჭირდა. ცუდი კი ის იყო, რომ საჭმელი გაგვითავდა. უფრო სწორად მშიერი მე დავრჩი, გირი ისევ ძირხვენებითა და ფესვებით იკლავდა შიმშილს, მაგრამ ვატყობდი, უკვე გული ერეოდა ამ სისაძაგლეზე.

ნატკენი ფეხით გაუჭირდა გზის გაკაფვა და ორიენტირის დაცვაც. მით უმეტეს პირველ დღეებში ძლივძლივობით დადიოდა. ერთიორჯერ მაღალ ხეზე ავძვერი და ისე შევასწორე ორიენტირი. მდინარემდე ჯერ კიდევ შორს იყო.

იმ დილით ცეცხლის პირას მიყრილები მხეცის ღრიალმა გამოგვაღვიძა. დაფეთებული წამოვიჭერი ფეხზე.

— ნუ გეშინია, შორსაა ჩვენგან. არადა, ღმერთს რომ ჩვენთვის კარგი უნდოდეს, ცოტას მაინც დაგვიახლოებდა, — დანანებით ჩაილაპარაკა გოლიათმა და ტყეს დააყურადა.

— გაგიჟდი? კიდევ ახალი შარი გინდა? ეს რაღაც ნამეტანი დიდი ნადირი ჩანს. აქედან მოვუსვათ, ვიდრე არ წამოგვწევია, — ვთქვი და გასამგზავრებლად მზადებას შევუდექი.

— დათვია. ვილაცაზე ან რაღაცაზეა გაბრაზებული, ან დაჭრილია, ანდა ფუტკარმა გამოიჭირა თაფლის ქურდობაზე. დაველოდოთ.

— ვის დაველოდოთ, გაავებულ ნადირს? ხომ არ გაგიჟდი!

— არა, არ გავგიჟებულვარ. მწვადზე მინდა დაგპატიჟო, მგონი, გიყვართ კავკასიელებს?

— რომ დაგვასწროს და უმალ შეგვჭამოს?

— მაშინ ან ჭკუით უნდა გვაჯობოს, ან ღონით. ორივე შემთხვევაში დავჯაბნით.

— მე თამაშში არ ვმონაწილეობ.

— შენ არც მიგულისხმიხარ. ისე, ზრდილობის გულისთვის ვლაპარაკობ მრავლობითით.

ჯერ ვიფიქრე, ტყუილად ბაქიბუქობს, დარწმუნებულია, დათვი რომ ჩვენკენ არ წამოვამეთქი, მაგრამ მერე და მერე, ღრიალის მოახლოებისდა კვალობაზე სახე რომ გაუცისკროვნდა და თვალებიც ეშმაკურად აუთამაშდა, მივხვდი, გირი აღარ ხუმრობდა. უცებ ტყიდან დათვი გამოვიდა და თითქოს კვალზე მოასწავლესო, პირდაპირ ჩვენკენ გამოქანდა. მეგონა, ნადირის გამოჩენაზე გირიც წახდებოდა. სახეზე შევხედე. ვარდისფერი აღარ ედო, მაგრამ არც შიშისა ეტყობოდა რამე. წელანდელთან შედარებით უფრო სერიოზული მეჩვენა და არც იყო გასაკვირი. ახლა გირი მხეცთან გარდაუვალი შერკინების ტაქტიკაზე ფიქრობდა.

— მიდი, ღელეში ჩადექი და დინებას დაუყევი. შებინდებამდე მე თვითონ გიპოვი. მიდი, აჩქარდი. არაფერზე იდარდო. სულერთია, ვერაფერში გამომადგები.

მართალიც იყო: დათვთან მებრძოლად ნამდვილად ვერ ვივარგებდი, მაგრამ იმიტომ ხომ არ მიშორებდა თავიდან, რომ თვითონაც არ ჰქონდა გადარჩენის იმედი. ამ ეჭვმა ისე ავად დამრია ხელი, რომ ძლივს გავერიდე იქაურობას. სინდისი მქენჯნიდა. როგორ შემეძლო ახლა მეგობრის მიტოვება, მაგრამ გირთან კამათს აზრი არ ჰქონდა, აღარც საამისო დრო რჩებოდა. დრო წამის მეათედებით იზომებოდა.

ტყეს კი შევეფარე, თუმცა მდინარისკენ ნაბიჯიც არ წამიდგამს. თავის შველა შემეძლო, მაგრამ თუ გირი დაიღუპებოდა, სულერთია, მეც დასაღუპავად ვიყავი განწირული. გადავწყვიტე, თუ გაუჭირდა, მივეშველები-მეთქი. ახლაღა გამახსენდა, რომ ჩემს წვერწამახულ კეტს სულ ადვილად შეეძლო დათვის გაბერილი ფაშვის გახვრეტა, მაგრამ ჯერ გირისთვის უნდა მეცლია.

ვხედავდი, გააფთრებული ნადირი ძუნძულძუნძულით რომ მიიწევდა წინ. გირი კი იდგა მშვიდი და აუღელვებელი და ელოდა. ერთი, ორი და... გირმა ირიბად აამოძრავა კომბალი. ჯერ ჰაერში ნახევარწრე მოხაზა, მერე სიჩქარეს უმატა და რომ მეგონა, დააგვიანა-მეთქი, სწორედ მაშინ გაფრინდა შემზარავად ხახადაფჩენილი ცხოველის თავისაკენ. გვერდიდან მოხვდა, თვალის ქვემოთ და ეს ვეებერთელა გიგანტი მოცელილივით ამოტრიალდა ჰაერში. თუმცა უმალ წამოდგა და კიდევ უფრო გავეშებულმა შეუტია კაცს. ძნელად გამოსაცნობი იყო ახლა ნადირის საქციელი. ცოტაც და, გირის მოქნეული კომბალი ასცდებოდა, მაგრამ გოლიათმა ჰაერშივე შეუცვალა მოძრაობის ტრაექტორია ერთგულ იარაღს და ახლა დრუნჩში შემოსცხო. დათვი ისევ მიწაზე გაგორდა, მაგრამ ამჯერადაც სწრაფად წამოიმართა. უკანა ფეხებზე დადგა და ის იყო უნდა დასცხრომოდა, რომ ჰაერში შეაგება კომბალი გირმა. შიგ შუბლში მიიღო დარტყმა ნადირმა. თანაც, ისეთი ძალით, რომ ცხოველი უკუღმა გადავარდა. შემზარავი დასანახი იყო გულაღმა გაშოტილი, ჰაერში ფეხებმოფართხალე გიგანტური სხეული.

— ხომ გითხარი, მდინარეს დაუყევი და უკან არ მოიხედო-მეთქი...

— ისე მოვიქეცი, როგორც მითხარი, მაგრამ მერე დავბრუნდი. ვინმეს ხომ უნდა მოელოცა შენთვის ამხელა გამარჯვება.

— ჯანდაბას შენი თავი. ვთქვათ და, შენკენ წამოსულიყო. გგონია, გაასწრებდი? ვეღარც მე მივწვდებოდი და წამში დაგგლეჯდა.

— კარგი ახლა, ნუ გადამაყოლე ამ მწვადს...

— პო, მართლა ჯერ ტვინი უნდა ამოვაცალოთ. ძალიან გემრიელია დათვის ტვინი, მაგრამ აქ შეწვა არ გამოვა. ნადირი შემოგვესევა. უნდა ვიჩქაროთ. მიდი, შენ ერთი ბარკალი აათალე. მე კი ამასობაში ტვინს მოვაგროვებ.

გირმა კარგი ქირურგივით ამოაცალა ჯერ შუბლის ძვალი დათვს, მერე მთელი ტვინი ამ ძვალზე მოაგროვა და მე მომაჩეჩა:

— აჰა, ეს ატარე. არ დაიღლები, — თვითონ კი კანჭაჭრილ დათვს ეცა და თვალის დახამხამებაში მეორეც აასხიპა. მერე ერთმანეთს გადააბა, ღელეში კარგად გარეცხა, მხარზე წამოიკიდა და წყალ-წყალ ქვემოთ დაუყვა დინებას.

— რას აკეთებ, სულ დავსველდებით!

— აბა რა გინდა, ისევ ნადირთან ვიომოთ. ასე სჯობია. მშვიდობიანად გავეცლებით.

მიდიოდა და მეჩვენებოდა, რომ მთელი ძროხა წამოეკიდა ზურგზე. ვერ მივმხვდარიყავი, როგორ უნდა ეთრია ამდენი ხორცი ამ უსასრულო და უგზოო გზაზე.

ბრძოლის ველს კარგად რომ გავცდით, გირმა ტვირთი მოიხსნა. გაატყავა. ძვლები გამოაცალა. ნარჩენები წყალში ჩაყარა. დარბილებული ხორცი დასერა, შემორჩენილი მარილის ნაწილი დააყარა და ტვინით სავსე ძვლის ჯამი ნაკვერჩხლებზე შემოდგა. უფრო გემრიელი რამ ცხოვრებაში არაფერი მიგემია.

ჭამისაგან დაოსებულები ხის ძირას მივეყარეთ და მიგვეძინა. ბედნიერებმა გავილვიძეთ. ამ მოგზაურობაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მაძღრებმა გავილვიძეთ. თანაც, როცა კი მოგვშივდებოდა, შეგვეძლო კიდევ და კიდევ გვეჭამა.

ღმერთო, მართლაც რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს ბედნიერებისთვის.

— ფეხსაცმელი თითქმის შემოგვაცვდა, ჩვენ კი დათვის ტყავი გადავაგდეთ. ასე არ შეიძლება, — თავის თავს შეუწყრა გირი. გადაყრილი ტყავები წამოკრიფა, ღელეში ჩაყარა და ზედ ფეხით შედგა. მერე შიდაპირიდან დაამარილა, მჭიდროდ გადაახვია და ჩანთაში ჩატენა.

ხორცი იმდენად მძიმე იყო, მე ვერ შევებმებოდი. ლამანჩელის მესაჭურვლე სანჩო პანსასავით გირის კომბალსა და ჩვენს ტანსაცმელს მივათრევდი მხოლოდ.

— მერამდენე დღეა მას შემდეგ, რაც მდინარე დავინახეთ.

— მეთერთმეტე, — ვუპასუხე და როგორღაც შემრცხვა. თითქოს ჩემი ბრალი იყო, ამ დაწყევლილ ტაიგაში ერთი დღის სავალს სამოთხ დღეს რომ ვანდომებდით.

— რას ვიზამთ, არ გვიშვებს ეს დაწყევლილი ტყე. ღმერთს მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ იმედი მაინც შეგვრჩა. რამდენიმე დღეში, ალბათ, ფეხიც მომირჩება და რალა დაგვაკავებს.

ამას უყურე! მე კი მეგონა, ნაჯახივით პირდაპირ ჭრის-მეთქი, თურმე გამხნევებაც შესძლებია.

— მოიცა, აქ აშკარად ნაგზაურია... ნეტავ სადა ვართ? — კითხულობს და აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, მაგრამ საქმეში ხარ? რის ნაგზაური, რა პროსპექტი, თუ ძმა ხარ, მიდი, გაიარე. ეგებ როგორმე მდინარემდე მივაღწიოთ... მაგრამ მერე რაღას აპირებ, ბიჭიკო აბაშიძევ? მორღვეულ ყინულებს გადავასხდებითო რომ გაიძახი, რამდენ ხანს გაუძლებ ან როგორ უნდა მართო ის ყინული?!

— ღმერთი გვიშველის! — ამბობს გირი.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ ახლა რამ გაგახსენა?

— იმან, რომ ახლა მე და შენ ძველ ნაგზაურზე ვდგავართ. ფეხქვეშ ვგრძნობ. ხედავ, მიწა საკმაოდ განივრადაა დატკეპნილი. აქედან შედარებით იოლად გავაღწევთ მდინარემდე.

— გაგიჟდი თუ რა გემართება? გზაზე რა უნდა ამოდენა ხეებს ან ფეხქვეშ რა მოგეჩვენა? მეც ამ მიწაზე არ ვდგავარ?

— შენ ტყეს არ იცნობ, ძმობილო. აბა დააკვირდი: ამ გაყოლებაზე სულ ახალგაზრდა ხეებია, თითქოს ერთ დღეს დაურგავთო. იქით კი, აი, ნახე... — უეცრად გაიხარა გოლიათმა, — აგერ გადაჭრილი ხეები. ეს რა, დათვებმა მოჭრეს? აქ ოდესღაც ტყეს ჭრიდნენ და მდინარეზე აცურებდნენ. მაშასადამე, მდინარესთან ახლოს ვართ.

საღამოს, ის იყო, მზე ჰორიზონტს მიეფარა, რომ ყველაზე დიდ ხეზე ავძვერი და გოლიათს ვაუწყე, რომ მდინარე ჩვენს პირდაპირ დაახლოებით ორ-სამ კილომეტრშია.

— ყინულის მსხვრევის ხმა აქ გარკვევით ისმის... და კიდევ... გირ! რა ვქნა, ხომ არ მეჩვენება?... შენგან მარჯვნივ, აი, იმ გადახრილი ხის გვერდით, მგონი, სატვირთო მანქანა დგას.

— რაო, მანქანა? მანქანას აქ რა უნდა?!

— შენ არ ამბობდი, აქ ტყეს ჭრიდნენო. მერედა ხეებს ზურგით ხომ ვერ გაიტანდნენ. პოდა, მანქანას იყენებდნენ... მაგრამ... — მინდოდა მეთქვა, აქ ბენზინს როგორ შოულობდნენ-მეთქი, თუმცა ეს რა მანქანაა. შიგაწვის ძრავის მაგივრად წინ დიდი ქვაბი უდგას, შოფრის კაბინაში კი ღუმელია გამართული და კიდევ... ონკანები, ონკანები!

— რამ გაგაოცა, ხმელეთზე მოსიარულე ორთქლმავალია. შეშაზე მუშაობს. ციმბირის ტყეებში ათასობით ასეთი მანქანა ეზიდება ხეებს. ესენი ისეთ ადგილებში მუშაობენ, სადაც ვერაფრით მიხვალ. ადვილი შესანახი მანქანებია. შეშისა და წყლის მეტი თითქმის არაფერი სჭირდება.

— აგერ — წყალი და აგერ — შეშა. შევუნთოთ და გავუტიოთ, — ხუმრობა ვცადე მე.

— ალბათ, შეიძლება, მაგრამ ჯერ ტყე ისე უნდა გაკაფო, რომ როგორმე ხეებს შორის გაეტიოს... ეჰ, ნეტავი შენ, მალჩუგან. მაგ ქილიკს სჯობია, იმაზე ვიფიქროთ, რაში გამოგვადგება ეს აღმოჩენა. ახლახან არ გითხარი, ღმერთი გვიშველის-მეთქი. პოდა, ამითაც რალაცაზე მიგვანიშნებს მამაზეციერი.

— ალბათ, იმაზე, რომ ადამიანებს უახლოვდებით და ფრთხილად იყავითო! — ვთქვი და სიამაყისაგან მხრებში ისე გავიჯგიმე, თითქოს იმ ცხონებულს კი არა, მე აღმომეჩინოს მენდელეევის პერიოდული სისტემა.

— ახალი ამბავი! — განწყრა გოლიათი.

— არა მარტო ეს. იმ მანქანას, ალბათ, რაღაც ისეთიც მოეძებნება, რაც მდინარის გადაცურვას გაგვიადვილებს. მართალია, ყველა საბურავი დაშვებული და დახეთქილია, მაგრამ მე პირადად აი, იმ გამოშიგნულ საბურავზეც არ ვიტყოდი უარს, ეგერ, ჭინჭარში რომ აგდია. ეს წყალზე ისე დაგვიჭერს, რომ ვეცადოთ, ვერ გადავაბრუნებთ, მაგრამ ის კი აღარ ვიცი, როგორ უნდა მივათრიოთ იქამდე.

— ამას მე გავაკეთებ. შენ კი უნდა გაიჭირვო და ხორცი და ჩვენი ძონძები ათრიო. ორ-სამ კილომეტრს ნამდვილად გაუძლებ.

ორი დღე მოვანდომეთ იმ სამი კილომეტრის გავლას. საბრალო გირი ძლივს მიათრევდა დასიებულ ნატკენ ფეხს. დიდი ბლაგვი დანით კაფავდა გზას და რის ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ მდინარემდე. ბარემ აქვე ვიტყვი, წყალს რომ დავხედეთ, ორივემ კითხვის გამომხატველი თვალებით შევხედეთ ერთმანეთს, კითხვა კი ასეთი იყო:

— ნუთუ ეს ჯოჯოხეთი უნდა გადავცუროთ?

ერთი შეხედვით მდორე მდინარეზე ისე ამაზრზენი ხმაური იდგა, სისხლს რომ გაყინავდა ძარღვებში. თითქოს მთელი ციმბირის ნაზამთრი ყინვა ამ მდინარეს წამოუხვეტავს და ახლა სადღაც უსასრულობაში მიაქანებსო. შიშით თავიც ვერ გამოვყავით ტყიდან, რომელიც მდინარის ნაპირს ეკვროდა. ჯერ კარგად უნდა შეგვესწავლა ორივე ნაპირი.

ამ ნახევრად დამდნარ მდინარეზე მეტად ადამიანებთან შეხვედრა გვაშინებდა.

***ვაჟა გავაშელი***

***(გაგრძელება იქნება)***

ყოველ ხუთშაბათს ჟურნალ „გზაში“

**გოჩა მანველიძის** ახალი დეტექტიური რომანი

**„თეთრი სიკვდილი“**

— ...ზარანდია პარიზში, უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. შემთხვევა ფრანგულმა პოლიციამ დააფიქსირა. მათი მონაცემებით, ზარანდია თავისი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს ფანჯრიდან გადმოვარდა... დარახველიძემ და კუტივაძემ გარდაცვლილის სამშობლოში გადმოსვენება ითავეს... რა ხდება ამ დროს თბილისში?.. — თქვა რომანმა.

— მეორე დღეს თბილისში გაიტაცეს იოსებ ნანიკაშვილის ჯიპი!.. — მიუგო ნიკამ. — ის სწორედ თავდასხმისთვის მოიტაცეს! ვილაცამ უკვე იცოდა, რომ ეს ჯგუფი საქართველოსკენ მოემგზავრებოდა...

# „შევარდნაძეს რომ შევხედე, ქვედა ყბა უკანკალებდა“



## „რაც უღელტეხილზე გადმოსვლისას ვნახე, ომშიც კი არ მინახავს“

### ადამიას ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს, მივატოვებო, მთავარსარდლობას გულისხმობდა, მაგრამ დანებებას მაინც არ აპირებდა...

1993 წლის სექტემბრის ბოლო დღეები. აფხაზეთის ომი ლოგიკური დასასრულისკენ მიდის. ცალკეული ქართველი პატრიოტის მონდომება ღალატმა და ერთმანეთის გაუტანლობამ გადაწონა. სოხუმი სამარცხვინოდ დაეცა, მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი. აფხაზეთიდან გამოქცეული ხალხი გეზს სვანეთისკენ იღებს. სეპარატისტების ტყვიას გადარჩენილებს აქ ნაადრევი სიცივე და ყაჩაღები ავლებდნენ მუსრს. ესეც ამ ომის სამარცხვინო ეპილოგი.

რატომ მიაწყდა გამოქცეული მოსახლეობა სვანეთისკენ მიმავალ გზას? გაცილებით უპრიანი იქნებოდა, თუკი ლტოლვილები სამეგრელოში გადმოვიდოდნენ, ამით ასობით სიცოცხლე გადარჩებოდა. მაშინ ვრცელდებოდა ვერსია, რომ ლტოლვილები სამეგრელოზე ლოთი ქობალიას დაჯგუფებამ არ გაატარა. თუმცა, როგორც ირკვევა, მაშინდელ ხელისუფლებას არ აწყობდა ლტოლვილთა სამეგრელოში მოხვედრა. ამიტომაც ამ ხალხის უმეტესობა საკენის გზაზე სასიკვდილოდ განირეს. ამ სკანდალურ ვერსიასა და აფხაზეთის ომის ბოლო დღეებზე მე-6 სატანკო ბატალიონის მეთაური **თემურ ზარანდია** გვიამბობს:

— ომი ოცმეთაურობით დავიწყე. რამდენიმე სიტყვით პირველ დღეებს გავიხსენებ. ჩვენმა ბიჭებმა სოხუმში სასიცოცხლო ობიექტები რომ დაიკავეს, მე წილად მხვდა მშვიდობის გამზირზე კავშირგაბმულობის ობიექტის დაცვა. რაც იქ ვნახე, საშინელება იყო. პირველივე დღეს მოაყენეს ტექნიკა და მაღაზიების ძარცვა დაიწყეს. ბე-ემ-პეებით ანგრევდნენ ცხაურებს და პირწმინდად მიჰქონდათ ყველაფერი. აღარავინ არჩევდა, ეს მაღაზია ქართველის საკუთრება იყო თუ აფხაზის. როცა შევეცადეთ ეს თარეში შეგვეჩერებინა და მძარცველებს შევეპასუხეთ, სროლა აგვიტეხეს(!), თქვენ ვინ გკითხებათო. რა უნდა გვექნა, ჩვენ მხოლოდ ავტომატებით ვიყავით შეიარაღებულნი, ისინი კი ბე-ემ-პეებით. ასეც რომ არ ყოფილიყო, ქართველები ხომ არ დავერეოდით ერთმანეთს. აი, ასეთ პირობებში ყალიბდებოდა ქართული ბატალიონები.

მერე იყო და, გია ყარყარაშვილმა შეყარა მოხალისეთა ლაშქარი: გუმისთის მეორე მხარეს უნდა გავამაგროთო. [illegible] შევასრულეთ. ავიღეთ გუმისთის მთა, [illegible] სტრატეგიული ადგილი იყო, აქედან გუდაუთისა და სოხუმის სრულად გაკონტროლება იყო შესაძლებელი. მხოლოდ იმ ღამეს ვიდექით იქ, მერე ბრძანება მოვიდა, უკან დაიხიეთო. ჯარმა ჯერ სისხლის ფასად აიღო ობიექტი, შემდეგ კი ერთი ბრძანებით რიხინ-რიხინით გაბრუნდა უკან. მაშინ ბევრი ბიჭი ჩაგვეხოცა. ვინ გასცა უკან დახევის ბრძანება, დღემდე არავინ იცის.

— **არ იციან თუ არ ამბობენ?**

— მართლაც ძნელი იყო იმ დროს ამის გაგება. კავშირგაბმულობა აღარ არსებობდა, კაცს გამოგზავნიდნენ, ვინც ბრძანებას მოიტანდა. მაინც ვვარაუდობ, რომ ბრძანება მთავარსარდლობიდან მოდიოდა. [illegible] თუ არ გინდა ომი წააგო, ასეთი [illegible] ვერ უნდა დატოვო. ის სიმაღლეები რომ გვქონოდა, ომს არ წავაგებდით.

— **შემდეგ რა მოხდა?**

— მერე შეიქმნა მე-6 სატანკო ბატალიონი. მე, როგორც ადგილობრივი კადრი, იქ გამანაწილეს. ჯერ ბატალიონის მეთაურის მოადგილე ვიყავი, შემდეგ მეთაურობაც ჩამაბარეს. არ ვიცი, რა დავარქვა, — სასაცილოა თუ სატირალი, — სატანკო ბატალიონი გვერქვა და მხოლოდ სამი ტანკი T-55 გვყავდა. გაცილებით მეტი გვყავდა ტანკისტი, მაგრამ მათ მთელი ომის განმავლობაში ქვეითების ფუნქციის შესრულება უხდებოდათ.

ფრონტის ხაზი რომ გაგვემაგრებინა გუმისთის სანაპიროზე, ჩვენს ბატალიონს შუქურის რაიონში დაავალეს პოზიციის გამაგრება. შეიარაღებაში მხოლოდ ავტომატები გვქონდა, კიდევ სამი ტანკი რამდენიმე ჭურვით. ერთ დღეს ბაზაში მივდიოდი და სოხუმის ქუჩებში მიტოვებულ ტანკებს წავაწყდი. გავიკითხეთ და როცა პატრონი არ გამოჩნდა, დავქოქეთ და წამოვიყვანეთ. ასე გაიზარდა ბატალიონის ტანკების რაოდენობა თხუთმეტამდე(?).

რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, ტანკები ჩვენებს მიუტოვებიათ. თავიდან დიდი რიხით შემოვიდნენ სოხუმში, მერე სროლა რომ ატყდა, თქვეს, აქ მართლა ომი ყოფილაო(?!), ტანკები შუა გზაში მიატოვეს და მოკურცხლეს. ჩვენ მაინც კარგი საქმე გაგვიკეთეს. იმ ტანკებიდან ზოგი უნაკლო იყო, ზოგიც შევაკეთეთ და ტექნიკაც შევავსეთ, მაგრამ დიდხანს არ შეგვრჩა. მალევე მოიკითხეს.

— **ვინ მოიკითხა?**

— სოჭის ხელშეკრულების შემდეგ ბრძანება გაიცა, იარაღი უნდა ჩააბაროთო. ჩემთანაც მოვიდნენ, ტანკები ჩააბარეო. ორი ტანკი გამოვიყვანე, ვუთხარი: მესამეც აგერ არის აფეთქებული და წაიყვანეთ-მეთქი. თავში შემოირტყეს ხელი, დანარჩენები სად არისო. შევეწინააღმდეგე, ჩემთვის არაფერი გადმოგიციათ და რას ითხოვთ-მეთქი. მაგრამ მერე ბრიგადის მეთაურმა გენო ადამიამ მითხრა, ჩავაბაროთ, თორემ რამე რომ მოხდეს, ჩვენ შეგვახოცავენ ხელსო. ასე ჩაგვაბარებინეს სხვა ტანკებიც. მხოლოდ ის მოვახერხე, რომ წებელდის მხარეს, პატარა ხეობაში, სამი ტანკი შევიყვანე და გადავმალე, რადგან რუსებსა და აფხაზებს არ ვენდობოდით. ზოგი მერე ლოთი ქობალიას ჩაუვარდა ხელში, ზოგს კი სასხლეტები მოხსნეს და ქუთაისში ჩააყენეს. ამ ტანკებს აფხაზეთის ომში მონაწილეობა აღარ მიუღიათ, სამეგრელოს „ჭკუაზე“ მოსაყვანად გამოიყენეს. შემდეგ სამეგრელოში ვნახე ჩემი ტანკები, აფეთქებული და მიტოვებული.

— **ანუ მოხდა სრული განიარაღება.**

— დიახ, საბრძოლო ტექნიკა აღარ დაგვიტოვეს. ეგ კი არა, ახალდაბაში რომ შემოგვიტიეს აფხაზებმა, ამ დროისთვის ბრიგადა თითქმის დაშლილი იყო და მისი მცირე ნაწილიღა იყო დარჩენილი. გენო ადამიამ დამირეკა, თემურ, რისი გამოყვანაც შეგიძლია, უნდა გამოიყვანოო. წავედით და ის გადამალული ტანკები გამოვიყვანეთ. მთელი ხუთი საათი მოვუნდით მათ დაქოქვას. ახალდაბაზე შეტევა გვქონდა დაგეგმილი. მაშინ აფხაზებმა ასეთი რამ გაითამაშეს: არძინბამ ბრძანა, ახალდაბაში აჯანყებული აფხაზები მე არ მემორჩილებიანო. ამავდროულად გუდაუთაში შეკრებილა უხუცესთა ყრილობა, სადაც არძინბას პირობა წაუყენეს: თუ ახალდაბელებს არ დაეხმარებით, გადაგაყენებთო. არძინბაც იძულებული შეიქნა, მათ დამორჩილებოდა და აქეთ შემოგვიტიეს. რუსებმაც გამოატარეს. შეტევისთვის ისინი დიდი ხნით ადრე ემზადებოდნენ. პატარ-პატარა ჯგუფებით შემოდიოდნენ სოხუმში. რუსის ჯარში მყავდა ინფორმატორი, რომელიც გვატყობინებდა, იქითა მხრიდან ჯარი შემოიყვანეს და აუცილებლად დაგესხმიან თავსო. როცა ეს მეთაურობას შევატყობინეთ, როგორც ყოველთვის, გვითხრეს, ნუ პანიკიორობთო. არადა, სამი დღით ადრე გვქონდა ინფორმაცია, რომ სოხუმზე მასშტაბური შეტევა უნდა დაწყებულიყო. მოკლედ, ის არის, ახალდაბას უნდა შევუტიოთ, რომ შტაბის უფროსი მირეკავს, ჩვენს ბიჭებს აქეთ შემოუტიესო. აფხაზთა ხროვა რუსებმა არ შეაჩერეს. გუმისთის ხიდზე ჩემი ბატალიონი იდგა, სულ სამოცი კაცი. ცეცხლი გავუხსენით აფხაზებს და ხიდის თავთანვე შევაჩერეთ. ფაქტობრივად, სოხუმი იმ დღეს დაცემას გადაურჩა. შემდეგ პოზიციები გავამაგრეთ მე-12 საშუალო სკოლასთან, მაგრამ ბოლომდე შენარჩუნება ვერ შევძელით. აფხაზები რიცხობრივადაც გვჭარბობდნენ და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რეაქტიული ჭურვებით (პტურსებით) იყვნენ შეიარაღებულნი. შეტევაზე გადასვლისთანავე, პირველივე გასროლით მოგვარტყეს. ვუყურებდი, როგორ მოფრინავდა. რაციით გადავეცი ბიჭებს, პტურსი მოფრინავს-მეთქი. ხუფის ახდა მოასწრეს, მაღალი წნევისგან რომ არ დალუპულიყვნენ. სამი ბიჭი დაიჭრა, მხოლოდ მექანიკოსი დარჩა უვნებელი. სამივე დაჭრილი სამშვიდობოს გავიყვანე და ველოდებოდი, რომ აფხაზები საკონტროლო გასროლასაც გააკეთებდნენ. მექანიკოსს ვუთხარი: სწრაფად ჩახტი, თუ დაგემორჩილა, დაქოქე და რომელიმე შენობას ამოეფარე, თუ არა და, სწრაფადვე უკან ამოხტი-მეთქი. მექანიკოსი ტანკში ჩახტა და მართლაც დაქოქა. ლობე შეანგრია და ეზოში შესვლა მოასწრო.

(გაგრძელება გვ.15)

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

GV ჯეოვიტი
მამაკაცის ძალა




„პროსტატ ჰელსი“
და მასში შემავალი ბუნებრივი კომპონენტი ეფექტურად აღადგენს
მამაკაცის ძალას!
რეკომენდებულია ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის ჰიპერპლაზიისა და სქესობრივი დარღვევების დროს



„პროსტატ ჰელსი“ - გამოცდილია მამაკაცების მიერ!
პრეპარატის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
„ჯეოვიტი“ – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი
„ჯეოვიტი“ მის: ი. ჭავჭავაძის გამზ. №41, ☎ 29-20-91; 899-10-99-20
ყოველდღიური უფასო კონსულტაცია
აპტეკ. ქსელში: თამარაშვილის 1, აღმაშენებლის 104,
თამარ მეფის გამზ. 19, თამარ მეფის გამზ. 32, ჰიპერმარკეტი „გუდვილი“

## ჯანდაცვის მინისტრი ადასტურებს, რომ პრეპარატი „პანადოლ-ბეიბი“ ფალსიფიცირებული არ არის

20 ნოემბერს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ვლადიმერ ჭიპაშვილი უხელმძღვანელოდ დარჩენილ "წამლის სააგენტოს" ეწვია, სადაც ყველასათვის მოულოდნელად საკადრო საკითხების ნაცვლად საუბარი ბიუროკრატიის მექანიზმების აბსოლუტურ აღმოფხვრას შეეხო. როგორც ჩანს, მინისტრს კარგად ესმის, რომ სტრუქტურიდან ბიუროკრატიის ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრა ამ დარგში მომუშავე (ერთი ან თუნდაც რამდენიმე) ორგანიზაციების საზღვრებს სცილდება და გზას უხსნის ყველა წამყვან უცხოელ მედიკამენტის მწარმოებელს წესების დაცვით, მაგრამ ბიუროკრატიული მექანიზმის წნეხის გარეშე დაარეგისტრიროს საქართველოში მედიკამენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ "საქართველოს მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ყველაზე თანამედროვე და საუკეთესო, უსაფრთხო წამლები შეიძინოს".

"ზედმეტი ბიუროკრატული ბარიერები ხელს უშლიდა ფარმაცევტული დარგის განვითარებას და ზოგჯერ ხდებოდა გადაუმოწმებელი ფაქტების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება. ამის მაგ. შეიძლება მოვიყვანოთ პრეპარატ "პანადოლთან" დაკავშირებული აჟიოტაჟი; ჩვენ მრავალჯერ შევამოწმეთ "პანადოლ-ბეიბის" სანთელი და აღმოჩნდა, რომ არანაირ ფალსიფიკაციას ადგილი არ აქვს და ის უსაფრთხო და ვარგისია გამოყენებისთვის." ეს ინფორმაცია რამდენიმე დღის განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ თემად ტრიალებდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ვინაიდან "აჟიოტაჟი ამტყდარი იყო გადაუმოწმებელი ფაქტების საფუძველზე, შედეგად მივიღეთ დაუმსახურებელი ზიანი იმ ფარმაცევტული კომპანიისა, რომელსაც პრეპარატი შემოაქვს", ამ შემთხვევაში "პსპ"-ს; "სამომავლოდ მსგავსი ფაქტები წამლის სააგენტოს მხრიდან აღარ დაფიქსირდება, სააგენტოში აღმოიფხვრება ისეთი შემთხვევები, როდესაც შესაბამისი შესწავლისა და არგუმენტირებული დასკვნის გარეშე ვრცელდება ინფორმაცია ამა თუ იმ პრეპარატის ვარგისიანობის შესახებ".

რაც შეეხება პრეპარატ "პანადოლ-ბეიბის", როგორც ლაბორატორიულმა კვლევებმა ცხადყო, ფალსიფიცირებული არ არის და მოსახლეობისთვის მისი გამოყენება აბსოლუტურად უსაფრთხოა. R

# „აფხაზეთს წმინდა ნიკოლოზი დაგვაბრუნებინებს, მე ამას მოვესწრები...“



დღეს ბევრისთვის ცნობილ **სქემარქიმანდრიტ საბას**, ამ წოდების მქონე ერთადერთ მოღვაწეს საქართველოში, რამდენიმე წლის წინ შევხვდით.

მამა საბას მრავალთა საკვირველი ცხოვრება ახსოვს. როდესაც ვთხოვეთ, საკუთარ თავზე რამე მოეთხრო, მხრები უხერხულად აიჩეჩა და გვითხრა: — აბა, მე რა გამოსაჩენი ვარ, თუ მადლი გინდათ, აფხაზეთის ე.წ. „უდაბნოს“ ორ ლირს დედაზე, სქემმონაზონ ელენესა და მის დაზე, მონაზონ ნინოზე უამბეთ მკითხველსო და ძველ რვეულში მოქცეული თავისი მოგონებები გვანდო, გვიჩვენა დედა ელენეს ხელჯოხი, სკვნილი და თმა, რომლიდანაც 15 წლის წინ კეთილსურნელოვანი მირონი გადმოსულა.

დედა ელენეს ადრეულ ბავშვობაში უკურნებელი სენი შეჰყრია... სასოწარკვეთილ მშობლებს იგი ფსკოვის მონასტერში მიუყვანიათ, სადაც სასწაულებრივად განკურნებულა და იქვე დარჩენილა. მადლიერ მშობლებს მალე მისი და, ნინოც იმავე მონასტრისთვის მიუბარებიათ... ელენე მონაზვნად ადრეულ სიყმაწვილეში აღკვეცილა, მაგრამ რეპრესიებს ვერც ფსკოვის მონასტერი გადაურჩა. როცა დახურეს, დები ძმასთან, არქიმანდრიტ ნიკონორთან მოსკოვის ახლოს გადასულან. ახალმოწამეა მათი მეორე ძმა ფილიპეც, რომელიც რუსეთის ეკლესიამ წმინდანთა დასს შეუერთა...

მამა საბა იხსენებდა, რომ ღვთის ნებით ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა დედა ელენესთვის, გამონაკლისის სახით, კვეთებულის ლოცვის კითხვის უფლება მიუციათ (როგორც წესი, მსგავსი კურთხევა ქალებს არ ეძლევათ) და გაუფრთხილებიათ: — გასამრჯელოს ნუ აიღებ, თორემ ღმერთი არ შეგეწევაო. დედა ელენე ამ ლოცვას თურმე თავის მოწამებრივ აღსასრულამდე კითხულობდა.

ჯანმრთელობაშერყეული დედა ელენესთვის ცალი თირკმელი ამოუკვეთავთ, ექიმებს მისთვის ზღვის მახლობლად ცხოვრება ურჩევიათ. ...მანამდე თვით ღვთისმშობელი გამოსცხადებია და ის ადგილი უჩვენებია, სადაც სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო — ეს იყო საქართველო, სოხუმთან ახლოს მდებარე „უდაბნო“.

მამა საბამ დედა ელენეს უამრავ სასწაულთაგან რამდენიმე გაიხსენა: ერთხელ ლოგინად ჩავარდნილ დედა ელენეს სენაკს ცეცხლი მოსდებია, — გარეთ როგორღაც გამოხოხებულა, თვალი ზეცად აღუპყრია და ცრემლით შეჰვედრებია ღვთისმშობელს: — წმინდა დედა, მომხედე და შემიწყალე, თუ სენაკი დაიწვა, შიმშილით სიკვდილი არ ამცდებაო. მაშინ ღვთისმშობელი გამოსცხადებია, სენაკი უკურთხებია და ცეცხლიც მაშინვე ჩამქრალა, მძიმედ სნეული დედა ელენე კი სრულიად ჯანმრთელი წამომდგარა ფეხზე.

დედა ელენემ ღვთისგან ბევრ რამესთან ერთად თავისი ამქვეყნიდან გასვლის დროც იცოდა (იგი 1975 წელს მოკლეს ჩეკისტებმა). მონაზვნის სახელი მთელ აფხაზეთში იყო ცნობილი და მის სენაკთან ხალხი მდინარესავით მიედინებოდა. დედა ელენემ იწინასწარმეტყველა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე იქნებოდა. ჯერ კიდევ მაშინ განჭვრიტა აფხაზეთის ტრაგედია და ისიც, რომ ეს მიწა საქართველოს აუცილებლად დაუბრუნდება. მამა საბამ ჩვენთან საუბრისას ეს არაერთხელ დაამოწმა.

...დიდი ხნის წინათ სწორედ ამ მონაზვნების პატარა სენაკს შეაფარა თავი ღვთის და ჭეშმარიტების მაძიებელმა ბერძენმა ბიჭმა ქრისტეფორე ტელიანიტმა (მამა საბას საერო გვარსახელი), ათეულობით წლის შემდეგ კი უდაბნო უკვე ბერმა დატოვა. მანამდე იყო განსაცდელით, დევნით და ხიფათით სავსე უმძიმესი გზა, სამუდამო გადასახლება ყაზახეთში. დაბრუნების იმედი (დედა ელენემ უწინასწარმეტყველა, ჩვენთან ისევ დაბრუნდებიო), რომლისაც არავის სჯეროდა... მერე, ახდენილი წინასწარმეტყველება — აფხაზეთში დედებთან დაბრუნება, ისევ გაუთავებელი დევნა, თვალთვალი, შანტაჟი... ბერად აღკვეცა, ფსკოვ-პეჩორის ლავრაში გატარებული წლები, ისევ აფხაზეთის უდაბნო... დედა ელენეს მოწამებრივი სიკვდილი, უდაბნოდან წამოსვლა... წალკის ბერძნული ეკლესიის წინამძღვრობა, იქ გატარებული 27 წელიწადი და... დიდი სამება...

კურნების საიდუმლო კი მამა საბამ ასე ახსნა: — მე კი არა, ხალხს თავად უფალი კურნავს. ჩვენ, ღვთისმსახურნი შეწევნას იესოს სახელით ვითხოვთ და თუ ადამიანს რწმენა გააჩნია, უფალი კურნავს. ამ სნეულებებს ღმერთი ჩვენი ცოდვებისათვის უშვებს, რომ თავისკენ მიგვიქციოს. ღვთისა და კაცის ნება ორ ფრთასავით არის, თუ ეს ორი ნება არ გაერთიანდა, არაფერი გამოდის, არც კურნება ხდება. ცალი ფრთით გაფრენა ვის გაუგია?!

***მონაზონი ნინო*** — ექიმებმა 30 წლის წინ სასიკვდილო დიაგნოზი დამისვეს — თირკმლის არტერიის თრომბოზი. ცალი თირკმელი ამომკვეთეს, მეორეც მძიმედ დაავადებული აღმომაჩნდა, გადარჩენის შანსი პრაქტიკულად არ მქონდა, მაგრამ უფალმა მამა საბას ლოცვით ცოცხალი დამტოვა, — ხუთი თვის მანძილზე საავადმყოფოში ყოველ მესამე დღეს მაკითხავდა, დედა ელენეს ნაქონ სასწაულმოქმედ ჯვარს მადებდა და... ოფლად ვიღვრებოდი, ორგანიზმი კი ამ დროს ზედმეტი სითხისგან თავისუფლდებოდა. იმ საავადმყოფოში მსგავსი დიაგნოზით 25 ადამიანი იწვა, ცოცხალი მხოლოდ მე გადავრჩი...

***ია ეფრემიძე*** — რამდენიმე წლის წინ სიკვდილის პირას ვიყავი, — ვერც ვჯდებოდი, ვერც ვდგებოდი, ძილზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, 6 თვე თვალი არ მომიხუჭავს, მეშინოდა, როგორც კი ჩავთვლემ, მაშინვე მოვკვდები-მეთქი... წარმოიდგინეთ, სუნთქვისაც კი მეშინოდა. მერე საპატრიარქოში ახლობელმა მონაზონმა, დედა ათანასიამ მირჩია, წალკაში წადი, მამა დიმიტრისთან (როგორც აღვნიშნეთ, მაშინ მამა საბა არქიმანდრიტი დიმიტრი იყო), ხალხს კურნავს, მისი ლოცვა უამრავ უიმედო სნეულს შეეწევა და გიშველისო. პეტრე-პავლობის მარხვა იყო, რომ წავედი. მამა დიმიტრიმ მიმიღო, აღსარებაც ჩაიბარა და დამტოვა. ჩემს იქ ყოფნაში თბილისიდან დაურეკეს, — მამაო, სულთმობრძავი გვყავს, გთხოვთ, მისთვის ილოცოთო... თურმე სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა (თავში სიმსივნე ჰქონია). მაშინვე დაიწყო ლოცვა, ის გოგონა კი, სამონაზვნე მარიამი, იმ დღესვე გამოკეთებულა, ფეხზე წამომდგარა და მეორე დღეს წალკაშიც ჩამოვიდა. მამა საბა მთელი მარხვის განმავლობაში ყოველდღე წირავდა, დაუჯდომელს გვიკითხავდა, ჯვარს გვსახავდა... მერე კიდევ თვენახევარი დავრჩი მასთან და საბოლოოდ განვიკურნე.

მახსოვს, ერთხელ მამა საბასთან თბილისში ახალგაზრდა კაცი მოვიდა, ხელ-ფეხს უკოცნიდა, ემადლიერებოდა. მამა საბა გაოცებული უყურებდა. როგორც აღმოჩნდა, ეს ის უიმედოდ სნეული, ლოგინად ჩავარდნილი პოლიციელი იყო, რომელსაც მამა საბამ ცოტა ხნით ადრე ლაგოდეხში ჩააკითხა. ამ შემთხვევის შემდეგ სიზმრად უნახავს, როგორ გაუკეთა ოპერაცია მამა საბამ და მეორე დღეს როგორ წამოდგა საღ-სალამათი ფეხზე. დღესაც ამჩნევია კისერსა და ზურგზე იმ სასწაულის ნაკვალევი ორი ჭრილობა, საკუთარი თვალით ვნახე...

***ლელა, მამა საბას მორჩილი:*** კიდევ ერთ შემთხვევას გიამბობთ: ნათესავმა მთხოვა, იქნებ, ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფი და მისი მომვლელი ქალი, რომელიც ეკლესიაში სიარულს ვეღარ ახერხებს, მამა საბამ ხვალ დილით აზიაროსო. ეს თხოვნა რომ გადავეცი, მითხრა: — ვის გაუგია მიცვალებულის ზიარებაო. შევეცადე ამეხსნა, — ცოცხალია, მამაო, მაგრამ ხანდახან გონი მისდის-მეთქი, მაგრამ იგივე გამიმეორა, თან დააყოლა, — მომვლელი ქალი უკვე თავისუფალია და შეუძლია, მახლობელ ეკლესიაში ეზიაროსო.

შინ შესულიც არ ვიყავი, რომ მითხრეს, — მამა საბას ნუღარ შეაწუხებ, ავადმყოფი ერთი საათის წინ გარდაიცვალაო (სწორედ იმ დროს, როდესაც მამა საბა ამ სიტყვებს მეუბნებოდა). თან დაამატეს: — მომვლელი ქალიც თავისუფალია და მახლობელ ეკლესიაში ეზიარებაო.

***თათია, მამა საბას სულიერი შვილი:*** — დედა ელენეს გარდაცვალების შემდეგ მამა საბა უფალს ევედრა, მაჩვენე, ვინ და როგორ მოკლეს დედა ელენეო... სენაკში ყოფნისას მართლაც მოსულა ის ხალხი, მამა საბაც გაუკოჭავთ და კლდიდან უნდოდათ გადაეგდოთ, მაგრამ ადგილიდან ვერ დაუძრავთ. მერე იხსენებდა, დედა ელენეს ლოცვით, ღმერთმა ისე დამამძიმა, ძვრა ვერ მიყვეს, ერთ-ერთმა კი ზურგში ისეთი ძლიერი დარტყმა იგრძნო, ყველანი შეშინებული გაიქცნენო.

დედა ელენეს ჰქონდა კურნებისა და ჭვრეტის მადლი და გარდაცვალებამდე მამა საბასთვის თავადვე უთქვამს, ამ ქვეყნიდან რომ წავალ, მინდა ეს მადლი შენზე გადმოვიდესო და ასეც მოხდა. დედა ელენემ წინასწარ განჭვრიტა აფხაზეთის მომავალი ტრაგედია და თურმე ჯერ კიდევ მაშინ ხშირად იმეორებდა: აფხაზეთს წმინდა ნიკოლოზი დაგვაბრუნებინებს და ავაზაკებს იქიდან გაყრისო. მამა საბამ იცის, რომ ამას მოესწრება და ელოდება.

***მანანა ტუაევა***






## რას გვეტყვი, მამაო?

**— მეორედ დავქორწინდი, ყოფილი დედამთილი მეც, ჩემს მეუღლესაც და თავის შვილიშვილებსაც კი წყევლის. ვლოცულობ, ეკლესიაშიც დავდივარ, მაგრამ განსაცდელი თითქმის ყოველდღე გვატყდება თავს. არ ვიცი რა ვქნა, მირჩიეთ რამე.**

— წყევლა ძალიან მძიმე ცოდვაა და დამაზიანებელია, პირველ ყოვლისა, მაწყევრისა. განსაცდელებს, მაინცდამაინც, დედამთილის წყევლას ნუ დაუკავშირებთ. კარგია, რომ ლოცულობთ და ეკლესიაშიც დადიხართ, მაგრამ თქვენ და თქვენმა ოჯახმა აუცილებლად ეკლესიური ცხოვრებით უნდა იცხოვროთ, რაც ნიშნავს ეკლესიურ საიდუმლოებებში მონაწილეობის მიღებას: აღსარება, ზიარება და სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ რაც არ უნდა შეიაროთ ეკლესიაში, სანთლები დაანთოთ და ილოცოთ, ეს ქრისტიანად არ გაქცევთ.

**— ძალიან მაინტერესებს, გთხოვთ მიპასუხოთ: საპრეზიდენტო არჩევნების დროს და ახლაც, 5 ოქტომბრის არჩევნებისას, ამომრჩევლებს მარჯვენა ხელზე თუ თითებზე უკეთებდნენ რაღაც ნიშნებს. სითხე შეჰყავდათ მგონი თუ რა, არ ვიცი. ეს ხომ არ ნიშნავს ანტიქრისტეს ბეჭედს ან სატანის რაიმე ნიშანს...**

— ჭეშმარიტ ქრისტიანად ყოფნა ნიშნავს, პატიოსნად და პასუხისმგებლობით აღასრულო შენი მოვალეობები (როგორც საზოგადოებრივი, ისე სამოქალაქო, პროფესიული თუ პირადული). ის არჩევნები ერთ-ერთი ამ მოვალეობათაგანია. რა თქმა უნდა, მარკირება არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი და თქვენ თამამად შეგიძლიათ აღასრულოთ მოქალაქეობრივი მოვალეობები.

**— რა განსხვავებაა მცირე და დიდ მეტანიებს შორის და აუცილებელია თუ არა მეტანიის აღსრულება ეკლესიაში შესვლისას?**

— დიდი ანუ სრული მეტანია სრულდება მუხლმოდრეკით და შუბლის მიწაზე შეხებით, მცირე, არასრული მეტანია კი მუხლმოდრეკის გარეშე, წელში მოხრით და ხელის მიწაზე შეხებით. ეკლესიაში შესვლისას მეტანიის შესრულება აუცილებელი არ არის, თუმცა სასურველია, ღვთის სახლში შესვლის წინ მცირე მეტანიით თაყვანი ვცეთ უფალს და წარმოვთქვათ ლოცვა — *„შევიდე სახლსა შენსა, თაყვანი ვსცე ტაძარსა შენსა შიშითა შენითა“...*

როგორც წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი გვირჩევს, მეტანიის შესრულებისას შეიძლება წარმოვთქვათ შემდეგი ლოცვებიც: *„ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას“, „ღმერთო, განმწმიდე მე ცოდვილი და შემიწყალე მე“, „რომელმან შემქმენ მე, უფალო, შემიწყალე მე“.*

**თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით.**

**მართლმადიდებელ მამათა სწავლების მიხედვით მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებს მღვდელი ლევან მათეშვილი.**












# „გალში ცხოვრება უკვე გაუსაძლისია"

## „ასე მხოლოდ მონებს ექცეოდნენ"

## გაერომ ხმა უნდა ამოიღოს!

ბოლო რამდენიმე კვირაა, ე.წ. აფხაზური მილიცია გალის რაიონში გაუგონარ ვანდალურ აქცებს ახორციელებს. ორი კვირის განმავლობაში სეპარატისტებმა გალის მაღალი და დაბალი ზონების სოფლებიდან 100 ადამიანი გაიტაცეს. გატაცებულებს კი, როგორც წესი, ფულის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ.

„ლეკიანობა" გალის რაიონში გუშინ არ დაწყებულა. ადამიანთა გატაცება აფხაზებისთვის სარფიან ბიზნესად იქცა. გატაცება რამდენიმენაირია: გამოსასყიდისთვის, აფხაზურ ჯარში წასაყვანად, რომელიც ასევე ფულით გამოსყიდვით მთავრდება და შურისძიების მიზნით.

ხუთი დღის წინ ე.წ. აფხაზურმა მილიციამ გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში ჩატარებული რეიდის შედეგად გალში მცხოვრები 25 ქართველი დააკავა. დაკავების დღეს გალის რაიონის აფხაზური მილიციის უფროსმა ლაურენ კოლონიამ განაცხადა, რომ ამ „ოპერაციის" მიზანს მოსახლეობის პასპორტების შემოწმება წარმოადგენდა. კოლონია ამტკიცებდა, რომ დაკავებულ 25 ქართველს პასპორტი საერთოდ არ გააჩნდა, სამი მათგანი კი გალის რაიონში არ ცხოვრობსო. კოლონიას თქმით, ისინი კონფლიქტის ზონაში სტუმრად იმყოფებოდნენ. აფხაზური მხარის რწმუნებით, დაკავებულ გალელებს ვინაობის გარკვევის შემდეგ გაათავისუფლებენ. ხოლო რაც შეეხება სამ დაკავებულს, მათი ვინაობის დადგენის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიიდან გამოაძევეს. აღსანიშნავია, რომ დაკავებულთა ასაკი 18-დან 25 წლამდეა.

მანამდე კი გალის რაიონის ამავე ზონის სოფლებიდან გალის აფხაზური მილიციის უფროსის მოადგილის ოთარ ტურამბას დაჯგუფების წევრებმა 17 ქართველი მამაკაცი (18-დან 30 წლამდე ასაკის) წაიყვანეს გალის აფხაზურ მილიციაში.

მოგვიანებით, გატაცებულთა ოჯახის წევრების უმეტესობამ მიიღო შეტყობინება, რომ თითოეული მათგანის გათავისუფლების სანაცვლოდ 1.000-1.000 დოლარი უნდა გადაიხადონ. დაკავებულები სამ დღეში გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

გალის აფხაზური ადმინისტრაცია ქართველ ახალგაზრდებს, რომლებსაც არ სურთ ე.წ. აფხაზურ ჯარში სამსახური, სამხედრო სავალდებულო სამსახურის 6 თვით გადავადების სანაცვლოდ 5.000, ერთი წლით კი 10.000 რუსულ რუბლს სთხოვს.

დაზუსტებული ინფორმაციით, სახსრების უქონლობისა და გამოუვალი მდგომარეობის გამო ახალგაზრდობის ნაწილს აფხაზურ ჯარში სამსახური უწევს.

სწორედ ქართველთა გატაცების დღეს, გვიან ღამით, გალში აფხაზური ჯარის სასაზღვრო ნაწილში ტაბელურ ავტომატურ იარაღთან გაუფრთხილებელი (აფხაზური წყაროს ინფორმაციით) მოპყრობის შედეგად დაიღუპა ქართველი რიგითი, 19 წლის კობა ჯინჯოლია. 17 ნოემბერს, ასევე გალში განთავსებულ ერთ-ერთ სასაზღვრო ნაწილში იარაღთან გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგად, აფხაზმა რიგითმა ბჟანიამ შემთხვევით მოკლა გალის რაიონის მკვიდრი ირაკლი კორტავა.

ორივე დაღუპული კორტავაც და ჯინჯოლიაც აფხაზურ ჯარში ძალით წაიყვანეს.

ჩვენ ვესაუბრეთ გალელ ლაშა კორტავას, რომელიც აფხაზურ ჯარში უნდა გაეწვიათ, მაგრამ 500 დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. მანამდე კი გალის აფხაზურ მილიციაში ოთხი დღე ჰყავდათ გამოკეტილი, იგი ახლა ზუგდიდშია და გალში დაბრუნებას აღარ აპირებს.

**ლაშა კორტავა:**

— დილით წყალი უნდა ამელო. ონკანი ჭიშკართან გვაქვს, წყალს ვედროები შევუდგი და ავსებას დაველოდე. ამ დროს ჩემს სახლთან გაჩერდა ორი „ვილისი", საიდანაც ოთხი შეიარაღებული მამაკაცი გადმოვიდა და პირდაპირ ჩემკენ გამოექანა. დავიბენი, ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. გონს როცა მოვედი, უკვე მანქანაში მტენიდნენ. ეზოში დედაჩემი გამოვიდა და კივილი დაიწყო, მაგრამ ჰაერში გაისროლეს და რუსულად (აფხაზური აქცენტით) უთხრეს, თუ კივილს არ შეწყვეტ, შვილს მოგიკლავთო.

სადღაც ორსართულიან თეთრ შენობაში შემიყვანეს, რომელშიც თურმე გალის აფხაზური მილიცია ყოფილა. ჩამიყვანეს სარდაფში. ძალიან ბნელოდა, პატარა სარკმლიდან შუქი ოდნავ აღწევდა საკნამდე. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემთან ერთად 16 ქართველი დაუკავებიათ. სამი დღე მხოლოდ შავ პურსა და წყალს გვაძლევდნენ. ეს სამი დღე ჯოჯოხეთი იყო ჩემს ცხოვრებაში. მერე გამათავისუფლეს. ჩემებს ფული გადაუხდიათ...

**— რა გითხრეს, როცა დაგიჭირეს?**

— ჯარში უნდა წაგიყვანოთო, მაგრამ აზრი მალე შეიცვალეს და ფული მოითხოვეს. ასეთ დღეშია მთელი გალი. რა დროს დაესხმება რომელიმე დაჯგუფება მოსახლეობას, არავინ იცის.

გალში ქართველებს მონურ მდგომარეობაში უწევთ ცხოვრება, მათ ხარჯზე კი აფხაზები ძლიერდებიან. ქართველები შიშისა და ტერორის ქვეშ ცხოვრობენ. რუსეთის სამშვიდობო ძალების საგუშაგოთა გაძლიერება პარასკევს საღამოს დაიწყო და მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. გალის რაიონში „აფხაზეთის შეიარაღებული ძალების" დამატებითი ჯგუფებიც შეიყვანეს. სოფელ ჭუბურხინჯში მცხოვრები გონელი გოგოხიას ოჯახმა რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯავშანტექნიკის საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში ჩაყენებაზე უარი განაცხადა. იმავე ღამით კი ოთარ ტურანბას დაჯგუფების წევრებმა ამ ოჯახის უფროსი ორ წევრთან ერთად (მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვიც) მძევლად აიყვანეს და გალის რაიონის მილიციის განყოფილებაში სასტიკად სცემეს.

გალის რაიონის ქართველ მოსახლეობას აფხაზები იძულებით ამუშავებენ. აფხაზეთის მედიაცენტრის ინფორმაციით, ციტრუსების მოსავლის აღებასთან დაკავშირებით გალის რაიონში ტრეფიკინგის შემთხვევები საგრძნობლად მატულობს.

ჩვენთვის ექსკლუზიურად ცნობილი გახდა, რომ გალის რაიონის ქართველი მოსახლეობა აფხაზებს თავიანთ სახლებში ოჩამჩირის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონებში მიჰყავთ და იძულებით ამუშავებენ.

„ასე ალბათ მონებს ექცეოდნენ, დაშინებული მოსახლეობა ხმის ამოღებას ვერ ბედავს. იყო შემთხვევა, როცა დახმარებისთვის გაეროს დამკვირვებლებს მივმართეთ, მათ კი თარჯიმნებად აფხაზები მოიყვანეს. სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები იმავე საღამოს მიადგნენ მომჩივნებს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ასეთი ზეწოლის შემდეგ ყოველმხრივ შეურაცხყოფილი გალელები ხმის ამოღებას ვერ ბედავენ. გალის მოსახლეობა უკმაყოფილოა გაეროს დამკვირვებელთა უმოქმედობით, რადგან ისინი თავიანთ მოხსენებებში ამ საკითხს შესაბამისი სიმწვავით არ აყენებენ", — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა.

**ბადრი ბულისკირია,** გალის რაიონის გამგებელი: — გალში ცხოვრება უკვე გაუსაძლისია, მთავრობამ თუ სერიოზული ზომები არ მიიღო, გალი ქართველი მოსახლეობისგან დაცარიელდება. აფხაზებსაც ეს უნდათ. მათ თარეშს საზღვარი არა აქვს. რუსი სამშვიდობოები და აფხაზური კრიმინალური დაჯგუფებები შეთანხმებულად მოქმედებენ. მრავალი ქართველი ახალგაზრდა წაიყვანეს ჯარში იძულებით. ვიღაცამ ამაზე ხმა უნდა აიმაღლოს და პირველი, ვინც ეს უნდა გააკეთოს, გაეროა.

P. S. გალის რაიონის მოსახლეობა სოფლებს ნელ-ნელა ტოვებს. ის, რომ გალში საგანგაშო მდგომარეობაა, სადავო ნამდვილად არ გახლავთ. მოსახლეობის მოთხოვნაც სამართლიანია — დაიცვას საკუთარმა ხელისუფლებამ აფხაზების ძალადობისა და აგრესიისგან, რომელიც დღითი დღე სულ უფრო მატულობს.

*ირაკლი მანაგაძე*

# კულტურათა გზაჯვარედინზე

## საქართველოში ყაზახეთის კულტურის დღეები ჩატარდა

24 ნოემბერს თბილისში, არტ-ცენტრში „ამირანი" გაიხსნა კულტურის ფესტივალი „გზაჯვარედინი: ყაზახეთი-საქართველო". ფესტივალი გახსნეს საქართველოს კულტურის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა და ბტა-ს (ბანკი ტურანალემი) დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ მუხტარ აბლიაზოვმა. ბტა კიდევ ერთ შესანიშნავ წამოწყებას ჩაუდგა სათავეში — ორგანიზება გაუწია და დააფინანსა ეს ფესტივალი. მოეწყო ფოტოგამოფენა, უჩვენეს ფილმი „მომთაბარეები", რომელიც ყაზახეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაზე მოგვითხრობს. ბლოკბასტერი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მსოფლიოსთვის ნაკლებად ცნობილ მოვლენებს ასახავს. გადაღება 33,5 მლნ დოლარი დაჯდა, რაც დსთ-ის კინემატოგრაფიის ისტორიაში ყველაზე დიდი თანხაა.

მრგვალ მაგიდასთან გაიმართა დისკუსია „კულტურული იმპერიალიზმი — რეალობა და პერსპექტივები". ქართველმა და ყაზახმა კულტუროლოგებმა, ლინგვისტებმა და მწერლებმა ისაუბრეს მათ გარშემო მიმდინარე ცვლილებებზე. დებატებში მონაწილეობდნენ: მურად აუეზოვი (ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, დიდი მწერლის, მუხტარ აუეზოვის ვაჟი), ბულატ ატაბაევი, მიხეილ თუმანიშვილის მოწაფე, რომელიც თბილისში ცხოვრობდა 1984-86 წლებში, არდაკ ეჟენოვა (პოეტი) და ერემბეტ ნურლანი (დამოუკიდებელი პოლიტოლოგი). ქართული მხრიდან: ზაზა აბაშიძე (ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი), გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს თეატრალური უნივერსიტეტის რექტორი, თუმანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ასევე მიხეილ თუმანიშვილის მოწაფე), დავით საყვარელიძე (ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი) და ლია სტურუა (პოეტი).

საღამოს ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ყაზახური სანახაობრივი და ინფორმაციული წარმოდგენა „ტოი", რომელიც გვაცნობს ყაზახეთის თანამედროვე კულტურას. ახალგაზრდა პროფესიონალებმა, რომლებმაც აღიარება ყაზახეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მოიპოვეს, მაყურებელს შესთავაზეს ფრაგმენტები ცნობილი სპექტაკლებიდან. ეს იყო ერთობლივი თეატრალიზებული სანახაობა, რომელიც შეიცავდა ხალხური ხელოვნებისა და კლასიკის ნაზავს.

თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართულ პრესკონფერენციაზე ფესტივალის მიმდინარეობას მაღალი შეფასება მიეცა. შემდეგ ამავე თეატრის



სცენაზე [illegible] მინდა გაუწყოთ, რომ ტარდება ყაზახური კულტურის დღეები. საქართველოს ბევრი არ ჰყავს ისეთი ახლო მეგობარი, ინვესტორი და პარტნიორი, როგორიც ყაზახეთია. ბოლო წლებში ის აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან, განსაკუთრებით კი ბანკი ტურანალემის ჯგუფი. კულტურა ერის უმაღლესი სულის გამოხატულებაა. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ არა მარტო ყაზახურ საქმიან წრეებს, არამედ ყაზახურ კულტურას. სასიამოვნოა, რომ საქართველოში ჩამოვიდა ყაზახთა დელეგაცია. ეს შეიძლება გახდეს ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისი. მჯერა, ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდება და განვითარდება.

მუხტარ აბლიაზოვი: — ყველა, ვისაც ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობა სურს, ცხადია, ჩვენი კულტურითაც უნდა დაინტერესდეს. ჩემთვის საქართველო „დათა თუთაშხიაა" — ძლიერება,

[illegible] როცა აბრეშუმის გზაზე ვსაუბრობთ, ვიხსენებთ ქვეყნებს, რომლებიც „ერთ გზაზე იდგნენ", რომელთაც ეს გზა აერთიანებდათ...

ბიზნესსა და კულტურას საზღვრები არა აქვს. მადლობისა და დიდი პატივისცემის ნიშნად გვინდა გადმოგცეთ სიმბოლური საჩუქარი — პანო, რომელზეც არქეოლოგიური გათხრების შედეგად ალმა-ათასთან აღმოჩენილი ფიგურებია ასახული.

არდაკ ეჟენოვა: — საქართველოში ადრე არ ვყოფილვარ, მაგრამ კარგად ვიცი, რა ამაყი და კეთილგონიერი ხალხი ცხოვრობს აქ, ვიცი თქვენი ქვეყნის უძველესი კულტურის შესახებ. ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ის, რაც ვნახე, ყოველგვარ მოლოდინზე მეტი აღმოჩნდა. სამწუხაროა, რომ დროის მკაცრი კატაკლიზმები საქართველოს არ ასცდა. ნებისმიერი ქვეყანა მსოფლიოს კულტურის შემადგენელია, ნებისმიერ ერს უნდა თავისი თვითმყოფადობა შეინარჩუნოს. ხომ არსებობს რეინკარნაციის თეორია, ხომ შეიძლება შემდეგ ცხოვრებაში ჩვენ ქართველებად გავჩნდეთ, თქვენ — ყაზახებად, რატომ არ უნდა გვესმოდეს ადამიანებს ეს, რატომ არ ვფიქრობთ, რომ ყველანი დედამიწის შვილები ვართ, მხოლოდ სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ. ამიტომ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს, ვაცნობიერებდეთ საერთო ფესვებს.

საქართველოს პრეზიდენტმა ჩვენს ქვეყანაში წარმატებული საქმიანობისათვის ყაზახი ბიზნესმენები ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ბანკი ტურანალემი კეთილ საქმეს ყოველთვის ემსახურებოდა. ხალხთა შორის საერთო ენის გამონახვას ყველანაირად ახალისებდა. ეს არის ყაზახეთის სისტემის შემქმნელი ბანკი, ლიდერი დსთ-ის ქვეყნებში საბანკო სისტემების შექმნის საქმეში, ბტა-ს აქტივებმა 2006 წლის 10 ნოემბრისთვის 11,8 მლრდ დოლარს გადააჭარბა, მთლიანმა საკუთარმა კაპიტალმა კი დაახლოებით 1,6 მლრდ დოლარი შეადგინა. ბანკის სტრატეგიული მიზანია 2006-2015 წწ. ყაზახეთის და დსთ-ის ქვეყნების ბაზრებზე ლიდერის პოზიციის დაკავება საცალო, მცირე და საშუალო ბიზნესის და კორპორაციული მომსახურების სეგმენტებში, აგრეთვე ყაზახეთის ბაზრის არანაკლებ 25%, რუსეთის — არანაკლებ 2%, სხვა ქვეყნებში — არანაკლებ 5% ოდენობის წილების მოპოვება. დაგეგმილია ბანკის მთლიანი აქტივების კონსოლიდირება და მათი გაზრდა 2010 წლისთვის 25 მლრდ დოლარამდე, ხოლო 2015 წლისთვის — 50 მლრდ დოლარამდე.

ბანკი ტურანალემი აფინანსებს ყაზახეთში იმ კულტურულ ღონისძიებებს, რომლებსაც ეფექტიან ინვესტიციებად მიიჩნევს ქვეყნის იმიჯის ამაღლების საქმეში. ასე შეიქმნა ფილარმონიის დიდი ორკესტრი „ტურანალემი" მსოფლიო დონის შემსრულებელ-მუსიკოსებისგან, რომელსაც ხელმძღვანელობს მარატ ბისენგალიევი. ყაზახეთის დედაქალაქსა და ალმა-ათაში ყოველწლიურად ტარდება კონცერტი „სამშობლო" ყაზახური წარმომავლობის ცნობილ ხელოვანთა მონაწილეობით, რომლებიც მსოფლიო საუკეთესო სცენებზე მოღვაწეობდნენ, 2006 წლიდან ხდება ბულატ ატაბაევის პირველი ეროვნული მიუზიკლის „ყიზ-ჟიბექის" ხელშეწყობა, 2003 წლიდან ფინანსდება ყაზახი რეჟისორების საუკეთესო ფილმების, „ყაზახური კინოს ოქროს კოლექციის" აღდგენა, ტირაჟირება და პოპულარიზაცია.

საქართველოში ჩატარებული ფესტივალი „გზაჯვარედინი: ყაზახეთი-საქართველო" კიდევ ერთი მაგალითია მოქალაქეობრივი ღირსებისა და სახელმწიფოთა შორის კეთილმოსურნეობის გამოვლენისა. იმრავლოს ასეთმა ღონისძიებებმა ჩვენი ქვეყნების ნათელი მომავლისთვის.

R

# თქვენ შეგიძლიათ, ნატვრა აუხდინოთ ადამიანებს!

## გამოგზავნეთ „ნატვრისთვალის“ ბარათი ან SMS-ი



**12** **გიორგი და გუკა დ., 7 წლის, თბილისი**

გამარჯობათ. ჩვენ ვართ ტყუპები. ჩვენი დიდი ხნის ოცნებაა გვქონდეს ორსართულიანი საწოლი. ჩვენ ერთად ვწევართ დაბადებიდან, მაგრამ გავიზარდეთ უკვე და ველარ ვეტევით ერთად. ძალიან გთხოვთ აგვიხდინეთ ეს ნატვრა და გპირდებით, არ ვიჩხუბებთ დაწოლაზე. ნატვრის ბარათო გაეშურე და წააკითხე ეს ბარათი იმ ბიძიას, ვისაც ჩვენი ნატვრის ახდენა შეუძლია. დიდი მადლობა, რომ წაიკითხეთ ჩვენი ნატვრა.

**13** **ავთანდილ ნ, 2 წლის, ხაშური**

ვარ ინსულინდამოკიდებული 2 წლის პატარა ბიჭი. ძალიან მინდა მქონდეს შაქრის გასაზომი ბევრი ჩხირი, რომლითაც დედიკო გამიზომავს შაქარს, რომ კომაში არ ჩავვარდე. და კიდევ მინდა, რომ ბაბუას ჰქონდეს სამუშაო, რომ შეძლოს ყველაფერი ამის გაძლოლა. გვფარავდეს ღმერთი.

**14** **მირანდა გ. 12 წლის, თბილისი**

დიდი მადლობელი ვარ ჩვენი პრეზიდენტის, რადგან მან ჩვენს ქუჩაზე დააგო ასფალტი, ამის გამო ძალიან მინდა მქონდეს როლიკები (ზომა 37). დედა უარს მეუბნება, „კისერს მოიტეხო“, მაგრამ მე დიდი სურვილი მაქვს ავიხდინო ეს ოცნება. ბარათს ვწერ მალულად. წინასწარ გიხდით მადლობას.

**15** **დათო ც. 9 წლის, სამტრედია**

მართალია, ქუჩა-ქუჩა არ დავდივარ და მოწყალებას არ ვითხოვთ, მაგრამ მე და ჩემ ძმას სათამაშოების მაღაზიასთან გავლა მართლა გულს გვწყვეტს. მშობლები არ მუშაობენ. ფეხბურთზე დავდივარ და მწვრთნელი ფულს არ მახდევინებს. ხომ შეიძლება კარგი ფეხბურთელი გამოვიდე. ადრე მამაჩემიც კარგი მეკარე იყო. ჩემი ნატვრაა, კარგი ბურთი, ბუცები და მეკარის ხელთათმანები. წინასწარ გიხდით მადლობას.

**16** **ლია ყ. 42 წლის, ახმეტა, სოფ. ახშანი**

მყავს სმენადაქვეითებული ერთადერთი გოგონა — ინგა. ის ძალიან გონიერია და მისი თვალებით ვხვდები, რა უნდა ბავშვს. ხშირად მას ისეთი სევდიანი და ცრემლიანი თვალები აქვს, გული მიტირის-ხოლმე. ექიმმა გვითხრა — აპარატი ესაჭიროებაო, მაგრამ ის ძალზე ძვირია და მისი შეძენისათვის თანხა არ გამაჩნია. იქნებ დამეხმაროთ, რომ ჩემს ერთადერთ სიცოცხლეს სმენის აპარატი შევუძინო და მის თვალებშიც სიხარულის სხივი დავინახო.

**17** **თამარ მ, 20 წლის, ახალციხე**

ჩემი ყველაზე დიდი ნატვრა ქართველების ერთიანობაა, სულიერების გაღრმავება და იმ აზრამდე დასვლა, რომ ცხოვრების მიზანი მხოლოდ სიკეთეა და არა სხვა რამ. ბევრი მოვინდომე? — ვფიქრობ სულაც არა. ძალიან, ძალიან მინდა ასე რომ იყოს და რა ვქნა. ალბათ, ამიტომაც მცვივა ცრემლები. ეხლა რასაც ყველაზე ძალიან ვნატრულობ, „ბიბლია“ და რელიგიური ლიტერატურაა. ამისრულებთ? თუმცა ვიცი, არავინ დამიმესიჯებს. გმადლობთ.

**18** **ნინო ო, 17 წლის, თბილისი**

დედა 7 თვის წინ დაგველუპა. ვართ 4 დები. წინა ნატვრის ბარათში ჩემმა პატარა დამაც ის დაწერა, რასაც მე დავწერ. ძალიან გვიჭირს სარეცხის გარეცხვა. წარმოიდგინეთ 4 ბავშვის სარეცხი. არც სარეცხი მანქანა გვაქვს, არც თბილი წყალი. ზამთარში ძალიან გვიჭირს გარეცხვა. იქნებ ვინმემ ჩვენი გაჭირვება გულთან ახლოს მიიტანოს და დაგვეხმაროს. არც არავინ გვეხმარება. თქვენ შეგიძლიათ, ნატვრა აუხდინოთ დებს?

**19** **ბათო ქ, 8 წლის, თბილისი**

ჩემი ნატვრაა რეინჯერების ფორმა.

**20** **რეზო ტ, 13 წლის, ლაგოდეხი**

მე ძალიან მინდა მქონდეს კომპიუტერი. ვისწავლო იგი და გავხდე კომპიუტერული გენიოსი. ამისთვის მჭირდება კომპიუტერი. დამეხმარეთ ამ სურვილის განხორციელებაში და იქნებ მომავალში გამოვადგე ჩვენს ქვეყანას.

**25** **გიგა ა., 14 წლის, ქუთაისი**

მთელი ჩემი ცხოვრება ნატვრაა! არ მაქვს ბინა, ავეჯი, ტელევიზორიც კი. აფხაზეთის ომმა ჩემს ოჯახს ყველაფერი დააკარგვინა. მაგრამ არაფერი მინდა. თუკი ოცნებები ამ ქვეყანაში მართლა სრულდება, ვინატრებ მხოლოდ წიგნებს: 1. საყმაწვილო ენციკლოპედიას, 2. მსოფლიო ატლასი, 3. კოსმოსი, 4. ჩვენი გალაქტიკა, 5. საბავშვო სათავგადასავლო ბიბლიოთეკა...

**22** **სალომე დ, 12 წლის, თელავი**

მქონდეს ტელევიზორი, რადგან ჩემს ძმას ძალიან უყვარს ფეხბურთის ყურება და უნდა ფეხბურთელი გამოვიდეს. ის მეზობლებთან ვერ დადის ფეხბურთის საყურებლად, რადგან სცხვენია. გთხოვთ, აგვისრულოთ ეს ნატვრა, რათა ფეხბურთს ხალისით უყუროს და ფეხბურთელი გახდეს.

**23** **შალვა ქ, 11 წლის, თბილისი**

მე ძალიან მიყვარს კახი კალაძე, ჩემთვის ის მსოფლიოში ყველაზე კარგი ფეხბურთელია. ძალიან მინდა მასთან ერთად სურათის გადაღება.

**24** **მალხაზ დ, 9 წლის, მარტვილი**

ვარ მეხუთე კლასის წარჩინებული მოსწავლე. სამუსიკო სკოლის საგუნდო განყოფილების III კლასელი. ბებომ ორჯერ მიყიდა ბაზრობაზე ფანდური, მაგრამ არ გამომადგა. ჩემი ნატვრაა მქონდეს საკუთარი ფანდური და ჩონგური. ძალიან გთხოვთ ამისრულოთ ეს ოცნება.

**25** **მადლენა კ, 34 წლის, გურჯაანი, მელაანი**

გავზარდე სამი მცირეწლოვანი ბავშვი, რომლებიც დედამ მიატოვა. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ არაფერი მოჰკლებოდათ. 16 წლის უშვილობის შემდეგ, უფლის შეწევნით მეც შემეძინა გოგონა. ახლა ჩემს ოთხ პატარა ბავშვს მინდა, რომ ჰქონდეს ელემენტარული ცხოვრების პირობები. ჩვენი ნატვრაა, გვქონდეს დიდი ფერადი ტელევიზორი. უფალი შეგეწევათ თქვენც და მთლიანად საქართველოსაც, თუ ამ ობლებს ნატვრას შეუსრულებთ.

**26** **თორნიკე ნ., 9 წლის, თბილისი**

ჩემი ოცნებაა, რომ ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის და აკაკი წერეთლის გამოცემები (ყველა) მქონდეს. ჩემს მშობლებს არა აქვს საშუალება რომ მიყიდონ. წინასწარ გიხდით მადლობას.

**27** **აჩიკო გ, 16 წლის, ხაშური**

მყავს 30 წლის ძმა. ყავს შეყვარებული. მუშაობს, მაგრამ ოჯახს უჭირს ძალიან და ბეჭედს ვერ ყიდულობს, ვაჩუქოთ ბეჭედი და გავაბედნიეროთ ეს წყვილი. გკოცნით ყველას.

**28** **მამუკა კ., 36 წლის, გორი**

ვარ პატიმარი, ჩემი ყოველწამიერი ნატვრებია თავისუფლება, შვილებთან ყოფნა, მათი ნატვრების ასრულება და გულების გახარება. გამიხარეთ ჩემი უსაყვარლესი და ულამაზესი მარიკუნას და ანიკუნას გულები რაიმე მოულოდნელი საჩუქრით. არჩევანი თქვენა, არადანი მე! მარიამი 14 წლისაა და ანა 19 წლის. დაგლოცოთ ღმერთმა და შეგეწიოთ უფალი კეთილი ნატვრების ასრულებაში. წინ! ულრმესი მადლობა.

**29** **ქეთი ხ., 7 წლის, თბილისი**

ძალიან მინდა მე და ჩემმა 4 წლის ძმამ თქვენგან მივიღოთ ნაძვის ხე და ციგა. ეს არის ჩვენი ნატვრა ახალი წლის. წინასწარ გიხდით მადლობას.

**30** **მერი ა., 83 წლის, სურამი**

ერთადერთი, რაც შემიძლია, კითხვაა. უმორჩილესად გთხოვთ, ანგარიში გაუწიოთ ამ ჩემს, ალბათ, უკანასკნელ ნატვრა-თხოვნას და ამისრულოთ ნატვრა. მინდა მქონდეს: ახალი აღთქმა ფსალმუნებით და ჭაბუა ამირეჯიბის სამივე რომანი. დიდი მადლობა ადამიანური თანაგრძნობისათვის.

**31** **ბექა ბ., 6 წლის, ოზურგეთი**

ჩემი ნატვრაა ბევრი შოკოლადები ყუთით. წინასწარ გიხდით მადლობას.

**32** **მამუკა შ., 13 წლის, ხაშური**

გამარჯობათ, მიხარია რომ არსებობს ნატვრის ახდენის შესაძლებლობა, ჩემი ნატვრაა, მყავდეს იადონი ან თუთიყუში, რადგანაც მიყვარს და მომწონს მათი მოვლა პატრონობა. ვოცნებობ ლამაზად მოვლილ თავისუფალ საქართველოში ცხოვრებას. ჩემს 7 წლის დაიკოს სურვილია ჰქონდეს ბარბის სახლი და ჩვენი ყველასათვის საყვარელი მწერლის ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრები“.

**33** **ჯემალ ს, 11 წლის, ბორჯომი**

მინდა სატელიტური ანტენა, მინდა როლიკები, მინდა სკეიდი, მინდა ველოსიპედი, მინდა საბავშვო ენციკლოპედიების კრებული. — ეჰ!.. ტყუილად ვნატრობ, მაინც არ ამისრულდება!

**34** **ანი გ, 9 წლის, ბაღდათი, დიმი**

რამდენი წელია, თოვლის ბაბუს ვაბარებ ბარბის სახლს, მაგრამ სულ სხვა საჩუქრები მოაქვს. მე კი ძალიან მინდა ბარბის სახლი. უკვე არ მჯერა, რომ ახალ წელს მომიტანს. ამიტომ გწერთ, თქვენ იქნებ მაინც ამიხდინოთ, ეს ნატვრა.

**35** **ია ხ, 34 წლის, ქუთაისი**

ჩემი თვალხატულა ბიძაშვილები შაკო და თეონა უკვე დიდები არიან — მე-7 და მე-6 კლ-ში. ძალიან კარგადაც სწავლობენ, მაგრამ... აქამდე თვალითაც არ უნახავთ ზღვა. როცა თავიანთ ძველ, შავ-თეთრ ტელევიზორში თვალს მოჰკრავენ: „ალბათ, ფერადში რა ლამაზი იქნებაო“, — ამბობენ და ხანდახან თავმომწონე კლასელებშიაც უხდებათ ტყუილის თქმა — „წელს მეც ბათუმში დავისვენეო“... გთხოვთ, მიეცით ბავშვებს მზე და ზღვა...

**36** **მაია ო., 18 წლის, რუსთავი**

ჩემი ნატვრა არასოდეს ახდება, რადგანაც ვარ უსინათლო, გონება დაქვეითებული, ცხოვრებაში არაფერი შემიძლია, არც წერა-კითხვა და დროის შეგრძნება არა მაქვს, ამ ნატვრას დედა წერს, ჩემი ნატვრაა, მქონდეს დიდი თოჯინა-დედოფალა, რომლითაც ვითამაშებ, მე მხოლოდ დედაზე ვარ დამოკიდებული. გთხოვთ და მადლობას მოგიხდით ჩემი სურვილის ახდენაში.

**37** **დათო ბ, 9 წლის, ქუთაისი**

ვარ მხედველობაშეზღუდული, ვსწავლობ არა სპეციალურ სკოლაში, რადგან ქუთაისში სპეციალური სკოლა არ არის. დაინტერესებული ვარ ტექნიკით, მჯერა ნატვრის ახდენის. ჩემი ნატვრაა, მქონდეს მუსიკალური ცენტრი. ვუკრავ სალამურზე და დოლზე, რადგან ნოტების კითხვა არ შემიძლია (ამ ბარათს გიგზავნით დის ხელით, რადგან წერა მიჭირს) წინასწარ გიხდით მადლობას.

**38** **თამუნა ს., 17 წლის, თბილისი**

მქონდეს ღვთისმშობლის ხატი — „შენ ხარ ვენახი“. იმედია გამომიქვეყნებთ ამ წერილს და ამ ნატვრას ამისრულებთ. ვიცი, რომ ეს ხატი სასწაულმოქმედია. მე კი ძალიან მჭირდება იგი. უღრმესი მადლობა, რომ არსებობთ და ხალხის ნატვრას ასრულებთ. დიდი მადლობა წინასწარ.

**39** **ავთო ე, 7 წლის, თელავი, წინანდალი**

ჩემს კლასელს აქვს სპორტული მანქანა. ესაა პატარა სპორტული მანქანა, შიგ ჩაჯდები, პედალს დაადგამ ფეხს და დადის. ჩემი ნატვრაა, მქონდეს ასეთი მანქანა. თუ ამ ნატვრას ამისრულებთ, ძალიან გამახარებთ.

**40** **ლია ფ., 16 წლის, გორი, ქიწნისი**

ვსწავლობ მე-11 კლასში. 5 წლისას გარდამეცვალა დედა. სულ მალე დავკრძალე მამაც და მასთან ერთად დავმარხე სიხარულის შეგრძნებაც. ვცხოვრობ და ვარსებობ ობლობის პენსიით. ჩემი ნატვრაა, ეროვნულ გამოცდებზე ახალი კაბით და ფეხსაცმლით მისვლა. ასე მგონია, ჩემი ნატვრა აუხდენელი დარჩება, მე ხომ მთლად ობოლი ვარ და ჩემს მხარდასაჭერად ვინ გამოგზავნის შეტყობინებას? მადლობთ იმისთვისაც, რომ წაიკითხეთ ჩემი ნატვრა.

**41** **ვაჟა ძ., 12 წლის, ფოთი**

მე ერთი ჩვეულებრივი ბავშვი ვარ. დავდივარ ჩვეულებრივ სკოლაში, ჩვეულებრივ მეც ვიძინებ და ძილის წინ ვოცნებობ, ხანდახან სიზმარშიც ვნახულობ, რომ მაქვს დივიდი. დამიმტკიცეთ, რომ შესძლებთ ჩვეულებრივ ბავშვსაც აუსრულოთ აუხდენელი ოცნება და მოჰგვაროთ სიხარული.

**42** **ლია დ, 67 წლის, თბილისი**

ჩემი ნატვრა საახალწლო ნაძვის ხეა, ალბათ, შესაძლებელი იქნება, ჩემი იმედიანი ნატვრის დაკმაყოფილება და ეს ახალი წელი არ ჩამივლის საახალწლო ნაძვის ხის გარეშე. აასრულეთ ჩემი ნატვრა, რადგან მინდა ლამაზ ნაძვის ხეს ჩავუთქვა სურვილი საერთო საქვეყნო ბედნიერების.

**43** **ნინო ქ, 7 წლის, თბილისი**

მე და დედა ვცხოვრობთ ქირით. დედას დაბალი ხელფასი აქვს და ჩემს ნატვრას ვერ მისრულებს. მე ძალიან მინდა, დაბადების დღე აღვნიშნო რომელიმე ბავშვთა ცენტრში და საჩუქრად მივიღო მიკროფონი. ჩემი დაბადების დღე არის 19 იანვარს, ნათლისღებას. გთხოვ, კეთილო ადამიანო, ამისრულო ნატვრა.

**44** **ირინა მ, 51 წლის, თბილისი**

შრომამ შექმნაო ადამიანი, ნათქვამია. ნახევარი საუკუნე დაუღალავ გონებრივ და ფიზიკურ შრომაში გავლიე, მაგრამ მაინც ყველაფერი მაკლია. თხოვნის მრცხვენია, ნატვრის — არა. ძალიან მიყვარს სისუფთავე. ვინატრებდი მქონდეს წყლის გამაცხელებელი ავზი.

**45** **თაკო და ლიკა, 12 წლის**

საქართველოს ღირსეული შვილის, სამშობლოს, პატრიოტის, ნამდვილი კაცური კაცის, ბ-ნ ირაკლი ოქრუაშვილის სურათი თავისი ავტოგრაფით.

**46** **დავით 10 წლის, გიორგი 7 წლის, ქ. თბილისი**

ჩვენ ძალიან გულით გვინდა, რომ გვქონდეს ადიდასის ფირმის სპორტულები და ბუცები. ძილის წინ, ღმერთს შევთხოვ ჩვენს ნატვრას, იქნებ აგვისრულოს. ღმერთთან ერთად თქვენც გთხოვთ, აგვისრულეთ ჩვენი საოცნებო ნატვრა. წინასწარ დიდ მადლობას გიხდით.

**47** **დათო, 18 წლის, თბილისი**

ვნატრობ ელექტროგიტარას, ჩემ ძველ გიტარაზე დაკვრა ფიზიკურად აღარ შეიძლება, არადა დღეში 5-6 საათი მიწევს დაკვრა, რომ ფორმაში ვიყო და გერმანელებისათვის კომპოზიცია ჩავწერო, ხოლო ჩემი გიტარით ამის გაკეთება შეუძლებელია. იქნებ?..

P.S. იყოს თუნდაც ნახმარი. მთავარია, ელ-გიტარა იყოს.

**48** **გიორგი ხ, 6 წლის, ხაშური**

ამ წერილს ჩემს დას ვაწერინებ, რადგან მე კარგი წერა არ ვიცი. ძალიან მინდა მქონდეს მრგვალი აკვარიუმი ოქროს თევზებით, რადგან დარჩენილი ოცნებები რაც მაქვს, ოქროს თევზებმა ამისრულონ და თქვენ აღარ შეგაწუხოთ. ძალიან გთხოვთ, ამისრულოთ ეს ნატვრა.

**გამოგვიგზავნეთ ნატვრის ბარათები, ეცადეთ, თქვენი ნატვრა იყოს ორიგინალური, ერთადერთი და განუმეორებელი და ამით ჟიურის კეთილგანწყობა დაიმსახუროთ, რათა რჩეული ნატვრების სიაში მოხვდეთ. ნატვრა, რომელიც ვერ გახდა ჟიურის რჩეული, შეგიძლიათ კვლავაც გამოაგზავნოთ. სრულიად შესაძლებელია, მან მომავალი ტურის ჟიურის მოწონება დაიმსახუროს.**

(დასაწყისი გვ.11)

მოკლედ, როცა აფხაზებმა შეიტყვეს, რომ აქედან შეტევა ჩაეშალათ, გეზი შეცვალეს და შრომის მხარეს გადავიდნენ. მეორე-მესამე დღეს ცოტა დავიწიეთ უკან. ზურგიდან რომ არ შემოევლოთ, ხაზის ერთ ფრონტად გაერთიანება იყო საჭირო. ბევრჯერ სცადეს აფხაზებმა ჩვენი ხაზის გარღვევა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. არადა სწორედ ჩემი ბატალიონის პოზიციიდან გადიოდა უმოკლესი გზა სოხუმის ცენტრისკენ. ეს, ფაქტობრივად, შიშველი ხელებით, უიარაღოდ და ტექნიკის გარეშე მოვახერხეთ.

**— ქუთაისში გადაკრული ტექნიკის ჩამოყვანა არ შეიძლებოდა?**

— ვის რაში სჭირდებოდა სასხლეტმოხსნილი ტექნიკა. როცა სამშვიდობო მოლაპარაკება შედგა, ტანკების სასხლეტები რუსებმა ჩაიბარეს სოხუმში, ვითომ ქუთაისში უკანვე ჩაგაბარებთო, მაგრამ ალარ დაგვიბრუნეს. არც ქართველებს გამოუდვიათ თავი, არ ელოდნენ სამშვიდობო მოლაპარაკების ჩაშლას. ასე რომ, რუსებმა კიდევ ერთხელ მოგვატყუეს.

**— თუ ეს წინასწარ იყო შეთანხმებული?**

— ვფიქრობ, მოგვატყუეს. სოხუმის დაცემამდე ოთხი დღით ადრე ბრიგადის შტაბში რომ მივედი, გენო ადამია შემხვდა. ჩავსხედით მანქანაში და აფხაზეთის მთავრობაში მივედით. უკვე ჟიული შარტავა განაგებდა აფხაზეთის მთავრობას.

ჩვენ რომ მივედით, თათბირი ყოფილა. შევარდნაძეც იქ იყო, ჯაბა იოსელიანიც და ჟიული შარტავაც. კიდევ ერთი რუსი გენერალიც. შევარდნაძემ უთხრა: თქვენ შეგიძლიათ შეტევის შეჩერება, მაგრამ არ აჩერებთ, პირიქით, ეხმარებითო. რუსმა გენერალმა დამცინავად უპასუხა, ცდებით, ჩვენ არავის ვეხმარებით, ნეიტრალიტეტს ვინარჩუნებთო. მისმა ნათქვამმა შევარდნაძე ისე გაანერვიულა, თათბირი მიატოვა. შევარდნაძეს ადრე რამდენჯერმე შევხვდი და შემჩნეული მქონდა, ნერვიულობისას ქვედა ყბა უკანკალებდა. მაშინაც ასე დაემართა, ჩანდა, რომ მართლაც გაგიჟებული იყო, რუსები თვალსა და ხელს შუა ატყუებდნენ. ისე, სულ მოტყუებული როგორ უნდა იყო. ასე რომ, რუსების ვირეშმაკობის გამო დავკარგეთ სოხუმი.

იმ დროს გია ყარყარაშვილმა



# „შევარდნაძეს რომ შევხედე, ქვედა ყბა უკანკალებდა“

## „რაც უღელტეხილზე გადმოსვლისას ვნახე, ომშიც კი არ მინახავს“

კოდორზე 250 კაცი გადმოიყვანა. გადაწყდა, შრომის მხრიდან დაგვერტყა და ალყაში მოგვექცია ის აფხაზები, რომლებიც სოხუმში იყვნენ შემოსულები, მაგრამ ოპერაცია არ შედგა. როგორც მერე გაირკვა, სამი ათას ხუთასი კაცი ყოფილა მაშინ კინდღში თავმოყრილი, მაგრამ არ დაემორჩილნენ ყარყარაშვილს, არ გამოჰყვნენ(!). არც გვინდოდა ამდენი კაცი. ათასი კაცი გამოჰყოლოდა ერთი ათეული ტექნიკით და ჩანაფიქრს შევასრულებდით, მთელ სოხუმს გავაკონტროლებდით.

ამის მერე აგუძერაში შევიკრიბეთ. იქ იყო შევარდნაძეც, ყარყარაშვილიც და ადამიაც. გადაწყდა, კელასურის ხიდი გაგვემაგრებინა. მე 60 კაცი და 2 ტანკი მყავდა. ყარყარაშვილმა მითხრა, ჯერ ამ ძალებით გაამაგრე პოზიცია, დილის 5 საათზე მეც დაგეხმარებიო. ერთი ტანკი ხიდთან დავტოვე, მეორე იქვე, მაღლობზე დავაყენე, რითაც მთელი იმ ტერიტორიის გაკონტროლება შემეძლო. 5 საათზე დაპირებისამებრ, ყარყარაშვილი მოვიდა და ბეტონის ფილები მოიტანა. პოზიციის გამაგრებაში გვეხმარებოდა, თვითონაც რიგითი ჯარისკაცივით მუშაობდა. მხოლოდ ხალხი ვერ მოგვახმარა, მოსახლეობა თითქმის გასული იყო სოხუმიდან. აგუძერაში მივედი, გენერალ ზაურ უჩაძეს ვთხოვე, ხალხი დამახმარე-მეთქი. უარი მითხრა, ალარავინ შემრჩაო. არადა, მართალია, სოხუმი უკვე აფხაზების ხელში იყო, მაგრამ კელასურის ხიდის შენარჩუნებით გულრიფში ჩვენ გვრჩებოდა და სოხუმის ხელახლა აღების შანსი გვქონდა. ერთი სიტყვით, ჩემი 60 კაცით აქ პოზიციის გამაგრება სისულელე იქნებოდა. სუბტროპიკულ ინსტიტუტში აფხაზებმა ნაღმსატყორცნების დაყენება დაიწყეს და შეტევისთვის ემზადებოდნენ. გენო ადამიამ მითხრა, მერხეულის მხარეს გადი და იქ დამელოდეთო. სამი საათი ველოდე მერხეულის ცენტრში და ადამია არ გამოჩენილა. ამასობაში ქართული სოფლებიც სულ დაიცალა, მოსახლეობას ნელ-ნელა ჩვენც მივყვებოდით უკან. სოფელ ოქტომბერში რომ ავედი, მაშინ დამაწიეს ამბავი: გენო ადამია მოკლესო. ეს იყო ლახვრის ჩაცემა. ადამია ჩვენი დასაყრდენი ძალა იყო და დარწმუნებული ვარ, რომ გადარჩენილიყო, ბრძოლა გაგრძელდებოდა. ადამიას ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს, მიგვატოვესო, მთავარსარდლობას გულისხმობდა, მაგრამ დანებებას მაინც არ აპირებდა. განზრახული ჰქონდა, ნებელდა და ოქტომბერი გაემაგრებინა და აქედან მიეტანა იერიში სეპარატისტებზე. მისმა სიკვდილმა ყველაფერი ჩაშალა. ჩვენ კი იძულებული გაგვხადა, მოსახლეობასთან ერთად სვანეთის გზას დავდგომოდით.

**— რატომ მიაწყდა მოსახლეობა სვანეთის გზას? კი, მხედრიონელებს და სამთავრობო ნაწილებს არ შეეშვლებოდათ სამეგრელოში, მაგრამ ხალხი რატომღა არ შევიდა?**

— როცა ეს ამბები მოხდა, ხმა გავრცელდა, აფხაზები კოდორის ხიდს აკონტროლებენო. ხალხმაც იფიქრა, თუ გადარჩენა გვინდა, სვანეთისკენ უნდა წავიდეთო.

**— კოდორის ხიდის გარღვევა არ შეიძლებოდა?**

— გარღვეული იყო კიდეც. გია ყარყარაშვილმა 250 კაცი სწორედ ამ ხიდზე გადმოიყვანა. იმ მხრიდან, რომელსაც ლოთი ქობალია აკონტროლებდა, იქიდან გასვლა თავისუფლად შეიძლებოდა, მაგრამ ის ხმა რომ გავრცელდა, ხალხმაც სვანეთის მიმართულება არჩია. გარდა ამისა, ხელისუფლებასაც არ სურდა, ლტოლვილები სამეგრელოში მოხვედრილიყვნენ.

**— რატომ?**

— იცოდნენ, რატომაც წავაგეთ ომი და ხელისუფლებაზე იყვნენ აღრენილი. მით უმეტეს, რომ იმ დროს ოჩამჩირეს ზვიად გამსახურდია აკონტროლებდა. მასთან შეერთებულ ლტოლვილებს შეიძლებოდა ხმა აემაღლებინათ ხელისუფლების წინააღმდეგ. მოვლენათა ამგვარი განვითარება რომ აეცილებინათ თავიდან, ლტოლვილები სვანეთის გზას გაუყენეს. იმ გზაზე ბევრმა სამუდამოდ დახუჭა თვალი. რაც მაშინ ვნახე, ასეთი რამ ომშიც არ მინახავს. ერთ ქალს ჩვილი გაეყინა. უკაცრიელ ადგილზე ხომ არ დამარხავდნენ, ჩემოდანში ჩადეს და ისე წაიღეს.

საკენის უღელტეხილი რომ გადმოვიარეთ, დილით კიდევ ატყდა წივილ-კივილი. იმ დილით მაგრად ყინავდა. თურმე იმ ქალს მეორე ბავშვიც გაეყინა. გამწარებული ქალი ხევში გადახტა და ჩაიჩეხა. ასეთი შემთხვევა ხშირი იყო. ამას ერთვოდა ყაჩაღობაც. ადგილობრივი ყაჩაღები თუ დრანდის ციხიდან გამოშვებული პატიმრები მუსრს ავლებდნენ იქაურობას. წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებოდნენ ლტოლვილები. ჩვენს ტანკსაც გადაუდგნენ ყაჩაღები, ერთი წინიდან უმიზნებდა ყუმბარსატყორცნს, თხუთმეტიოდე კი უკნიდან ამოუდგა ტანკს. გვემუქრებოდნენ, შეჩერდით, თორემ გესვრითო. იმას კი ვერ ხვდებოდნენ, მართლაც რომ ესროლათ ყუმბარსატყორცნი, ტანკის უკან მდგომ ყაჩაღებსვე ამოხდებოდათ სული. ეს რომ ავუხსენი, მიხვდნენ, მართალი ხარო. ასე რომ, სროლამდე საქმე ალარ მივიდა. თანაც, მათ შორის ერთი სვანი ბიჭი იყო, რომელიც ადრე ჩემს ბატალიონში ირიცხებოდა. იმან მიცნო, ჩემი ბატალიონის მეთაურია, უბრალო კაცი არ გეგონოთო.

მაინც ვერ გადავრჩით უსისხლოდ. მძიმე ტექნიკა, რაც მქონდა და რის თრევასაც აზრი არ ჰქონდა, სასაზღვრო ჯარების უფროსს, ვალერი ჩხეიძეს ჩავაბარე. მირჩია, გიჯობს, ჩვენთან დატოვო, თორემ გზაში ბევრი შარი შეგხვდებაო. საკენზე რომ გადმოვედი, დრანდის ციხიდან გათავისუფლებულები ჩამისაფრდნენ, იარაღი მომთხოვეს. ჩვენებმა ალყაში მოაქციეს ყველანი, დაპატიმრება შეგვეძლო, მაგრამ სად წაგვეყვანა. მაშინ დამემუქრა ერთი: თუ შენ ეგ იარაღი შეგრჩება, მაგასაც ვნახავთო. მეორე დღეს მართლაც აგვიტეხეს სროლა. ერთი ჯარისკაცი მუცელში დაგვეჭრა. ექიმი, რომელსაც მედიკამენტები მოჰქონდა, ადრევე დააყაჩაღეს და თუ რამე წამალი ჰქონდა, ყველაფერი წაართვეს. ორი გამაყუჩებელი აღმომაჩნდა ჯიბეში. დაჭრილს მივეცი. საბედნიეროდ, საავადმყოფომდე მივიყვანეთ და გადავარჩინეთ. სროლის დროს ქალები და ბავშვები მაღალი ძაბვის ანძების ქვეშ გადავმალეთ. ყველაფერი რომ ჩაწყნარდა, ბიჭებს ვუთხარი: რად გვინდა ისეთი იარაღი, ამ არაკაცების თავდასხმის პროვოცირებას თუ მოახდენს-მეთქი. რამდენიმე ავტომატი დავიტოვეთ. დანარჩენი დავმალეთ და ხევში გადავყარეთ. ეს რომ დაინახეს, დენის ანძებს რომ მინის კოჭები აქვს, ისინი დაცხრილეს(?!).

P.S. ასე შეიწირა ბევრი სიცოცხლე სვანეთის გზამ. შეიძლებოდა ყველაფერი გაცილებით მშვიდობიანად დასრულებულიყო. ვინ არის დამნაშავე? — იმედია, ამ კითხვას უახლოეს მომავალში გაეცემა პასუხი. ჩვენ გმირების ვინაობაც უნდა ვიცოდეთ და დამნაშავეებმაც უნდა აგონ პასუხი.

**დავით დევიძე**




ჩემი ოჯახი მთელი ზამთარი
**იმუნო-რიცმა**
გადაარჩინა

3 მცენარის ერთობლივი მოქმედება:
- ზრდის ორგანიზმის გამძლეობას სხვადასხვა დაავადების მიმართ
- ეფექტურია გრიპისა და გაციების პროფილაქტიკისთვის
- ეხმარება ორგანიზმს ძალების აღდგენაში ზოგადი გადაღლილობის დროს და ავადმყოფობის შემდგომ
- ამცირებს კომპიუტერული გამოსხივების მავნე ზემოქმედებას ორგანიზმზე




აძლიერებს იმუნიტეტს
გვიცავს ვირუსებისგან

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი ცხელი ხაზი 1484
GMP ჯი-ემ-პი

# თმის გადანერგვის კლინიკა „ჰეალაინ ინტერნეიშნლ“



ხელმძღვანელი ამ დარგის დამფუძნებელი საქართველოში 1997 წლიდან პროფ. თამაზ თამაზაშვილი

- ✔ უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
- ✔ უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
- ✔ თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- ✔ კონფიდენციალობა, გარანტირებული შედეგები
- ✔ შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრამვისა და დამწვრობის შემდეგ
- ✔ თმა ბუნებრივად იზრდება, აღარასდროს ცვივა და იჭრება ჩვეულებრივად
- ✔ ფასი იაფი და ხელმისაწვდომი

HAIRLINE INTERNATIONAL

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში

ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62



www.hairline.ge

ავერსი
AVERSI

# კიდევ ერთი სიახლე ავერსისგან

ლიდერი ლიდერთა შორის მიმდინარე წლიდან კიდევ ერთი პროექტის განხორციელებას იწყებს — იქმნება ავერსის კლინიკა, რომელიც მოსახლეობას შესთავაზებს დასავლური სტანდარტების შესაბამის მაღალხარისხიან და ეფექტურ სამედიცინო მომსახურებას. სამედიცინო დაწესებულება პროექტდება წამყვანი ტექნოლოგების მიერ, იღჭურვება ყველაზე თანამედროვე სამედიცინო აპარატურით და კომპლექტდება საუკეთესო კადრებით, რომელთა შერჩევაც ხორციელდება კონკურსით. ექიმები გაივლიან სტაჟირებასა და ტრენინგებს როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენს ქვეყანაში ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების დახმარებით.

## ავერსის კლინიკა

ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად იწვევს სათანადო საექიმო სერთიფიკატის მქონე ექიმ-სპეციალისტებს

**მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ი:**

1. უმაღლესი განათლება ექიმის კვალიფიკაციით;
2. ექიმად მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;
3. სასურველია რუსული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა;
4. საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Word; Excel; Powerpoint; Int.);
5. კომუნიკაბელურობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, გუნდში მუშაობის უნარი, ორგანიზებულობა.

**კანდიდატებმა თან უნდა იქონიონ შემდეგი საბუთები:**

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დიპლომის ასლი;
3. სერთიფიკატის ასლი;
4. დახასიათება წინა სამუშაო ადგილიდან და/ან უნივერსიტეტიდან.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებთან გასაუბრება წარმოებს 29 ნოემბრიდან ყოველდღე, კვირის გარდა, 9-დან 18 სთ-მდე მისამართზე, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 27ბ (ყოფილი რესპუბლიკური პოლიკლინიკა).**
**ტ. 39-98-88**

# ქართული კვანძი

**The Economist**

ქართველები უთუოდ გამბედავი ხალხია, მაგრამ მთავარია, რა ფასი აქვს ამ სიმამაცეს. ამერიკამ რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაზე თანხმობა მისცა — ეტყობა, ირანსა და ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებულ საკითხებში მხარდაჭერის სანაცვლოდ. მაგრამ რადიკალურ-პროდასავლური საქართველო აბრკოლებს მრავალმხრივ მოლაპარაკებებს, რომელიც რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლისთვის არის საჭირო. ამ ორგანიზაციაში კი ერთხმოვანების პრინციპი მოქმედებს — ციცქნა სახელმწიფოსაც აქვს ვეტოს უფლება, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად მაინც.

საქართველოს რუსეთთან სასაყვედურო ბევრი აქვს: რამდენიმე რუსი ჯაშუშის საჯაროდ დამცირების გამო კრემლმა პროტესტის ნიშნად მას სავაჭრო სანქციები დაუწესა და გაზი გაუძვირა. პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის აზრით, ჯაშუშები არაფერ შუაში არიან; საქმე ის არის, რომ რუსეთის მოსაზღვრე სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს, სადაც ვაჭრობა (ლეგალური და არალეგალური) სრულიად გაუკონტროლებელია, მოსკოვი ზედამხედველობს და ამის ხელიდან გაშვება არ უნდა. საქართველო კი საზღვრების გადაკეტვას ან იქ თავისი მებაჟეების ჩაყენებას ითხოვს. თეორიულად შესაძლოა ეს აზრიანიც იყოს, მაგრამ პრაქტიკულად — არარეალურია. ათი წელია, ამ „გაყინულ კონფლიქტებს" დათბობისა არაფერი ეტყობა.

საქართველოს დასავლეთი რომ არაფერში უბამს მხარს, ამან ამ ბოლო თვეებში ძალზე დრამატულად იჩინა თავი. უცხოელებს საქართველოს ეკონომიკური რეფორმების ტემპები აოცებთ, რომლის მეშვეობითაც მთლიანი შიდაპროდუქტის ზრდა ორნიშნა ციფრს აღწევს, მაგრამ ამავე დროს აღიზიანებთ ის გაუანგარიშებელი, ხანდახან გაუაზრებელი პოლიტიკა და დიპლომატია, რომელიც ამ ქვეყანას ახასიათებს.

ამერიკა შეწუხებულია იმით, რომ საქართველომ ასეთი ტაქტიკა აირჩია. მას რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა იმიტომ უნდა, რომ შემდეგ ამავე გზას დაადგეს უკრაინაც, ქვეყანა, რომლის კვლავ პროდასავლურ პოზიციაზე გადაყვანას ცდილობს ვაშინგტონი. „ამერიკა და ევროკავშირი საქართველოს ამას არ აპატიებენ" — ამბობს აშშ-ის მთავრობის მრჩეველი. ევროკავშირის ერთ-ერთი დიდმოხელის აზრით კი ქართველებს მათი მხარდაჭერის იმედი აქვთ, მაგრამ ალბათ ეს არ მოხდება.

ნოღაიდელი ამტკიცებს, კრემლი თავის ვალდებულებებს არ ასრულებს — თუ რუსეთს ხელშეკრულების დაცვა არ შეეძლო, არც უნდა მოეწერა ხელი მასზეო. საქართველოს იმედი აქვს, რომ რუსეთის მიერ წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებული ბევრი სადავო საკითხი სხვა ქვეყნებსაც უბიძგებს რუსეთის ზეწოლისაკენ, — თუნდაც მაღალი სარკინიგზო ტარიფებით.

შესაძლოა, მაგრამ, როგორც წესი, სავაჭრო მოლაპარაკებების შედეგი ასეთია — როცა დიდი სახელმწიფოები ხელების გადაგრეხვას იწყებენ, ისინი ამას ეფექტიანად და მტკივნეულად აკეთებენ..

# რეგიონი №...

**Итоги.ru**

აფხაზეთის პრეზიდენტს **სერგეი ბაღაფშს** რუსეთის გარეშე თავისი რესპუბლიკის მომავალი ვერ წარმოუდგენია.

*— ბატონო პრეზიდენტო, აფხაზეთის დამოუკიდებლობა რამდენად არის დაკავშირებული კოსოვოს დამოუკიდებლობასთან?*

— მსოფლიო საზოგადოებრიობა კოსოვოს დამოუკიდებლობას აღიარებს თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჩვენ ჩვენს პოზიციას არ დავთმობთ. აფხაზეთი პატარა ქვეყანაა, ხვალაც რომ გვაღიარონ, რუსეთის გარეშე თავის გატანა ძალიან გაგვიჭირდება. ამიტომაც დამოუკიდებლობის გარდა, რუსეთთან ასოცირებულ წევრობას ვითხოვთ. თუმცა, ფაქტობრივად, ჩვენს ქვეყნებს შორის ასოცირებული ურთიერთობა უკვე არსებობს — გვაქვს ერთიანი ვალუტა, საერთო საბანკო სისტემა, ჩვენი პენსიონერები რუსეთის პენსიებს და იქაურ შეღავათებს იღებენ. მე ამაში უკანონოს ვერაფერს ვხედავ, რადგან რუსეთმა თავი სსრკ-ის მემკვიდრედ გამოაცხადა.

*— თქვენ იცით, რომ საერთაშორისო ინსტიტუტების დამოკიდებულება კოსოვოსა და აფხაზეთის პრობლემისადმი პრინციპულად განსხვავდება.*

— ორმაგი სტანდარტები, — გასაგებია. მაგრამ მეორე მხარეც არის. როგორც ირკვევა, ბევრ დასავლელ პოლიტიკოსს ჰგონია, რომ აფხაზები დაუბანელი, წვერგაბურძგნილი ხალხია, რომლებიც ავტომატებით ხელში ხეებზე სხედან. გვესტუმრებიან და გაკვირვებულნი რჩებიან: ნორმალური, ცივილიზებული, განვითარებადი სახელმწიფო შერჩებათ ხელთ. პატარა ქვეყანას საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ხანდახან პასუხისმგებლობა გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე პრივილეგიები. საბუთი გინდათ, ინებეთ — ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს და დიალოგისთვის მზად ვართ.

*— სააკაშვილთანაც?*

— რასაკვირველია, არა! ვგულისხმობ საერთაშორისო ორგანიზაციებს — გაეროს, ევროკავშირს. სანამ თბილისი 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულებას არ შეასრულებს, ზემო კოდორიდან თავის ჯარებს არ გაიყვანს და ხელს არ მოაწერს სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის ხელშეკრულებას — სააკაშვილთან დიალოგი შეუძლებელია. ეს თბილისშიც კარგად იციან და მოსკოვშიც.

*— იქნებ აფხაზეთს მოსკოვისკენ თვალი რომ არ ეჭიროს, დასავლეთთან ნაკლები პრობლემები ჰქონოდა?*

— ორასი წელია რუსეთთან ერთად ვართ და შეუძლებელია რეგიონში მისი ინტერესების გაუთვალისწინებლობა. გარდა ამისა, კარგად გვესმის, რომ რუსეთის სამხრეთის ფორპოსტი ვართ, გნებავთ, ბუფერული ზონა რუსეთსა და ნატოში თითქმის შესულ საქართველოს შორის. არ გვინდა, რომ მათ შუა მოქცეული აფხაზეთი გაიჭყლიტოს, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ყველანი რფ-ის მოქალაქეები ვართ.

*— საქართველო რუსი სამშვიდობოების მანდატის გაგრძელებას ალბათ არ დათანხმდება...*

— ვიცით, რომ სამშვიდობოების შეყვანა ორი მხარის თანხმობით ხდება, გასაყვანად კი ერთი მხარის გადაწყვეტილებაც საკმარისია. მაგრამ ჩვენ ამ პრობლემას ისე გადავწყვეტთ, რომ აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოები არ წავლენ. თუ როგორ, ჯერ არაფერს ვიტყვი.

*— აფხაზეთის რუსეთთან მიერთების შემთხვევაში რიგითი რუსი გუბერნატორის თანამდებობაზე დათანხმდებით?*

— საკითხავია, დათანხმდება თუ არა ამას აფხაზი ხალხი. ვფიქრობ, რომ ეს იქნება საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

*— ეკონომიკაში ყველაზე აქტუალური მიმართულება ტურიზმი იქნება?*

— არა, წარმოება. ტურბიზნესი უკვე ფორმირებულია. ჩვენთან მილიონობით დამსვენებელი ჩამოდის და ახლა მათი საკვებით უზრუნველყოფაა საჭირო. ეს ადგილზე უნდა მოხდეს და არა სოჭიდან. ამიტომ გლეხებისთვის ხელის შეწყობას ვაპირებთ, სოფლის მეურნეობა უნდა ავაღორძინოთ. მილიონ დოლარზე მეტი საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის გამოიყო. უნდა ავაღორძინოთ გადამამუშავებელი წარმოება — გავხსნით ციტრუსების კომპანიებს, ავაშენებთ საკონსერვო ქარხნებს.

*— რა დაჯდება სოხუმის მთლიანი აღდგენა?*

— მილიარდი დოლარი. მარტო სასტუმრო „აფხაზეთის" აღსადგენად 80 მლნ დოლარია საჭირო. ეს ორი ეროვნული ბიუჯეტის ტოლია. ამიტომ ყველაზე მთავარი ინვესტიციებია და ჩვენდა სასიხარულოდ, ის უმეტესად რუსულია.

*— და მაინც, აფხაზეთის აღდგენა ჭიანურდება...*

— მეც მეგონა, ეს სწრაფად მოხდებოდა, რადგან აფხაზეთი პატარა ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ მთელი წელი რესპუბლიკის შიდასიტუაციების სტაბილიზაციას მოვუნდით. ახლა ეს პრობლემები მოგვარებულია. ასე რომ, იჩქარეთ ჩვენს ეკონომიკაში ფულის ჩადება, სანამ აქაური ფასები მოსკოვისას არ გათანაბრებია.



# დიპლომატიური სვლა — ნათლობა



**Коммерсантъ**

23 ნოემბერს საქართველომ მართლმადიდებლური რელიგიური დღესასწაული, გიორგობა და „ვარდების რევოლუციის" სამი წლისთავი დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა. ამ დღისთვის საგანგებოდ ემზადებოდა ხელისუფლება. თბილისში, თავისუფლების მოედანზე, აღიმართა ზურაბ წერეთლის ნაჩუქარი 30-მეტრიანი წმინდა გიორგის მონუმენტი, რომელიც ზუსტი ასლია ნიუ-იორკში, გაეროს შენობის წინ მდგარი ამავე ავტორის სკულპტურისა.

საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავისი უკრაინელი მეგობარი, ვიქტორ იუშჩენკო , და ესტონეთის პრეზიდენტი ტომას ხენდრიკ ილვესი დაპატიჟა. ეს უკანასკნელი თბილისში წინა დღით, 22 ნოემბერს ჩაფრინდა და ზეიმის დაწყებამდე დაპირდა სააკაშვილს, საქართველოს ნატოში გაწევრებას დავუჭერთ მხარსო. ბატონი იუშჩენკო კი ზეიმის დღეს, 23 ნოემბერს ეწვია თბილისს, რადგან ადრე ჩამოსვლა არ შეეძლო — კიევში ხომ ნარინჯისფერი რევოლუციის ორი წლისთავს აღნიშნავდნენ.

უკრაინელი ლიდერის თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში შუადღისას ჩაფრინდა. მიხეილ სააკაშვილი არა მარტო პირადად მივიდა მის დასახვედრად, არამედ პროტოკოლიც დაარღვია და სტუმრის განსაკუთრებული პატივისცემისა და სიახლოვის ნიშნად, თავად ავიდა ტრაპით ლაინერში, რათა თვითმფრინავშივე მისალმებოდა უკრაინის პრეზიდენტს. პრეზიდენტები სალონიდან ერთად გამოვიდნენ, შემდეგ მხარდამხარ ჩამოვიდნენ ტრაპიდან და ერთად გაიარეს წითელ ხალიჩაზე, რომლის გასწვრივ ზამთრის ფორმაში გამოწყობილი საპატიო ყარაული იყო ჩამწკრივებული. უცებ საქართველოს პრეზიდენტმა შეამჩნია, რომ უკრაინელი სტუმარი პალტოს გარეშე იყო, მაშინ მანაც გაიხადა პალტო და ერთ-ერთ მცველს გადაუგდო.

აეროპორტიდან საპრეზიდენტო კორტეჟი წმინდა სამების საკათედრო ტაძრისკენ გაეშურა, სადაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გიორგობის წმინდა დღისადმი მიძღვნილ წირვას აღავლენდა, ხოლო შემდეგ მიხეილ სააკაშვილის უმცროსი ვაჟი ნიკოლოზი უნდა მოენათლა. სააკაშვილმა რამდენიმე თვის წინ სთხოვა ვიქტორ იუშჩენკოს შვილის მონათვლა. ისიც დათანხმდა, მაგრამ უკრაინაში პოლიტიკური კრიზისის გამო, ვერა და ვერ მოახერხა თბილისში ჩასვლა. ამიტომაც ბავშვის მონათვლა ვარდების რევოლუციის ზეიმს დაამთხვიეს.

ნათლობის ცერემონია საეკლესიო გუნდის თანხლებით ჩატარდა. ტაძარში უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ვიქტორ იუშჩენკომ დამოუკიდებლად და ზუსტად შეასრულა ყველა საჭირო პროცედურა — ნათლულს ტანზე გახადა, რამდენიმეჯერ ჩააყურყუმელავა ემბაზში, მერე კი ოქროს ჯვარი აჩუქა. ნიკოლოზის მეორე ნათლია კი დიდი თეატრის ყოფილი ბალერინა ნინო ანანიაშვილი გახლდათ, რომელიც დროულად აშველებდა ხელს იუშჩენკოს ბავშვის დაჭერაში. ნათლობის მთელი რიტუალი საქართველოს ტელევიზიით გადაიცა. ამ ცერემონიის შემდეგ პრეზიდენტები პარლამენტისკენ გაემგზავრნენ, სადაც რევოლუციის სამი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ჩატარდა. საქართველოს, უკრაინის და ესტონეთის პრეზიდენტების გარდა, ზეიმში მონაწილეობდა პოლონეთის სეიმის თავმჯდომარე მერიკ იურეკი. ტრიბუნაზე პირველი მიხეილ სააკაშვილის ახალგამომცხვარი ნათელ-მირონი ავიდა და უკრაინულ ენაზე განაცხადა, რომ უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობა საუკუნეებით არის გამოცდილი.

ესტონეთის პრეზიდენტმა ტომას ხენდრიკ ილვესმა კი განაცხადა, „რადგან საქართველომ თავისუფლებისთვის ბრძოლაში გაიმარჯვა, ვაცხადებ, რომ მე — ქართველი ვარ".

პარლამენტიდან პრეზიდენტები და სხვა სტუმრები წმინდა გიორგის ძეგლის გასახსნელად თავისუფლების მოედნისკენ გაემართნენ. „წმინდა გიორგი ბოროტებას ამარცხებს, საქართველოს უკან დასახევი გზა არ აქვს, ჩვენ ჩვენი სამშობლოს სრულ გათავისუფლებამდე ვიბრძოლებთ და ბოროტებას დავამარცხებთ", — მრავალმნიშვნელოვნად აუწყა პრეზიდენტმა თავის ხალხს.

# შეუფერხებლად და სწრაფად

**Независимая газета**



ალბანეთის, ხორვატიის, მაკედონიის და საქართველოს ნატოში გაწევრების მხარდასაჭერად აშშ-ის სენატმა საგანგებო კანონპროექტი მიიღო. ფედერალური ბიუჯეტიდან ამ ქვეყნებს გარკვეული თანხა გამოეყოფა „თავდაცვის სფეროში დასახმარებლად". აღსანიშნავია, რომ საქართველო, რომელიც ნატოში შესვლის ოფიციალური კანდიდატი არ არის, დანარჩენ კანდიდატებზე სამჯერ მეტ თანხას მიიღებს.

„ნატოში საქართველოს მიღება ტერიტორიული პრობლემების მოგვარების გარეშე ახალი ომის პროვოცირებას გამოიწვევს კავკასიაში, — აცხადებს რფ-ის სახელმწიფო დუმის კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩევი, — ამერიკელი სენატორები რომელი სახელმწიფო საზღვრებით და რა შემადგენლობით აპირებენ საქართველოს ნატოში მიღებას? თუ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ერთად, მაშინ კეთილი ენებათ და ამ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხის აზრი გაეგოთ. იქნებ თბილისი აცხადებს ტერიტორია გამთლიანებული მაქვსო და აშშ-ს ეს არც ეეჭვება... მაგრამ თუ ამერიკელი სენატორები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ნატოს ხელით აპირებენ, ეს უკვე სამხედრო სცენარი იქნება, რომელიც ახალ ომს მოასწავებს".

სტრატეგიული შეფასებების ინსტიტუტის პრეზიდენტი ალექსანდრ კონოვალოვი ამბობს, საქართველოს ნატოში შესაძლო შესვლა რუსეთისთვის საშიში სულაც არ არის, რადგან ნატოს ჩვენ მიმართ ცუდი ზრახვები არა აქვსო.

ქართველი სამხედრო ექსპერტის, **ირაკლი ალადაშვილის** აზრით, აშშ-ის სენატის გადაწყვეტილება ბალკანეთის ქვეყნების სამეულისთვის (რომლებიც პირველნი არიან ნატოში შემსვლელთა რიგში) საქართველოს მიერთების თაობაზე, იმის მანიშნებელია, რომ ვაშინგტონი დაინტერესებულია, საქართველო რაც შეიძლება მალე გახდეს ალიანსის წევრი. ამით აშშ-ს სამხრეთ კავკასიაში ფეხის მოკიდების რეალური შანსი მიეცემა. საქართველოსთვის კი ნატოს წევრობა თავისებურ „დამცავ ქოლგად", მისი დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დამატებით გარანტად იქცევა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, — საქართველო ნატოს სრულუფლებიანი წევრი 2008 წელს გახდება, 2006 წლის ბოლოს კი მიიღებს „საგზაო რუკას" — ნატოში შესვლის სამოქმედო კონკრეტულ პროგრამასო. თბილისის ეს იმედები შეიძლება ძალზე ოპტიმისტური იყოს; აკი გააფრთხილა ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა საქართველოს ხელისუფლება — ნატოს კარი ღია იქნება საქართველოსთვის, მაგრამ იქამდე გზა გრძელიაო. ამ „გრძელ გზაზე" კი საქართველოს ბევრი პირობის შესრულება მოუწევს: უნდა დაელოდოს ქვეყნიდან რუსეთის სამხედრო ძალების საბოლოო გასვლას, ჯარი გადაიყვანოს ნატოს სტანდარტებზე და, რაც მთავარია, მშვიდობიანად მოაგვაროს კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

ნატოს მორიგ სამიტზე რიგაში, 28-29 ნოემბერს, განიხილავენ ალიანსის გაფართოების სტრატეგიას. ქართველ ექსპერტებს ამ სამიტზე „საგზაო რუკის" მიღების იმედი არ აქვთ. მაგრამ ფაქტია, რომ რიგის სამიტზე თბილისი ნატოსგან აშკარა „პოზიტიურ სიგნალს" მიიღებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალში ნატო და აშშ უეჭველად დაუჭერენ მხარს საქართველოს ალიანსში შესასვლელი ყველა პირობის შესასრულებლად, მათ შორის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაშიც.

გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარების ჭკუისხილი

პატარა **გიორგი ტაბიძე** დედას ეხვეწება:

— დედიკო, ყავა მეც დამალევინე, რა...

— პატარებისთვის ყავა არ შეიძლება! — პასუხობს დედა.

— აბა, პატარა ჭიქებში რომ ასხამენ?

3,5 წლის **ილონა ჯიქიას** ბებო უხსნის:

— შინაური ცხოველებია ისინი, რომლებიც სახლში გვყავს: ძროხა, ღორი, ძაღლი...

ილონა აწყვეტინებს:

— ბებო, ბუზიც ხომ შინაურია.

## აბა, გამოიცანი

**I**

**1. რისი შემფასებელია გურმანი?**

ა) საჭმელების; ბ) სილამაზის; გ) ცოდნის; დ) ძველი ნივთების.

**2. რომელია სინონიმური წყვილი?**

ა) მშვიდი-გადარეული; ბ) ღრიალი-ჩურჩული; გ) ქანცგაწყვეტილი-დასვენებული; დ) ნაზი-ნატიფი.

**3. როდესაც გული გვაწუხებს, რომელ ექიმს უნდა მივმართოთ?**

ა) ოკულისტს; ბ) კარდიოლოგს; გ) ფსიქოლოგს; დ) სტომატოლოგს.



**4. ვინ დაამარცხა დავით აღმაშენებელმა დიდგორის ველზე?**

ა) არაბები; ბ) თურქსელჩუკები; გ) მონღოლები; დ) სპარსელები.

**5. სად მდებარეობს ეს დახრილი კოშკი?**

ა) პარიზში; ბ) მილანში; გ) რომში; დ) პიზაში.

**II** ნუმერაციის მიხედვით შეიტანე უჯრედებში ქვემოთ მოცემული ნახატების სახელწოდებათა პირველი ასოები და გრაფებში მიიღებ ერთ ბრძნულ ანდაზას:



**III** გამოიცანი, რომელი ციფრი უნდა იყოს კითხვის ნიშნის ნაცვლად



## იპოვე 10 განსხვავება



**IV** „უხელოდ წნული საცერი მაღლა კუთხეში ჰკიდია, სხვისთვის მახეა, პატრონის დერეფანი და ხიდია". ამ გამოცანის პასუხს ზონრის მიმართულების მიხედვით ამოიკითხავ






## და-ძმა

მოთხრობა

ნიკო და ლიზიკო სახლის უკან კაკალქვეშ ისხდნენ, წენგოიან კაკალს ამტვრევდნენ და გემრიელად შეექცეოდნენ.

უბეები რომ დაიცარიელეს, ნიკომ ქვები მოაგროვა და კაკალს დაუშინა, ლიზიკო კი ასაკრეფად გაიქცა.

— ვაიმე, დედა! — უცებ ლიზიკომ თვალზე ხელი იტაცა.

— ქვა ხომ არ მოგხვდა? — შეშფოთდა ნიკო.

— კაკალი დამეცა...

— სუ, ნუ ტირი, მოგირჩება, — მიეფერა ნიკო.

დედამ ლიზიკო ექიმთან წაიყვანა. უკან სლუკუნით მისდევდა ნიკო. ექიმმა გოგონა დააიმედა, საშიში არაფერია, თვალი მალე მოგირჩებაო.

საღამოს, და-ძმა ტახტზე ისევ ერთად თამაშობდა.

— ლიზიკო! შენ რომ თვალი გაგფუჭებოდა, ჩემსას გაჩუქებდი, — უთხრა თანაგრძნობით ნიკომ.

— ეგ რამ გაფიქრებინა? როგორ გაგიმეტებდი? აბა, დამაკვირდი: მე თაფლისფერი თვალები მაქვს, შენ კი — ცისფერი! — მიეალერსა ლიზიკო.

— მე მაინც გაჩუქებდი... — წაილუღლუღა ნიკომ.

*ქეთევან ჭილაშვილი*

## მიიყვანე ბიჭუნა ბურთთან



## იცით თუ არა, რომ...

∗ ადამიანი თვალს 10 წამში ერთხელ ან ორჯერ ახამხამებს. თითოეული დახამხამება გრძელდება წამის მესამედს. აქედან გამომდინარე, 12-საათიანი დღის განმავლობაში თვალებს 25 წუთი ვახამხამებთ.

∗ სამეფო კობრა — **ტაიპანი** ყველაზე შხამიანი გველია დედამიწაზე. მას კბილებში ექვსი მილიგრამი შხამი აქვს, რომლითაც სპილოს მოკვლაც კი შეუძლია. თანაც ის ერთადერთი გველია, რომელიც ბუდეს იშენებს და პატარა გველებით იკვებება.

**V** გამოცანა

*ხის ტოტებზე დარბის, დახტის,*
*გაჩერებულს ვინ ნახავს.*
*თხილს და კაკალს აგროვებს*
*და ზამთრისთვის ინახავს.*

პასუხები იხილეთ 35-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*

# „მე ვინახავ ინფორმაციას“...


ქართული ფარდაგი

*ხევსურულის მიწურულს „კვირის პალიტრას“ მხარდაჭერისთვის რეჟისორმა ბექა რამიშვილმა მიმართა. მას ხელთ ჰქონდა მეტად საინტერესო ფოტოები, რომლებზეც ხევსურეთის ციხე-კოშკებში ჩატანებული, ბავშვის ნაჩხაპნის მსგავსი, უცნაურფიგურებიანი ქვები იყო აღბეჭდილი. რეჟისორი ხევსურეთში გასამგზავრებლად ექსპედიციას ამზადებდა, რათა ადგილზე მოეძიებინა და ფირზე აღებეჭდა კოშკებსა და სალოცავების კედლებში ჩაშენებული ლოდები „ქართული კრიპტოგრამით“. ჩვენი თანადგომაც სწორედ ამისთვის სჭირდებოდა და... ექსპედიცია შედგა, ფირი გადაღებულია და მალე ფოტოგამოფენაც მოეწყობა.*

*ვინ მოთვლის, რამდენ ჩვენგანს უხილავს ისტორიის ეს უტყვი მოწმენი, მაგრამ ყურადღების მიღმა დარჩენილა. ჩვენ მხოლოდ ინფორმაციას გაწვდით. სიტყვა მეცნიერებს ეკუთვნით...*

## რა საიდუმლოს ინახავს ხევსურული ციხე-კოშკების კრიპტოგრამები...

გამოქვაბულში მცხოვრები უძველესი ადამიანები კედლებზე კაწრავდნენ და ხატავდნენ იმას, რისი თქმაც უნდოდათ, რის აღწერასაც ცდილობდნენ.

შუმერებმა, რომლებიც ძვ.წ. 5000-2000 წლებში ცხოვრობდნენ, პირველებმა გამოსახეს სქემატურად ის ობიექტები, რომელთა აღრიცხვაც სურდათ. ასეთ ნახატებს კრიპტოგრამები ეწოდება. კრიპტოგრამებს სველი თიხის ფირფიტაზე ხატავდნენ ზემოდან ქვემოთ, მოგვიანებით კი მათი გამოსახვა ჰორიზონტალურად დაიწყეს — მარცხნიდან მარჯვნივ. ლერწმის კალმის ფორმის გამო ნახატებმა თანდათან წაწვეტებული სახე მიიღო და „ლურსმულ დამწერლობად“ იქცა.

კრიპტოგრამებს მინოსელები ძვ.წ. 2000 წელს იყენებდნენ. მოგვიანებით მათ ახალი ტიპის დამწერლობა გამოიგონეს, რომელსაც მეცნიერები A-ხაზოვანს უწოდებენ. ამ დამწერლობის წაკითხვა დღემდე ვერავინ შეძლო...

ძვ.წ. 1000 წლამდე მიკენელებიც ჯერ კრიპტოგრამებს, შემდეგ კი დამწერლობას იყენებდნენ, რომელსაც მეცნიერებმა B-ხაზოვანი უწოდეს.

ნახატებისა და სიმბოლოებისგან შედგებოდა ეგვიპტური დამწერლობა, ოღონდ ის დღეს იეროგლიფად წოდებული დამწერლობის პირველსახე გახლდათ — მას ასობით ნიშანი ჰქონდა... იმავე პერიოდში ქანაანელები მხოლოდ 27 ნიშნისაგან შედგენილ დამწერლობას იყენებდნენ... ფინიკიელებმა კი 22-ნიშნიანი მარტივი ანბანი გამოიგონეს, რომელიც დღეს არსებულ მრავალ ანბანს დაედო საფუძვლად (ძვ.წ. 1000-500 წ.წ.).

დამწერლობა ჩინეთში დაახლოებით ძვ.წ. 1400 წელს გაჩნდა. ქურუმები შეკითხვებს ამოკაწრავდნენ ძვლებზე, რომლებსაც სამისნო ძვლებს უწოდებდნენ, შემდეგ ამ ძვლებს მანამ ახურებდნენ, სანამ არ დაიბზარებოდა. ამ ბზარებზე კი „კითხულობდნენ“ თავიანთი შეკითხვების „პასუხს“.

მაიას ტომმა (ახ.წ.1-500 წ.წ.) გამოიგონა დამწერლობა, სადაც დახატული ნიშნები (ანუ გლიფები) გამოიყენებოდა. წერდნენ წიგნებში, რომლებსაც მერქნისაგან ამზადებდნენ. მაიას წარწერების უმრავლესობა დღემდე გაშიფრული არ არის. თუმცა ცნობილია, რომ მაიას ხალხი ყველა ციფრს სამი სიმბოლოთი გამოხატავდა. ისინი დედამიწის სხვა ხალხებზე მრავალი ასწლეულით ადრე იყენებდნენ ციფრს „ნული“.

ყველა ფაქტი, რომელზეც ახლა გესაუბრებით, კარგად არის ცნობილი მსოფლიო საზოგადოებისთვის. მიუხედავად ამისა, ძველი კრიპტოგრამების, იეროგლიფებისა თუ ანბანის ირგვლივ ჩატარებულ ყოველ გამოკვლევას უდიდესი რეზონანსი აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ბევრი მეცნიერი წასულა ამქვეყნიდან უცნობი წარწერის გაშიფვრის ოცნებით... ის, რაც ასეთი გავრცელებულია ძველი მსოფლიოს ხალხებში და რაზეც არაერთი შრომა დაწერილა, ისევ ბურუსით არის მოცული, კაცობრიობისთვის კი უფრო და უფრო საინტერესო ხდება ყოველი პრიმიტიული ნახატი, კრიპტოგრამა, ქვაზე თუ ხეზე ამოკაწრული ძველი ნიშანი.

საგულისხმოა, რომ ხევსურული კრიპტოგრამების მსგავსი ორნამენტები გვხვდება ხევსურულ თუ თუშურ ფარდაგებზე, წინდებზე, ამგვარივე ნიშნებია ამოქარგული სვანური ლიფანალის (სასულთაო) სუფრაზე, ძველქართულ დედაბოძებზე, გვხვდება სამცხეში წარმართულ სალოცავსა და საფლავის ქვებზე, რაჭულ, სვანურ, იმერულ საკულტო პურ-ნამცხვრების საბეჭდავებზე. ასეთი ნაჩხაპნებიანი ქვა დატანებულია თუშეთში, სულაკაურების კოშკის კედელში...

რამდენიმე წლის წინ მხატვარი გიორგი გიგაური დაინტერესდა ხევსურეთში უცხო ნახატებით შემკული ქვებით და ფირზეც აღბეჭდა. თუმცა რაღა უცხო, ის გამოსახულებები, რომლებიც ამ ქვებზე აღუბეჭდავს უცნობი წინაპრის მარჯვენას, მსოფლიო ისტორიის წიაღში პოულობს ანალოგს.







*გიორგი გიგაური*, ხელოვნებათმცოდნე: — თუ კარგად დავაკვირდებით, არაპროფესიონალის თვალიც კი მიხვდება, რომ ეს ქვები მეორადი და მრავალჯერადი მოხმარებისაა. შესაძლოა იგი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ორნამენტებად ჩათვალეს. საოცარია ისიც, რომ ადამიანები დაბადებულან იმ სოფელში, იქვე დაბერებულან, მაგრამ ეს „წარწერა“ არც კი შეუნიშნავთ, ან შენიშნეს, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს.

შემთხვევით შევხვდი ერთ ფრანგ სპეციალისტს, ისტორიკოს როშერს, რომელიც საფრანგეთში, ერთ-ერთ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს მსოფლიოს უძველესი ენებისა და კრიპტოგრამების თავისებურებათა შესახებ. როდესაც ეს ნახატები ვაჩვენე როშერსა და მასთან ერთად მომუშავე ჯგუფს ანკარის მუზეუმში, მათ ერთხმად აღნიშნეს, ეს „წარწერები“ „იბერიულიაო“.

არ იფიქროთ, რომ ქვები მცირე ზომისაა ან ნახატი — ამოკაწრული. ხავსის ლაქებით დაფარული ეს ქვები უძველესი ისტორიის მოწმენი არიან. „წარწერა“ ამოჭრილია ქვაში. ხაზის სიგანე 5-6 მმ-ია, სიღრმე — 3-4 მმ. ყოველი ნიშანი ცოცხალ შთაბეჭდილებას ტოვებს, მხატვრულად დახვეწილი და სწორხაზოვანია.

ხახმატის სალოცავში დაცული ქვა კედლის შუა ნაწილში, კარის გვერდით არის დატანებული. ზომით — 40X55X35 სმ, მიწის პირიდან დაახლოებით 180 სმ-ზეა. ქვა კარგად არის გათლილი. „წარწერას“ თუ იდეოგრაფს (პირობით წერილობით ნიშანს, რომელიც აღნიშნავს არა ბგერას, არამედ ცნებას) ფონიც დაცული აქვს. ქვა მთლიანად გაშავებულა, კუთხეები მომრგვალებულია და აშკარად ეტყობა, რომ კედლის ქვებთან შედარებით უფრო ძველია. ქვას რომ შეხედავთ, ცოცხალ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს გვეუბნება — „მე ვინახავ ინფორმაციას“.

სამწუხაროდ, თბილისში ისეთ სპეციალისტს ვერ მივაკვლიე, რომელსაც მსგავს ნიშნებთან დაკავშირებით რაიმე ნაშრომი ჰქონდეს გამოქვეყნებული და ამ იდეოგრამებისა თუ ლოგოგრამების წარმომავლობის დადგენა შეეძლოს. ეს ალბათ მომავლის საქმეა.

ამ ქვების შესწავლა მართლაც მომავლის საქმეა. ყველა მეცნიერი ცალსახად აღიარებს, რომ ეს საჭირო და საინტერესო საკითხია. ჩვენ მხოლოდ აღვნუსხავთ ამ ფაქტს და ყოველგვარი სუბიექტური დამოკიდებულების გარეშე გთავაზობთ განსჯისათვის, მით უმეტეს, რომ კვლევამ შესაძლოა მოულოდნელ შედეგამდეც კი მიგვიყვანოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გთავაზობთ ქართველ სწავლულთა რამდენიმე კომენტარს:

*თინათინ ოჩიაური*, ეთნოგრაფი: — ასეთი ორნამენტები მარტო ქვაზე კი არა, სხვადასხვა მასალაზეც გვხვდება — ხეზე, თიხაზე, სარიტუალო ნამცხვარზეც კი. მინახავს კიდობნები, სადაც მთელი სცენები იყო მოცემული ხაზოვანი ნაკაწრის სახით. ამ ნიშნებს ესთეტიკური მნიშვნელობა და, ამავე დროს, რელიგიური ფუნქციაც ჰქონდა... თითოეულ ნიშანს იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გამორიცხულია, ეს იყოს დამწერლობა. მსგავსი ორნამენტები მთელ ამიერკავკასიაში გვხვდება და არა მარტო იქ. არსებობს ადამიანთა მიერ გარემოსა თუ საერთოდ მხატვრულ-ესთეტიკური აღქმის ერთიანობა, ამიტომ სულაც არ არის საკვირველი, თუ ამგვარი ორნამენტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩნდება.

*იულონ გაგოშიძე*, არქეოლოგი: — ხევსურეთში აღმოჩენილი ქვები მართლაც საინტერესოა, მაგრამ მას შესწავლა სჭირდება. ძველ საქართველოში არსებობდა დამღები, მაგალითად, საქონელს დაღავდნენ ხოლმე. დამღა ყველა გვარს თავისი ჰქონდა. შესაძლოა, ამგვარი ნიშნებიც ყველა გვარს ასევე თავისი ჰქონოდა, მაგრამ დაბეჯითებით ამაზე რამის თქმა არ შემიძლია. როგორც გითხარით, შესასწავლია ყველაფერი.

მსგავსი ნიშნები მინახავს ანტიკური ხალხის — სარმატების ნივთებზე, კოლხურ ჭურჭელზე... იგივე ნიშნები შეისწავლა არქეოლოგმა ვახტანგ ლიჩელმა. მისი აზრით, შესაძლოა ეს ანბანიც იყოს. მეეჭვება, მაგრამ რასაკვირველია, ჯერ ყველაფერი უნდა შევისწავლოთ, დასკვნები კი შემდეგ გამოვიტანოთ.

*გიორგი არაბული*, ფილოლოგი: — ასეთი გამოსახულებებით შემკული ქვა ხევსურეთში ბევრი მინახავს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა არ მიგვინიჭებია. თუმცა ფაქტია, კოშკებში, რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებში ააგეს, ჩააშენეს კიდეც. უფრო სარწმუნო მგონია, ეს იდეოგრამები იყოს. მასალა ძალიან საინტერესოა და შესწავლას საჭიროებს.

*ბექა რამიშვილი*, კინორეჟისორი: — ფილმი უფრო სარეკლამო ხასიათისაა. მისი მიზანია ჩვენს ტერიტორიაზე არსებული სიძველეებით დავაინტერესოთ მსოფლიოში მეტად პოპულარული ტელეარხები — „დისქავერი“ და „ნეიშენელ ჯეოგრაფიკი“, მათი მეშვეობით კი უძველეს კულტურათა შემსწავლელი მეცნიერები, რათა მათ ჩვენს მეცნიერებთან ერთად გამოიკვლიონ ეს იდეოგრამები. მით უფრო, რომ მსოფლიოს მრავალ კუთხეში ნაპოვნ კრიპტოგრამებთან ქართულს დიდი მსგავსება აქვს. სამწუხაროდ, ჩვენი ექსპედიცია ხევსურეთში ხატობების დროს ვერ მოხვდა და ამიტომ ვერ შევძელით დაკეტილ სალოცავებში არსებული იდეოგრამებიანი ქვების გადაღება. თუმცა, ვიპოვეთ ოთხი გლიფი, რომლებიც დღემდე აღნუსხული არ ყოფილა.

ფილმი მალე დასრულდება და იმედი გვაქვს, საახალწლოდ ვაჩვენებთ მაყურებელს.

დიდად მადლიერნი ვართ „კვირის პალიტრისა“, რომელიც გვერდში დაგვიდგა — ფილმის გადაღებისა და, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, ახალი კრიპტოგრამების აღმოჩენის შესაძლებლობა მოგვცა.

ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, ჩვენ მხოლოდ წარმოგიდგენთ...

ჯერი მეცნიერებზეა...

**ლელა ჯიყაშვილი**



# „მტერო, არ შეგიშინდები...“

## არძინბას „დაჩა“ 18 წლის ბიჭმა დაცხრილა

შავი ჭიშკარიაო, 777 — მიმასწავლეს. ნაცნობი ქუჩაა. თავში რომ დადგე, ბოლოში გაარჩევ თვალს. 777 ნომერი აქ არსად მეგულება. მისამართს კიდევ სამ-ოთხ კაცს ვეკითხები. აქვეაო — მპასუხობენ დაჟინებით. სულ მოკლე მანძილზე მივადექი რკინის შავ ჭიშკარს. 777 ზედვეა ამოჩუქურთმებული. ეს ერთი თვრამეტი წლის ბიჭის მისამართია. აფხაზეთში დაეცა. 777 მისი ტანკის ნომერი ყოფილა. სახლი მამისეულია, ხალხმრავალი. ოჯახის ნებისმიერ წევრს მაინც იმ ადრე წასული ჭაბუკის სახელზე აკითხავენ. ვაღებ ჭიშკარს — თითქოს იმ ტანკს ვეხები, რომელშიც გია შუშანაშვილი დაიფერფლა...

### ძახილი

ბიოგრაფია მოკლე ჰქონდა — თითქმის სასკოლო. სამყარო — უსაზღვრო, ტევადი. სული — სუფთა, თვალები — ცასავით კრიალა. თბილისის 160-ე სკოლა დაამთავრა. დედა მის ყველა მასწავლებელს არ იცნობდა. მშობელთა კრებაზე მიდიოდა მხოლოდ. დამრიგებელი გიორგი შუშანაშვილის გვართან შეჩერდებოდა და იტყოდა: — კარგი ბავშვია, ფრიადოსანი, მაგრამ... რატომ „მაგრამ?“ — გაუელვებდა გულგახეთქილ მშობელს... კლასგარეშე ლიტერატურას არის გადაყოლილიო — დაასრულებდა სათქმელს პედაგოგი და დედის სახეზე ქრებოდა ალმურის კვალი.

მათემატიკა გენებში აქვს მის მოდგმას: მამა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორია, დედა — ეკონომისტი, ერთი ბებია უზნაძის ქალი იყო, მეორე — ჩხეიძის, დეიდა და ბიძა — მათემატიკოსები არიან. გიაც ისე ჩაუღრმავდა ამ საგანს, რომ კომაროვის სახელობის მათემატიკურ სკოლაში გადაიყვანეს. იმჟამინდელმა ეროვნულმა მოძრაობამ ააფორიაქა პატარა ბიჭის გული, თავის ტალღებში ჩაითრია. ერთი კომაროველი გოგონა ეკა ბეჟანიშვილი 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლი გახდა. წლისთავზე გიას ჯგუფი მის საფლავზე წავიდა, ყვავილების გორა დააყენა. დირექტორმა „შატალო“ არ აპატია და მეათე კლასი დაშალა. გია ისევ თავის სკოლაში დააბრუნეს.

— მაღალი ბიჭი იყო, ბოლო მერხზე დავსვითო — იხსენებენ მასწავლებლები. — გაკვეთილს რომ ჰყვებოდა, მთელი კლასი შებრუნდებოდა, სულგანაბული უსმენდა. უცბად იწურებოდა 45 წუთი... მერე პედაგოგები ერთმანეთს ვთხოვდით გაკვეთილის დათმობას ახალი მასალის ასახსნელად.

გერონტი შუშანაშვილის ოჯახში ექვსი კარადა დგას წიგნებით გამოჭედილი. გია კი თურმე ლექსებს მაინც რვეულში იწერდა. ერთ-ერთის გარეკანზე აკაკის სტროფი ამოვიკითხე:

*თუ ჩემს სამშობლოს გამოაფხიზლებს*
*ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ.*
*მოდი, ჯალათო, შენი მახვილი,*
*შეუბრალებლად ზედ გულზე დამკარ!*

ეს იყო ბავშვის სულში აბობოქრებულ ომთან შერკინება... ბიჭი იტანჯებოდა იმჟამინდელი არეულობით...

### გზა გოლგოთისკენ

*ქალბატონი მზია (გიას დედა):* — სკოლა რომ დაამთავრა, დანგრეული რუსთაველის პროსპექტის აღდგენაზე დაიწყო მუშაობა. ჯერ არ მცალია, უმაღლესში მერე ჩავაბარებო. ზედმეტად მოწესრიგებული ბავშვი იყო. ყველაფერს გვითანხმებდა. უცბად გამომიცხადა, — დედა, საქმეზე მივდივარ და თუ ვერ დავბრუნდი, არ ინერვიულოო. პირადი ნივთები რომ ჩაალაგა, მივხვდი, ლაშქრობაზე არ მიდიოდა... რაიონის კომისარიატში გავვარდი. წვევამდელები უკვე გამანაწილებელ პუნქტში გადაეყვანათ. ვნახე, სიაში გიაც იყო. მოვძებნე და როგორღაც მოვახერხე დალაპარაკება: — შვილო, ჯარი კალათბურთის თამაში ხომ არ გგონია, თოფი ხელში არ გჭერია, რა გეშველება-მეთქი.

— საქმე მასწავლისო. თბილისში, სატანკო ნაწილში მოხვდა. უფროსი ძმა, მინდია ხშირად ნახულობდა. აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, უკითხავს მისთვის: — ომში მიდიან და რას მირჩევო. მინდიას რაღა კითხვა უნდოდა, თვითონაც იქ მიიწევდა.

გიამ მაინც დაასწრო. სოხუმიდან მირეკავდა: ახალწვეულები არ ვომობთ, აეროპორტს ვიცავთო. ამას თურმე ჩემს დასამშვიდებლად ამბობდა. ცეცხლის ხაზი ერთი წუთით არ მიუტოვებია.

### თანამებრძოლის ნაამბობი

„გაგრის ტრაგედიამ შეგვკრა. მოვიდა გია ერთხელ შტაბში. გულის ჯიბიდან რომელიღაც გაზეთი ამოიღო. ჩეჩენი ბოევიკი შეეპყროთ ჩვენებს. მისი დაკითხვის ოქმი იყო გამოქვეყნებული. წაგვიკითხა:

— სტადიონზე მშვიდობიანი მოსახლეობა რომ შერეკეს, რამდენი ადამიანი იქნებოდა?

— ოთხასამდე.

— ვინ გასცა დახვრეტის ბრძანება?

— ბასაევმა. კაზაკების ბატალიონი იდგა და აფხაზების, სულ სამი.

— ამბობენ, ცხედრებს თავებს კვეთდნენ და ფეხბურთს თამაშობდნენო, ეს შენი თვალით ნახე?

— დიახ! ბასაევი იდგა და ბრძანებებს იძლეოდა.

გია კედელს მიეყრდნო, ნელ-ნელა ჩაიკეცა... მერე წამოიმართა — ბიჭებო, აქედან 5-6 კილომეტრზეა არძინბას „დაჩა“. იქ მტრის დიდძალი არტილერიაა თავმოყრილი. ხვალ იერიშზე წავალთ!

ჩვენ შორის ის ყველაზე უმცროსი იყო და ყველაზე ჭკვიანიც...

ერთმანეთს შევფიცეთ!“

### შეწყვეტილი სიმღერა

*დედა:* — რაც ჯარში წავიდა, ოჯახში დუმილმა დაისადგურა. ადრე ყველანი ერთად ვმღეროდით. გია ვიოლინოზე დადიოდა. უმცროსი გოგონა მაშინ ექვსი წლის მყავდა. სამსახურში თან ვატარებდი. ერთხელ ჩემმა დირექტორმა მიუალერსა და უთხრა: თამუნა, ერთი შენებური წკრიალა ხმით გვიმღერე რამეო. ბავშვმა კალთაში ჩამიდო თავი და ატირდა: დედა აღარ მღერის, მე როგორ ვიმღერებო. გია დაღუპვამდე ერთი თვით ადრე თბილისში ჩამოვიდა რაღაც საქმეზე. ცოტა ხნით შინ შემოიარა. მიუჯდა პიანინოს, თბილისზე სიმღერას უკრავდა. მალ-მალე გადმომხედავდა, — დავიწყებდი თუ არა... ყელში ბურთი გამეჩხირა, ხმა ვერ ამოვიღე. დაუკრა და წავიდა. მას მერე ჩვენს ოჯახში აღარავის უმღერია...

### ზარი...

მინდიამ გვითხრა — მეც მივდივარო. ძმას დაუკავშირდა. გიამ — კომპოზიტორთა სახლში მომაკითხეო.

ახლა მამამისი აფორიაქდა. იმანაც აიკრა გუდა-ნაბადი.

— წადი, გერონტი, ერთ-ერთს მაინც გადაეფარები-მეთქი. ემზადებოდა. საღამოს ტელევიზორს ვუსმენდით. — გუმისთასთან ტანკი ააფეთქეს. ერთი დაიღუპა, ორი გადარჩაო — გადმოსცემდნენ ახალ ამბებში.

გულში რაღაც ჩამწყდა. მეორე დღეს მინდია სოხუმში გავაცილე. ქუჩაში ტირილით მოვდიოდი. მეგობარი ქალი შემხვდა — ცოცხლების ტირილი სად გაგონილაო. თურმე უნდა მეტირა... მთელი ღამე თამუნასაც ასთმური შეტევა ჰქონდა. ინტუიციით ყველა ვგრძნობდით, რომ ზეცა დაგვემხო.

...მებრძოლებმა ფიცი დადეს თურმე, იერიში მიიტანეს და არძინბას „დაჩა“ მიზანში ამოიღეს. მათგან მხოლოდ გიამ შეძლო ჩამოენგრია უბედურების ბუდე...

მაშინ გაუცია ბრძანება არძინბას: სამი შვიდიანი მომაცილეთო. დაიწყო ნადირობა ტანკზე 777! ბევრჯერ დაუსხლტა, ბოლოს მაინც მოიხელთეს. 28 ოქტომბერს მდინარეში შეუყვანიათ ტანკი, რეცხავდნენ. ორი თანამებრძოლი გარედან ასუფთავებდა, გია შიგნიდან. ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტით ააფეთქეს... ძმათა სასაფლაოზე დავკრძალეთ. იქამდე როგორ მივაღწიე, არ მახსოვს. გამოთხოვებისას მამამისი თუთიის სასახლეს დაემხო და ჩასძახა: გმადლობთ, შვილოო! მაშინ მოვედი გონს. ის აღარ არის, შენ კი მადლობას უხდი-მეთქი — შევღრიალე. გერონტი ფეხზე ძლივს იდგა, მაინც შემაშველა ხელი და ცრემლიანმა მითხრა: კარგი შვილის სახელი ის კი არ არის, დიდხანს რომ იცოცხლოს, მთავარია, რისთვის იცხოვრაო. მეც მადლობელი ვარ გიასი, თავჩაღუნული რომ არ მატარა, მაგრამ მის მერე ჩემი გული ზღვას ერევა.

**P.S.** კუბო მძიმე იყო ელდით და სევდით. ძლივს მიჰქონდათ მხრებით ჯარისკაცებს კუკიის აღმართზე. შიგ ცხედარი არ ესვენა — მხოლოდ ფერფლი და ძვლები... მერე აკაკანდნენ ავტომატები, ღრუბლები დაფლითეს, მიმოფანტეს. მზემ დალალები ჩამოშალა, გაათბო საფლავის მიწა, ფესვი მოუმაგრა ბალახს. გაზაფხულზე იქ უკვე ყაყაჩოების ცეცხლი ენთო...

*ეთერ თარიმანი*








# ამბები წარსულიდან



## ივერია

5 ნოემბერი 1887 წ.

### ახალი ამბავი

„ეს ყველამ იცის, რომ ტფილისში ვაჭრობა ძალიან დაცემულია. ამას თავისი მიზეზი აქვს და არა ერთი და ორი, არამედ მრავალი. უმთავრესი მიზეზი რასაკვირველია ის არის რომ ჩვენში ვაჭრობა ნამდვილს ალებ-მიცემობაზედ არ არის აშენებული, ვინც მეტს მოატყუებს, მეტსაც მოიგებს. ამგვარ ვაჭრობასაც თავისი საფუძველი აქვს. უწინ მდიდარი ხალხი ბევრი ჰყავნდა ტფილისსა, დიდკაცობა ბლომად იყო და იმათში ფულის ანგარიშს არავინ მისდევდა. აბა ვაჭარს წინ რა დაუდგებოდა ისეთი ფასი დაედო საქონლისათვის, როგორიც ენის წვერზედ მოადგებოდა. აი, სწორედ მაშინ გაიფლანგა მთელი საცხოვრებელი ჩვენის უდარდელის თავად-აზნაურობისა.

ახლა ის დრო წავიდა, ვაჭრობასა და ვაჭრებს ალებ-მიცემობის უცოდნელთ ფერი ეცვალათ. ყველას ეგონა, რაკი ვაჭრობა დაეცა, ტფილისის მნიშვნელობაც განქარწყლდება და ეს დედაქალაქიც ძლიერ დაეცემაო. მაგრამ დღევანდელი ყოფა-ცხოვრება სრულებითაც არ ეთანხმება ამგვარ მოლოდინს. ტფილისი დღე-დღეზე იზრდება და ისეთის სიმარდითა და ფეხაკრეფით, რომ საკვირველია სწორედ. დღეს დედაქალაქი თითქმის გაჭედილია ხალხით. სახლების ფასმაც აიწია. თითქმის ყოველ



ქუჩაზე რამდენიმე ახალი სახლი შენდება და მუშტრები წინადვე ახარბებენ სადგომის ფასსა და ეცილებიან ერთმანეთსა. არათუ შუა ქალაქში, მივარდნილ ქუჩებზედაც იშვიათია დღეს გაუქირავებელი ორი-სამი ოთახი ერთად.

...ამასთანავე ტფილისში იშვიათი სახლის პატრონი თუ მოგთხოვდათ სახლის ქირას თვის დამდეგსა, თორემ სხვა დროს მადლობელნი იყვნენ თუ თვის გასულს გაისტუმრებდით, ახლა კი თითქმის დაურღვეველ წესად შემოიღეს თვის დამდეგშივე გადაახდევინონ ფული მდგმურსა. ერთი სიტყვით, ტფილისი ძალიან წარმატებაშია ამ მხრივ და იმის მიზეზი კი ჯერ საკმარისად არავის გაეგება“.

2 ნოემბერი 1894 წ.

### უცხოეთის წვრილი ამბავი

„საფრანგეთის დეპუტატმა პლანიონმა პარლამენტს საერთო თხოვნა მიართვა, რომელზედაც მრავალთ მოუწერიათ ხელი. ეს თხოვნა იმას შეეხება რომ ან ალკრძალეთ კარსეთის ტარება, ან არადა გარდასახადი მაინც დაედოს ამ მავნებელ ნივთს ქალების მორთულობისასაო. ამის გამო პარიზის ჟურნალ-გაზეთობის წარმომადგენელნი შეეკითხნენ სხვადასხვა გამოჩენილ მკურნალებს, რომელთაგანაც ერთიერთმანეთის წინაალმდეგი პასუხი მიიღეს. ერთი ამტკიცებენ, რომ კარსეთი მარგებელიცაა, თუ კარგად არის გაკეთებული და ძალიან მაგრად არა აქვს მოჭერილიო, მეორენი აღიარებენ, რომ კარსეთი ყოვლად მავნებელიაო.

საყურადღებოა აქვე აღვნიშნოთ, რომ პარიზში კარსეთებს 98 ქარხანა და 480 კერძო ხალხნი აკეთებენ. ყოველ წლივ 80 მილიონი კარსეთი იყიდება საფრანგეთის ქარხნების გაკეთებული და მილიონამდე გერმანიის კარსეთი... თითო ღირს 12 მანეთიდან 120 მანეთამდე. მაშასადამე, კარსეთებზედ რომ გარდასახადი იქმნას დადებული, სახელმწიფო ხაზინას საკმაო შემოსავალი ექმნება.“



7 ნოემბერი 1887 წ.

### წვრილი ამბავი

„მექსიკაში ერთ თვალხარბ მესაფლავეს შემდეგი უბედურება დამართნია: ამ კაცს შეუმჩნევია ახალი ფრაკი ერთი ახალი მკვდრისთვის და დამარხვის ღამესვე ამოუთხრია საფლავი, მაგრამ მკვდარს ნება არ მიუცია, რომ გაეძარცვა იგი. როცა მესაფლავეს გაშეშებული ხელები გაუხსნია მკვდრისთვის ფრაკის გასახდელად, მკვდრის ხელები შემორტყმია უბედურ მესაფლავეს და ისე შემოჰხვევია, რომ მეორე დღეს ცოცხალ-მკვდარი ნახეს მესაფლავე. არ გასულა რამდენიმე დღე და მესაფლავემ ველარ იცოცხლა თურმე ამ უბედურების შემდეგ“.



*რუბრიკა მოამზადა ნინო კურტანიძემ*

## დროება

8 სექტემბერი 1874 წ.

### ნარევი

„ბაყაყი რომ მოკლა, მაშინვე წვიმა მოვაო, იციან სოფელში. რას გვიკეთებენ ამდენი ბაყაყები. დავხოცოთ ზოგიერთები, მაინც ბევრი დარჩება. მარტო ქუთაისის ბულვარის ბაყაყები იქნება საკმაო, რომ ერთი ტფილისი მოირწყას წვიმით, რომ ასე საშინელი მტვერია.“

* * *

„მეგრელს რომ ჰკითხო, რა უფრო გიყვარსო, გეტყვით: მე პერტენი, ქალამანი, ქურდობია, ჭამობია და ძინობია;

გურულს — წულა, „ელელი, კაი მაჭახელაი და მისი ჯანი“;

იმერელს — ოქროს ქილები, კაპოეტი მიმინო და მწევარ-მეძებარი;

აფხაზს — ბუზმენტებიანი მესტები, „ქოსხაპი და დოლური“ (იცეკვე და მოკვდი);

ქართლელს — კრივი, გონება, თუნგი ღვინო და ჯამი ხელში;

სომეხს — „ფულმა“, ზურნა და დიპლიპიტო;

რაჭველს — ლორი და ზაზანდარი;

ახალგაზრდა ქალს — სარკე და საარშიყო ლექსები“.



* * *

„პარიჟში ისეთი დიდი ვირთაგვები გაჩენილან, რომ ვერც კატები ვერც მონადირე ძაღლები ვერ ეკარებიან. ეს თაგვები განსაკუთრებით იმ არხებში და თხრილებში გამრავლებულა თურმე, რომელიც პარიჟის მიწის ქვეშ არის გაყვანილი. ამათ „რუსის თაგვებს“ ეძახიან“.





496 გვერდი,
რბილი გარეკანი, ფასი: **12** ლ.
544 გვერდი,
ფოტოჩანართით, მაგარი გარეკანი, ფასი: **18** ლ.

საქართველოს უახლესი ისტორიიდან

წიგნი შეუკვეთეთ ტ: 42-43-40; 38-26-73
და მიიღეთ სახლში, ფასნამატის გარეშე

# 13-დან 19-მდე

# როცა გოგო ბიჭის „დათრევაზე“ ფიქრობს, ბიჭი რატომ შეიწუხებს თავს?!

*22 წლის, ზოდიაქო — სასწორი (წლით — ვირთხა); უყვარს მეგობრებთან ურთიერთობა. ეზარება დილით ადრე ადგომა, მით უმეტეს, ახლა, როცა მანქანა გაყიდა. ადამიანებს ვერ აპატიებს ღალატსა და ტყუილს. თავად მაშინ იტყუება, როცა შინ მისვლა აგვიანდება, ამბობს, გადაღებაზე ვიყავიო. ტელეფონზე ყველაზე ხშირად ურეკავს თავის დაქალს, გვანცა ტულუშს.*

*„პირველი სტერეოს“ წამყვანის (გადაცემა „ალო“ და „პიროვნება“ მიჰყავს) თამუნა მუსერიძის თინეიჯერული დოსიე ასეთია: აჩი ფურცელაძის ყოფილი მეუღლე, საინტერესო ადამიანი, იცვამს ლამაზად, არასოდეს ცდილობს შენიშვნა მისცეს ვინმეს, პირიქით...*

*თამუნამ თინეიჯერებზე ბევრი რამ იცის, მათაც არანაკლები — თამუნაზე, მაგრამ არის კითხვები, რომელთაც თამუნა პირდაპირ ეთერში ვერ პასუხობს. მაგალითად, ვის აკოცა პირველად, რატომ დაშორდა აჩის და ა.შ. რუბრიკა „13-დან 19-მდე“ გთავაზობთ თამუნა მუსერიძის გულწრფელ ინტერვიუს.*

— **რას გულისხმობს შენი ნათქვამი, თინეიჯერებს გაშიფრული ადამიანები აინტერესებთო?**

— გაშიფრულში პირადი ცხოვრება ვიგულისხმე: ჰყავს თუ არა შეყვარებული, ვის აკოცა პირველად, სად, როდის, როგორ და ა.შ. ცდილობენ, ცნობილ ადამიანებს მიჰბაძონ ყველაფერში. ვერ ხვდებიან, რომ ყველამ თავისი ცხოვრებით უნდა იცხოვროს. მაგალითად, ამ ბოლო დროს თინეიჯერებში ძალზე პოპულარული იყო ჩელე (ყოფილი „ჯეობარელი“. — ავტ.) და მხოლოდ იმიტომ, რომ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს, ბევრმა გადაწყვიტა სამსახიობოზე ჩაბარება. ამით „ჩელეები“ ხომ ვერ გახდებიან? რამდენჯერაც გადაცემა სწავლა-განათლებას დავუთმე, იმდენჯერ ჩამივარდა. ელემენტარული რაღაცები არ იცოდნენ, — ვინ არის ნესტან-დარეჯანი, ვერ დაასახელეს გალაკტიონის ერთი ლექსი და ა.შ. რა თქმა უნდა, ყველაზე ამას ვერ ვიტყვით. — არიან მათ შორის ძალიან კარგებიც, მაგრამ მაინც, — უმრავლესობა არ ფიქრობს სწავლაზე. სულ სხვა რამ აინტერესებთ. რატომღაც ჰგონიათ, ნაკლად ჩაეთვლებათ, შეყვარებული თუ არ ეყოლებათ. მეც ვიყავი 13-14 წლის, მაგრამ ვინმესთვის რომ მეკოცნა, ამაზე როგორ ვიფიქრებდი. შეყვარებულები ჩემს თანაკლასელებსაც ჰყავდათ, მაგრამ ათი-თხუთმეტი შეყვარებულის გამოცვლა ნამდვილად წარმოუდგენელი იყო. სერიალმა „მეამბოხე სულები“, ვფიქრობ, ძალიან ბევრი რამ მოანდომა ქართველ თინეიჯერებს, არადა იმ მოზარდების (ფილმის გმირების) მიბაძვა, რომლებიც 13-15 წლის ასაკში სექსუალურ ცხოვრებას იწყებენ, ნამდვილად არ ღირს. თანაც ეს ხომ კინოა. არადა, ჩვენში არც ისე სახარბიელო სიტუაციაა ამ მხრივ.

— **საიდან იცი, მგონი, არავინ დაინტერესებულა თინეიჯერების სექსუალური ცხოვრებით...**

— სტატისტიკაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებმა ფარული კამერით გადაიღეს თბილისის ერთ-ერთი სკოლის ტუალეტის „ამბები“ და ვერ წარმოიდგენთ, რაზე ლაპარაკობენ მერვე-მეცხრეკლასელი გოგონები: საინტერესო იყო კითხვებიც, მოგეწონა, გუშინ იმ ბიჭთან რომ იყავი? პლანი რომ მოსწიე, მაგარი იყო ხომ?..

— **თამუნა, როგორც ვიცი, თინეიჯერები ხშირად საიდუმლოსაც განდობენ, მაგავს პრობლემაზე თუ უსაუბრიათ შენთან?**

— 15 წლის გოგონა მირეკავდა და მიყვებოდა თავის ამბებს. ერთხელაც დამირეკა, თუ ახლავე ჩემთან არ მოხვალ, თავს მოვიკლავ, ფანჯრიდან გადავხტებიო. თურმე შეყვარებულმა შეაცდინა და არავინ ჰყავდა გვერდით, ვისგანაც რჩევას მიიღებდა. აი, ასეთი გოგონების „მეგობარი ფსიქოლოგიც“ ვარ.

— **გადაცემის თემებს რის მიხედვით არჩევ?**

— სხვათა შორის, რამდენჯერმე ვცადე საინტერესო თემა შემერჩია, მაგრამ მაინც სიყვარულზე მსჯელობა შეგვრჩებოდა ხოლმე ხელთ. ერთხელ



14 წლის გოგონამ შემოგვთავაზა თემა: „სად გსურთ, რომ გქონდეთ სექსი“... ვერ აგიხსნით, რა მოხდა, ეს-ემ-ესების რაოდენობამ რეკორდი მოხსნა. ზოგი წერდა ტყეშიო, ზოგმა — სახურავზეო, სხვებს, უბრალოდ, ვერც გავიმეორებ.

— **შენი ჩაცმის სტილი და ვარცხნილობა თუ მოსწონთ?**

— საქართველოში ყველას ერთნაირად აცვია. ოდნავ განსხვავებულად რომ ჩაიცვა, აუცილებლად უარყოფით ემოციას იწვევ. ერთხელ საზღვარგარეთიდან ჩამომიტანეს ვერცხლისფერი შარვალი და მაისური. მიმაჩნდა, რომ ორიგინალური იყო, მაგრამ ეს-ემ-ესებით მომწერეს „ნინა რიჩის“ მოდელზე, რა გოიმურია, არ გიხდება ასეთი ტანსაცმელიო. ამის გამო არ ვკომპლექსდები, პირიქით, ვცდილობ ეთერში ყოველდღე ახალი მეცვას, თუნდაც იმიტომ, რომ მიეჩვიონ მრავალფეროვნებას. „იმ გოგონას რომ აცვია, ზუსტად ის მინდა“, — ეს რომ არ თქვან, სხვადასხვა სტილს ვირგებ.

— **თინეიჯერული მეგობრობა როგორია?**

— თუ ეს-ემ-ესებით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, მეგობრობა არ იციან. ბევრი ეს-ემ-ესი ამ შინაარსისაა: „შემიყვარდა ჩემი დაქალის შეყვარებული და არ ვიცი რა ვქნა“. თუკი დაქალია, ე.ი. ფაქტობრივად და არის, დები კი ერთმანეთს შეყვარებულებს არ „ახევენ“. ჩემი აზრით, ეს არასრულფასოვნების კომპლექსის რაღაცნაირი გამოხატვაა. ხედავენ, რომ მეგობარი კარგად არის ვილაცასთან და ფიქრობენ, რატომ არ შეიძლება მეც ასევე ვიყოო, მაგრამ ახალ ობიექტს კი არ ეძებენ, დაქალის შეყვარებულზე უჭირავთ თვალი.

— **არ გეკითხებიან, ვის აკოცე პირველად, სიყვარულით გათხოვდი თუ არა, რატომ დაგენგრა ოჯახი?..**

— რა თქმა უნდა, მეკითხებიან, მაგრამ გადაცემა ჩემს პირად ცხოვრებაზე კი არა, მათზეა, ამიტომაც არც და ვერც ვუპასუხებ.

— **იგივე კითხვები რომ დაგისვა, რამდენად გულწრფელი იქნები?**

— ჩემი პირველი კოცნა პირველ სიყვარულს უკავშირდება. 3 წელი გვიყვარდა ერთმანეთი. წლინახევრის შემდეგ (17 წლის ვიყავი მაშინ) გავბედეთ და ვაკოცეთ ერთმანეთს. იმდენად განვიცადე, ისე ვინერვიულე, რომ შინ როლინგის ყელი მქონდა ტუჩებზე აფარებული. ასე მეგონა, ყველა მიხვდებოდა. იმ ბიჭმა კი საჩუქრები მომიტანა, ამდენი არ ინერვიულოო. მოკლედ, უცხო ხილი კარგი იყო, მაგრამ სიხარულს იმის შიშმა სძლია, უფროსებს არ გაეგოთ. პირველი კოცნა და პირველი სიყვარული მოგონებად დარჩა ჩვენს ურთიერთობაში. უფროსები უხეშად ჩაერივნენ, ჩვენ კი ძალა არ გვეყო, რომ ჩვენი სიყვარულისთვის გვებრძოლა.

— **თამუნამ როგორ მოახერხა პირველი სიყვარულის დავიწყება?**

— ისეთი ტრავმირებული ვიყავი, ოთხი წელი დამჭირდა, რომ მდგომარეობიდან გამოვსულიყავი. ბიჭებს აღარ ვენდობოდი, მათკენ გახედვის სურვილიც კი არ მქონდა. ადამიანი, რომელმაც აზრი შემაცვლევინა მამაკაცებზე, ჩემი მეუღლე, აჩი ფურცელაძე გახლდათ. რომ არა აჩი, ვერ გეტყვით, დღეს როგორი ვიქნებოდი.

— **და მაინც ვერააწყვეთ ურთიერთობა, რატომ?**

— ალბათ, იმიტომ, რომ ერთნაირები ვიყავით. ისიც კი ვიცოდით, როდის რას ვიტყოდით, რა იქნებოდა მომდევნო სიტყვა. მივხვდით, რომ მეგობრობა უკეთ გამოგვდიოდა, ვიდრე ცოლქმრობა. სხვათა შორის, 20 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი, მაგრამ ეს ასაკი მაინც არ არის მისაღები ცოლქმრული ურთიერთობის დასაწყებად.

— **რჩევები ამ საკითხშიც გექნება.**

— რჩევების რა გითხრათ, მაგრამ ახალგაზრდები იმის გამო, რომ მშობლების „კლანჭებს“ დაუსხლტნენ, შეზღუდვები თავიდან აიცილონ, ოჯახს ქმნიან. დიდ ნაწილს სექსუალური ცხოვრება აინტერესებს. რადგან ჩვენთან ქორწინებამდელი კავშირი მიღებული არ არის, გერლფრენდ-ბოიფრენდების ინსტიტუტი არ არსებობს, სხვა გამოსავალს ვერ ხედავენ. სტატისტიკა კი ხედავთ როგორია, — ჩემ გარშემო ვინც გათხოვდა, ყველა გამოთხოვდა; ზოგმა ქმარს ვერ გაუგო, ზოგმა დედამთილს... ძირითადად, დედამთილებს ვერ უგებენ თინეიჯერი რძლები. როცა გავთხოვდი, ზუსტად ვიცოდი, სად მივდიოდი, ვისთან ვიცხოვრებდი და ყველაფერში ანგარიშს ვუწევდი ჩემს დედამთილს, რომელიც ძალიან კარგი ადამიანია. ჩვენ დღესაც კარგი ურთიერთობა გვაქვს.

— **თითქოს განსხვავებული ხარ სხვებისგან, მაგრამ რატომ იგივე ფინალი?..**

— არასოდეს გვიჩხუბია, მშვიდად დავშორდით ერთმანეთს. მე დედაჩემთან ვიყავი, აჩიმ მითხრა, საქმეზე მივდივარო. აღმოჩნდა, რომ „სხვა საქმეზე“ იყო წასული. დავურეკე, მოდიმეთქი და მოვიდა. ავუხსენი, რომ ჩვენი ერთად ყოფნა არ გამოვიდოდა. შესაძლოა, ვიჩქარე... ახლა რომ ვუყურებ, ოჯახების უმეტესობაში არც ცოლი ერიდება ღალატს და არც ქმარი, მაგრამ მაინც ერთად ცხოვრობენ. ასეთი რამ მაშინ ვერც წარმომედგინა. არც ახლა ვფიქრობ, რომ ოჯახი გართობაა.

— **გართობაზე გამახსენდა, როგორ ერთობი?**

— სიმართლე გითხრა, ვერ ვერთობი, მიუხედავად იმისა, რომ კლუბებშიც დავდივარ, არ ვსვამ, არ ვეწევი და ცხოვრებაში „ექსტაზი“ არ გამისინჯავს... ახალგაზრდებს ჰგონიათ, თუ გაითიშებიან, ე.ი. კარგად ერთობიან. ამ ბოლო დროს შემოვიდა ჟარგონი — „გასული ვარ“ ანუ აქ არ არის, სადღაც დაქრის. მეგობრების წრეში, ფხიზელ ადამიანებთან უკეთესად ვერთობი.

— **შენზე ჭორაობენ, აჩის მერე არაოფიციალურად ორჯერ იყო გათხოვილიო.**

— (იცინის) შარშან გავშორდი და ერთი წლის განმავლობაში ორჯერ გათხოვებას როგორ მოვასწრებდი?

— **აჩის ამბები გაინტერესებს?**

— ყოველდღიურად ვეკონტაქტებით ერთმანეთს, მის შესახებ ყველაფერი ვიცი. ჩვენ მეგობრები ვართ.

— **თქვენს ურთიერთობას აქტიურმა გოგონებმაც ხომ არ ავნეს?**

— აქტიური გოგონა ცუდი არ არის, მაგრამ ზედმეტებში გადასვლა, მგონი, გოგოს არ უხდება. 24 საათის განმავლობაში, ღამის 3-4 საათზე დარეკვა ბიჭთან მოსაწონი არ არის. აჩის ჰყავდა ასეთი რამდენიმე, ვინც მთელი დღე და ღამე ურეკავდა, უმესიჯებდა. იცოდნენ, რომ ცოლი ჰყავდა, მაგრამ მაინც. ჩემთვის ასეთი რამ აუტანელი იყო. დღეს იმდენად აქტიურები არიან თინეიჯერი გოგონები, ბიჭებს აქტიურობა არ სჭირდებათ. როცა გოგო ბიჭის „დათრევაზე“ ფიქრობს, ბიჭი რატომ შეიწუხებს თავს?!

## გამოხმაურება

*წინა ნომერში „X მენის“ სახელით 18 წლის ახალგაზრდამ „გულახდილთა კლუბისგან“ რჩევა ითხოვა. აინტერესებდა, შეიძლება თუ არა უყვარდეს გოგონას, რომელსაც მხოლოდ ტელეფონით იცნობს, ანუ უმესიჯებს.*

*თინეიჯერებს არ გაჰკვირვებიათ, რომ „X მენს“ გოგონას გულწრფელობა ეეჭვება. უმრავლესობამ ურჩია კიდეც, რაც შეიძლება მალე გაიცნოს გოგონა, რათა მოჩვენებითმა გრძნობამ არ დატანჯოს.*

*გთავაზობთ რამდენიმე ეს-ემ-ესს:*



„X მენ“, არ შეიძლება იმ გოგოს უყვარდე. მეც მეგონა, მიყვარდა ბიჭი, რომელსაც ვემესიჯებოდი, მაგრამ ეს მხოლოდ გატაცება აღმოჩნდა. კარგი იქნება, თუ ერთმანეთს შეხვდებით და ილაპარაკებთ.

***თაკო, 15 წლის***

„X მენ“! არავის დაუჯერო, ნამდვილად არსებობს ვირტუალური სიყვარული, ამას ჩემი გამოცდილებით გეუბნები. თუმცა სანამ სერიოზულ ამბავში გადახვალთ, სჯობია, შეხვდე და გარეგნულადაც შეაფასოთ ერთმანეთი.

***თამუნა, 16 წლის***

ჩემი აზრით, შესაძლებელია. ასე მეც ბევრი გამიცნია, შევჩვევივარ და დღემდე ვმეგობრობ მათთან; ამას წინათ ჩატით ვიპოვე სიყვარული. ახლა გავიგე ნამდვილი სიყვარულის ფასი, ბედნიერი ვარ... რა იცი, რა ხდება, გაიცანი რეალში. წარმატებებს გისურვებ, ძამიკო.

***მეამბოხე, 16 წლის***

მეც მქონდა მსგავსი შემთხვევა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ 8 წლის შემდეგ ვნახე. აუცილებლად დაიყოლიე შეხვედრაზე. ეს ბევრ რამეში დაგეხმარება, გაგარკვევს.

***ლაშა, 20 წლის***

„X მენს“ მინდა ვუთხრა, ეგ უბრალოდ შეჩვევაა. მეც იმავე სიტუაციაში ვარ, ბიჭს ტელეფონით ვიცნობ და ველარ ველევი. თავიდან ვერთობოდი, მაგრამ ახლა სულ იმაზე ვფიქრობ. ისე, ერთს გირჩევ, სანამ გვიან არ არის, შეხვდი, თორემ ჩემსავით ფიქრი გაგაგიჟებს. ჯერ არ მინახავს და ყველაზე კარგი მგონია, მაგრამ რა ვიცი როგორია...

***მ., 17 წლის***



## გულახდილთა კლუბი

## წამიერი გატაცება თუ სიყვარული

— დიდი ხანია ამ კითხვაზე პასუხს ვეძებ. ჩემი აზრით, სიყვარული არ არსებობს, ყველაფერი წამიერი გატაცებაა და მეტი არაფერი. ვინც არ მეთანხმება, ვთხოვ, მიპასუხონ, და ამიხსნან, რა მიაჩნიათ ნამდვილ სიყვარულად, როგორ ხვდებიან, რომ უყვართ.

***ანკა, 15 წლის***

*რუბრიკა მოამზადა ინგა უბილავამ*
*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 22-52-15*





# ნახე ახალი „ბარი“!

წაიკითხე ყველაფერი ჯეობარზე, ჯეობარელებსა და შოუბიზნესის ვარსკვლავებზე. იყავი მუდმივად ახალი ამბების ეპიცენტრში. იმესიჯე თანატოლებთან და გაიჩინე ახალი მეგობრები. მოიგე საყვარელი სიმღერების ნაკრები. ამისათვის გისვამთ კითხვას: რა ჭორები გსმენიათ თაკო მუსერიძეზე?

საუკეთესო SMS-ის ავტორი მოიგებს CD-ს.

*წესი: აკრიფე სიტყვა **Show**, გამოტოვე ადგილი და დაწერე ტექსტი (მაგალითად, **Show** თაკოს კოტე თოლორაია უყვარს), შემდეგ გამოგზავნე ნომერზე: 8885 მაგთიდან და ჯეოსელიდან.*

# თანამედროვე კონკია



რუმინელ ფლორიან მაზილეს ქორწილის წინადღეს საცოლე გაექცა. მიტოვებული საქმრო საგონებელში ჩავარდა, აღარ იცოდა რა ექნა, სტუმრები მიწვეული ჰყავდა, საქორწინო ბეჭედი — ნაყიდი და გულის გასახეთქად მის საძინებელში თეთრი საპატარძლო კაბაც ეკიდა. განრისხებული უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მოღალატე საცოლეს, რომელიც უკვე სხვა მამაკაცის მკლავებში ნებივრობდა. უცებ თავში გენიალურმა აზრმა გაუელვა — მეზობლებში გამოაცხადა, დღესვე ცოლად შევირთავ იმას, ვისაც ბეჭედი და საქორწინო კაბა მოერგება. აფორიაქდნენ მეზობელი ქალები, დატრიალდნენ გასათხოვარი ქალიშვილების დედები, ყველას უნდოდა, ბედი ეცადა, მით უმეტეს, რომ ფლორიანი არც გარეგნობით დაიწუნებოდა და არც ქონებით. ახალი საპატარძლო აღმოჩნდა 21 წლის მშვენიერი ანა-მარია, რომელსაც თურმე ფარულად გული შევარდნოდა ფლორიანზე და ახლა გაუმართლა — მას ზუსტად მოერგო საქორწინო კაბაც და ბეჭედიც.

*ნოვიე იზვესტია*

# სასტუმრო „კალაშნიკოვი"

ცნობილ ადამიანებს ძეგლს უდგამენ მშობლიურ ქალაქში, მაგრამ ის, რაც იჟევსკელებმა მოიფიქრეს, მართლაც უჩვეულო და ორიგინალურია. ცნობილია, რომ იჟევსკი გახლავთ „კალაშნიკოვის" ავტომატის სამშობლო. ამ ავტომატის წყალობითა და დახმარებით „დიდმა რუსეთმა" არაერთ ქვეყანაში მოაწყო „განმათავისუფლებელი" რევოლუცია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მას მადლიერმა რუსებმა ძეგლი დაუდგან, უფრო ზუსტად, ძეგლი კი არა... სასტუმრო.



იჟევსკში დაიწყეს „კალაშნიკოვის" ავტომატის ფორმის 4-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა. სასტუმრო 24-სართულიანი იქნება და 10 ათას კვმ-ს დაიჭერს. შენობის ფუნდამენტის ქვეშ, ხელოვნურ ტბაში, გათვალისწინებულია ხელოვნური კუნძულის აგება, ტბასაც და კუნძულსაც ავტომატის ფორმა ექნებათ.

*ტაიმი*

# ინგლისში შუშხუნა არაყი გამოიგონეს

მაგარი სასმელების, კერძოდ, არყის მოყვარულები ალბათ ვერც იოცნებებდნენ, რომ ოდესმე გასაყიდად გამოვიდოდა „გაზიანი არაყი".

40-გრადუსიანი სასმელი-საოცრების შექმნას 18 თვე დასჭირდა. ის დამზადებულია მაღალი ხარისხის სპირტისაგან. შუშხუნა არაყი უკვე იყიდება ევროპის ქვეყნებში, კანადასა და აშშ-ში კი გაისად გამოჩნდება.

*ოჯი*

# აბრამოვიჩი ნერვებს მკურნალობს



ჩუკოტკის გუბერნატორმა რომან აბრამოვიჩმა ავსტრიის გამაჯანსაღებელ ცენტრ „ლანზერჰოფში" ათი დღე დაყო. ცენტრის ანონიმურმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ საფეხბურთო კლუბ „ჩელსის" მფლობელმა უამრავი პროცედურა ჩაიტარა „ნერვული დაძაბულობის მოსახსნელად". ცენტრში ცხოვრებისა და მკურნალობისთვის დაახლოებით 1,1 მლნ დოლარი გადაიხადა. რომან აბრამოვიჩის პრესმდივანი ჯონ მანი ამტკიცებს, რომ „ლანზერჰოფში" მისი ბოსი სამკურნალოდ კი არა, შვებულების გასატარებლად იმყოფებოდა.

*ორაკული*

# ნუდისტი პროკურორი

გასაგებია და უკვე მისაღებიც, როცა პლაჟებზე მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე თავისუფლად დასეირნობენ ნუდისტები. მართალია, ზოგ ქვეყანაში ქუჩაშიც მოინდომეს დედიშობილა გასეირნება და აქციებიც მოაწყვეს, მაგრამ პოლიციამ სასწრაფოდ აღკვეთა ადამისა და ევას მიმდევრების ქუჩებში გამოჩენა. მაგრამ რა ვუყოთ, როცა თავად კანონის წარმომადგენლებს აქვთ ასეთი ჰობი?

აშშ-ის ორეგონის შტატის ქალაქ ჰამულგონში ცხოვრობს 35 წლის სკოტ ბლოკეტი, რომელიც ნუდიზმის ფარული მიმდევარია. საქმე ის გახლავთ, რომ სკოტ ბლოკეტი ამ შტატის პროკურორია და მისი ჰობი საყოველთაო მსჯელობის საგანი გახდა — სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს პროკურორი, რომელიც არასამუშაო საათებში პროკურატურის შენობაში დედიშობილა დასეირნობდა. პატივცემული პროკურორი დააპატიმრეს საზოგადოებრივ დაწესებულებაში უზნეო ქცევის ბრალდებით, თუმცა მოგვიანებით — გაათავისუფლეს. ბლოკეტის თანამშრომლებს უკვირთ მისი ასეთი გამოხდომა და განაცხადეს, პროკურორი ორი წლის წინ სერიოზულ ავტოკატასტროფაში მოყვა და შესაძლოა, ეს უცნაურობა მას შემდეგ დასჩემდაო.



*მონდი*

# იმრავლეთ და გაიხარეთ!

რამდენიმე დღის წინ ირანის პრეზიდენტმა თავის ხალხს უჩვეულო, ორიგინალური წინადადებით მიმართა:

— უმოკლეს დროში ჩვენი მოსახლეობა 120 მილიონამდე უნდა გავზარდოთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიცავს ირანი ხელყოფისაგან თავის „მშვიდობიან" ატომს, თუკი საკმარისი რაოდენობის ჯარისკაცი ეყოლებაო. პრეზიდენტმა ირანელ ქალებს შესთავაზა, ნაკლები იმუშაონ და მეტი ყურადღებით მოეკიდონ ოჯახს. ექსტრავაგანტური მმართველი არ უარყოფს, რომ უპირატესობა ბიჭების დაბადებას ენიჭება. სწორედ მათ უნდა დაიცვან რევოლუციის მონაპოვარი. ირანის პრეზიდენტის ეს ინიციატივა საზოგადოებრიობამ საყოველთაო ერთსულოვნებით არ მიიღო. ფემინისტები აღშფოთდნენ და საპროტესტო აქციებს მართავენ ირანელი ქალების დასაცავად, რომლებიც ისედაც უუფლებონი არიან და ახლა შინ გამოკეტვა ემუქრებათ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აჰმადინეჟადის წინადადება ეწინააღმდეგება ირანის ოფიციალურ პოლიტიკას, რომლის თანახმადაც ამ ქვეყანაში თითოეულ ოჯახს ორ შვილზე მეტი არ უნდა ჰყავდეს. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი პრეზიდენტი მაინც შეძლებს თავისი ინიციატივის დაკანონებას — რამდენიმე წლის შემდეგ ირანელები ირანში ველარ დაეტევიან და ბუნებრივია, რომ მეზობელი ქვეყნებისაკენ გაექცევათ თვალი.

*ოტდოხნი!*

# ასე იყენებენ მონეტებს

● საფრანგეთში ბრუნვიდან ამოღებული მონეტებით უთოებს და წყალგაყვანილობის ონკანებს აკეთებდნენ.



● დომინიკის რესპუბლიკაში დღემდე ფულს საქონლის ასაწონად იყენებენ.

● ბევრმა არ იცის, რომ ლენინის და კრუპსკაიას საქორწინო ბეჭდები სპილენძის ხუთკაპიკიანებისგან იყო გამოჭედილი.

● ოქროს მონეტებს იმ ინგლისელ მფრინავებს ურიგებდნენ, რომლებიც კოსოვოს ბომბავდნენ. მონეტებს ახლდა წერილები სერბულ ენაზე, რომელშიც ითხოვდნენ, არ მოეკლათ მფრინავი, თუ მისი თვითმფრინავი ჩამოვარდებოდა, სანაცვლოდ კი აეღოთ ოქროს მონეტები.

● სუვოროვის ჯარისკაცები მონეტებს მედლებად იყენებდნენ.

● ახლახან იაპონიაში, ბავშვების მიერ შეგროვილი მონეტებით მსოფლიოს უდიდესი ზარები ჩამოასხეს, ერთი მათგანი ნიუ-იორკშია.

● ფეხბურთის მსაჯები თამაშის დაწყების წინ კარის ასარჩევად დღემდე მონეტას იყენებენ.

● გერმანელები მონეტით ლუდის ხარისხს ადგენენ: მონეტას ლუდიანი ტოლჩის ქაფზე დებენ, თუ არ ჩაიძირა, ე.ი. ლუდი „ნამდვილია".

● ჩვეულებრივი მონეტებით ასწორებენ მსოფლიოში ცნობილ საათს ბიგ-ბენს. თუ საათი ჩამორჩა ან წინ წავიდა, მისი მთავარი მცველი მონეტით ისრის მოძრაობას არეგულირებს.

*ნიუს რუ*

# ურჩები საღორეში!

რუმინეთის ერთ სკოლაში თავნება თინეიჯერებთან ბრძოლის ორიგინალური ხერხი მოიგონეს. გაკვეთილების უმიზეზოდ გამცდენები საღორის დასალაგებლად მიჰყავთ, რადგან „ტრადიციული სასჯელები, დღიურში ჩანაწერები, დარიგებები და — ა.შ. მოსწავლეებზე აღარ მოქმედებს", — წუხან პედაგოგები. მათ მშობლებთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტეს დამნაშავეთა ამგვარად დასჯა. „ამან უნდა აიძულოს ისინი, უმიზეზოდ არ გააცდინონ გაკვეთილები. არცთუ ისე სუფთა სამუშაოს გარდა მათ თანაკლასელების აღმაცერი შემოხედვის ატანაც მოუწევთ. ასეთი მეთოდით არა მარტო დასწრებას გავაუმჯობესებთ, არამედ თვალნათლივ დავანახვებთ ახალგაზრდებს, როგორი მომავალი ელოდებათ, თუ ახლავე არ მოეგებიან გონს", — ასკვნის სასწავლებლის დირექტორი დენ მაგერინი.



*დენგი*

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ბენჟამინ ფრანკლინის სიტყვებს ამოიკითხავთ.




**შ.** პოლონელი კომპოზიტორი; **ე.** ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში; **რ.** შიში ცვლილების, სიახლის წინაშე; **ი.** აზნაურის ტიტული ესპანეთში; **გ.** კურკოვანი ხილი; **ე.** ღომში ჩახარშული სულგუნი; **ბ.** ოპტიკური ხელსაწყო; **უ.** მამალი ცხენი; **ლ.** დიდი ნაბიჯი; **ი.** ნარნარი ფრენა; **მ.** მავნებელი მწერი, ბოსტანა; **ტ.** ცენტრალური ნერვული სისტემა; **ე.** უეცარი შიში; **რ.** აშშ-ის ექსპრეზიდენტი; **ი.** ქრისტეს გამყიდველი; **ო.** კრების მსვლელობის ჩანაწერი; **რ.** დროის მონაკვეთი კრივში; **მ.** დიდი ნემსი; **ა.** რაიმეთი თავდავიწყებით გატაცება; **გ.** ქვეწარმავლის შხამი; **ი.** განათლება მიიღო, ანუ...; **მ.** გულუბრყვილო; **ტ.** სასული; **ე.** ძვ. ბერძენი დრამატურგი, „ტრაგედიის მამა"; **რ.** საკვების ნორმა გარკვეული ვადისთვის; **ი.** იაპონური დეკორატიული ხელოვნება; **ა.** მოწყობილობა ცხენის სამართავად; **ო.** ფეხმძიმე.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
1. პლედი-ლედი; 2. კორდი-კოდი; 3. ზერო-ზრო; 4. მზე-მე; 5. ილიონი-ლიონი; 6. მადლი-მალი; 7. კიევი-კივი; 8. ნანტი-ნატი; 9. ტიტრი-ტირი; 10. პიერო-პერო.

**FRESH** – ის სიტყვა-გასაღებია „პრეზიდენტი".

# თქვენთვის, ბატონებო!

## სიყვარული მესიჯებით





ვფიქრობდი, იმდენნაირი სასიყვარულო ამბავი მსმენია, რაღა გამაკვირვებს-მეთქი, მაგრამ სალომეს და გურამის ნაამბობმა მართლაც განმაცვიფრა და გამახარა. ამას წინათ ორივე რედაქციაში მესტუმრა.

*გურამი:* პატარა ბიჭი აღარ ვარ, დეკემბრის ბოლოს 34 წლის ვხდები, მაგრამ ძალიან მომინდა ჩვენი უცნაური ურთიერთობისა და სიყვარულის ამბავი თქვენი გაზეთით მოგვეთხრო. ჩვენი ურთიერთობა მესიჯებით დაიწყო.

*სალომე:* ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ უცხო კაცი თუ მესიჯებით შემიყვარდებოდა, ვერასოდეს. ბოლოს, იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ ვეხვეწებოდი, — დამენახვე, ნუ გეშინია, ისე მიყვარხარ, გარეგნობას არ დაგიწუნებ-მეთქი. ის კი ხან რას მოიმიზეზებდა, ხან რას. ბოლოს დავეჭვდი — პატიმარი ხომ არ არის-მეთქი, რადგან გურამმა დილა, შუადღე და განთიადი არ იცოდა, ნებისმიერ დროს მწერდა. საქმიანი კაცი უდროო დროს, როგორი შეყვარებულიც არ უნდა იყოს, ვერ გაგზავნის ამდენ მესიჯს. როცა ეს ვუთხარი, ჯერ გაჩუმდა, მერე დამეთანხმა. საშინლად დამწყდა გული... განახავ-მეთქი, მაგრამ ამიკრძალა, — არ მინდა ასეთ დღეში მნახოო... თუ როგორ დაიწყო ეს ყველაფერი, ამაზე თვითონ გიამბობთ...

*გურამი:* — ამ ოთხი წლის წინ ბრმა ნაწლავის ოპერაცია გავიკეთე რესპუბლიკურ საავადმყოფოში. გამირთულდა და 22 დღე ვიწექი. ჩემი ოპერაციის მეცხრე დღეს პალატაში შემოიყვანეს თემური, 27 წლის ბიჭი. მასაც ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთეს. ცოლი და 2 წლის გოგონა ჰყავდა. ყოველდღე ათობით ადამიანი აკითხავდა. მე კი ჩემი ორი ძმაკაცი თუ შემომივლიდა. მამა ადრე გარდამეცვალა — უფროსი ძმის სიკვდილი ვერ გადაიტანა, დედაც მოტყდა იმ ამბის მერე... ერთხელ, თემურს ცოლისდამ მოაკითხა. ისეთი მომხიბვლელი იყო, თვალი ვერ მოვწყვიტე. როცა თემურის ცოლს არ ეცალა, ცოლისდა მოდიოდა. ერთი სული მქონდა, როდის შემოაღებდა პალატის კარს სალომე. თემურმა შემამჩნია და ღიმილით მკითხა, — ხომ არ მოგწონსო. მომწონდა კი არა, უკვე მიყვარდა, მაგრამ ჩემი ხნის კაცისთვის არასერიოზულად ჩავთვალე ყველაფერი, თან თემურისა მომერიდა და, — ჩემი დასაწუნი რა სჭირს, მაგრამ არაფერი გამივლია გულში, ალბათ რაღაცები გეჩვენება-მეთქი, — ვუთხარი. ერთხელ, თემურის ცოლს შეაგვიანდა მოსვლა. თემურმა მთხოვა: თანხა გამითავდა, თუ შეიძლება, შენი მობილურით შევეხმიანები ჩემს ცოლს, გავიგებ, რა მოუვიდაო. დარეკა. გამორთული ჰქონდა. მერე სალომეს დაურეკა. სალომემ დაამშვიდა, — ბავშვს სიცხე ჰქონდა, ამიტომ სოფო შინ დარჩება, სადილს მე მოგიტანო. ასე იოლად გავიგე სალომეს მობილურის ნომერი. თემური გაეწერა, მე ერთი კვირა კიდევ დავრჩი. ვცადე, სალომესთან დაახლოება (რა თქმა უნდა, ჯერ მობილურის საშუალებით), მაგრამ არაფერი გამომივიდა. ვინაობის გამხელა მომთხოვა, მე კი არ ვუთხარი. ამიტომ, პასუხს აღარ მწერდა. გავიდა თითქმის ერთი წელი. გაუგებრობის გამო ციხეში მოვხვდი. ძალიან განვიცდიდი ჩემს მდგომარეობას. ისევ სალომეზე ფიქრმა გამამხნევა. ვიფიქრე: თუ მთლად განწირული არ ვარ, სალომეს არ ექნება ნომერი შეცვლილი-მეთქი. პირჯვარი გადავიწერე და ნომერი ავკრიფე. მისი ხმა ჩამესმა. სასწრაფოდ გავთიშე და დავუმესიჯე: „მე შენი უცნობი თაყვანისმცემელი ვარ. შენთან მიმოწერა ჩემთვის სიცოცხლის ტოლფასია. ნუ გეშინია, საშიში კაცი არ ვარ. უბრალოდ, პასუხი მომწერე. მეტი არაფერი მინდა".

პატარა ბიჭივით გულისფანცქალით ველოდი პასუხს. ეტყობა, კარგა ხანს იფიქრა, მოეწერა თუ არა. ერთი საათის შემდეგ მესიჯი მივიღე: „არ ვიცი, ვინ ხარ, მაგრამ როგორც სალამს ვერ დაამადლი კაცს, პასუხზეც ვერ ეტყვი უარს, მით უფრო მაშინ, როცა გეუბნებიან, ეს სიცოცხლის ტოლფასიაო. ვატყობ, რაღაც მართლაც გიჭირს. კაი, ბატონო, ვიკონტაქტოთ".

ოთხკედელშუა გამომწყვდეულს გრძნობები გიმძაფრდება. სალომე ისედაც მიყვარდა, მაგრამ იმ ცივ საკანში მივხვდი, რომ ჩემი სიყვარული ძალიან ძლიერი იყო. წუთით რომ წარმოვიდგენდი, შეიძლებოდა გათხოვილიყო ან სხვას შეხვედროდა, ვგიჟდებოდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა.

ჩვენი მესიჯური ურთიერთობა თითქმის ორი წელი გაგრძელდა. გამიმართლა და ცოტა ადრე გავთავისუფლდი. სალომე იმავე საღამოს ვნახე. ორი მეგობრის გარდა არავისთვის გვითქვამს, წავედით და ჯვარი დავიწერეთ. ქორწილს გაზაფხულზე გადავიხდით. მანამდე ალბათ მისი მშობლები და ახლობლებიც შემოგვიერთდებიან (იმედი მაქვს, ამაში თქვენი წერილიც დაგვეხმარება).

ახლა კი ჩვენს მესიჯებსაც გაგაცნობთ...

*გურამი:* „სალო, პასუხს ნუ დამიგვიანებ, რა! როცა შენს მესიჯს ვიღებ, ის დღე ჩემთვის ყველაზე ნათელი და ხალისიანია. არ მიწყინო, შორიდან გკოცნი და გეფერები".

*სალომე:* „რა უცნაურია ეს ცხოვრება. აზრზე არა ვარ, ვინ ხარ და მაინც, საოცრად ახლობლად მიმაჩნიხარ. გაგიკვირდება, მაგრამ ძალიან მინდა შენი ნახვა. შენ არა?"

*გურამი:* „ჩემო სიყვარულო, უსაზღვროდ მიყვარხარ, მაგრამ ვერ დაგპირდები, მალე გნახავ-მეთქი. ისეთ რაღაცაში ვარ ჩაფლული, ჯერჯერობით თავს ვერ დავაღწევ."

*სალომე:* „ზოგჯერ შიშით გავიფიქრებ, ვაითუ, თაღლითია-მეთქი, მაგრამ ეს ფიქრი უმალ უკან იხევს, როცა შენს მესიჯს ვიღებ. არა მგონია, ის კაცი, რომელიც ასე გამოხატავს სიყვარულს, მატყუარა და თაღლითი იყოს".

*გურამი:* „ჩემში ეჭვი არასოდეს შეგეპაროს, ნურც შეგეშინდება. უსაზღვროდ მიყვარხარ."

*სალომე:* „მგონია, რომ მართლა გულწრფელი ხარ, მაგრამ რა ვქნა, ხანდახან ეჭვის პაწაწკინტელა ჭია თუ შემომიჩნდება. ჩემს მეგობარსაც ასე ეფიცებოდა სიყვარულს ერთი არამზადა... ცოლშვილიანი გამოდგა. ნუთუ შეიძლება კაცმა ასე ითაღლითოს, მშვენიერი გრძნობა წაბილწოს და ვითომც არაფერიო, ისე გაქრეს?"

*გურამი:* „კაცს გააჩნია, ჩემო კარგო. ზოგი ისეთი გაუმაძღარია, ცოლი ან ერთი ახლობელი ადამიანი არ აკმაყოფილებს. ის კაცი მართლაც თაღლითი ყოფილა. მაინც რად დასჭირდა ამდენი თამაში?"

*სალომე:* „ვერ გეტყვი... იმ გოგოს კარგი სამსახური აქვს, ბევრ თანამდებობის პირს იცნობს და ალბათ იფიქრა, მისი მეშვეობით თვითონაც კარგ ადგილს იშოვიდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა".

*გურამი:* „როცა გნახავ, გამაცანი შენი მეგობარი. იმ კაცს კი მიწიდან ამოვთხრი და ბოდიშს მოვახდევინებ მის წინაშე".

*სალომე:* „გურამ, შეუმცდარი არავინაა. ბოდიშიც იმისგან არის მისაღები, ვინც გულწრფელად ნანობს თავის შეცდომას და მეორედ აღარ გაიმეორებს. ის კი იმდენად ცუდი ადამიანია, მისი ბოდიში საპნის ბუშტივით იქნება. ასე რომ, თაღლითების გამო შეწუხება არ ღირს... მე შენი ნახვა ძალიან მინდა".

*გურამი:* „მეც, მაგრამ გთხოვ, ნუ დამაძალებ ამას, რადგან ისედაც ვიტანჯები, შენი სურვილი კი მოსვენებას მიკარგავს".

*სალომე:* „გურამ, კარგა ხანია, ეჭვი მღრღნის და უნდა გაგიმხილო. გულახდილად მიპასუხე: პატიმარი ხომ არ ხარ?"

*გურამი:* „ჰო, სალო... ვერ მოგატყუებ, მაგრამ მერწმუნე, არც ქურდი ვარ, არც ნარკომანი, არც თაღლითი. გაუგებრობის მსხვერპლი აღმოვჩნდი. სიცოცხლეც კი აღარ მინდოდა, მაგრამ გამახსენდა, რომ ამქვეყნად არსებობს ერთი მშვენიერი გოგონა, სალომე და სწორედ შენზე ფიქრმა გადამატანინა უმძიმესი დღეები. მომავალსაც შენ გამო იმედით შევყურებ. არაფერს გთხოვ ერთის გარდა: დამელოდე!"

*სალომე:* „ასე მგონია, დიდი ხანია გიცნობ. სურვილით ვკვდები, მალე გნახო და სულ ერთად ვიყოთ. რა გათხოვება, რის გათხოვება, უსასრულოდ დაგელოდები".

*გურამი:* „აზრზეც არა ხარ, როგორ მიყვარხარ. თითოეული წუთი და წამიც კი, შენზე ფიქრით არის სავსე. პატარა აღარ ვარ, მაგრამ შენსავით არავინ მყვარებია".

*სალომე:* „მითხარი, ვინმე თუ გყვარებია საერთოდ?"

*გურამი:* „რასანია 30-ს გადავშორდი. ამ ასაკის კაცს როგორ შეიძლება, ვინმე არ ჰყვარებოდა? მოწაფეობისას მიყვარდა ერთი გოგო. ის მალე გათხოვდა. რა თქმა უნდა, გული დამწყდა. შენს სიყვარულს კი იმ გატაცებას ვერ შევადარებ. შენ დარდიც დამავიწყე და იმედით ამავსე".

*სალომე:* „რომ ვერ მიცნო?"

*გურამი:* „შენ მე მართლა მატყუარა გგონივარ? გიცნობ-მეთქი, თანაც ძალიან კარგად. უბრალოდ, სიურპრიზი მინდა გაგიკეთო, როცა აქედან გამოვალ".

*სალომე:* „ზოგჯერ ვბრაზდები კიდეც შენზე, მაგრამ მერე, როცა შენს ხმას გავიგონებ ან მესიჯს მომწერ, მაშინვე გადამივლის სიბრაზე. ე.ი. მეც ძალიან მიყვარხარ".

*გურამი:* „შენ თუ გყვარებია ვინმე?"

*სალომე:* „კი, მეც მიყვარდა, ორჯერ. პირველად ჩემი თანაკლასელი, ბუნტისთავი და სკოლის ამრევი, მეორედ, — ცეკვის პარტნიორი".

*გურამი:* „მერე რა მოხდა?"

*სალომე:* „პირველი დაიღუპა ავტოკატასტროფაში, ძალიან განვიცადე მისი სიკვდილი. მეორე კი, შეჩვევა იყო და მეტი არაფერი. როცა მან სიყვარული ამიხსნა, ბევრი არ მიფიქრია, უარი ვუთხარი".

*გურამი:* „და ასე იოლად შეგელია? იცოდე, 9-ჯერაც რომ მითხრა უარი, მაინც ვერ შეგელევი".

*სალომე:* „რას ამბობ, რა უარი, რის უარი, როცა სიზმრადაც კი გნახულობ?"

*გურამი:* „აბა, ამიწერე, როგორი ვარ სიზმარში".

*სალომე:* „მაღალი, შავგვრემანი, ოდნავ კეხიანი ცხვირით, თაფლისფერი თბილი თვალებით".

*გურამი:* „ყოჩაღ, სალო, შენ ნამდვილად გულთმისანი ხარ".

*სალომე:* „ნება მომეცი, მოვიდე და გნახო. ნამცხვარს გამოგიცხობ, იცი, რა გემრიელ ნამცხვრებს ვაცხობ?"

*გურამი:* „ნამცხვარი ჩვენს ოჯახში გამოაცხვე. იმხელა სახლი შენს განკარგულებაში იქნება".

*სალომე:* „ახლა ვინ არის იმ სახლში?"

*გურამი:* „მე მგონი, შენ მაინც ეჭვიანობ... ნათესავი, რომელიც იქაურობას ყურადღებას აქცევს... გინდა გაგახარო? მგონი, 3-4 თვეში გარეთ ვიქნები!"

*სალომე:* „საიდან იცი, ვინ გითხრა? ადვოკატი იყო შენთან?"

*გურამი:* „ჰო. მიყვარხარ და მენატრები."

*სალომე:* „მეც მიყვარხარ. გელოდები!"

**P.S.** გურამი იმაზე ადრე გათავისუფლდა, ვიდრე ეგონა. რაც მთავარია, ის და სალომე ერთად არიან და არც მომავლისა არ ეშინიათ, რადგან ერთმანეთი ძალიან უყვართ...

## გამოხმაურება

## სასჯელი გულისტკენისთვის

გულგრილად ვერ წაიკითხავ წერილს „ქონებას სიყვარული არ უნდა ანაცვალო". ანალოგიური ამბები ხშირად ხდება ცხოვრებაში, მერე კი (თუკი არ გაუმართლათ) ნანობენ, ეს რა ჩავიდინეო. ზოგიც ინტიბარს არ იტეხს, მაგრამ გულის კუნჭულში მაინც ჰკიცხავს საკუთარ თავს.

ჩემი ძმის მეგობარზე მინდა გიამბოთ... მამუკამაც ისევე გაცვალა შეყვარებული, როგორც თქვენი წერილის გმირმა ნუგზარმა. ვერ გეტყვით, რატომ გადაწყვიტა ნანასთვის ზურგი შეექცია. არადა მართლა ძალიან უყვარდა და ძალიან ანებივრებდა კიდეც. ყველამ იცოდა, რომ სულ მალე უნდა დაქორწინებულიყვნენ. ერთ ზაფხულს ნანამ ვერ მოახერხა მამუკასთან ერთად ზღვაზე წასვლა — ძმასავით შეზრდილი მამიდაშვილი დაეღუპა. მამუკა მარტო წავიდა. იქ თაკო გაიცნო, მაღალი, გამხდარი, თავისუფალი ქცევის გოგო, საკმაოდ მდიდარი და გავლენიანი ოჯახის შვილი, რომელიც მომღერლობაზე დებდა თავს. ვერ გეტყვით, როგორ შეიძლებოდა იმ დიდი გრძნობის განელება, რაც მამუკას ნანას მიმართ ჰქონდა, მაგრამ ერთ დღესაც ზღვისპირეთიდან მამუკა მეგობრებზე ერთი კვირით გვიან დაბრუნდა და თაკო მეუღლედ გაგვაცნო. მამუკას საქციელმა შოკში ჩაგვაგდო. ამიტომაც მისგან შორს დავიჭირეთ თავი. ქორწილიც გადაიხადა, თუმცა არავინ მივსულვართ მისალოცად. გული გვიგრძნობდა, რომ ანგარებით შექმნილი ოჯახი დიდხანს ვერ გაძლებდა. იმ ხანებში ნანა ისეთ დეპრესიაში იყო, თავიც კი მოიწამლა... მას მერე 7 წელი გავიდა. მამუკა და თაკო მალე გაშორდნენ ერთმანეთს. მამუკამ სცადა ნანას შემორიგება. არაფერი გამოუვიდა. წელიწად-ნახევრის შემდეგ მეორე ცოლი შეირთო და მალევე გაეყარა. ოთხი წელია გერმანიაში ცხოვრობს. საქმეც ააწყო, მაგრამ ინტერნეტით მოწერილ წერილებში დიდი სინანული და ტკივილი იგრძნობა — ნანასნაირად აღარავინ შემიყვარდება, სიკვდილამდე მარტო დავრჩები, ეს იქნება სასჯელი ნანას გულისტკენისთვისო...

*ნუცა, თბილისი*

## გემოვნებაზე არ დაობენ, ანუ გულის „ბროშკა"

გემოვნებაზე არ დაობენო, — ნათქვამია, ამიტომაც რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ტანმაღალ კაცებს პატარა ქალები მოსწონთ, დაბლებს კი პირიქით. პირველ ვარიანტს კიდევ არა უშავს, მაგრამ მეორე ვარიანტი ძალიან სასაცილოა.

სწორედ პატარა კაცის ახირებაზე მიამბო მერაბმა და თან ისე, რომ მეგონა, კომედიურ ფილმს ვუყურებდი.

— მე და ნოდარი ერთად ვსწავლობდით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ტანდაბალი იყო, თუმცა ეს სულაც არ აწუხებდა, თავადაც ხუმრობდა საკუთარ თავზე — გადაჭრილ მორს ვგავარო, მერე კი „ამაყად" წაუღიღინებდა — დამპიტარო, დიმპიტარო, მაინც მიწის ზემოთ ვარო... როცა გავიგეთ, მაღალი ქალები მოსწონდა, ველაზღანდარებოდით — „ბროშკად" ხომ არ დაებნევი გულზე, შენი შესაფერისი მოძებნეო, მაგრამ ვინ გისმენდა? როგორც კი მაღალ ქალს დაინახავდა, აეტორღიალებოდა და ყველანაირად ცდილობდა, შეხვედრაზე დაეთანხმებინა. ისეთი ენის პატრონი იყო, საქმეს ყოველთვის აკვარახჭინებდა.



ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც ერთ საპროექტოში მოვხვდით. პირველსავე წელს ბედმა გაგვიღიმა — სოჭის საავტომობილო გზა უნდა აღგვედგინა. ჩვენი სასტუმრო ქალაქის ცენტრში იდგა. ზაფხული იყო. დილიდან 7 საათამდე ვმუშაობდით, მერე კი ზღვის სანაპიროზე ვნებივრობდით. იმდენი კარგი გოგო ირეოდა, თვალები გვიჭრელდებოდა, ნოდარი დაელმებული მისჩერებოდა 120-კილოიან (თან საკმაოდ მაღალ) ქალებს.

ერთხელ, სასტუმროს ნომრიდან გამოვედით და ლიფტი გამოვიძახეთ. უცებ მეექვსეზე გაჩერდა და თვალებს არ დავუჯერეთ, დინოზავრებივით ქალები შემოლაგდნენ. თურმე უკრაინელი კალათბურთელები ყოფილან. იმხელები იყვნენ, ლიფტში მოხრილნი იდგნენ. ნოდარი ზორბას მიაშტერდა, რომელსაც ერთი ხელით (ხომ წარმოგიდგენიათ რამხელა ხელის მტევნები ექნებოდა) კალათბურთის ბურთი ეჭირა. ნოდარი კი არა, ჩვენც ლილიპუტებივით ვიდექით მათ შორის. ნოდარმა არც აცია, არც აცხელა, ქვემოდან ასძახა ქალს:

— დევუშკა, ვეჩერომ გდე ვი ბუდიტე?

იმისთანა რუსული იცოდა, ხელ-ფეხსაც აშველებდა ხოლმე, მაგრამ რუსულის ცოდნას ვინ დაეძებდა, ისე ჩამოხედა ზემოდან მდედრობითი სქესის „ტკაჩენკომ" (ხომ გახსოვთ, რამხელა კალათბურთელი ჰყავდათ უკრაინელებს?!), რომ შიშით კინაღამ მე გამეპარა გული. გულწრფელად შემეცოდა ნოდარი, რადგან მივხვდი, მარტო ამ გამოხედვით არ დამთავრდებოდა ე.წ. „გაცნობის რიტუალი".

ცოტა ხანს უყურა დინოზავრმა ნამცეცა ნოდარს, მერე ჩვენ შეგვათვალიერა. დამნაშავეებივით ვიყავით აკრული ლიფტის კედელზე. ბოლოს, „ტკაჩენკო" თანაგუნდელებს მიუტრიალდა და კბილებში გამოსცრა:

— Кто этот недоделанный...

დანარჩენ „დინოზავრებს" გაეღიმათ. „ტკაჩენკომ" კი ბურთი მეგობარს გადასცა, მერე ნოდარს კისერში ჩაავლო ხელი (უფრო სწორად, ორი თითი — ცერა და საჩვენებელი) და როგორც კი ლიფტის კარი გაიღო, ბურთივით გაისროლა გარეთ. ხმა ვერ ამოვიღეთ. ლიფტის კარი დაიხურა და პირველ სართულზეც ჩავედით. დინოზავრები რომ გამოლაგდნენ, თავპირისმტვრევით ავცვივდით მეორე სართულზე, სადაც ნოდარი გვეგულებოდა... საწყალი, ეტყობა, ისეთი ძალით ისროლეს, რომ ტვინის მსუბუქი შერყევა მიიღო... თავისი მაინც არ მოიშალა. გამოჯანმრთელების შემდეგაც ძველებურად გაურბოდა თვალი ზორბა ქალებისკენ, თუმცა პაემნის შეთავაზებას ველარ ბედავდა...

*რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა*

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-25-61




1 საკურ-ნალო პროფილაქტ-დაწესე-ბულება
2 სისხლნაკ-ლებობა
3 თხლად დაჭრილი შებრაწული კარტო-ფილი
4 ... რიშარი
5 ამერიკის შტატი




6 ადამი-ანის ქანდაკება წელს ზემოთ
7 ზემი-ანი მუს. საკრავი
8 ქართველი მოჭადრაკე ქალი
9 ცხოველის სხეულის .ცხიმი
10 კედელ-ში შეღრმავე-ბული სათავსი
11 კამათი, პაექრობა
12 ათასჯერ ათასი
13 ებრაული ენა




14 წვრილი ხმით გულიანი სიცილი
15 კატის ნაშიერი
16 ცდის გარეშე, ცდისგან დამოუკიდე-ბლად
17 მუს. ბგერა
18 მალტის დედაქალაქი
19 დიდი ბრიტანე-თის ნაწილი
20 „ნაუტილუ-სის“ კაპიტანი
21 საეკლესიო წესების კრებული
22 რუსი მოჭადრაკე
23 ოფიცრის წოდება
24 სპილე-ნძის ვიწროყე-ლიანი ჭურჭელი




25 სამყურა ლიმონი
26 კლოუ-ნის მოკლე სახუმარო ნომერი
27 იორდა-სალამი
28 ბუქ-სირით მოძრავი სატვირთო გემი
29 ხასიათი
30 ხურდა ფული შვედეთში
31 მწვალე-ბლობა
32 მონღო-ლეთის ფულის ერთეული




33 ხელოვ-ნური თმა
34 მოკლე და მსხვილი ჯოხი
35 რევაზ ლაღიძის ოპერა
36 ჩირაღდანი
37 აპლოდის-მენტი
38 ერთგვარი ნარკოტიკი
39 იტალიის ფეხბურთის გუნდი
40 ნადირობის ქალღმერთი ქართ. მით.
41 გაუზრდე-ლი, გაუთლელი
42 ფიცრის დასაკეცი საფარი ფანჯარაზე
43 ქვის მეტეორიტი
44 კათხა
45 ქვევრი
46 სწორი, გაშლილი ადგილი
47 მხარე საქართვე-ლოში
48 ესპანელი ფერმწერი
49 ორადგი-ლიანი ველოსი-პედი
50 მოხეტიალე მუსლიმანი ბერი
51 მედიცინის დარგი
52 ცალკე ოჯახი სოფლად




53 გეომეტრი-ის ნაწილი
54 აზერ-ბაიჯანის ფულის ერთეული
55 ნედლი, ჩვილი
56 დურგლის სახაზავი
57 შექსპირის „... და ჯულიეტა“
58 მიწების ხელოვ-ნური რწყვა
59 პატარა ტანის
60 ვაზის აჭრილი ტოტი მტე-ვნებიანად







**47-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:** 1. შამპანური; 2. ლუპა; 3. პრესა; 4. ესკულაპი; 5. ნო; 6. მაიაკოვსკი; 7. ღიპი; 8. ცა; 9. ტაეპი; 10. ანაბარი; 11. კილო; 12. ბოლმა; 13. აუქციონი; 14. ნირვანა; 15. ახტალა; 16. ნადი; 17. ლიახვი; 18. ვეჩე; 19. იხვი; 20. ოსასუნა; 21. სიტი; 22. პავლოვი; 23. ნოტი; 24. ბარი; 25. კოკი; 26. საფარი; 27. ილია; 28. ესკალატორი; 29. ტალახი; 30. ლიქიორი; 31. ქადა; 32. ნამიბია; 33. გოდერძი; 34. ტორნადო; 35. ნაფოტი; 36. ნიგოზი; 37. გოდორი; 38. მონეტა; 39. ფირუზი; 40. სატელიტი; 41. რენომე; 42. შილინგი; 43. სტატიკა; 44. ფიდელიო; 45. ინიციატორი; 46. ოჯალეში; 47. ტოტო; 48. ლონდონი; 49. დოლი; 50. მოსე; 51. ტირანია; 52. სალვადორი; 53. ტომი; 54. მინდია; 55. ლეი; 56. რიზე; 57. ბუდე; 58. პანდა; 59. ზარნაშო; 60. ზებუ; 61. ფრე; 62. კრიჭა; 63. ჭა; 64. პაპა.

**სურათებზე:** 1. შვეულმფრენი; 2. ჯიქი; 3. ტაისონი; 4. ვოლვო; 5. ზიდანი; 6. კრუსი; 7. ტაილერი; 8. სტენდალი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა ვანო კაჟაშვილი

## მადლიერების დღე



TIMES

მადლიერების ანუ როგორც ამერიკელები ხუმრობით ეძახიან, „ინდაურის დღე" აღინიშნება ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათს და ოფიციალურად უქმეა. ბირჟებიც კი არ მუშაობენ, ამერიკელები შინ სხედან და საზეიმო ვახშმისთვის ემზადებიან. მადლიერების დღეზე სტუმრად იწვევენ მეგობრებს, ნათესავებს; მთავარი კერძია შემწვარი ინდაური შტოშის საწებლით და კარტოფილის პიურეთი. ლხინის დაწყებამდე ლოცულობენ, ღმერთს მადლობას სწირავენ ყოველი სიკეთისთვის, რაც მათ ცხოვრებაში განვლილ წელიწადს მოხდა.

აშშ-ის მოქალაქეთა უმეტესობა პარასკევსაც უქმობს. სწორედ ამ დღეს იწყება დიდი საშობაო ფასდაკლება, მაღაზიები დილის 5-6 საათიდან შუაღამემდე ვაჭრობენ.

მადლიერების დღის მეორე მნიშვნელოვანი ატრიბუტია ქველმოქმედება და ღარიბების განკითხვა. დილიდანვე მილიონობით ამერიკელი „ხსნის არმიის" სამზარეულოში უპოვართათვის უფასო სადილს ამზადებს.

დღესასწაულს 1620 წელს დაედო სათავე, როცა მასაჩუსეტსში ევროპიდან პირველი მოსახლეები ჩავიდნენ. მკაცრმა ზამთარმა ემიგრანტთა თითქმის ნახევარი შეიწირა, გადარჩენილებმა ინდიელებს სთხოვეს დახმარება — მათგან ისწავლეს სიმინდისა და სხვა კულტურების თესვა-მოყვანა. შემოდგომაზე, უხვი მოსავლის აღების შემდეგ, ლხინი გამართეს და წყალობისთვის უფალს მადლობა შესწირეს. ამ წესმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი; თუმცა 300 წლის განმავლობაში ყველა შტატში ზეიმი ერთდროულად არ იმართებოდა. 1941 წელს კი ნოემბრის ბოლო ხუთშაბათი გამოცხადდა ამერიკელთა საერთო-ნაციონალურ ზეიმად — მადლიერების დღედ.

## პრეზიდენტის ქალიშვილი გაქურდეს



THE INDEPENDENT

არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესის ერთ-ერთ რესტორანში, რომელიც ძალზე პოპულარულია ტურისტთა შორის, აშშ-ის პრეზიდენტის ქალიშვილი ბარბარა ბუში გაქურდეს. ბარბარა თავის დასთან, ჯენასთან ერთად ვახშმობდა. ქურდებმა ისე აცალეს მაგიდიდან ჩანთა, რომელშიც მობილური ტელეფონი და საკრედიტო ბარათები იდო, რომ ბუშის ქალიშვილების მცველებმა ვერაფერი შეამჩნიეს.

ბუენოს-აირესის პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, არც ბარბარა ბუშს და არც მის მცველებს პოლიციისთვის არ მიუმართავთ, თეთრმა სახლმა მომხდარის კომენტირება არ ისურვა.

ბარბარა და ჯენა ბუშები, რომლებსაც ახლახან 25 წელი შეუსრულდათ, არგენტინაში ორი კვირით ტურისტებად ჩავიდნენ. მოგზაურობის დეტალებს არ ახმაურებენ. ამერიკელი ჟურნალისტები კითხულობენ — პრეზიდენტის შვილები რატომ არ იმყოფებოდნენ სამშობლოში მადლიერების დღეს, როცა ტრადიციის თანახმად, ოჯახი ერთად უნდა იყოსო. გოგონების დედამ — აშშ-ის პირველმა ლედიმ პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა.

## პოლიტიკური მკვლელობები გრძელდება

newsru.com

ლიბანში დამოუკიდებლობის დღე არავის უზეიმია, ქვეყანა მრეწველობის მინისტრის, პიერ ჟმაიელის დაღუპვას გლოვობდა და, რაც მთავარია, სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე იდგა — დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას დამხობა ემუქრება.

პიერ ჟმაიელი ლიბანელ ქრისტიანთა ცნობილი ოჯახიდან იყო — მამა და ბიძა პრეზიდენტები ჰყავდა.

1975 წელს პიერ ჟმაიელ-უფროსზე თავდასხმამ გამოიწვია ლიბანელ ქრისტიანთა და მუსლიმანთა შეტაკება, რაც სამოქალაქო ომში გადაიზარდა, 1982 წელს ბაშირ ჟმაიელის მკვლელობა კი ლიბანის სამოქალაქო ომის ისტორიაში ყველაზე დიდი ხოცვა-ჟლეტის მიზეზი გახდა პალესტინელი დევნილების ბანაკებში. ჟმაიელების ოჯახის ახალ მსხვერპლს



შესაძლოა დიდი უბედურება მოჰყვეს. შეიარაღებული შიიტური ორგანიზაცია „ჰეზბოლაჰი", რომელმაც სახელმწიფოში საკუთარი ისლამური სახელმწიფო ჩამოაყალიბა და ამ ზაფხულს ლიბანი ისრაელის წინააღმდეგ ომში ჩაითრია, თავის სირიელ და ირანელ მფარველებთან ერთად დაუფარავად იბრძვის ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. თუ „ჰეზბოლაჰი" ამას მიაღწევს, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ფარსად იქცევა.

მკვლელობებითა და გადადგომებით დასუსტებული ფუად სინიორის მთავრობა ჯერჯერობით თავის კურსს მიჰყვება, მაგრამ მოწინააღმდეგეები ამოსუნთქვის უფლებას არ აძლევენ. სირია ვერასოდეს შეეგუება იმას, რომ მისმა ჯარმა იძულებით დატოვა მეზობელი ლიბანი.

მას შემდეგ, რაც ვაშინგტონი და ლონდონი ხმამაღლა ალაპარაკდნენ ერაყიდან ჯარის გამოყვანისა და ირანსა და სირიასთან შეთანხმების შესაძლებლობაზე, დამასკო წელში გაიმართა; თუმცა სირიის სიხარული ნაადრევი გამოდგა. ლიბანში მომხდარი ახალი ტრაგედიის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭოში წარმოდგენილმა 15-მა ქვეყანამ მხარი დაუჭირა ჰარირის მკვლელობასთან დაკავშირებით საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნას.

გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, ტრიბუნალის შექმნის გეგმა უნდა მოიწონოს ლიბანის პარლამენტმა და დაამტკიცოს ქვეყნის პრეზიდენტმა: ლიბანის პარლამენტში დეპუტატთა უმრავლესობა ანტისირიულად არის განწყობილი და ტრიბუნალის შექმნას დაეთანხმება, მაგრამ პრეზიდენტი ემილ ლაჰუდი სირიის ხელდასხმულია და ცხადია, წინააღმდეგი იქნება.

2005 წელს მოკლული რაფიქ ჰარირის ოჯახმა პასუხისმგებლობა სირიას დააკისრა. საერთაშორისო გამომძიებელთა ჯგუფმაც, გერმანელი პროკურორის, დ. მეხლისის მეთაურობით, განაცხადა, რომ ტერაქტის გეგმა დამასკოში მომზადდა სირიის პრეზიდენტის სიძის, სამხედრო დაზვერვის მეთაურის, ასეფ შაუქათის თავკაცობით.

ლიბანში ვითარების გამწვავება აშკარად უკავშირდება დიდ სახელმწიფოებს შორის ბრძოლას ამ ქვეყანაზე და მთელ ახლო აღმოსავლეთზე გავლენის გასაძლიერებლად.

34 წლის პიერ ჟმაიელის დაკრძალვის დღეს ბეირუთის წმინდა გიორგის საკათედრო ტაძარში მისულ ნახევარ მილიონამდე კაცს დაღუპულის მამამ, ქვეყნის ექსპრეზიდენტმა ამინ ჟმაიელმა მოუწოდა პროსირიული პრეზიდენტის ემილ ლაჰუდის გადაყენებისა და ბოლო ორ წელიწადში ქვეყანაში მომხდარი ყველა პოლიტიკური მკვლელობის ბოლომდე გამოძიებისაკენ.

## ირანი ერაყის საქმეებში ჩარევას ცდილობს

LA STAMPA

თეირანი ყველანაირად ცდილობს რეგიონში თავისი გავლენის გაზრდას. მაჰმუდ აჰმადინეჯადიმ ერაყისა და სირიის პრეზიდენტები მიიწვია ტიგროსისა და ევფრატის სანაპიროზე შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მოსალაპარაკებლად.

ისლამური რესპუბლიკის აქტიურმა ჩარევამ რეგიონულ პოლიტიკაში ვაშინგტონი უკმაყოფილო დატოვა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა ტომ კეისიმ თეირანში ერაყთან დაკავშირებით მოლაპარაკებას არადროული უწოდა. მისი თქმით, ირანის ხელისუფლების განცხადება, ერაყში ვითარების სტაბილიზაციის აუცილებლობის შესახებ, არასოდეს ყოფილა განმტკიცებული რეალური მოქმედებებით, ხოლო სირიას ჯერაც არ მიუღია აუცილებელი ზომები სირია-ირანის საზღვრის გასამაგრებლად.

სირიამ და ერაყმა სწორედ თეირანში მოლაპარაკების წინ აღადგინეს 1982 წელს გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა. შექმნილ სიტუაციაში ირანის პრეზიდენტის ინი-



ციატივას მართლაც შეუძლია წონა შემატოს ისლამური რესპუბლიკის როლს ახლო და შუა აღმოსავლეთში.

## ბლერმა ბრიტანელებს ახალი ხელშეკრულება შესთავაზა

Guardian

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა და მისმა მთავრობამ დაამუშავა ნი-



ნადადებათა კომპლექსი, რომლის მიზანია სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება. ამ ინიციატივაში ცენტრალური ადგილი უჭირავს „კონტრაქტს" ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

ფიქრობენ, რომ ახალი სისტემა შეეხება სამ ძირითად სფეროს — განათლებას, მედიცინასა და წესრიგის დაცვას. მაგალითად, სახელმწიფო სკოლების მოსწავლეთა მშობლებს შესთავაზებენ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ისინი ივალდებულებენ შვილების შინ მეცადინეობას. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია გარანტიის მიცემა, რომ ბავშვები განათლებას მიიღებენ.

ტონი ბლერის აზრით, მისი ინიციატივა გაზრდის მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი სამსახურების პასუხისმგებლობას და შეამცირებს სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯებს.

## მოკლედ

**თურქეთში** დაიწყო ორი ყოფილი მუსლიმანის სასამართლო პროცესი, მათ ბრალი ედებათ გაქრისტიანებაში და 9-წლიანი პატიმრობა ემუქრებათ. სასამართლო გაიმართა თურქეთში რომის პაპის, ბენედიქტე XVI-ის ვიზიტის წინ. პაპი, სხვა თემებთან ერთად, ისაუბრებს თურქეთის ქრისტიანული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის რელიგიური თავისუფლების მინიჭებაზე.

**საფრანგეთში** 76 წლის ასაკში გარდაიცვალა თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი ფილიპ ნუარე, ის 120-ზე მეტ ფილმშია გადაღებული და ორჯერ აქვს მიღებული საფრანგეთის კინემატოგრაფიის უმაღ-



ლესი ჯილდო „სეზარი".

**ევროპაში** ძალიან გაიაფდა ნარკოტიკები. ლისაბონის სააგენტოს ყოველწლიურ მოხსენებაში, რომელშიც მოცემულია ფასების ხუთწლიანი ანალიზი, ნათქვამია, რომ ჰეროინის ფასი 45%-ით შემცირდა, კოკაინისა — 22%-ით.

ჰეროინის გაიაფება, პირველ რიგში, უკავშირდება ავღანეთში მოძრაობა „თალიბანის" დაცემას, რის შემდეგაც დაიწყო ნარკოტიკების დამზადების მნიშვნელოვანი ზრდა. ჰეროინის მიწოდებამ ბევრად გადააჭარბა ნარკოტიკებზე მოთხოვნას და მომხმარებელთა რიცხვი გაორმაგდა.

ავღანეთზე მოდის ოპიუმის მსოფლიო წარმოების დაახლოებით 90%. ნარკოტიკის ფასი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია: მაგალითად, პორტუგალიაში 1 გ მარიხუანა 2,3 ევრო ღირს, ნორვეგიაში — 12 ევრო, თურქეთში 1 გ ჰეროინის ყიდვა 12 ევროდ შეიძლება, შვედეთში კი — 141 ევროდ.

**ირანის** პრეზიდენტი აქტიურ კამპანიას ატარებს არასასურველი დასავლური კულტურის გავლენის აღმოსაფხვრელად. სახელმწიფო ტელე და რადიოკომპანიებს აეკრძალათ დასავლური „უხამსი" მუსიკის პროპაგანდა. პრეზიდენტმა ირანელ ქალებს მოუწოდა, მოერიდონ მაღაზიების ტანსაცმლის მოსაზომებელ ოთახებში ჩამონტაჟებულ კამერებს.

**სიცილიაზე** ვულკანმა ეტნამ გაიღვიძა. კვამლის სვეტის სიმაღლე უკვე 5 კმ-ს აღწევს, კატანიის აეროპორტში, რომელსაც რამდენიმე ათეული კილომეტრი აშორებს ეტნადან, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

**დევიდ ბლეინმა** — ცნობილმა ილუზიონისტმა, დაასრულა ნიუ-იორკის თავზე ტრიალი და დედამიწაზე დაეშვა. იგი ორ დღე-ღამეზე მეტხანს ტრიალებდა 12 მ სიმაღლეზე დამაგრებულ რგოლების კონსტრუქციაში. ამ ხნის განმავლობაში არც უჭამია



და არც უსვამს, თავზე აწვიმდა და სციოდა. ტრიუკის დასასრულს ბლეინი უნდა გათავისუფლებულიყო ჩახლართული ჯაჭვებისგან, რაც გააკეთა კიდეც. ფოკუსი კინაღამ ტრაგიკულად დამთავრდა — ილუზიონისტი ძირს დაენარცხა და ფანერის სცენა ჩაანგრია. თუმცა რამდენიმე წამში წამოხტა და მაყურებელს მიესალმა.

*გვერდი მოამზადა*
*ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

„ტრანსფორმის" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 34-49-40; 35-47-47; 26-30-50; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 35-13-13

ქირავდება
ორსართულიანი შენობა
ქ. ქუთაისში, საერთო ფართი 380მ². აღნიშნულ ფართში ამჟამად განთავსებულია პროკრედიტ ბანკის ქუთაისის ფილიალი.
მის: თამარ მეფის ქ. № 85
☎ 899 45 95 52
899 36 87 57

ევროპული დონის პოლიგრაფია
ფერადი ბეჭდვა
„ჰეიდელბერგის"
გერმანულ
დანადგარებზე
შპს „გოდოლი"
ხარისხი
ოპერატიულობა
ფასი
ტელ:
56-40-56
877-43-04-57

# რატომ ვერ გაიხსნა რევოლუციის მესამე წლისთავზე შეპირებული აეროპორტი




23 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ მესამე წლისთავზე, საქართველოს ხელისუფლებას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაგეგმილი დიდი პიარაქცია ჩაეშალა. თურქულმა კომპანია „ტავი და ურბანმა“ აეროპორტის მშენებლობის ამ დროისთვის დასრულება ვერ შეძლო, რამაც საქართველოს პრეზიდენტი გაანაწყენა. ჩვენ რასაც ვამბობთ, უნდა გაკეთდესო, — აშკარად გაღიზიანებულმა განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სხვათა შორის, თურქ ბიზნესმენებს სულაც არ გაუტეხიათ პირი. ქართულ-თურქულ ხელშეკრულებაში გარკვევით წერია, რომ აეროპორტი საექსპლუატაციოდ 2007 წლის 12 იანვარს უნდა ჩაბარდეს. რაც შეეხება ვითომდა 23 ნოემბრისთვის მშენებლობის დასრულების პირობას, ამის შესახებ არანაირი დოკუმენტი არ არსებობს. როგორც ირკვევა, ქართული და თურქული მხარეები მშენებლობის დაწყებამდე მხოლოდ სიტყვიერად შეთანხმებულან, რომ „ვარდების რევოლუციის“ მესამე წლისთავისთვის აეროპორტს არა დასრულებული, არამედ საექსპლუატაციოდ შესაძლებელი სახით(?!) წარუდგენდნენ საზოგადოებას. ახლახან კი ხმა გავრცელდა, რომ აეროპორტის მშენებლობა სულ ცოტა ხნის წინ ამოვარდნილმა ქარიშხალმა შეაყოვნა, — არასწორად დამონტაჟებული სახურავის ფილები ჰაერში გაფრენილა(?!). ამასთან დაკავშირებით სახელისუფლებო კულუარებში იხსენებენ თავის დროზე სახელმწიფო ექსპერტიზის მიერ აეროპორტის მშენებლობის პროექტზე გაკეთებულ მკაცრ შენიშვნებს, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ქარის სიჩქარის არასწორ გათვლას ეხებოდა. თურქული კომპანიის ხელმძღვანელები გავრცელებულ ხმას დეზინფორმაციას უწოდებენ და წყენას არ მალავენ, მათი თქმით, უსამართლო ბრალდებების გამო. „ტავი და ურბანი“ პროტესტის ნიშნად უარს აცხადებს მასმედიასთან ოფიციალურ კომენტარებზეც, მაგრამ კომპანიის წარმომადგენლებთან არაოფიციალური სატელეფონო საუბარი მაინც შედგა. თურქების თქმით, მთავარია ხარისხი და არა დრო. „ხელისუფლების წარმომადგენლები ტელეკამერების წინ კონტრაქტს რომ აფრიალებდნენ და საქართველოს პრეზიდენტსაც ატყუებდნენ, კარგი იქნებოდა, ტექსტი გაეცნოთ საზოგადოებისთვის. იქ წერია, რომ 23 ნოემბერს აეროპორტი სიმბოლურად უნდა გახსნილიყო. ეს რა დამოკიდებულებაა, — რაც გინდა, იმას რომ კითხულობ კონტრაქტში, და რაც არ გინდა, იმას ვერ ამჩნევ (ამას ბიზნესწრეებში იმით ხსნიან, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ტენდერებში მათთვის სასურველ პირებს გაამარჯვებინა და ამიტომაც აქვს „დავალებულ“ ხალხთან დიდი გული. — ავტ.). რაც შეეხება ქარისგან გადახდილ სახურავს, ამ შემთხვევაშიც არაფერი მომხდარა განსაკუთრებული. შენობაზე სახურავის სამი ფენა კეთდება. სანამ მესამე ფენასაც არ დააგებ, ქვედა ფენებს ვერ დაამაგრებ. ქარი რომ ამოვარდა, იმ დროისთვის მხოლოდ ორი ფენა გვქონდა დაგებული. ამიტომ ღამით ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა დაგებული ორი ფენის ნაწილი დააზიანა. ეს შეიძლება ნებისმიერი მშენებლობის დროს მოხდეს“, — ამბობენ თურქები. მათი თქმით, აეროპორტში მშენებლობა დაჩქარებული ტემპით მიდის. ობიექტზე 1200 კაცზე მეტი მუშაობს სამშენებლო გრაფიკის მიხედვით. აეროპორტის ექსპლუატაციაში გაშვებას კი 20 დეკემბრისთვის ვარაუდობენ.

„კვირის პალიტრა“ აეროპორტის მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის კომისიის მთავარ სპეციალისტს, აკადემიკოს **ნოდარ ედიშერაშვილს** ესაუბრა:

— აეროპორტი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტია, მის მშენებლობაში მთავარი ხარისხია, რასაც ჩვენ, როგორც დამკვეთები, ვითხოვთ კიდეც მშენებელი ორგანიზაციისგან. ჯერჯერობით გვისრულებენ მოთხოვნებს. მშენებლობა 23500 კვმ ფართობზე მიმდინარეობს. საქართველოში ეს ყველაზე მასშტაბური, ტექნოლოგიურად რთული მშენებლობაა. შემიძლია ვთქვა, რომ ის საამაყო იქნება მთელ ამიერკავკასიაში.

ქართულ და თურქულ ბიზნესწრეებში მიიჩნევენ, რომ „ბადაგონის“ სკანდალის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას მეტი ტაქტი უნდა გამოეჩინა თურქი ინვესტორების მიმართ.

ლაზი წარმოშობის თურქი ბიზნესმენი სედათ შაჰინკაია, რომელიც ერთდროულად საქართველოს მოქალაქეც არის და თურქეთისაც, აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება არასწორად წარმართავს საპრივატიზაციო პოლიტიკას და ინვესტორებს ბიზნესისთვის მიუღებელი მეთოდებით ირჩევს.

**სედათ შაჰინკაია:** — საქართველოს ხელისუფლება საპრივატიზაციო პოლიტიკაში უცნაურ ხერხს მიმართავს. აცხადებს ტენდერს და ბოლოს ობიექტს სააუქციონო პირობებით ყიდის. ვერაფერი გამიგია. თუ საქართველო ევროპული ორიენტაციის ქვეყანაა, მაშინ უნდა მიჰბაძოთ ევროპას, დააკვირდეთ, როგორ ყიდიან ეკონომიკურ ობიექტებს. ინვესტორებს არჩევენ არა იმის მიხედვით, ვინ უფრო მეტს გადაიხდის (ეს აუქციონის პირობაა), არამედ იმის მიხედვით, ვინ უფრო მეტ გარანტიას იძლევა წარმატებული ბიზნესის საწარმოებლად. გამოდის, საქართველოს ხელისუფლებას დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს? რაც უნდა კარგი ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია გქონდეს, ამ პრინციპით ვერც ბიზნესს ააწყობ და ვერც ქვეყნის ეკონომიკას. ამ პოლიტიკის წყალობით არის, რომ რუსებმა დიდი ქართული ქონება ჩაიგდეს ხელში. იყიდეს გვარჯილისა და მანგანუმის ქარხნები, ზესტაფონის ფერო და კარგად მოგეხსენებათ, რაც დამართეს ამ ობიექტებს. გააჩერეს წარმოება, კიდევ ერთხელ გაძარცვეს ქვეყნის ეკონომიკა და გაკოტრებამდე მიიყვანეს საწარმოები. ახლა ამბობენ, რუსებმა მიატოვეს ნაყიდი ობიექტებიო. მიატოვებდნენ, აბა, რას იზამდნენ? — შავი ფულის გასათეთრებლადაც გამოიყენეს და ქართული პროდუქციით მოგებაც ნახეს.

თუ ეკონომიკის აწყობა გინდა, ნაღდ ბიზნესმენებს უნდა მიჰყიდო შენი ქონება და არა ბანდიტებს, შავ ფულს რომ ათეთრებენ საქართველოში. ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტი ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ ფირმებს აქვთ შეძენილი. როგორ შეიძლება ოფშორულ კომპანიაზე გაყიდოს ქონება სახელმწიფომ. მსოფლიოში არსებობს ორი ტიპის ბიზნესი: შავი, რომელიც დღენიადაგ უკანონო გზით ნაშოვნი ფულის გათეთრებაზე ფიქრობს და კეთილსინდისიერი ბიზნესი, სადაც ყველაფერი გამჭვირვალედ წარიმართება. წარმატება კი შრომაზეა დამოკიდებული. საქართველოში შავი ბიზნესმენების ლუსტრირება მარტივად შეიძლება. გადახედეთ იმ გაყიდულ ობიექტებს, რომლებიც დაკეტილია და გაკოტრების გზაზე დგას, ე. ი. იქ სწორედ შავი ბიზნესი კეთდება. საქართველოს უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი აქვს, მაგრამ უგუნური ადამიანების გამო ვერ იყენებს. მიკვირს, რატომ არ კეთდება ამის ანალიზი, რატომ არ იკვლევენ ამ პროცესებს?! საქართველოში სამმილიონ-ნახევარი კაცი ცხოვრობს. კარგი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში ლამის ყველა მილიონერი უნდა იყოს(!).

დასანანია, რომ საქართველოს ეკონომიკაში ფულის დაბანდების საშუალება არ მიეცა ლაზურ დიასპორას, სამაგიეროდ, რუსი ბიზნესმენების წყალობით გზა გაეხსნა სომხური დიასპორის კაპიტალს, რომელიც დიდი ოდენობით ტრიალებს მოსკოვში. სომხები ცდილობენ, ქართული ეკონომიკა მოსკოვიდან მართონ. ნუთუ ამას ვერ ამჩნევთ... სანამ მთელ საქართველოს დაეპატრონებიან, გეგმაში აქვთ ახალციხეში, ახალქალაქსა და ბათუმში მიწების და ბიზნესობიექტების შესყიდვა.

საქართველოს მთავრობამ თავისი საქმე თვითონ იცის, მაგრამ, ვფიქრობ, საპრივატიზაციო პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომებს ცუდი ამბები მოჰყვება.

ბიზნესი სუფთად უნდა აკეთო, ხარისხიანად, და მუდმივი იქნება; ჩალიჩით არც ბიზნესი შენდება და არც ეკონომიკა.

P. S. ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთი თვითონ გვიკეტავს ძველ გზებს. ენერგეტიკულმა პრობლემებმა ალტერნატიული გზებიც დაგვანახვა, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე ფართო გზა მართლაც თურქეთისკენ მიმავალი აღმოჩნდეს.

***ეკა ლომიძე***

# რუსეთმა საქართველოს გაყინვა გადაწყვიტა

## გვექნება თუ არა გაზი ზამთარში?



საიდან მიიღებს საქართველო ზამთარში გაზს, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. მთავრობა ამ დროისათვის გაზმომარაგების ოთხ მარშრუტზე მუშაობს: 1) 230-დოლარიანი გაზის იმპორტი რუსეთიდან, რომელზეც უარს ბოლომდე ვერ ამბობს; 2) გაზის დამატებითი მოცულობის მიღება შაჰ-დენიზი-ერზრუმის გაზსადენიდან; 3) იმპორტი ირანიდან აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით; 4) გზა ყაზახეთიდან, რომელმაც რუსეთის ტერიტორიაზე „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიის „გაზპრომ ექსპორტის“ კუთვნილ მილსადენში უნდა გამოიაროს. თუმცა, რომელია ამ ოთხი მარშრუტიდან რეალური, ამის თქმა შეუძლებელია. ქვეყნისთვის გაზის მიღების გარანტირებული წყარო ჯერ კიდევ არ ჩანს. მთავრობის წევრები ირწმუნებიან, რომ ქვეყანა გაზის გარეშე არ დარჩება, თუმცა, ჯერჯერობით შეთანხმება ვერც ერთ მომწოდებელთან ვერ ხერხდება. შაჰ-დენიზთან დაკავშირებით საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის მოლაპარაკებათა მეხუთე რაუნდი ამჯერად თურქეთის დედაქალაქში იმართება. საქართველოს პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი ცდილობენ თავიანთი აზერბაიჯანელი და თურქი კოლეგები „შაჰ-დენიზი-ერზრუმის“ გაზსადენიდან საქართველოსთვის გაზის წილის გაზრდაზე დაიყოლიონ. მოლაპარაკებათა დეტალები არ ხმაურდება. ქართული მხარე თავის მეზობლებისთვის გაზისა და ელექტროენერგიის გაცვლაზე არ საუბრობს იმის შიშით, რომ ალტერნატიულ მომწოდებლებთან ურთიერთობაში რუსეთი არ ჩაერიოს და შეთანხმება არ ჩაშალოს.

ქვეყნის გაზმომარაგების შესაძლებლობა კიდევ უფრო ბუნდოვანი მას შემდეგ გახდა, როცა გასულ კვირას „გაზპრომის“ საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება, რომ რუსეთი აზერბაიჯანს გაზის მიწოდებას სამჯერ უმცირებს. ბაქოსთვის გაზის შემცირება იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანი, ბუნებრივია, ექსპორტს ვეღარ შეძლებს. 2007 წლიდან აზერბაიჯანი რუსეთიდან 4,5 მილიარდი კუბური მეტრი აირის იმპორტს გეგმავდა და თუ „გაზპრომი“ თავის გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანს, ბაქო 1,5 მილიარდი კუბმეტრის მეტს ვეღარ მიიღებს. დანაკლისი მნიშვნელოვანი იქნება. რუსული იმპორტის შემცირების შემთხვევაში აზერბაიჯანს თავად ექნება გაზის დეფიციტი და იძულებული გახდება დანაკლისი საკუთარი რესურსებით შეივსოს. ეს იმას ნიშნავს, რომ, საქართველოს შაჰ-დენიზის საბადოდან გაზის წილის გაზრდაზე უარი უნდა უთხრას და მოპოვებული აირი საკუთარ მოსახლეობას მოახმაროს. მართალია, საქართველოს მთავრობა აზერბაიჯანთან მოლაპარაკების დეტალებს საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ რუსეთისთვის უცნობი არ დარჩენილა, რომ ბაქო გაზის ექსპორტს აპირებდა და საქართველოსთან ამ საკითხზე თითქმის შეთანხმდა. ამ ინფორმაციის შეტყობის შემდეგ, ბუნებრივია, რუსეთი გულხელდაკრეფილი არ დარჩებოდა და რადგან გადაწყვეტილი აქვს საქართველოს ყველა ალტერნატიული გზა მოუჭრას და მხოლოდ რუსულ გაზზე დამოკიდებული დატოვოს, აზერბაიჯანს შეატყობინა, რომ გაზის მიწოდებას შეუმცირებს და ტარიფს 230 დოლარამდე გაუზრდის, თუ საქართველოს აირს მიაწვდის. „გაზპრომი“ უკვე აღარ მალავს, რომ საკუთარ გაზს პოლიტიკურ ფასს ადებს და შეღავათიანი პირობებით მხოლოდ მისი მოკავშირეები სარგებლობენ. საქართველომ და აზერბაიჯანმა ათას კუბურ მეტრ აირში თუ 230 დოლარი უნდა გადაიხადონ, სომხეთი, რომელმაც რუსეთს ირანი-სომხეთის დამაკავშირებელი მაგისტრალის საკონტროლო პაკეტი დაუთმო, გაზს ძველ ფასად — 110 დოლარად იყიდის. „გაზპრომის“ საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის სერგეი კუპრიანოვის თქმით, კომპანია კონკურენციის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ მიუღებლად მიაჩნია აზერბაიჯანმა გაზის ექსპორტი რუსული ენერგორესურსის ხარჯზე აწარმოოს. მისი თქმით, წელიწადში 1,5 მილიარდი კუბმეტრი გაზის იმპორტი აზერბაიჯანისთვის სავსებით საკმარისი იქნება.

„გაზპრომის“ მიერ უსიამოვნო ინფორმაციის გავრცელების შემდეგ აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ 2007 წელს ბაქო გაზის დეფიციტს შაჰ-დენიზის საბადოდან დაფარავს, თუმცა ის არ უთქვამს, რომ საქართველოს გაზს აღარ მიაწვდის. პროექტის ამუშავების პირველ წელს საქართველოს გატარებული გაზიდან უფასოდ 250 მილიონი კუბმეტრი აირი ეკუთვნის. ეს მიზერული რაოდენობაა და თუ ქვეყანა ამის იმედად დარჩა, გაძვირებული რუსული გაზის ყიდვას უნდა დათანხმდეს. ქართული მხარე ყველაზე დიდ იმედებს სწორედ შაჰ-დენიზის დაბალფასიან ალტერნატივაზე ამყარებდა. თბილისის გეგმა ნოემბრის დასაწყისისთვის განხორციელების პირას იყო — რადგანაც თურქეთი გაზის მისაღებად ტექნიკური პრობლემების გამო ჯერ მზად არ იყო, გაზსადენში გატარებული ბუნებრივი აირი მთლიანად საქართველოში რჩებოდა.

შაჰ-დენიზი-ერზრუმის პროექტი ნოემბრის ბოლოს უნდა დაწყებულიყო. გაზის პირველი ნაკადი თურქეთში აღარ წავიდოდა და საქართველოსაც შანსი ექნებოდა რუსულ გაზზე მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უარი ეთქვა. მაგრამ თბილისის გეგმები თურქეთის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ შეცვალა. პროექტის ამოქმედების წინ თურქეთმა განაცხადა, რომ შაჰ-დენიზის გაზი უნდა და მის მისაღებადაც უკვე მზად არის. ამის შესახებ თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ხილმი გიულერმა 21 ნოემბერს განაცხადა. იგი იმედოვნებს, რომ თურქეთი პირველ აზერბაიჯანულ გაზს წლის ბოლომდე აუცილებლად მიიღებს.

გამოდის, რომ ამ ზამთარს შაჰ-დენიზის გაზი კონსორციუმის სამივე წევრ ქვეყანას სჭირდება და საკუთარ კვოტაზე უარის თქმა არც ერთ მათგანს არ სურს. ხელშეკრულების მიხედვით, გაზის უდიდესი წილი თურქეთსა და აზერბაიჯანს ეკუთვნით. ყველაზე ცუდ სიტუაციაში ცხადია, საქართველოა და მას მეზობლებთან ხვეწნა მოუწევს. რას შესთავაზებს საქართველოს მთავრობა თურქეთსა და აზერბაიჯანს გაზის სანაცვლოდ? როგორც ექსპერტები ამბობენ, გაზის დათმობის სანაცვლოდ ქართული მხარე მეზობელ თურქეთს ენერგოდეფიციტის დროს ელექტროენერგიის მიწოდებას და ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საქართველოში შემოტანისას შეღავათიანი პირობებით დაბეგვრას დაჰპირდება. რა დათმობებს სთავაზობს თბილისი ბაქოს, ამის თქმა ექსპერტებს უჭირთ, თუმცა ვარაუდობენ, რომ ანალოგიური შეღავათები შესაძლოა მასზეც გავრცელდეს. გარდა ამისა, საქართველოს ბიუჯეტი დაჩქარებულად იხდის გასულ წლებში აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის დავალიანებას, რომელიც დოკუმენტურად არ არის დაფიქსირებული და რომელსაც ქართული მხარე აქამდე არ აღიარებდა, მის გადახდაზეც უარს ამბობდა.

ქართული მხარე მოლაპარაკებების დასრულებას დეკემბრის ბოლოს ვარაუდობს. ამ დრომდე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ჯერ ბაქოში ჩავა აზერბაიჯანის მთავრობასთან პირობების შესათანხმებლად, მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი კი უკვე თეირანში, ირანის გაზის შესახებ გაიმართება.

***ნინა ქვლივიძე***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 25 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,7350 |
| ევრო | 2,2652 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,3439 |
| რუსული რუბლი | 0,0654 |
| თურქული ლირა | 1,1747 |

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მათზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**უკვე ექვსი თვეა, მაწუხებს ყელის ტკივილი. დილაობით ვახველებ ჩირქიან ლორწოს. ექიმმა მითხრა, რომ მაქვს ტონზილიტი. წამლებით მკურნალობა არ მშველის. ანტიბიოტიკებს ვსვამდი კიდეც და ნემსებსაც ვიკეთებდი.**

**ალბათ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კიდევ ასეთი ინფორმაცია. ჩემს მეუღლეს ზუსტად ექვსი თვის წინ აღმოაჩნდა ტრიქომონა და ქლამიდია, მეც დაახლოებით ამ პერიოდში დამეწყო ყელის ტკივილი. ხომ არ არის კავშირში ჩემი პრობლემა ამ ინფექციასთან და არის თუ არა აუცილებელი ჩემი მისვლა ვენეროლოგთან?**

***ნ. ნ.***

ქრონიკული ტონზილიტი მთელი ორგანიზმის ინფექციურ-ალერგიული დაავადებაა და ნუშურა ჯირკვლების ანთებითი რეაქცია მისი ადგილობრივი გამოვლინება გახლავთ. ამდენად, ამ დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმუნიტეტის მდგომარეობა. გირჩევთ, ნუ გადადებთ ვენეროლოგთან ვიზიტს, რათა დროულად დაადგინოს, გაქვთ თუ არა თქვენ მიერ ჩამოთვლილი ინფექციები, რადგანაც შესაძლებელია ორგანიზმის რეაქტიულობის დაქვეითებას სხვა ლოკალიზაციის ინფექცია იწვევდეს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ერთდროულად უმკურნალოთ ამ ინფექციასაც და ტონზილიტსაც. ტონზილიტის სამკურნალოდ უნდა მიმართოთ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს. თქვენ დაგჭირდებათ ხახის ნაცხის აღება ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისა (ანთების გამომწვევის დასადგენად) და ანტიბიოტიკებისადმი მგრძნობელობის დასადგენად. აღნიშნული ანალიზების შედეგების მიხედვით დაგენიშნებათ კონსერვატიული მკურნალობა, რომელიც მოიცავს ნუშურა ჯირკვლების სანაციას ანუ მათ გამორეცხვას ანტისეპტიკური ნივთიერებების ხსნარებით, ანტიბიოტიკებით, (რომელთა მიმართ მგრძნობელობა მაქსიმალურია), ფიზიოთერაპიული პროცედურები, ულტრამაღალი სიხშირით მკურნალობა. კიდევ ერთხელ ხაზგასმით გეტყვით, რომ ქრონიკული ტონზილიტის მკურნალობა უნდა იყოს როგორც ადგილობრივი, ასევე ზოგადი მიმართულების ანუ კომპლექსური.

**მყავს 15 წლის გოგონა, რომელსაც რამდენიმე წელია, ზურგზე აქვს ფერიმჭამელები, რომლებიც კანში ღრმადაა ჩამჯდარი, პერიოდულად კი იკეთებს ჩირქოვან თავს. გარდა ამისა, ბავშვს აქვს ძალიან ცხიმიანი თმა და ქერტლი, რომელსაც ვერაფრით ვაშორებ. გთხოვთ, მირჩიოთ, რით ვუმკურნალო.**

***ზეინაბ კიკვიძე***

თქვენი მონათხრობის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს კანის პათოლოგიასთან, რომელსაც სებორეა ეწოდება. ამ დაავადებისთვის მახასიათებელია კანის ცხიმიანობის მომატება, ფერიმჭამელები, ქერტლი. გირჩევთ, შვილი დერმატოლოგს გაასინჯოთ, რომელიც საჭირო მკურნალობასაც დაგინიშნავთ. ამასთან გირჩევთ, მოუწესრიგოთ გოგონას კუჭის მოქმედება, რადგან დისბაქტერიოზი და კუჭის შეკრულობა სებორიის გამოვლინების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჰორმონული ფონი, ამიტომ თუ გოგონას აქვს ჰორმონული დისბალანსის რაიმე ნიშნები, იგი აუცილებლად უნდა აჩვენოთ გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგსაც.

**ჩემს პატარა შვილიშვილს ორთოპედმა დაუსვა მენჯ-ბარძაყის სახსრის მსუბუქი დისპლაზიის დიაგნოზი. ბავშვი მხოლოდ ორი თვისაა. გვეუბნებიან, რომ მკურნალობა დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ. ძალიან ვნერვიულობთ.**

**გთხოვთ ამიხსნათ, რამდენად საშიშია ეს დიაგნოზი და მკურნალობის რა მეთოდს გამოიყენებენ ამ დროს.**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

დისპლაზია ნორმალური განვითარების დარღვევას ნიშნავს. ეს საკმაოდ სერიოზული დიაგნოზია და მას დიდი გულისყურით უნდა მოეკიდოთ. თუ მკურნალობა სწორად წარიმართება, შესაძლებელია მოზარდობის ასაკში მოსალოდნელი სახსრის მეტად მძიმე პათოლოგიის თავიდან აცილება. მკურნალობისთვის უნდა მიმართოთ გამოცდილ ორთოპედს. დაგჭირდებათ მენჯ-ბარძაყის ორივე სახსრის რენტგენოგრამა. ორი თვის ასაკში მკურნალობა კონსერვატიულია: საჭიროა ორივე ქვედა კიდურის ფიქსაცია მაქსიმალური განზიდვის მდგომარეობაში. ასეთი მდებარეობის მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვაგვარი ორთოპედიული მოწყობილობები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველაზე საიმედო ასეთ დროს თაბაშირის სახვევის დადებაა. ეს საკმაოდ მძიმე პროცესია ბავშვისთვისაც და მშობლისთვისაც, მაგრამ მკურნალობის ამ მეთოდის შორეული შედეგები საუკეთესოა.

## კარაბადინი

**დიდი ხანია თვალს ვადევნებ „კარაბადინს“ თქვენს გაზეთში. თუმცა წერილს პირველად გწერთ. ვარ 47 წლის. მაინტერესებს ხალხური მედიცინა და ვაგროვებ ხალხურ რეცეპტებს. ამ ბოლოს დროს ბევრმა ნაცნობმა შემომჩივლა, რომ ბავშვებს ხველა აწუხებთ. მე მათ ვასწავლე ჩემთვის ცნობილი მარტივი რეცეპტი და ყველა კმაყოფილი დარჩა. ვფიქრობ, რომ კიდევ ბევრი ადამიანი იქნება შეწუხებული მსგავსი პრობლემით და იქნებ მათაც გამოადგეთ ჩემი გამოცდილება. როცა ჩემი შვილი პატარა იყო, მასაც ბრონქიტი ჰქონდა და გამუდმებით ახველებდა. იგი ასეთი რეცეპტით მომზადებული წამლით მოვარჩინე:**

**დაგჭირდებათ ერთი ცალი მწვანე ვაშლი და იმავე ზომის ერთი თავი ხახვი. ორივე გარეცხეთ (ხახვი არ გაფცქვნათ), დაჭერით თანაბარი რაოდენობის ნაწილებად (მაგალითად 8-8), ვაშლი — გულიანად და ხახვი — კანიანად. დაასხით 1 ლიტრი და 100 მგ წყალი (ასაორთქლებლად). ჭურჭელი მომინანქრებული უნდა იყოს. ხარშეთ დაბალ ცეცხლზე მანამდე, ვიდრე ხახვი არ დარბილდება (დაახლოებით 45-55 წუთი დაგჭირდებათ). შემდეგ გაწურეთ საწურში. ვაშლი და ხახვიც უნდა გამოწუროთ. უნდა მიიღოთ 1 ლ-მდე სითხე, რომელიც თბილ-თბილი უნდა სვათ დღის განმავლობაში.**

**ახლა ჩემი შვილი 12 წლისაა და თავს ძალიან კარგად გრძნობს. ამ წამლის მიღების შემდეგ აღარც კი წამოუხველებია. მკურნალობის კურსი ერთკვირიანია.**

**ნინო, თბილისი**

*ექიმის კომენტარი:* ხახვის ბრონქიტის საწინააღმდეგო ეფექტის შესახებ არაერთხელ ვწერდით. მასში შემავალი ბიოაქტიური ნივთიერებები ამ მცენარის ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიოციდული, ამოსახველებელი, ანტიალერგიულ ეფექტს განაპირობებს. ყველა ეს თვისება კი სასუნთქი გზების ანთებითი პათოლოგიების სამკურნალოდ გამოგვადგება.

ვაშლი მდიდარია ვიტამინებით, მინერალებით, უჯრედისით, პექტინებით, ორგანული მჟავებით, ეთერზეთებით, ფიტონციდებით, რაც მის მრავალმხრივ ფარმაკოლოგიურ ეფექტს განაპირობებს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ხურმა — ღმერთების საკვები



ოქროსფერ-ნარინჯისფერ ხურმაში არის უამრავი ანტიოქსიდანტი (ტანინები, C და P ვიტამინები, ბეტა-კაროტინი). ეს ნივთიერებები იცავს ორგანიზმს სხვადასხვა, მათ შორის ონკოლოგიური დაავადებებისგან, ებრძვის ნაოჭებს. ტანინებს ახასიათებს ანტიმიკრობული აქტიურობა. ისინი ანადგურებენ ნაწლავის პათოგენურ მიკროფლორას, ოქროსფერ სტაფილოკოკს და ჩხირებს. ასე რომ, ხურმა ებრძვის დისბაქტერიოზსაც. მასში შედის რკინა და იოდი, რაც შესანიშნავი პროფილაქტიკური საშუალებაა ანემიის და ფარისებრი ჯირკვლის ჰიპოფუნქციის წინააღმდეგ. ხურმა ძალიან ეფექტიანია ღრძილებიდან სისხლდენის დროსაც. გარდა ამისა, ის მდიდარია ნატრიუმით, კალიუმით, მაგნიუმით, ფოსფორით, კალციუმით, თუთიით. კალიუმი და P ვიტამინი მნიშვნელოვანია გულისა და სისხლძარღვებისათვის. მაგნიუმი სასარგებლოა კუნთებისა და თირკმლებისათვის, კალციუმი და ფოსფორი — ძვლებისათვის, ხოლო თუთია — რეპროდუქტიული სისტემისათვის. საკვები ბოჭკოები ხურმაში 2-ჯერ მეტია, ვიდრე ვაშლში, რის გამოც ძალიან სასარგებლოა ნაწლავებისათვის. გულ-სისხლძარღვთა და ვარიკოზული დაავადების დროს რეკომენდებულია სეზონზე დღეში 2-3 ნაყოფის მირთმევა. ანემიის დროს სასარგებლოა ხურმის წვენი. დღეში 2-ჯერ 50-100 მლ საკვების მიღებამდე.

მოგრძო ფორმის ხურმას აქვს მატონიზებელი თვისებები, აუმჯობესებს მადას, ზრდის შრომისუნარიანობას და ამშვიდებს ნერვულ სისტემას.

***ოჯი***

## შეიყვარეთ ცირცელი!

ცირცელის წვენი შესანიშნავი პოლივიტამინური საშუალებაა ავიტამინოზის, ნაწლავთა მოშლილობის და მომატებული მადის სამკურნალოდ. გარდა ამისა, ცირცელი აყუჩებს რევმატიულ ტკივილებს და კურნავს ძარღვების დაავადებებს. ერთი ჭიქა ახალგამოწურული ცირცელის წვენი დღეში 2-3-ჯერ — ძალიან ეფექტიანი და სწრაფმოქმედი საშუალებაა ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების დროს.

***დობრიე სოვეტი***





მენინგიტი

✔ იკურნება თუ არა ეს დაავადება?
✔ როგორ ვებრძოლოთ მენინგიტის ნარჩენ მოვლენებს?
✔ საშიშია თუ არა ზურგის ტვინის პუნქციის გაკეთება?

ტრიქომონიაზი

✔ როგორ სვამენ დიაგნოზს?

ხანდაზმულთა მეტეორიზმი

✔ განურჩევლად იმისა, მშიერი ვარ თუ მაძღარი, მუცელი გამუდმებით მიყურყურებს...

თირკმლის მარტივი კისტა

✔ რა აწუხებს ავადმყოფს და როდის შეიძლება გასკდეს კისტა?

ფსორიაზი

✔ საინტერესო სიახლეები ფსორიაზის მკურნალობაში

ფსიქოლოგიური დახმარება

✔ ჩემს ქალიშვილს სწავლა არ სურს, მუშაობა გადაწყვიტა. მიიჩნევს, რომ დღეს ფული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განათლება. რა ვუთხრა, როგორ გადავარწმუნო?

პანარიციუმი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის


## „ოჯახის მკურნალი“ ჩემი ოჯახის მკურნალია

„ოჯახის მკურნალის“ აქტიური და თავგამოდებული მკითხველი გახლავართ მეც და ჩემი ოჯახიც. არც ერთი ნომერი არ გამოგვიტოვებია. მესმის, ძნელია, უბრალო, გასაგები ენით გადმოსცე რთული სამედიცინო ტერმინოლოგია. „ოჯახის მკურნალმა“ კი ეს პრობლემა წარმატებით დასძლია, რაც რედაქციის მაღალპროფესიონალიზმის დამადასტურებელი ფაქტია. ხალხისთვის მართლაც საშურ საქმეს აკეთებთ. თქვენი ჟურნალის მეშვეობით ადვილად ვპოულობთ პასუხს ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე. ძალიან მომწონს რუბრიკები: „ვიზიტი ექიმთან“, „სოციალური პრობლემები“, „მედიცინის ისტორია“. თქვენ — ექიმები და ჩვენ — მსახიობებიც ისეთ საქმეს ვემსახურებით, რომ თუ გულწრფელად არ გვიყვარს, არაფერი გამოგვივა, — ადამიანის, მოყვასის სიყვარული მაქვს მხედველობაში.

***პატივისცემით, ჯემალ ბაღაშვილი***

## ნაოჭებს თევზის ეშინიათ!



თუ უკვე გაგიჩნდათ პირველი ნაოჭები, მიბრძანდით სამზარეულოში და მოამზადეთ სპეციალური „გამაახალგაზრდავებელი" კერძი, რომელიც შეიმუშავა ამერიკელმა დერმატოლოგმა ნიკოლას პერიკონმა. ის ამტკიცებს, რომ შედეგი მესამე დღესვე ჩნდება. ვახშმად და საუზმეზე მიირთვით ზეითუნის ზეთით და ლიმონის წვენით შეკაზმული მწვანე სალათის ფოთლები, 100გ შემწვარი ორაგული, ჩაროზად — მარწყვი, ყოლო ან მოცვი. დღეში დალიეთ 8-10 ჭიქა წყალი და ნაკლები შაქარი მიირთვით.

**ტაიმი**

## ფიტოთერაპია შვილის უძილობას

ფიტოთერაპიული საშუალებები ბევრად ეფექტიანად შველის უძილობას, ვიდრე აბები, თუმცა ზოგიერთი მცენარის უკონტროლოდ გამოყენება არ არის რეკომენდებული. მათ შორისაა კატაბალახა, რომლის ხანგრძლივად მიღებას საპირისპირო ეფექტი აქვს, კი არ ამშვიდებს ნერვულ სისტემას, არამედ აღიზიანებს. არ შეიძლება კრაზანის დიდხანს მიღებაც, რადგან კომპონენტები, რომელსაც ის შეიცავს, დროთა განმავლობაში გროვდება ორგანიზმში. ამიტომ ფიტოთერაპევტები გვირჩევენ, კრაზანა მიიღოთ დანიშნულების მიხედვით.

**გთავაზობთ რეცეპტებს:**

1. 2 ჩ/კ სვიის გირჩებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 4 საათი და მიიღეთ თითო ჩ/ჭ საღამოს.

2. 50 გ კამის თესლს დაასხით 0,5 შავი ღვინო, 1 საათი გააჩერეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1,5-2ს/კ ნაყენი ძილის წინ.

3. 2 ს/კ დაქუცმაცებული კუნელის გამხმარ ნაყოფს დაასხით 1,5 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და გააჩერეთ 2 საათი, გაწურეთ, მიიღეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე 3-4-ჯერ დღეში.

4. 1 ჩ/კ დაქუცმაცებულ ანგელოზას ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 საათი, გაწურეთ და მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში.

**ლეჩებნიკი**

## ორგანიზმი მჟავეს გთხოვთ?



ლიმონს მჟავე გემო სულაც არ აქვს იმიტომ, რომ ის შაქარს არ შეიცავს. სინამდვილეში ერთ კგ ლიმონს მეტი შაქარი აქვს, ვიდრე მარწყვს. ხოლო C ვიტამინი მარწყვში გაცილებით მეტია, ვიდრე ლიმონში. მაგრამ ნუ აგიცრუვდებათ ლიმონზე გული. ის შეიცავს ძალიან დიდი რაოდენობით სასარგებლო ნივთიერებას. მას აქვს მიკრობსაწინააღმდეგო და ანტისეპტიკური თვისებები.

აუცილებლად მიირთვით გაციების, ანგინის (ძალიან უხდება ანთებით პროცესს ყელში მჟავე ლიმონი) და გრიპის დროს.

**ლიზა**

## მაქსიმალურად გამოიყენეთ ზღვის მარილი!

მეცნიერები ამტკიცებენ, დედამიწაზე მცხოვრები ყველა ცოცხალი არსება წყლიდან წარმოიშვაო. შესაძლოა ამიტომაც, შეძლებისამებრ მივაშურებთ ხოლმე ზღვას მარილიან წყალში ენერგიის აღსადგენად, დასამშვიდებლად.

ზღვის მარილი დადებითად მოქმედებს კანის ტონუსზე და ფართოდ გამოიყენება კოსმეტოლოგიაში. გარდა ამისა, ეს შესანიშნავი საშუალებაა სტრესისა და სპაზმების წინააღმდეგ, ვინაიდან ააქტიურებს ვეგეტატიურ ნერვულ სისტემას და აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.

ზღვის მარილის ფეხის აბაზანები მომენტალურად მოგიხსნით შეშუპებას და გადაღლას. წყლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 37°-ს, პროცედურის ხანგრძლივობა — 10 წუთს.

ფეხებს ზამთარში მეტი მოვლა სჭირდება, ვიდრე ზაფხულში. ზღვის მარილის აბაზანები ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას.

ზღვის მარილს ანტიცელულიტური ზემოქმედება ახასიათებს. ამისთვის აბაზანები უნდა მიიღოთ კვირაში 2-3-ჯერ (სხვა ანტიცელულიტურ საშუალებებთან ერთად).

ზღვის მარილი ხსნის ანთებით პროცესს და კანზე აქრობს გამონაყარს.

**გარდიანი**

გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად
69 კომპლექტი ლარად!!!
შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55

პრეპარატი ფენსი გაძლევთ უნიკალურ შანსს
ფსორიაზი
ეგზემა
ნეიროდერმიტი
სებორეა
იმკურნალეთ
ენდეთ საუკუნოვან გამოცდილებას!
იკითხეთ აფთიაქებში
საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით
ცხელი ხაზი: 39 66 03
მკურნალობამდე
7 კვირის შემდეგ
მკურნალობის შემდეგ

„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია - ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
სარეზიდენტო არჩევითი მოდული „სამედიცინო სექსოლოგიის საფუძვლები" - 1 თვე.
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

## გასტროდუოდენიტი — საშიში არ არის!...

გასტროდუოდენიტი არის კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება, რომელიც იწყება პირღებინებით, გულის კოვზთან ტკივილით, მუცელში სიმძიმის შეგრძნებით, პირში ჩნდება უსიამოვნო გემო. გასტროდუოდენიტის მკურნალობა უნდა დაიწყოთ დიეტით. აქვე გთავაზობთ სამკურნალო ბალახებით მკურნალობის რეცეპტს: თანაბარი რაოდენობის კოთხუჯის ფესვების, წყლის სამყურას ფოთლების, აბზინდას, ასისთავას, ფორთოხლის ქერქის 2ს/კ დაფქულ ნარევს დაასხით 1ლ მდუღარე წყალი და თავდახურული 10 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე. მთლიანად ჩაასხით თერმოსში და გააჩერეთ ერთი ღამე. დალიეთ დღის განმავლობაში 0,5 ჩ/ჭ ნახარში ჭამამდე 30 წუთით ადრე. მკურნალობის კურსია 3-4 თვე. 2 კვირის შესვენების შემდეგ გაიმეორეთ. სამკურნალო ბალახებით მკურნალობა შეგიძლიათ დაიწყოთ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ.

**დომაშნი დოქტორ**

## რა მივირთვათ საკვებით მოწამვლის შემდეგ?

იკვებეთ ხშირ-ხშირად, დღეში 5-6-ჯერ, პატარა ულუფებით. ჭამეთ გამომშრალი ან გამხმარი პური, ბრინჯი, მოხარშული კარტოფილი.

დროებით ამოიღეთ რაციონიდან რძე, ტკბილეული, ტკბილი ხილი და ლობიო, კომბოსტო, კიტრი. ზომიერი რაოდენობით სასარგებლოა: ნიახური, კამა, ნიორი, ხახვი, მოშუშული ბოსტნეული, კისელი, ჟელე, ძალიან კარგია მუსები. ყველა კერძი მოამზადეთ ორთქლზე!

**ვესტნიკ ზოჟ**

## ვიტამინების შესანიშნავი ხუთეული



დღეში უნდა მიირთვათ არანაკლებ ხილის 5 სახეობა. ვისაუბროთ იმის შესახებ, რა დროს სჯობს მათი მირთმევა და რომელ ხილს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა.

***კივი*** — საუზმემდე 20 წუთით ადრე მიირთვით ხილის წვენი (ფორთოხლის ან ანანასის) ან ჭამეთ კივი. ის შეიცავს 5-ჯერ მეტ C ვიტამინს, ვიდრე ფორთოხალი. ეს საკმარისი სადღეღამისო ნორმაა.

***ყურძენი*** — სასწრაფო დახმარებაა მუშაობით დაღლილი ტვინისთვის. ნაშუადღევს მიიღეთ 1 მტევანი ყურძენი ან ერთი მუჭა ქიშმიში. ეს საკმარისი იქნება, რომ დღის ბოლოს არ იგრძნოთ დაღლა.

***ვაშლი*** — საუკეთესოა სადილის წინ და შემდეგ. ვაშლი იწვევს კუჭის წვენის გამოყოფას, ამიტომ დიეტოლოგები გვირჩევენ, მივირთვათ ჭამის წინ და შემდეგ თითო ვაშლი. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ჯიშისა იქნება, მთავარია კარგად დაღეჭოთ ხილი.

***ბანანი*** — თითო ცალი საუკეთესოა შუადღისას. მასში შემავალი ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლები სწრაფად აღადგენენ ფიზიკურ და გონებრივ ძალებს.

***ქლიავი*** — მიირთვით ძილის წინ 3 საათით ადრე. განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვინც ნაკლებმოძრავ ცხოვრებას ეწევა და აწუხებს ნაწლავის მოდუნება. მიირთვით ქლიავი ყოველდღე (1-2 ცალი ცოცხალი ან იმავე რაოდენობის ჩირი) და დაგავიწყდებათ ყველა პრობლემა.

ნუ შეგეშინდებათ ექსპერიმენტების — ხილი დაამატეთ სხვადასხვა კერძებს: გახეხილი, მჟავე ვაშლი — წვნიანში, კონცენტრირებული ფორთოხლის წვენი — სტაფილოს წვნიანში, მსხალი — სალათებში, გარგარის ჩირი — ბრინჯში.

**მირორი**

## ფსიქოლოგიურად თავდაცვის 10 პრინციპი



1. ყოველდღე გაიღვიძეთ შეგონებით: ყველაფერი კარგად იქნება! გამოდით შინიდან როგორც მგელი სანადიროდ და არა, როგორც ბატკანი სამსხვერპლოზე. მზად უნდა იყოთ იმისთვის, რომ რაც უნდა მოხდეს, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

2. სამსახურში პირველ რიგში შეასრულეთ თქვენთვის ყველაზე უსიამოვნო საქმე და თავი შეიქეთ. მაშინ მთელი დღე უფრო ადვილად და უმტკივნეულოდ გაივლის.

3. მიაჩვიეთ თავი, იყოთ დამშვიდებული და არა დაბნეული. არ დაიძაბოთ და მზად იყავით ნებისმიერი სიტუაციისთვის. იფიქრეთ მხოლოდ იმ საქმეზე, რითაც ხართ დაკავებული.

4. ნებისმიერ სიტუაციაში იყავით კორექტული და თავაზიანი. აგრესიული ადამიანი თავად ხდება აგრესიის მსხვერპლი.

5. არაფერი დააშავოთ, თუ ეს მოხდა და მიიღეთ შენიშვნა, აღიარეთ და შეეცადეთ, გამოასწოროთ. არავითარი წუწუნი, თვითგვემა დეპრესიისა და ნევროზის მიზეზი ხდება.

6. ყურადღებით მოეკიდეთ გარშემომყოფებს, შეისწავლეთ ისინი, რათა იცოდეთ, ამა თუ იმ სიტუაციაში ვისგან რას უნდა ელოდეთ.

7. შეეცადეთ, ირონიულად შეხედოთ ნებისმიერ მძიმე პრობლემას. მართალია, ის არ შეიცვლება და შემსუბუქდება, სამაგიეროდ, შეიცვლება თქვენი დამოკიდებულება და აუცილებლად მოიძებნება ამ პრობლემის გადაწყვეტის გზები.

8. იმოქმედეთ მშვიდად.

9. საუკეთესო საშუალებაა თავის ადგილზე „დასვათ" ის, ვისაც მუდმივად წნეხის ქვეშ ჰყავხართ, გაიძულებთ, შეასრულოთ მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი საქმე. თქვენგან სურს შექმნას მსხვერპლი, წუწუნა, მორჩილი ადამიანი.

10. საღამოს იუმორითა და ირონიით გააანალიზეთ განვლილი დღე, თავში დაიტოვეთ მხოლოდ სასიამოვნო ამბები, დამშვიდდით და დაისვენეთ...

**კომსომოლსკაია პრავდა**

## მკურნალი ბოსტნეული

ოხრახუში, ქინძი, პირშუშხა, შავი ბოლოკი და თეთრი ბოლოკი ნამდვილი ბუნებრივი აფთიაქია. მათი დახმარებით შეიძლება სხვადასხვა დაავადების მკურნალობა — დაწყებული გულსისხლძარღვებიდან, კანიდან — დამთავრებული კუჭ-ნაწლავითა და გაციებით. სამკურნალოდ გამოიყენება არა მარტო ამ მცენარეთა ღეროები და ფოთლები, არამედ ფესვები და ბოლქვებიც.

**პირშუშხა** — განსაკუთრებით სასარგებლოა ხანდაზმულებისთვის, ის წმენდს სისხლძარღვებს ქოლესტერინისგან, საუკეთესო საშუალებაა სახსრების დაავადებისას. თუ ყოველდღე მიიღებთ პირშუშხას წვენს, დაზღვეული იქნებით გაციებისა და ინფექციური დაავადებებისგან. ამისთვის საჭიროა გათლილი პირშუშხა წმინდად გახეხოთ, შეურიოთ ჭარხლის წვენი და სვათ თითო ს/კ 3-ჯერ დღეში.

პირშუშხა მდიდარია ასკორბინის მჟავათი და აქვს ბაქტერიოციდული თვისებები, შეიცავს ფიტონციდებს. კიდევ ერთი რეცეპტი: გახეხილ პირშუშხას დაამატეთ ცოტა თაფლი და დილა-საღამოს მიიღეთ თითო ჩ/კ.

პირშუშხას მიღებას არ გირჩევთ, თუ გაწუხებთ წყლული, ეროზია, გასტრიტი (მომატებული მჟავიანობით), თირკმლები.

**თეთრ ბოლოკში** ბევრი უჯრედისია, აქვს ბაქტერიოციდული თვისებები, აკავებს მიკროორგანიზმების ზრდას, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ამცირებს შაქრის დონეს სისხლში, ამაგრებს კაპილარებს. სასარგებლოა თეთრ ბოლოკის ზეთმოსხმული სალათი. იმ სალათებს, რომელშიც არის ბევრი კამა, ოხრახუში და სხვა სანელებელი მცენარეები, ცოტა მარილი და ბოლოკი, ორგანიზმი ადვილად ითვისებს. მაგრამ თუ კუჭ-ნაწლავი გაწუხებთ, ბოლოკის წვენი უნდა მიიღოთ სტაფილოს წვენთან ერთად, რასაც ერთი მწიკვი მარილი დაუმატეთ. ეს კოქტეილი მიიღეთ 1-2 ს/კ 3-4-ჯერ დღეში. რეცეპტი შეიძლება გამოიყენოთ სისხლნაკლებობის დროსაც.

თეთრ ბოლოკი ბრწყინვალე ანტიდეპრესანტია. თუ უგუნებოდ ხართ, შეჭამეთ ბოლოკისა და მწვანილის სალათა.

**ოხრახუშსა და ქინძზე** ბევრი რამ არის დაწერილი. ეს მწვანილები არა მარტო აგემრიელებს კერძებს, არამედ ამდიდრებს მათ რკინით, მინერალური მარილებით, კალციუმით, ფოსფორით, C, A, E ვიტამინებით. ხალხურ მედიცინაში ძირითადად გამოიყენება ოხრახუშის ფესვები, რომელიც შესანიშნავი შარდმდენია თირკმლების დაავადების დროს. ოხრახუშის წვენი ხსნის მუცელში ქვალს, აწესრიგებს თირკმელზედა და ფარისებრი ჯირკვლების ფუნქციას.

ოხრახუშის დაჭრილ ფესვებს დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ რამდენიმე საათი და სვით თითო ს/კ ნაყენი უზმოზე. ეს ნარევი წმენდს თირკმლებს, ღვიძლს, ნაწლავებს.

**შავი ბოლოკით** და მისი წვენით ძველთაგანვე მკურნალობდნენ ფილტვებს, სისხლს, იყენებდნენ მძიმე დაავადების შემდეგ ძალის აღსადგენად, განსაკუთრებით ხველების დროს. ამისთვის საჭიროა შავი ბოლოკისა და სტაფილოს წვენს დაამატოთ ცოტა თაფლი და დილა-საღამოს მიიღოთ თითო ჩ/კ.

ყოველდღე მიირთვით წმინდად გახეხილი ბოლოკის, სტაფილოს და მცენარეული ზეთის სალათი — არ გაცივდებით.

ნიკრისის ქარის სამკურნალოდ შავი ბოლოკის წვენს შეურიეთ თაფლი (1:1) და სვით თითო ს/კ 3-ჯერ დღეში.

გახსოვდეთ! შავი ბოლოკი ეკრძალებათ კუჭ-ნაწლავითა და ღვიძლით დაავადებულებს.

**ოტდოხნი!**

# ვანო მაჩაბლის სიკვდილის შემდეგ ხმა გავრცელდა, თითქოს აკაკიმ რაღაც იცოდა...

## გიორგის პიჯაკებით თურმე ლავრენტი ბერია დადიოდა!

ამბობენ ხოლმე, თბილისი პატარა ქალაქია, ყველა ყველას იცნობსო. მართალიცაა. ასე იყო ყოველთვის, მაგრამ ცნობა და გაცნობა ხომ ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებებია, ამიტომ ხშირად ძალიან ნაცნობ პიროვნებაშიც კი პირველად აღმოვაჩენთ ხოლმე რაღაც ახალ თვისებებს... მაგრამ ცნობას რაც შეეხება, განსაკუთრებით ცუდად საქმე ისტორიულ ფაქტებთან, პიროვნებებთან, ანუ საკუთარ ისტორიასთან გვაქვს. ეს ჩვენი განელებული ცნობისწადილის ბრალიცაა და ჩვენივე არასწორი დამოკიდებულებისაც. ისტორიის ქარავანი კი მიდის, მიდის... ფეხდაფეხ თუ არ მივდიეთ, ერთ დღეს შეიძლება მის კუდსაც ვერ მოვკრათ თვალი. ამჯერად ქალბატონ **მარინე ჩერქეზიშვილს** ვეწვიეთ, რომ რამდენიმე ამბავი მოგვეთხრო თქვენთვის XIX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ — სვიმონ მაჩაბლის ოჯახსა და მის შთამომავლობაზე.



პრინცი მაჩაბელი

სვიმონ მაჩაბელი — ქალბატონი მარინეს დიდი პაპა — სამხედრო პირი იყო. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე გახლდათ. მაშინ სასწაულით გადაურჩა დაპატიმრებას, მაგრამ განწყობა არ შესცვლია. თამარაშენში ცხოვრობდა. ამბობენ, ყოველ დილით, რომ გაიღვიძებდა, ბიჭს დაუძახებდა, — ნადი, ერთი, გორისკენ, ნახე, რუსები ხომ არ წასულანო... ამაოდ ელოდა დამაშვრალი. დაგროვილ სადარდელს წერილებსა და ლექსებში აქსოვდა. არაერთი წერილი ჰქონდა ლექსად მიწერილი გრიგოლ ორბელიანისათვის. ივანე მაჩაბელი სვიმონ მაჩაბლის შვილიშვილი იყო, შვილთაშვილი — გიორგი კი უცხოეთში ცნობილი პარფიუმერი, პრინცი მაჩაბელი.



ვანო მაჩაბელი ნათესავებთან ერთად

### იდუმალი გაუჩინარება

ბევრი ვერსია არსებობს ივანე მაჩაბლის გაუჩინარებისა. ამდენ მითქმა-მოთქმაში ტყუილ-მართალი ერთმანეთში აირია. მეუღლეს დიდხანს ეძებდა ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილი. ვაი რომ, უშედეგოდ... მაჩაბლების ოჯახის უახლოესი მეგობარი იყო აკაკი წერეთელი. ტასოს უფროსი და, ნიცა ცოლად ჰყავდა თავად ბეჟან წერეთელს. პატარა ტასო საჩხერეში დასთან თვეობით რჩებოდა ხოლმე. ბეჟანი აკაკის უახლოესი ნათესავი და მეგობარი იყო და დიდი მგოსანი ხშირად სტუმრობდა მის ოჯახს.

შემორჩენილია არაჩვეულებრივი წერილები, სადაც ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა ტასო აკაკიზე. ერთ-ერთი წერილი გვამცნობს, როგორ უგზავნიდა ტასო საზღვარგარეთ დასასვენებლად წასულ აკაკის ბანკით ფულს. როცა მგოსანი საქართველოში არ იყო, მის ფინანსურ საქმეებს ტასო უძღვებოდა... ვანო მაჩაბლის სიკვდილის შემდეგ ხმა გავრცელდა, თითქოს აკაკიმ რაღაც იცოდა... ლიტერატურის მუზეუმში არსებობს აკაკის დაკითხვის ოქმი, სადაც დიდი მგოსანი ამბობს, — ყოველთვის ყველაფერს ვერ იტყვის კაციო... იქნებ მართლაც ჰქონდა რაღაც ინფორმაცია. ივანეს ხომ ძალიან უყვარდა აკაკი, იქნებ გაუმხილა კიდეც რამე... ამ კითხვებზე პასუხს ველარავინ გაგვცემს.

ერთი ჟანდარმის დაკითხვის ოქმში წერია, როგორ ნახეს შინიდან მშვიდად გამოსული ივანე მაჩაბელი, გამოლაპარაკებია კიდეც მორიგე ჟანდარმს.

ამ ამბამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოში ჩამოვიდნენ ტოლსტოის შვილები დუხობორების გასახლებასთან დაკავშირებით. ამბობენ, თითქოს ისინი ხვდებოდნენ ვანოს, რაღაცას სთავაზობდნენ, შეიძლება როგორც ენების მცოდნეს, დახმარება სთხოვეს — კანადისა და კვიპროსისკენ დაძრულ დუხობორებს თარჯიმანი სჭირდებოდათ (კვიპროსზე უამრავი მათგანი ეპიდემიამ იმსხვერპლა).

ტასო დაუღალავად მისდევდა ყველა ნათქვამს ბოლომდე. ეტყოდნენ, ინგლისში უნახავს ვანო ვილაცასო, — გაიკითხავდა, ეტყოდნენ, ამერიკაშიაო — შეძლებისდაგვარად ამოწმებდა... ვერაფერი გაარკვია... ეს იყო საუკუნის იდუმალი გაუჩინარება.

### ელენე

ბებიაჩემს, ვანო მაჩაბლის ქალიშვილს, ელენეს დედა უსაზღვროდ უყვარდა. ამბობდა, საოცარია პირდაპირ, დაქვრივების შემდეგაც კი დედაჩემი იმდენ ქველმოქმედებას ახერხებდაო. მონაწილეობდა სტუდენტების საზღვარგარეთ გაგზავნის საქმეშიც. ვანო სარაჯიშვილი იტალიაში სასწავლებლად სწორედ ტასოს რეკომენდაციით გაგზავნეს. იტალიიდან დაბრუნებული ვანო გვეწვია და მთელი საღამო ჩვენთვის მღეროდაო, — იხსენებდა ბებია. დავით სარაჯიშვილის მეუღლე ტასოს ნათესავი იყო, ხოლო ვანო მაჩაბლის ვაჟი, ნიკუშა დავით სარაჯიშვილის ნათლული. ამიტომ ბევრ კეთილ საქმეში უწყობდა ხელს მეცენატი ტასოს. ნიკუშა საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის დახვრიტა. ბებიას არ უყვარდა ამ ამბის გახსენება. ეშინოდა კიდეც, ამიტომ სულ თავს არიდებდა ძმაზე საუბარს.

ელენე დედის სიცოცხლეში არ გათხოვილა. ამბობდა, არ მინდოდა ოჯახის შექმნა, ვიდრე დედა მყავდაო. შემდეგ შეუყვარდა თავად ვანო ჩერქეზიშვილს და ცოლად გაჰყვა კიდეც. მისი მამამთილი — ლევან ჩერქეზიშვილი ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი და მომხრე იყო მაშინ, როცა საზოგადოება მაჩაბლისტებად და ჭავჭავაძისტებად გაიყო. როცა ელენე მისი რძალი გახდა, სიხარულით უთქვამს: მონტეკის ოჯახიდან მოვიყვანეთ ქალიო (მონტეკი — მაჩაბლებს შეადარა, კაპულეტების გვარი — ჩერქეზიშვილებს), უიღბლო გამოდგა ელენე მაჩაბელი. 1938 წელს მეუღლე დაუხვრიტეს, თუმცა დიდხანს არ იცოდა ქმრის სიკვდილის ამბავი. ამანათებს უგზავნიდა და ელოდა მის დაბრუნებას. ორი ვაჟი ჰყავდა. ორივეს გარდაცვალებას მოესწრო. დავითი ტუბერკულოზით დაავადდა. დედა-შვილი აბასთუმანში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ ორგანიზმი სენს ვერ მოერია... მოულოდნელად უწია სიკვდილმა მეორე ვაჟს — მიხეილსაც.

### აკაკის ცოლ-შვილი

აკაკი მძიმე ავად რომ გახდა, ვანო მაჩაბლის ოჯახში იწვა. მის ცოლ-შვილს შეატყობინეს. ნატალია და ლოლია ჩამოვიდნენ. ბებიას კარგად ახსოვდა ისინი. ნატალიას თურმე თან დაჰქონდა რეზინის გასაბერი აბაზანა და იმაში წვებოდა. მსგავსი არსად მენახა, ამიტომ მიკვირდა და დამამახსოვრდა კიდეცო, — ამბობდა ბებია. ცოტა თავისებური ქალი კი იყო. აკაკი ხშირად დადიოდა სტუმრად. ნატალია ღელავდა, სულ საათზე იყურებოდა. თუ აკაკი დათქმულ დროზე არ დაბრუნდებოდა, ეტლს იქირავებდა და ქმარს მიადგებოდა ხოლმე. ბრაზობდა აკაკი — თქვენ არ იცით, ეს ვინ არის. მძინარეს ქუთუთოს ამიწევს და მეკითხება, — ხომ არაფერი მოგივიდაო. ზედმეტად ყურადღებიანი იყო ლოლიას მიმართაც.

როცა ტასო მაჩაბელი გარდაიცვალა, ლოლიამ მოიწერა, — დედაჩემი ორი კვირაა, დასტირის ტასოს, ძალიან ვწუხვართ. თქვენ ჩვენი უახლოესი ნათესავები ხართ, ჩამოდით, ჩვენთან იცხოვრეთო.

სხვათა შორის, ნატალიას არ უყვარდა საჩხერეში ჩასვლა. როგორც ამბობდა, აკაკის დასთან ჰქონდა ცუდი ურთიერთობა.

### პრინცი მაჩაბელი

გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი ერთობ ენერგიული და აქტიური კაცი იყო, სამშობლოს ბედზე მზრუნველი და მოფიქრალი. 1917 წელს, როცა საქართველოს გათავისუფლების შესაძლებლობა გაჩნდა, გიორგიმ, რომელიც საკმაოდ დაახლოებული იყო ვილჰელმ კაიზერთან, მამულიშვილთა დავალებით მოლაპარაკება გამართა მასთან, რომ გერმანიას საქართველოსთვის ამ საქმეში მხარი დაეჭირა. გიორგი მაჩაბელი ტევტონური ორდენის კავალერიც სწორედ ამ მიზნით გახდა. თვითონ ეს ფაქტი კი, მოგეხსენებათ, მნიშვნელოვანი იყო. იმ ორდენში გაერთიანება ადვილი არ გახლდათ. გიორგის იმედი ჰქონდა, ეს მეგობრობა გაამართლებდა. ორი ქვეყნის დასაახლოებლად ვილჰელმის მემკვიდრის ქართველ ქალზე დაქორწინებასაც კი გეგმავდა, მაგრამ ეს საქმე არ გამოვიდა, მერე საქართველოს შესაიარაღებლად წყალქვეშა გემ „ბათუმით“ უცხოეთიდან იარაღი შემოჰქონდა. არც ამას მოჰყოლია წარმატება.

თავის დროზე გიორგი მაჩაბელი რომში საქართველოს წარმომადგენელი გახლდათ. ამიტომ მას საკმაოდ ფართო კავშირები ჰქონდა ევროპაში და ბევრის გაკეთებაც შეძლო.

გიორგის თავდავიწყებით შეუყვარდა იტალიელი მსახიობი ნორინა კარმი. ქალისთვის თავისი გრძნობა რომ დაემტკიცებინა, 6 თვეში შეისწავლა იტალიური ენა.

საქართველოს დასახმარებლად ფული იყო საჭირო. სწორედ ამან გადააწყვეტინა, ხელი მოეკიდა ბიზნესისათვის. შეიძლება ითქვას, თავბრუდამხვევი წარმატება ხვდა წილად მის სუნამოებს. ერთი ცალი ელენე მაჩაბელს ჩამოუტანა მეგობარმა. ფლაკონი, ცოტაოდენი ძველი სუნამოთი, ისევ ინახება ჩვენს ოჯახში.

საოცარი იყო გიორგი მაჩაბლის გარდაცვალება 1935 წელს. ის ჯერაც ახალგაზრდა და ენერგიული კაცი გახლდათ. იმ დღეს ორ კოქტეილზე იყო დაპატიჟებული. ორივე მოიარა. შინ დაბრუნებული ცუდად გახდა და გარდაიცვალა.

გავიდა დრო... როცა პარიზში მოვხვდი, მოვინახულე ჩვენი ნათესავი, გიორგის დის, ნინო მაჩაბლის ქალიშვილი ქეთო ჯინჭარაძე. სხვა ამბებთან ერთად გიორგიზეც მესაუბრა. მითხრა, — აქ ამბობენ, მის სიკვდილში საბჭოთა მთავრობის ხელი ურევიაო.

გიორგის შვილი არ ჰყავდა, დიდი მემკვიდრეობა დარჩა და წილი, ცხადია, მის ძმას — ილიას უნდა შეხვედროდა. გამოგზავნეს კიდეც შეტყობინება საქართველოში. იმ დროს ილია მაჩაბელი საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი იყო. დააპატიმრეს და დახვრიტეს. მაგრამ როგორც ქეთომ მითხრა, მემკვიდრეობის მისაღებად მაინც ჩასულა საქართველოდან ვითომდა ილია მაჩაბლის ნდობით აღჭურვილი პირი. წამოუღიათ კიდეც წილი. ქეთო მეუბნებოდა, — წარმოგიდგენია, გიორგის პიჯაკებით თურმე ლავრენტი ბერია დადიოდაო! რა მოხდა სინამდვილეში, ვერ გეტყვით, მაგრამ ეს მოსაზრება კი არსებობდა...



ელენე მაჩაბელი შვილთან, დავითთან ერთად

P.S. 4 დეკემბერს გაიხსნება გამოფენა, რომელიც საზოგადოებას გააცნობს XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ჟურნალისტის, ფინანსისტისა და შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე მთარგმნელის ივანე მაჩაბლის ოჯახში დაცულ ფოტოარქივს და მემორიალურ ნივთებს. ეს მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მაჩაბლის მუზეუმის გახსნას მის ყოფილ სახლში, თბილისში (კოსტავას ქ. №40).

მუზეუმს, მემორიალურის გარდა, უფრო ფართო, კულტურულ-საგანმანათლებლო მისია დაეკისრება. მუზეუმის მიზანი იქნება თამარაშენში, მაჩაბლების საგვარეულო სახლში ყოველწლიური ფესტივალის გამართვა, ამ მხარის ახალგაზრდობის ჩაბმა სხვადასხვა პროექტში, რაც მნიშვნელოვნად გამოაცოცხლებს ამ კონფლიქტური რეგიონის კულტურულ ცხოვრებას.

**ლელა ჯიჟაშვილი**


დრანდის ციხის ქართველ პატიმარს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით ათავისუფლებენ

აფხაზურმა მილიციამ ლევან მამასახლისი ბიჭვინთაში მაშინ დააკავა, როდესაც დედასთან ჩასულს, სააბაზანოში თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ხელში აუფეთქდა... მან მარცხენა მტევანი და მარჯვენა ხელის სამი თითი დაკარგა... სოხუმის სასამართლომ მას 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა... ლევანი დრანდის ციხეში გადაიყვანეს, სადაც მას სამი ქართველი პატიმარი, ე.წ. კანონიერი ქურდი უწევდა მეურვეობას...

ჟურნალი „გზა“

ალმოაჩინე ახალი ჰობი!

„გზის“ რეალური შოუ

ნატალის შინ ჯერ ბაჩოს და — სოფო, შემდეგ კი, ზურას საყვარელი ეწვია...

ის „ზალაში“ შევიდა და თითოეულ ნივთს დაკვირვებით ათვალიერებდა.

— „ა ტი ბოგატო ჟივიოშ“ — მითხრა და საძინებლისკენ წავიდა. უკან მორჩილი ბავშვივით გავყევი. — მე „ბომჟი“ მეგონე, შენ კი ამდენი ანტიკვარი გქონია სახლში. — გაოცებული ვუყურებდი. არასდროს მენახა ადამიანი, რომელიც წელს ზემოთ სანდომიანი, ნაზი ქალბატონი იყო, ხოლო წელს ქვემოთ ისეთი ჩაცმული გახლდათ, როგორც ნამდვილ მეძავს შეეფერება...




„კლიენტებმა „ჩაი“ პირველად რომ დაგვიტოვეს, პრეზერვატივები მოვიმარაგეთ“...

...გადაგვიღეს „პრომო“, სადაც ზიკის მკერდის რაღაც ნაწილი უჩანს, და ამ გადაღებაზე დავთანხმდი. ჩვენი გამოვარდნის შემდეგ, ეს „პრომო“ ეთერში აღარ გავა...

# ფარცხნალში ერთი ცაცხვი დგას...

**წელიწადები წავლიან ძველი**

დღეები ბრუნავს, ვით კამათელი
და ყვავილების არის მრავლობა.
ჩემთვის დღესავით არის ნათელი,
რას იქყვის ჩემზე შთამომავლობა.

წელიწადები წავლიან ძველი,
შეიცვლებიან ქარით სიონი,
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაკტიონი.

*გ. ტაბიძე*

იმ ზაფხულს ავად აიმღვრა რიონი, ადიდდა, წალეკა ნაპირები. აბობოქრებული მიასკდა ქყვიშში ტაბიძეების უფანჯრო სახლის კედლებს, გარსშემოევლო, ხახადაფჩენილი გველეშაპივით უქადდა შთანთქმას... თვრამეტი წლის იყო მაშინ გალაკტიონი. პოეტური ქარიშხალი ისედაც აქეთ-იქით ახეთქებდა ჭაბუკის სულს. ველარც სემი-ნარიის კედლები უძლებდა მოზღვავებულ ტალანტს, ვერც ჟურნალ-გაზეთების რედაქციები. ალარც დედისა და ძმის შეგონება აოკებდა. სადღაც მიილტვოდა ქარიშხლის ქროლვას აყოლილი... ანგარიშმიუცემლად გადაეშვა მორევში, გამოტოპა, გამოარღვია, ჩამოიფერთხა ლაფი და წუმპე.

...ძლივს გადაიდარა. მზემ გამოიხედა. აახჩახჩახა იმერეთის მთა-გორები. ქუთაისში მასწავლებელთა ყრილობა გაემართათ. ნაცნობ-მეგობართა ჯგუფმა გალაკტიონს მოსაწვევი უშოვა ხელდახელ.

„სკოლებში ქართული ენის სწავლება არაფერი საჭირო არ არისო, გვეუბნებიან და ამას ჩვენ ვითმენთ. ხოლო ქართველობა რად გინდათო, ვინმემ რომ გვითხრას, ალბათ ცოცხალი ვერ გადაგვირჩება, — ქართული ენა თუ არ გვექნება, აღარც ქართველები ვიქნებით“ — პირველად გაისმა ტრიბუნიდან გალაკტიონის მგზნებარე სიტყვა. ტაშის გრიალმა დაბზარა დარბაზის კედლები.

დაცხრა ვნებები, გალაკტიონი შეუდგა თავის ალმართებს... გულის ჯიბეში მასწავლებლის საგზური ედო.

ხარაგაულის სადგურზე ჩამოვიდა მატარებლიდან. წინწასულს ვილაცის დაჟინებული მზერა დაედევნა. შეჩერდა. გამოელაპარაკა უცნობს. ფარცხნალელი ვარო, გვარად ბუაჩიძე, — გაეცნო კეთილად მოსაუბრე მგზავრი. ეკლესიამდე მიაცილა, სოფლის მღვდელს — კირილე კელენჯერიძეს ჩააბარა ახალი მასწავლებელი. სკოლიდან მოშორებით — ხარაძეებთან დაიდო ბინა გალაკტიონმა. აქედან ხელისგულივით ჩანდა კახორის მთაზე აზიდული წმინდა გიორგის ეკლესია.

უცხო ახალგაზრდის გამოჩენამ ააფორიაქა ფარცხნალელი საპატარძლოები. გამოეფინებოდნენ გზის პირებზე, გამოჰქონდათ წყალზე სარეცხი. თავჩაქინდრულები თან საქმიანობდნენ, თან ცალი თვალი შუკა-შუკა მიმავალი მასწავლებლისკენ გაურბოდათ. ულვაშებში ეცინებოდათ გრძელ სკამზე ჩამომსხდარ ხნიერებს. დინჯად გააბოლებდნენ ყალიონს და გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს: ამ უცხო ყმაწვილმა არ ასწავლა ჩვენს ქალებს რეცხვაო?!.. — „სკოლაო, ვამბობთ, თვარა რა სკოლა იყო, ერთი ბეწო



ხის ოთახი, ხელით გამოჩორკნილი მერხები, მაგიდები და სკამები. მოწაფეებიც ათი თუ ვიქნებოდით,“ — იგონებდნენ ხოლმე გალაკტიონის მოსწავლეები. ერთხელ სკოლაში არ გამოცხადებულა გალაკტიონის მოსწავლე ერმალოზ ბუაჩიძე. მიუკითხავს პედაგოგს სახლში — ავად ხომ არ არისო — არაო, დაუმორცხვებია დედამისს, — შარვალი გოურეცხე, ვერ გაშრა და ბოვშვს ამიზა გოუცდა გაკვეთილებიო. გალაკტიონს ფული დაუტოვებია ერმალოზის დედისთვის — სხვა შარვალიც უყიდეთო.

ერთი წელი ილვაწა გალაკტიონმა ფარცხნალში.

გაკვეთილების მერე შეკრებდა თანატოლებს, წაუკითხავდა XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა შედევრებს, ისხდნენ გვიანობამდე, მსჯელობდნენ, ფიქრობდნენ... ბჟუტავდა ნავთის ლამპა, ხან მთვარის შუქი ანათებდა სკოლის ეზომარეს. აისზე დარეკავდა შურთხი, მაშინღა დაიშლებოდნენ. ფესვს იმაგრებდა წიგნის, პოეზიის სიყვარული. იხარა ნერგმა, ამოლერდა, ამოიზარდა, ნაყოფი გამოიღო — სოფელმა ოთხ აკადემიკოსსა და ორმოც პროფესორს დაურწია აკვანი.

დრო მიდის. ბევრი რამ დავიწყების ბურუსით იბინდება. ამ ფიცხი ხალხის ხსოვნიდან მაინც არ იშლება 1910 წელი: ამოვარდნილა ქარბორბალა, სახურავები აუგლეჯია სახლებისათვის, თავდაყირა დაუკიდია ასწლოვანი ხეები. იმ ქარაშოტში გარბოდა თურმე შეშფოთებული გალაკტიონი სკოლისაკენ. ეგონა, ხევში ჩაიტანდა სოფლის ერთი ბეწო ნავთსაყუდელს. სალ-სალამათი დახვედრია მყუდროში შეყუჟული სკოლა. ზურგით მიეყრდნო თურმე ურდულით გადაკეტილ კარს, მკერდი მოიღელა სიხარულით, თვალებდახუჭული უსმენდა ქარის სტვენასა და ზუზუნს. უცებ ფეხებში ნედლი ტოტები გაებლანდა. დახედა. ეზოში ამოზრდილი ნორჩი ცაცხვის ხე წაქცეულიყო, ცალ ფესვზელა ეკიდა. წამოაყენა, მიწა მიაყარა, ისევ წამოუქროლა, ისევ წააქცია ქარმა. ეზოში რომელიღაც მოწაფე შემოვიდა ბარბაცით. მასაც ეძალებოდა ქარი. მაინც მოძებნა და მასწავლებელს მიაწოდა ნიჩაბი. ცაცხვს თავად ჩაებლაუჭა ორი ხელით. გალაკტიონმა ამოთხარა ორმო, ღრმად ჩარგო ცაცხვი. ნორჩი ხე გულში ჩაიკრა მიწამ, გაამაგრა, ტანილა უძაგძაგებდა მცირედ. მერე ხშირად რწყავდა ხოლმე გალაკტიონი, ახარა, გაათამამა. თავად მხოლოდ ერთი წელი გაძლო იმ უკიდეგანო სიმყუდროვეში... წამოვიდა ფარცხნალიდან, ისევ შეუყვა თავის ალმართებს, ისევ ჩაიძირა „ქუჩის ყივილ-ხივილში“.

უკან დარჩა კვალი ნათელი და განედლებული ნერგი სიყვარულისა.

ბევრი ასწლოვანი ხე შრიალებს ამ მხარეში. გალაკტიონის ხელშენავლები ცაცხვი მაინც სხვაზე ლალია, ამაყი და მხრებგაშლილი.

ფარცხნალელები მას დღესაც გალაკტიონის ცაცხვს ეძახიან..

***ეთერ თარიმანი***


| გამომცემლობა „პალიტრა L“ | ფასი |
|---|---|
| ედ. შევარდნაძე – | |
| მემუარები (მგ. ყდა) | 18 |
| მემუარები (რბ. ყდა) | 12 |
| თ. ყიფიანი – სამაგიდო ენციკლოპედია | |
| ყველაფერი ყველაფერზე | 12 |
| ედ. უსპენსკი – „ნიანგი | |
| გენა და მისი მეგობრები“ (მგ. ყდა) ახალი | 7 |
| ჟიულ ვერნი – | |
| „საიდუმლო კუნძული“ (რბ. ყდა) | 6 |
| „80 დღე დედამიწის გარშემო“ (რბ. ყდა) | 5 |
| საბავშვო ლექსების კრებული | |
| „ვარსკვლავმა რა გიჩურჩულა“ (მგ. ყდა) | 7 |
| ო. იოსელიანი – | |
| „დაჩის ზღაპრები“ (მგ. ყდა) ახალი | 11 |
| „დაჩის ზღაპრები“ (რბ. ყდა) | 8 |
| „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“ (მგ. ყდა) | 8 |
| ა. კონან დოილი – | |
| „დაკარგული ქვეყანა“ | 5 |
| „ჯადოსნური კარი“ (მგ. ყდა) | |
| (ლიტერატურული ზღაპრები) | 7 |
| მ. მაჭავარიანი – „დუმილი რეკავს“ | 6 |
| ა. ჭიჭინაძე – „ჭკუა“ | 5 |
| გ. დვალი – ანტიდეპრესანტი | 5 |
| ბ. აკუნინი – „თურქული გამბიტი“ | 5 |
| „ლევიათანი“ (რბ. ყდა) | 5 |
| მ. ბურჭულაძე – | |
| „ფსიქოპათთა თამაშები“ | 5 |
| „შეშლილი თაფლობისთვე“ | 5 |
| „შემოდგომა მშრალ ხიდზე“ ახალი | 5 |
| „მაჟი-ნუარის სურნელი“ | 5 |

ახალი **წიგნები** სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

დარეკეთ, შეგვიკვეთეთ ნებისმიერი ლიტერატურა და ჩვენი კურიერები მას უმოკლეს ვადაში მოგართმევენ

| გამომცემლობა „საბავშვო ენციკლოპედია“ | ფასი |
|---|---|
| „ინდიელები“ მე-5 ტომი | 16 |
| „ვულკანები“ მე-20 ტომი | 16 |
| „მსოფლიოს 7 საოცრება“ 21-ე ტომი | 16 |
| „ძველი ჩინეთი“ 42-ე ტომი | 16 |
| „ვიკინგები“ მე-10 ტომი | 16 |
| „გამოგონებები“ 33-ე ტომი | 16 |
| „ევროპა“ 41-ე ტომი | 16 |
| „ძველი რომი“ 43-ე ტომი | 16 |

| „ელფის“ გამომცემლობა | ფასი |
|---|---|
| ს. მახარაშვილი | |
| „მატიანე ქართველთა“ | 12 |
| **საბავშვო** ახალი | |
| „ძველი ქართველები“ | 20 |
| „ჩემი საქართველო“ | 19 |
| „საქართველოს დიდი მეფეები“ | 16 |
| „საქართველოს საბავშვო ატლასი“ | 14 |

| გამომცემლობა „ანბანი“ | ფასი |
|---|---|
| **საყმაწვილო ბიბლიოთეკა** | |
| ი. გოგებაშვილი | |
| „ისტორიული მოთხრობები“ | 12 |
| კ. თათარაშვილი | |
| „მამელუკი“ | 12 |
| ლ. ყიფშიძე – „მარიკელას მოთხრობები | |
| ანუ ობოლას თავგადასავალი“ | 4 |

| | |
|---|---|
| სერაფიმე (როუზი) – | |
| „აპოკალიფსი“ | 6,50 |
| ბ. ალადაშვილი – | |
| „სპეცსამსახურები და შპიონაჟი“ ახალი | 10 |
| ს. რაზმაძე – | |
| „ვინდოუსი“ | 13 |
| „ვორდი“ | 13 |
| „ინტერნეტი“ | 13 |
| „ექსელი“ | 8 |

**ტელ: 42-43-40; 38-26-73**

| ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | ფასი |
|---|---|
| **საბავშვო** | |
| მხატვრობა მოსწავლეთათვის | 23 |
| კოსმოსი | 19 |
| მხიარული სიტყვები | |
| (ინგლისურ-ქართული ლექსიკონი) | 14 |
| „ჰარი პოტერი“ – I ნაწილი | 5 |
| „ჰარი პოტერი“ – II ნაწილი | 9 |
| „ჰარი პოტერი“ – III ნაწილი | 12 |
| „ჰარი პოტერი“ – IV ნაწილი | 15 |
| „ჰარი პოტერი“ – V ნაწილი | 19 |

| გამომცემლობა „თბილისელები“ | ფასი |
|---|---|
| გ. მანველიძე | |
| „მგლები I“ | 7 |
| „მგლები II“ | 7 |
| „მგლები III“ | 10 |

| გამომცემლობა „ცხოვრება“ | ფასი |
|---|---|
| „უნიკალური სამკურნალო მცენარეები“ | 10 |
| „სამკურნალო წიგნი“ | 10 |
| „პირველადი დახმარება“ | 10 |

| | |
|---|---|
| ჭაბუა ამირეჯიბი | |
| „დათა თუთაშხია“ | 16 |
| „გორა მბორგალი“ | 16 |
| „გიორგი ბრწყინვალე“ | 15 |

**„ცხელი წიგნები“ – მიიღე სახლში ფასნამატის გარეშე ტ: 42-43-40 38-26-73**

**ოთია იოსელიანი „დაჩის ზღაპრები“**

128 გვ. მაგარი გარეკანი ფასი: 11 ლ.
რბილი გარეკანი ფასი: 8 ლ.
A4 (დიდი ფორმატი)

ახალი




წაუკითხეთ ეს წიგნი პატარებს და პატარა დაჩისთან ერთად ისინი იმოგზაურებენ დაუვიწყარ სამყაროში, სადაც სიკეთე და სიყვარული ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებასა და სიხარბეზე...

ცნობილი მწერლის ეს უხვად ილუსტრირებული, ფერადოვანი წიგნი საუკეთესო საჩუქარი იქნება თქვენი ბავშვებისთვის.

**„ნიანგი გენა და მისი მეგობრები“**

96 გვერდი, მაგარი გარეკანი
A5 (საშუალო ფორმატი) ფასი: 7 ლ.




ყველასთვის საყვარელი მულტფილმის გმირები — ნიანგი გენა, ჩებურაშკა და მათი მხიარული თავგადასავალი. ამ წიგნის მეშვეობით თქვენი პატარა საუცხოო სამყაროში — ზოოპარკში აღმოჩნდება და მის ბინადართან ერთად ბევრ საინტერესოსა და სასარგებლოს შეიტყობს.

**ბორის აკუნინი (გრიგორი ჩხარტიშვილი) „ლევიათანი“**

223 გვერდი, რბილი გარეკანი
A5 (საშუალო ფორმატი)
ფასი: 5 ლ.




...მთელი ქალაქი საზარელ დანაშაულზე ლაპარაკობდა... პოლიციამ სახლში ნამდვილი აიდის სამეფო აღმოაჩინა — შვიდ მსახურსა და ორ ბავშვს მარადიული ძილით ეძინათ...

**წაიკითხეთ რუსეთში მოღვაწე ქართველი მწერლის 40 ენაზე ნათარგმნი დეტექტივი და გაიგეთ ვინ იყო მკვლელი!**

**მაია ბურჭულაძე „მაჟი ნუარის“ სურნელი**

288 გვერდი, რბილი გარეკანი
A5 (საშუალო ფორმატი)
ფასი: 5 ლ.




შოუბიზნესის ინტრიგები, ჟურნალისტური სამყაროს შუქჩრდილები, მკვლელები და თვითმკვლელები, სასიყვარულო ინტრიგები და ოჯახური ტრაგედიები, რომელთა კვალიც მიგიყვანთ...

მაია ბურჭულაძის კიდევ ერთი ახალი ქართული დეტექტივი ახალი ციკლიდან „დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში“ „მაჟი ნუარის სურნელთან ერთად“

ცხოვრება ზოგისთვის თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრის, ზოგისთვის კი ურემივით მიიზლაზნება. დროს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ამ ორომტრიალშიც ხშირად დგება მომენტი, როდესაც გვახსენდება გოეთეს ფრაზა — „შეჩერდი, წამო...“ „გაიყინება“, გაირინდება ადამიანის არსებობის ერთი მცირე მონაკვეთი და ისევ თავაწყვეტილი სრბოლით გაგრძელდება წუთისოფლის ტრიალი... შეჩერებულმა წამმა კი იქნებ საუკუნეების ხანგრძლივობაც დაიტიოს თავისი ყოვლისმომცველი იდუმალებით...

„კვირის პალიტრის“ ამ ფოტოგალერეაში საინფორმაციო სააგენტო **„ინტერპრესნიუსის“** ფოტოკორესპონდენტების მიერ დანახული ქართული რეალობაა წარმოდგენილი, ჩვენი დღევანდელობა და სინამდვილე. „შეჩერებული წამი“ — როგორც ჩვენი ისტორია და... მარადიულობა(?!.).

## „ცოტა გიო!“

(კ/ფ „სიყვარული ყველას უნდა“)



რა გახდა ეს ეკონომიკის მინისტრის პოსტი? ერთი კვირა ცარიელი იყო ამ უწყების პირველი პირის სავარძელი და ყველა კეთროვანივით გაურბოდა შიგ ჩაჯდომას. ბოლოს „ლიოტჩიკის გული“ გიორგი არველაძეს აღმოაჩნდა და ქვეყნის მთავარი ეკონომისტის პორტფელი ჩაიბარა.

„— აემაი ხელი დაედება და ვილაცაი წითელი აენთება!“

(კ/ფ „გარიგება“)

„— რას ამობ ჯო. მაგაი რაღა დადება უნდა, იგრედაც ნახევარი პურივით არი გამოთავებული!“

(კ/ფ „მოუსვენარი ზაფხული“)

საქართველოს არასოდეს აკლდა ფალავნები, მაგრამ გინესის. წიგნში პატარა ქართველი „ამირანების“ დაფიქსირება აქამდე არ მომხდარა. ამიერიდან 8 წლის გიორგი ბიბილაური მსოფლიო რეკორდსმენია(!) ნორჩმა გოლიათმა რიყეზე 2,5- ტონიანი მიკროავტობუსი მიწოლით მაქსიმალურ მანძილზე გადაათრია და გაოგნებული მაყურებლების თვალწინ „მუსკულებიც აათამაშა“: — ჯერ სადა ხართ, ჩემი ძალა აწი ნახეთო!






„აქეთ გორას წიხლსა ვკრავ, იქით გორას ძვრას ვუზამ, ადიდებულ მდინარეს დავაყენებ, ყლაპს ვუზამ!..“

კვირა არ გავა, ქართული მიწის მიტაცების მოსურნე სეპარატისტებმა ტელეეთერიდან ჭკუა არ დაგვარიგონ. აფხაზთა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა შამბამ: — „საქართველო მუდამ აფხაზეთის ნაწილი იყოო(?!)“ — წამოგვაძახა და ისტორიული აბსურდი იმდენად მოეწონა, რომ ეს „სიბრძნე“ მოსკოვის ლამის ყველა საინფორმაციო საშუალებას აატაცებინა. არა, მაგარი დაუდევრები ვართ! ყოფილიყო ეს კაცი თბილისში. ამისთანა „მეცნიერის“ გაშვება იქნებოდა ხელიდან?



„ეგ ჭკუა თუ არ გაგექცა თავიდან, შენისთანა მეცნიერი მეორე არ იქნება დუნიაზე! ვაი, შენს პატრონს!“

(კ/ფ „ყვარყვარე“)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. ქუთაისური ოხუნჯობანი

*70-იან წლებში ქუთაისში ერთ-ერთი ძლიერი ორგანიზაცია იყო №12 საგზაო სამმართველო. ყოველთვის მოწინავეთა რიგებში ვიყავით. ამჟამად ძველებიდან თითქმის აღარავინ დარჩა, ყველანი „წავიდნენ“. ყოველთვის სიყვარულით ვიხსენებ მათ და ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე. მათ შორის იყო ბატონი კოტე ობოლაძე (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული), გამორჩეული თავისი ოქროს ხელებითა და ხალასი იუმორით.*

*კოტეს სამი ვაჟკაცი დარჩა: კობა (ქუთაისში ჩელენტანოდ ცნობილი), ბახვა და კახა, სამივე დაოჯახებული.*

*სიამოვნებით შემოგთავაზებთ კოტეს ცხოვრებისეულ კურიოზებს, რომელსაც თვითონაც დიდი არტისტიზმით გვიყვებოდა:*

• • •

ერთხელ კახა ადრე მოვიდა სკოლიდან.

— რატომ მოხვედი ასე ადრე? — ჰკითხა კოტემ.

— შრომა გამიცდა.

— შენი არ ვიცი და მე რომ გამიცდა შენზე შრომა, ეს აშკარააო! — შეუღრინა კოტემ.

• • •



კოტეს ძალიან უყვარდა სიმღერა სიმონა დოლიძეზე (მოდაში იყო ერთ დროს). ერთხელაც მეგობართან გრამფირფიტა უნახავს და უთხოვია რამდენიმე დღით. გიორგობა დღეს ჩაურთავს ოჯახის წევრებთან ერთად მოსასმენად. სიმღერაში არის ასეთი ფრაზა: „უბედურად დადგა ჩემთვის 1917 წელი...“ — სიტყვასთან „უბედურად“ ფირფიტა გაფუჭებული ყოფილა და დაიწყო ერთი და იმავეს გამეორება: — უბედურად, უბედურად, უბედურად!...

— უბედურად იარე, შვილო, შენც და ვინც მაგი გამოგატანა ამ გიორგობას, იმანაცო. — „დაულოცავს“ დედას.

• • •

— კოტე ძროხას წყალი დაალევინე? — ეკითხება ქალბატონი ტერეზა.

— კი, დავუდგი ვედრით.

— მერე დაცალა?

— თამადად არ დავდგომივარ და რა ვიცი, დაცალა თუ არა.

• • •

კოტე სახლს აშენებდა. ბოლო სართულზე საბილიარდოს მოწყობა უნდოდა, მაგრამ სახლის ზომები საკმაოდ გასცდა პროექტის ფარგლებს და მისი სიმაღლის შემცირება მოსთხოვეს.

— მერე ბილიარდი მაგიდის ქვეშ ვითამაშო?! — იკითხა კოტემ.

***დარეჯან მამაგეიშვილი-კობახიძე, ქუთაისი***

## 2. ხახიფათო მგზავრობა



თბილისელი ტარიელ ს-ძე მარნეულის ერთ-ერთ საწარმოს ედგა სათავეში და მართლაც რომ ღირსეულად ითვლებოდა ქალაქის კოლორიტად. იყო საქმის, ოჯახის, ძმაკაცებისა და ქეიფის მოყვარული და ამრიგად, კაცური კაცის სახელი ალალი იყო მისთვის. ერთხელაც, საკმაოდ შეზარხოშებული მისულა შინ. მეუღლეს ამბავი დაუხვედრებია — საცოდავი დედაჩემი გარდაიცვალა, ხარაგაულში ვართ წასასვლელიო და თან განაწყენებულს უთქვამს, — მთვრალმა როგორ უნდა მართო მანქანა, რა ვქნათო.

— ჩემი მძღოლი წაგვიყვანსო, — დაუმშვიდებია ტარიელს ცოლი.

მეუღლე მძღოლის გვერდით დამჯდარა, თვითონ უკანა სავარძელზე წამოწოლილა და რამდენიმე წუთში ჩასძინებია კიდეც. გორს იყვნენ გაცილებული, რომ მანქანას რაღაც ზიგზაგებით დაუწყია სიარული. გაღვიძებია ტარიელს, წამოუწევია თავი და ხედავს — მეუღლეს კაბა ოდნავ ზემოთ ამოჩოჩებია და მძღოლს წარამარა გაურბის თვალი მისკენ.

— ჩაიწიე, ქალო, კაბა, თორემ დაეღრიცა თვალები ამ უპატრონოს! — დაარიგა ცოლი ტარიელმა და ისევ განაგრძო ძილი.

ხარაგაულამდე მისვლას ბევრი აღარ აკლდათ, რომ ტარიელი ისევ გააღვიძა მანქანის ბორბლების „იამკებში“ ბრახაბრუხმა, — ეტყობა მძღოლსაც ეძინება, ძილბურანში მყოფი თავს საჭეს ურტყამს.

— აიწიე, ქალო, კაბა, თორემ ეს ჩემი ცოდვით სავსე ხევში გადაგვყრის საღაცა და დაგვრჩება დედაშენი დაუტირებელი! — ერთხელაც დაარიგა ცოლი ტარიელმა და ისევ წამოწვა, იქნებ ცოტა წაძინება კიდევ მოვასწროო.

***შალვა გოგოჭური, მარნეული***

## 3. ფულის ხეხხება ბურულად



ლანჩხუთში ცხოვრობს კოლორიტული მომღერალი კაპიტო ებრალიძე. იგი, ჩემს ბაბუასთან, სევერიანე ხოფერიასთან ერთად მღეროდა უხუცესთა გუნდში. ტანად დევკაცი კაპიტო ცნობილი ფეხბურთელის ზორბეგ ებრალიძის მამაა.

ერთ დღეს სევერიანემ კაპიტოს სთხოვა, მასესხე 10 მანეთი მამაჩემის ჩამოსვლამდეო. კაპიტომ მისცა ფული. გავიდა რამდენიმე ხანი და შეხვდნენ ერთმანეთს. სევერიანემ მოუბოდიშა, — არ ჩამოსულა მამა და ფულს ვერ გაძლევო. მეორე შეხვედრაზეც ასე მოხდა. მესამეჯერ რომ იგივე გამეორდა, კაპიტომ იკითხა თურმე, — კი მარა, სადაა მამამისი წასულიო. უთხრეს, მამამისი 30 წლის მკვდარიაო...

***გალაქტიონ კერესელიძე, ლანჩხუთი***

## 4. ლამის გაეროს ჯარი ჩააყენა



ეს ამბავი ზესტაფონში ამ ზაფხულს მოხდა, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში. ერთ-ერთ მატჩში პორტუგალიის ნაკრებმა ჰოლანდიის ნაკრები 1:0 დაამარცხა. თამაში, რომელსაც რუსი არბიტრი ივანოვი მსაჯობდა, უხეშობით გამოირჩეოდა და საკმაოდ სკანდალური ფინალი ჰქონდა, მატჩის მსვლელობისას არბიტრმა 16 ფეხბურთელი გააფრთხილა და 4 მოთამაშე გააძევა!

ზესტაფონში, ისე როგორც ბევრ სხვა ქალაქში ტოტალიზატორების ბუმია, იდება ფსონები მატჩის დაწყებამდე, ვინ გაიტანს პირველ ბურთს, რამდენი გაფრთხილება, გაძევება იქნება თამაშში და ა.შ.

ჩვენს ქალაქში ფეხბურთის დიდი ქომაგი ლაშა კიკნაველიძე ცხოვრობს, რომელსაც ყველა „კორკიმელიჩს“ ეძახის (ყველაფერი აინტერესებს და იმიტომ!). ურეკავს მეგობარი, — წუხელ დამეძინა და ვერ ვნახე პორტუგალია-ჰოლანდიის მატჩი, მაინტერესებს ყვითელი (ე.ი. გაფრთხილება) ნაკლები იყო თუ მეტიო. „კორკიმელიჩმა“ უპასუხა, რისი ნაკლები, რუსმა მსაჯმა ივანოვმა ლამის გაეროს ჯარი ჩააყენა სტადიონზეო!

***ბეჟან ჩხეიძე, ზესტაფონი***

### კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი

__________

__________

__________

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №48

### ყურადღება!

### კურიოზების კონკურსი

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს 50 ლარს, მომდევნო 30-ს, მესამე ადგილზე გასული კი 20 ლარს. ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათს, 29 ნოემბრის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 30 ნოემბრის 13 საათამდე.

### „კვირის პალიტრა“ სათანამშრომლოდ იწვევს ფელეტონისტებს

გთხოვთ, მასალები მოგვაწოდოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების მეშვეობით.

## მილოცვა

**ავთო და ამირან ლელაძეებს!**

ავთო და ამო ძია, გილოცავთ 30 ნოემბერს, დაბადების დღეს! იხარეთ და იმრავლეთ ყველა ახლობელთან და საყვარელ ადამიანთან ერთად. გქონდეთ ლაღი, ხალისიანი, ლამაზი ცხოვრება. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

*თეონა, პატარა ნინიკო, შორენა, ნანი, სოსო, თემური*

**ჯანსულ გიორგის ძე გვაზავას!**

პირადად თქვენ და თქვენს ახლობლებს გულითადად მოგილოცავთ წარმატებას, დისერტაციის დაცვას – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვებას. გისურვებთ წინსვლას. გვინდა, ყოველთვის და ყველგან გვეამაყებოდე.

*ინგა და გოჩა ქორჩილავები*

**საყვარელო ვერიკო მამიდა!**

გილოცავთ დაბადების დღეს. ძალიან, ძალიან გვიყვარხართ. გავიზრდებით, გაგახარებთ. რა კარგი იქნებოდა, ხათუნა და კლარა ბებო, თამაზ და დათო ბაბუც რომ გვყოლოდა! რამდენს ვითამაშებდით!

*გკოცნით, შენი თაზო და მარიამ ელიზბარაშვილები*

## მადლობა

სიკვდილ-სიცოცხლეს შორის სიფრიფანა კედელია. ხშირად, ეს კედელი ირღვევა და მხოლოდ ექიმთა დახელოვნება და კაცთმოყვარეობა მოგვაბრუნებს ხოლმე სააქაოსკენ. ა.წ. 20 ოქტომბერს სწორედ ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკის ექიმების პროფესიონალიზმმა მაჩუქა სიცოცხლე.

უღრმესი პატივისცემით ვუხდი მადლობას: **რუსუდან ანჯაფარიძეს** (*რეანიმატოლოგს*), **ეკა მამუკელაშვილს** (*ნევროპათოლოგს*); *ქირურგებს:* **თემურ სესიტაშვილს, კობა ნიკლაურს;** *ექოსკოპისტ* **ჯონი ნიკლაურს,** *ნევროლოგ* **თეა ცლენტს,** *მთავარ ექიმს* – **გია ნაცვლიშვილს.**

*რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მანანა მაჩაბელი*

დიდი მადლობა თქვენ, ბატონო **ბიძინა ივანიშვილო,** რომ გააშენეთ სამების ტაძარი და ქართველ ხალხს მომავლის იმედი ჩაუნერგეთ. ასევე დიდი მადლობა თქვენი ჰუმანურობისთვის, რითაც იმერლებს აჩუქეთ ახალი სიცოცხლე და ამით, ჩემი შვილი სიკვდილს გადამირჩინეთ! ავჭალის საავადმყოფოს მთავარი ქირურგის – **არსენა ონიკაშვილის** ჩარევით გაუკეთდა ოპერაცია და მამით ობოლ ჩემს შვილიშვილებს აჩუქეთ დედის სიცოცხლე. მადლობა, ბატონო, საჩხერის საავადმყოფოს მთავარო ქირურგო **გივი კუჭაშვილო,** რომელმაც საკაცით მისვენებულ მკვდარს მაჩუქეთ სიცოცხლე, შემდეგი სიტყვებით: სირცხვილია იმერლებისთვის, რომ ფოთელი ქალი იმერეთში მოკვდესო. დიდი მადლობა გაზეთ „კვირის პალიტრის" რედაქციას და ყველა ქართველს. გილოცავთ დამდეგ 2007 წელს. მე ვარ ფოთელი, 76 წლის, ორივე ფეხმოტეხილი, ხეიბარი

*ნაზი ბუკია*

## ბინები

იყიდება ვერაზე, კიროვის პარკში „ცენტრ პოინტის" აშენებულ „სატივეს" სახლში, მე-5 სადარბაზოში, თეთრ კარკასში „პენტჰაუზი" – ბოლო 2 სართული. საცხოვრებელი ფართი 264 და დამხმარე ფართი 120 კვმ, სტაციონალური ა/ფარეხით და მე-3 სართულის დაშენების პროექტით. საცხოვრებელი ფართის საწყისი ფასი – $1.000, ხოლო დამხმარე ფართის საწყისი ფასი – $800. ტელ: 893 30-02-20

იყიდება დიდუბეში, წყალტუბოს ქუჩაზე, 1-ოთახიანი იზოლირებული ბინა, მე-6 სართულზე. ფასი $25.000. ტელ: 34-67-85; 855 51-00-25

## გთავაზობთ სამუშაოს

ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები კვალიფიკაციის მიხედვით. მენეჯერები სტაჟირებას გაივლიან მსოფლიოს 61 ქვეყანაში, საკუთარი სურვილით, ფირმის ხარჯებით და პროფილით. ანაზღაურება – გამომუშავებით, ყოველთვიური 400-600 ლარი ან სტაბილური $100-დან ზევით. ტელ: 899 76-68-50. ბ-ნი დიმიტრი. მის: დიღუბე, სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38

ახალგახსნილ ორგანიზაციაში მიმდინარეობს თანამშრომლების შერჩევა შემდეგ ვაკანსიაზე: 2 ეკონომისტი, 1 კადრების ინსპექტორი, 1 მედკონსულტანტი, 1 ფსიქოლოგი, 1 ლოგოპედი. ტელ: 93-63-91. ქ-ნი კლარა; 899 23-29-13. ქ-ნი თამრიკო

მსოფლიო სავაჭრო ცენტრს ესაჭიროება ადმინისტრაციული თანამშრომლები, ასაკს, სქესს, პროფესიას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ხდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. გვაინტერესებს თანამშრომლები რეგიონებიდანაც; ასევე, ის ხალხიც, ვისაც აქვს კავშირი საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ანაზღაურება – მაღალი. მის: ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ. ოთ. 17. ტელ: 51-73-08; 893 33-18-86

სამსახური ექიმებისათვის! მუდმივ სამუშაო ადგილზე მესაჭიროება 2 პედიატრი, 1 თერაპევტი, 1 ენდოკრინოლოგი, მუშაობის გამოცდილებით, მაღალი ანაზღაურებით. შესაძლებელია შეთავსებაც. გასაუბრებაზე ჩასაწერად დარეკეთ: 96-62-58; 899 14-64-95

ოფისში სამუშაოდ გვესაჭიროება პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირები – უპირატესობა ენიჭებათ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებს, მაღალი ანაზღაურებით, შესაძლებელია შეთავსებაც. წინასწარ გასაუბრება ტელეფონზე: 53-26-76; 895 27-25-28

ამერიკული კომპანია პირველად საქართველოში აწარმოებს კადრების შერჩევა-გადამზადებას, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. ასაკობრივი ცენზი განუსაზღვრელია. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ, როგორც რეგიონებში მცხოვრებმა, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა. ინფორმაციის მიღება უფასოა. ტელ: 893 16-91-45. ნანული

На постоянную работу требуются:1. Начальник отдела; 2. Зам. начальника отдела; 3. Инспектор по кадрам; 4. Офицеры запаса;5. Психолог. Оплата высокая, возможно совмещение. Предварительный запись на собеседование т: 62-99-62; 893 10-30-16

## მომსახურება

აგიკრებთ ნებისმიერი სახის ტექსტს, სწრაფად, ხარისხიანად. დაგიმზადებთ ბლანკებს, დოკუმენტებს. 1 გვერდის ფასი – 70 თ. ტელ: 34-32-79; 893 96-00-42

კოსმეტოლოგი გთავაზობთ ეპილაციას ჰაერის ჭავლით და დარსენვალით, ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, 1 სთ – 8 ლ, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, ანესთეზიით, მორჩენის სრული გარანტიით; აგრეთვე გთავაზობთ სახის გაწმენდას და მალამოებს. მის. მ. „სამგორთან", ხარაბაძის ქ. №43/ა. ტელ: 77-61-64; 893 96-91-30. ნონა

ნაოჭების სრული დაშლა-გასწორება, გამონაყარის, პიგმენტური ლაქების, ჭორფლის მოშორება; მოდუნებული სახლის კანი, ყელის, ლაბაბის აღდგენა – სამკურნალო მასაჟი (35 წუთი)+ეგვიპტური ვაკუუმნილბებით. შედეგი გარანტირებულია 7-10 დღეში, შემდგომში ნაოჭის არგაჩენის გარანტიით, სპეციალური მალამო-ზეთით. სეანსი 6 ლარი; ეპილაცია: 1 სთ – 10 ლარი. მიღება წინასწარი ჩაწერით. მის: I სამშობიაროსთან, ჯავის ქ. №26. ტელ: 899 17-63-90; 822 69-98-92. ეთო

## მკურნალობა

მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერული და ფუნქციონალური გამოკვლევა – წნევების დარეგულირება, თავის ტკივილები, ნევროზი, კუჭის და თორმეტგოჯას წყლული, ბუასილი (სისხლდენა, ნაპრალი, ქავილი), უნებლიე შარდვა, პროსტატიტი, ქოლეცისტიტი, ღვიძლის გაწმენდა, სიმაღლეში ზრდის აქტივაცია, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მასაჟი. ტელ: 899 43-97-34; 32-39-46. ექიმი ნათია

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებსა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

საგვარეულო სხნარებითა და მალამოებით თმის დაავადებების მკურნალობა – ამოდის თმა: თმის ძირების გამოკვლევა აპარატით, ტილებისა და წილების მოსპობა, კანისა და ფრჩხილების სოკო, ფსორიაზი, ეგზემა, ღრძილების, ჭრილობების, ნაწოლების, ქუსლებზე ნახეთქების მკურნალობა. აგრეთვე ვაკეთებ მასაჟს. აქვე გაიხსნა კოსმეტოლოგიის შემსწავლელი კურსები: მის: ვაჟა-ფშაველას 47, II სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, II სართ. ოთ. 28. ყოველდღე, 11-18 სთ. ტელ: 39-39-51 (სამსახური); 35-32-62; 893 91-89-17

ალკოჰოლისა და თამბაქოსგან სწრაფი გათავისუფლება, კრემლის ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით, რომელიც ხსნის ნაბახუსევის სინდრომს, აგრესიას, დეპრესიას, აწესრიგებს ძილს, წმენდს ღვიძლს, თირკმელს, ნაღვლის ბუშტს და იცავს ორგანიზმს შემდგომი გართულებებისგან. მკურნალობა აბსოლუტურად უსაფრთხოა და შესაძლებელია პაციენტებისგან ფარულად. ტ: 893 96-50-32. მაია; 93-44-25 (11-17); 96-34-51 (საღამოს)

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც), „პახმელიის" მოხსნა, აგრესიები, აკვიატება, უძილობა, შიშები, ნევროზი, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ბუასილი, კოლიტი, ღვიძლი, წითელი ქარი, თირკმელი, თამბაქოს გადაგდება, სოკო, ფსორიაზი – მცენარეული პრეპარატებით. უკუჩვენება არ გააჩნია. ექიმის მიერ აყვანილი პაციენტის განკურნება გარანტირებულია. ტელ: 899 21-13-66; 68-92-77 (19 სთ-ის შემდეგ ან 11 სთ-მდე)

ალკოჰოლიზმის თერაპიული მკურნალობა, ნაბახუსევის სინდრომის მოხსნა, თეთრი ცხელება, „ზაპოი", ჰალუცინაციები, ნერვული სისტემის აგზნებადობა, უძილობა და მისგან გამოწვეული პრობლემების მოხსნა. უსაფრთხო, ქარხნული წარმოების მცენარეული პრეპარატებით (ISO-ს სერტიფიკატის მქონე) იმ დეფიციტის შევსება, რის გამოც აქვთ ალკოჰოლის ხშირი მოთხოვნა. მკურნალობა აბსოლუტურად უსაფრთხო და შედეგიანია, შესაძლებელია პაციანტისაგან ფარულადაც. ტელ: 99-75-90; 899 36-65-34. ნანა

განკურნების გარანტიით ვმკურნალობ თმის ბუდობრივ და ჩვეულებრივ ცვენას, 10 დღეში ვაჩერებ ცვენას, ამომყავს დაავადებულ ადგილებზე თმა. აგრეთვე მცენარეებით და საგვარეულო რეცეპტებით – ნევროზს, ხელების და თავის კანკალს, თვალების ხამხამს, ყველანაირ ტიკს. მის: ალმაშენებლის 115. პოლიკლინიკის შენობა (ეზოს ბოლოში). კაბ. 19. ტელ: 78-07-94 (ბინა); 95-83-54 (სამს.); 893 67-36-14. ლალი

ლომთათიძე – პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: უნებლიე შარდვას, ფრჩხილის სოკოს, ფსორიაზს, ბუასილს, თმის ცვენას, პროსტატიტს, სახსრებს, სქოლიოზს, ყურებში ხმაურს, ჭარბთმიანობას, ჭორფლს, მეჭეჭებს, ხორცმეტებს, ჰეპატიტს, ნაღველს, გადიდებულ ღვიძლს, ორგანზიმში დაგროვილ სითხეს – გულიდან, ფილტვებიდან. გვაქვს თმის ძირების გასამაგრებელი საპონი (ამაგრებს და კვებავს თმის ძირებს). კომპიუტერული დიაგნოსტიკა – 30 ლარი. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: ალმაშენებლის №93. ტელ: 893 39-04-87; 96-38-27

მთლიანი ორგანიზმის კომპიუტერული დიაგნოსტიკა, ორგანოების კვლევა, დაავადებების გამომწვევი მიზეზების დადგენა; კუჭ-ნაწლავის, ნერვული, გულსისხლძარღვთა სისტემების, ჭარბი წონის, ბავშვებში ხშირი გაცივებასა და ჭიების, მოზრდილებში სიმაღლეში ზრდის ჩამორჩენის მიზეზების დადგენა და მკურნალობა. კონსულტანტი: ლია ჯავახიშვილი. ტელ: 899 34-53-31; 96-62-41

საგვარეულო ხალხური მედიცინის უძველესი მეთოდით ვმკურნალობთ ქრონიკულ პროსტატიტს – მკურნალობა 2 დღის განმავლობაში. წამალი მიიღება დღეში ერთხელ. ტელ: 855 56-51-72. ლალი

საგვარეულო ხალხური მედიცინის უძველესი მეთოდით ვმკურნალობთ ხახისა და ხორხის ქრონიკულ ანთებას, შემდეგი სიმპტომებით: ხმის ჩახლეჩა; მწარე საკვების მიღება; სიგარეტის, მანქანის გამონაბოლქვის, სარეცხი საშუალებების სუნის მძაფრი შეგრძნება. საუკეთესოა პედაგოგებისთვის, თეატრის მსახიობებისთვის, მომღერლებისა და მათთვის, ვინც ბევრს ლაპარაკობს. ხმა გექნებათ უფრო წკრიალა და სუფთა. ტელ: 855 56-51-72. ლალი

მცენარეებითა და ფუტკრის პროდუქტებით გთავაზობთ მთლიანი ორგანიზმის კომპლექსურ მკურნალობას. უოპერაციოდ იკურნება ჩიყვი, კისტა, მიომა, მასტოპათია, ბუასილი, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული. ასევე, ვმკურნალობ სიმსივნით დაავადებულებს, მეტასტაზების პროცესის შეჩერების მიზნით. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 70-78-03; 899 74-23-69

ალკოჰოლიზმის მკურნალობა უახლესი, განსხვავებული, თერაპიული უსაფრთხო მცენარეული კურსით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში, მისცეთ იმ შემთხვევაშიც, როცა ნასვამ მდგომარეობაშია. პრეპარატებს აქვს მიღებული მრავალი ჯილდო და მოწოდებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. მაღალი ხარისხის პრეპარატებით მიიღწევა მაღალი შედეგები. ტელ: 99-75-90; 899 36-67-46. ექიმი ნინო (ჯანდაცვის მაგისტრანტი)

ანტიალკოჰოლური პრეპარატები – ალკოჰოლიზმისაგან სწრაფად თავის დასაღწევად. ალკოჰოლზე დამოკიდებულება ქრება ძალიან მალე და ეფექტურად. პრეპარატები აბსოლუტურად უსაფრთხოა, უმაღლესი ხარისხის და სერტიფიცირებული. მათი მიცემა შეიძლება ფარულადაც – ანტიალკოჰოლური წვეთებისა და ფხვნილის საკვებში ჩამატებით. ისინი ამშვიდებს ნერვულ სისტემას და აღადგენს დაზიანებულ ღვიძლს, ხსნის ნაბახუსევს. ასევე: ნევროზი, აგრესია, დეპრესია, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა) ტელ: 93-44-25 (12-16 სთ); 58-04-67 (დილა-საღამოს); 893 35-45-35 (ნებისმიერ დროს). მაკა ექიმი

გარანტირებული ეფექტით, ოპერაციის გარეშე! ვმკურნალობთ ბუასილის სხვადასხვა ფორმას (მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, ნაპრალი წვა, ქავილი, კოლიტი). მწვავე ტკივილები ქრება 1-2 დღეში. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, მ. „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის №87. ტელ: 69-91-92; 61-02-97; 899 57-16-99

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი), სასხრების დაავადებები (ართროზი, ართრიტი), პოდაგრა. მკურნალობნა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის №87), 11-15 სთ. ტელ: 69-91-92; 61-02-97; 899 57-16-99

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება: ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი" ტელ: 877 41-50-30; 36-14-18

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ავტოსკოლა „გზაჯვარედინი" ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებით. ჩარიცხულ მოსწავლეებს უფასოდ გადაეცემათ საგამოცდო ბილეთები. მის: ლადო ასათიანის ქ. №28. მუხიანის დასახლება I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

სპეციალიზებური ცენტრი PARADOX-ის ლიცენზირებული სპეციალისტები, პროფესიულ დონეზე შეგასწავლით კომპიუტერულ პროგრამებს, ბუღალტერიას, ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს, windows-xp, msofiice-xp, გრაფიკა: coreldraw, photoshop, autocad, archicad 3dmax. მის: გაბაშვილის ქ. 7, მ. „რუსთაველთან", კინოსახლის შენობის უკან. ტელ: 98-80-23; 899 77-49-40; URL: www.paradox.ge

ხარისხის მქონე ლექტორი ამზადებს აბიტურიენტებს ინგლისურ ენაში ეროვნული გამოცდისათვის. ტ: 53-06-76; 899 53-10-08

უახლესი, სწრაფი, გაადვილებული პროგრამით შეგასწავლით რუსულ ენას, ნებისმიერი მიმართულებით; მოვამზადებ აბიტურიენტებს. ეროვნული გამოცდების სასაუბრო ენის შესწავლს მსურველები საუბარს იწყებენ მე-2 გაკვეთილიდან. სწავლება ინდივიდუალურია – 1,5 სთ. ვცხოვრობ ვაჟა-ფშაველას ძეგლთან. ფასი 60 ლარი ტელ: 32-03-58

გრძელდება მიღება კურსებზე, შეღავათიან ფასებში. 1. კოსმეტიკა: შეისწავლება კანის ანატომია, მალამოები, მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო მასაჟი, ეპილაცია; 2. მასაჟი, სამკურნალო, პროფილაქტიკური; 3. ქალთა პარიკმახერი; 4. მანიკიური, პედიკიური; 5. ქსოვა, მანქანით და ხელით; 6. ქარგვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, ცოტნე დადიანის №26. ტ: 66-53-56; 893 33-09-66

ქორეოგრაფიული სტუდია აცხადებს ნებისმიერი ასაკის მსურველთა მიღებას ქართული, ლათინურ-ამერიკულ და აზიური ცეკვების შესასწავლად, მოყვარულთა და ინდივიდუალურ ჯგუფებში. სწავლება მიმდინარეობს დაჩქარებული მეთოდით. ტელ: 893 999-880. ნინო; 893 177-909. გიორგი; 61-02-97 (საღამოს)

მოყვარულებს ვიწვევთ ქართული ცეკვების შესასწავლად, ასევე – საქორწილო წყვილებს. მის: აღმაშენებლის №127, რკინიგზელთა კულტურის სახლი; სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, საღამოს 7 საათზე (№17 დარბაზი). ტელ: 899-17-72-79. ნათია

## იყიდება

სასწრაფოდ! მიწის ნაკვეთი გობრონაძის ქუჩაზე, მუხიანის ახალი ბაზრობის წინ, ზედა მხარეს, ფართი 1000 კვმ-მდე. ტელ: 899 65-67-85; 66-02-80

ა/მ BMW 523 i, 1996 წლის, მუქი მწვანე მეტალიკი; გადაცემათა კოლოფი სპექტრონიკი, 4 აირბაგით, კლიმატკონტროლით, საუკეთესო მდგომარეობაში (ABS, ჰიდრავლიკა). ფასი $10.500. ტელ: 22-02-05; 877 76-46-21

ახალი კორეული ციფრული სატელიტური ანტენა. აჩვენებს ქართულ, რუსულ და ევროპულ ტელეარხებს. კომპლექტის ფასი $90-დან $120-მდე. I ვარიანტი: 1 ქართული, 8 რუსული, 500-მდე ევროპული; II ვარიანტი: 3 ქართული, 150 თურქული; III: ვარიანტი 8-დან 30 ლარამდე რუსული. მხოლოდ 30 რუსული არხი – $150. მონტაჟი 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

გაბიონები და რენომატრასები, დამზადებული უჟანგავი მავთულისაგან, ორმაგი გრეხით 8X12 სმ უჯრის ზომებით; ასევე ვიღებთ შეკვეთებს 4 მმ-იან შავი მავთულზე ჩვეულებრივი ქსოვილით. უჯრის ზომა – 10X10 სმ, ზომების მიხედვით. ტელ: 899 75-58-17. გურამი; 8 231 1-05-47 (ფაქსი)

ტელევიორის ინდივიდუალურად მოსასმენი, სპეციალური მოწყობილობა, ყველასათვის მოსახერხებელი, განსაკუთრებით – სმენადაქვეითებულთათვის; აგრეთვე, სმენის აპარატები შეღავათიან ფასად. ტელ: 95-95-22 (10-14 სთ); 899 27-38-99

## სხვადასხვა

წინასაშობაო ფასდაკლება სასწავლო ვიზებზე ინგლისში. ტელ: 76-37-31 (საღამოს); 899 53-33-17; 45-19-30


გაორმაგებული ძალით!

„სიტყვა და საქმე"

ერთი გაზეთი – ორ რვეულად!

76 გვერდი




ორჯერ უფრო ეფექტური და ორჯერ უფრო მოსახერხებელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



### მედიკო თურქიაშვილი-კვირიკაშვილის მონატრება

ჩემო ძვირფასო მედიკო დეიდა, რა უცებ გაირბინა სევდით, ცრემლითა და ტკივილით მოსილმა ორმოცმა დღემ.

ძალიან უჭირთ უშენობა შენს საყვარელ მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს და შენს ახლო ნათესავებს. შენი სახით, მთელმა სანათესავომ დაკარგა ის საყრდენი კედელი, რომელიც თითოეულ მათგანს ზურგს უმაგრებდა.

დაე, შენმა დატოვებულმა სიკეთემ და სიყვარულმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისაკენ.

ჩვენ მუდამ ვილოცებთ შენთვის.

*შენი ოჯახი, ნათესავები*

### მარიამ იოსელიანი-ხარძიანის ხსოვნას!

8 წელიწადი უხმოდ ნატრობდი გარდაცვალებას, 8 წელიწადი გულით გინდოდა, იმ სამყაროში, შვილთან წასულიყავი... არ ამხელდი, მაგრამ ყველა ვგრძნობდით, რომ შენი თამუნას გარეშე ძალიან გიჭირდა. ამ დიდი ტკივილის მიუხედავად, სიმშვიდის განსახიერება იყავი მუდამ, გარშემომყოფთ არაფერს აგრძნობინებდი და ასევე მშვიდად გადაინაცვლე მარადიულ სამყაროში... შვილთან, რომელთან შეხვედრაზეც 8 წელიწადი უხმოდ ოცნებობდი.



ნათელში იყოს თქვენი სულები, დიდებულო ქალბატონო.

*და-ძმები*

### თამუნას!



30 ნოემბერს 4 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ თეთრულდის თოვლივით წმინდა სიცოცხლე ამ დღემდე ორი თვით ადრე შეწყვიტე. ასე ცოტა ხით გაგიმეტა ჩვენთვის ღმერთმა და ამიტომაც, შენთან გატარებულ წლებს კი არა, საათებს და წუთებს ვითვლით. აქედან ვეფერებით, თამო, შენს სულს და გვჯერა, შენც დაგვიფარავ ყველას, რომ ასე მწარედ აღარ დაგვსაჯოს ღმერთმა.

ნათელში იყოს შენი უმანკო სული, ჩვენო პატარავ.

*ხარძიანები*

### დარიკო ქუქჩიშვილს!

ძნელი შეეგუო აზრს, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ჩვენო საყვარელო და თბილო დედა. უდროოდ წახვედი ამ ქვეყნიდან, არ დაგინდო ულმობელმა სიკვდილმა. არადა, როგორ გიყვარდა სიცოცხლე. სამაგალითო მეოჯახე და სიკეთის მთესველი იყავი – სიკეთის, რომელიც შენი არყოფნის მერეც გვითბობს სულებს და მტკივნეულად გვახსენებს, რომ ჩვენთან აღარ ხარ. გაქრა ჩვენი ოჯახის სიხარული, უშენობამ სევდად გვაქცია და ყველაფერი გაუფერულდა. ვერ ვეგუებით იმ ტკივილსა და მწუხარებას, რასაც უშენობა ჰქვია. ყველას გვენატრები, ჩვენო თბილო და კეთილო დედიკო.



ღმერთმა დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

*ოჯახი*



### გულო თურქაშვილი-დათუაშვილის მონატრება

ჩვენო საყვარელო და სანატრელო დეიდა, გაიარა ერთმა საშინლად ტკივილიანმა და ცრემლიანმა წელმა. გვენატრება შენი ხმა, ვერ ვეგუებით უშენობას. შენი სიცილი, შენი სილაღე და მოუსვენარი ფუსფუსი გვენატრება, შენთან ერთად გატარებულ წლებს ვიგონებთ და ტკივილით დამძიმებულ სულს ვერაფრით ვინუგეშებთ.

წახვედი და აუტანელი ტკივილი დაგვიტოვე დისშვილებს. ვერაფერი წაშლის შენს ხსოვნას ჩვენს გულებში. შენ ყოველთვის ჩვენთან იქნები. 2 დეკემბერს, შენი გარდაცვალების დღეს, მოვალთ შენს საფლავზე ყვავილებით, სანთლებს დაგინთებთ და მოგეფერებით.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი წმინდა და ლამაზი სული.

*დისშვილები: მარინა, კახა, ნინო, როინი, ლევანი, ჟანა, ნარგიზი და ფიქრია*

### გულო თურქაშვილი-დათუაშვილის მონატრება

ჩემო დაიკო, ერთი ცრემლიანი და ტკივილიანი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება. 2 დეკემბერი საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის. შენმა უეცარმა და მოულოდნელმა ავადმყოფობამ თავზარი დაგვცა. რა არ ვიღონეთ შენს გადასარჩენად, მაგრამ ყოველივე ცდა უშედეგო აღმოჩნდა. ჩუმად, უხმაუროდ, უთქმელად წახვედი, შველაც არ გვითხოვია. დაგვიტოვე დიდი ტკივილი, ჩემო ლამაზო, სათნო და კეთილშობილო დაიკო. ძალიან გვიჭირს უშენობა, გვაკლია ის დიდი სითბო, სიყვარული, ყურადღება, რომელსაც ყველას უნაწილებდი. ისღა დაგვრჩენია, მოვეფეროთ შენს სულს, შენს ტყუპებს.

წელსაც და ყოველთვის მოვალთ შენს საფლავზე, ყვავილებით გავალამაზებთ და კიდევ ერთხელ გავიხსენებთ შენთან ერთად გატარებულ ბედნიერ დღეებს. ამ ქვეყნიდან შენი უდროოდ წასვლით ყველას გული გვატკინე. ძალიან გვენატრები, ჩვენო საყვარელო დაიკო.

*მაყვალა, ზემფირა, ციცინო, მერი, ძმა – მიშიკო*

### ოთარ ბიწაძის მონატრება



ორი წელი სრულდება 25 ნოემბერს, რაც მარადისობას შეუერთდი. ამ დროის ათვლას დავარქვი „უშენობა“. ქართული გენით გამორჩეული, აშშვენებდი გარემოს, მაგრამ შენი უზადო ფიზიკური ხიბლიც კი მოისუსტებდა შენს სულიერებასთან: უღალატო მეგობარი, სული ლამაზი, სული წაუხდენელი, სული პატიოსანი; კარგი შვილი, კარგი ძმა, კარგი მაზლი, კარგი ბიძა, კარგი მეუღლე, კარგი სიძე, კარგი მამა, კარგი ბაბუა, კარგი და განუმეორებელი მეზობელი და მეგობარი.

უდიდესი პასუხისმგებლობაა შენი ქვრივობა. ვერ წარმოიდგენდი, როგორ ყურადღებას ვგრძნობ შენი ახლობლებისგან, ნათესავებისგან: ძმისშვილებისგან, დისშვილებისგან, მეუღლისგან, მეგობრებისგან, მეზობლებისგან. ნებისმიერ პრობლემაში თანაგრძნობას მიცხადებენ.

შენი ვაჟკაცი შვილები და შვილიშვილები დიდი პატივს სცემენ საფიცარი მამის და ბაბუის სულს. აქ ისევ შენ ხარ და როგორც ცოცხალი, ისე ტრიალებს შენი ხსოვნა შენს ოჯახში, ისევ შენ მიმსუბუქებ დარჩენილ გზასავალს. ოთარ, რა ძნელი იყო ჩემთვის ჩემი უმცროსი ძმის, სოსო გოგრიჭიანის – შვილივით ნაფერების და ნალოლიავების სამარეში მიცილება. ორი თვე შეუსრულდა, შენ კი ორი წელი გისრულდება, რაც წახვედი, გადასახლდი მარადისობაში.

ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ უფალთან ხართ. დაე, თქვენი დათესილი სიკეთე, თქვენი ოჯახის წევრებს და ნათესავებს დახვდეს ცხოვრების აღმართზე და სულმა თქვენმა დაიმკვიდროს აღგილი მარადიულ ქვეყანაში. მოგიხსენიოთ უფალმა ცათა სასუფეველში.

ღმერთო-უფალო, ნუ მოაკლებ ღვთიურ მადლს მათ სულებს, ამინ!

*შენი ოჯახი – ლია გოგრიჭიანი-ბიწაძე*



### სერგო გიორგის ძე არსენიშვილის მოსაგონარი

გავიდა 3 წელი უშენოდ. 25 ნოემბერს 68 წელი შეგისრულდებოდა.

ყველა გილოცავთ და გეფერებით, უაღრესად კეთილო ადამიანო. ღმერთმა გაგინათოს აღგილსამყოფელი ზეცაში.

*მეუღლე ლალი ყიფიანი (არსენიშვილი); შვილები: გია და ლევანი; შვილიშვილი ლალი; ნათესავები და ახლობლები*

### ლია ბუზიაშვილი-ძარიაშვილის ტკივილიანი მონატრება



28 ნოემბერს 2 წელი ხდება, რაც შენმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა, ჩემო ლია, დრომ კიდევ უფრო გაამძაფრა შენი მონატრება. რა ძნელი ყოფილა უშენობა. წახვედი და აუტანელი ტკივილი დაგვიტოვე გულში. უშენობა იმდენად მწარეა, რომ იარას დროც ვერ მოაშუშებს. ოჰ, როგორ გვენატრები. უკურნებელი სნით დატანჯულო, რომ გიყურებდი, როგორ იტანჯებოდი ტკივილისაგან, მეც შენთან ერთად მტკიოდა ყველაფერი. ვაი იმ დედას, შვილის სიკვდილს რომ ეტყვიან. შენზე ფიქრის გარეშე ერთი დღეც არ უცხოვრიათ შენს მშობლებს, დებს, შენს ოჯახს, ყველა შენს ახლობელს, ჩემო ლია. სანამ მამიდა ცოცხალი გყავს, შენ არაფერი მოგაკლდება. ის არის მტკივნეული, რომ შენ ვერც გაიგებ და ვერც დაინახავ.

ატირებული გულით მოვალ შენს საფლავზე, ცრემლებით, ყვავილებით და სანთლებით ხელში. გწამდეს, რომ შენს სახელს არასოდეს დავივიწყებ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული!

*შენი დარდიანი ნუნუ მამიდა*



### უშანგი ჯანუყაშვილის გახსენება

ამ ქვეყნიდან შენმა მოულოდნელმა წასვლამ გაუნელებელი ტკივილი დაგვიტოვა. 29 ნოემბერს 66 წლის უნდა გამხდარიყავი. ამ თარიღს წელს უშენოდ, ეკლესიაში აღვნიშნავთ.

შენ იყავი სიკეთით და მადლით მოსილი კაცი, რომელიც საკუთარ პრობლემებზე წინ, სხვის გაჭირვებას აყენებდი. ამიტომაც დიდი სითბო და სიყვარული დატოვე ყველას გულში. შენი უეცარი და ნაადრევი სიკვდილი განსაკუთრებით თავზარდამცემი იყო ოჯახისა და დამებისთვის. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ. ენატრები შვილიშვილებს. შენ ხომ არაჩვეულებრივი ბაბუა იყავი.

მსუბუქი იყოს შენთვის შენი მშობლიური სნოს მიწა.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

*ოჯახი*

### გივი თურქაშვილის მონატრება



საყვარელო გივი, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, 3 წელია ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ძნელი გასახსენებელია ჩვენთვის 26 ნოემბერი, დღე, რომელმაც შენი თავი წაგვართვა. რომ იცოდე, როგორ გვაკლიხარ და გვენატრები. შენ იყავი ყველასთვის კარგი ადამიანი, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი. ყველა, ვისთანაც ურთიერთობა გქონია, დიდი სიყვარულითა და გულისტკივილით გიხსენებს.

ნაადრევად წახვედი ამ ქვეყნიდან, მაგრამ დატოვე კაცური კაცის სახელი, რომელსაც დავიწყება არ უწერია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისაკენ.

*მეუღლე, შვილები, შვილიშვილები*

### თარაშ და ინა გაბელაიაების მონატრება

ჩვენო საყვარელო თარაშ და ინა, თქვენი მოგონება საოცრად ტკივილიანი და უსაზღვროდ ნაღვლიანია. წახვედით და თან წაიღეთ სიკეთით სავსე გული – გული რომელიც უზომო სიყვარულსა და სიკეთეს იტევდა. უანგარო იყავით, როგორც ნათესავების, ასევე მეგობრების მიმართ. მოგვენატრეთ ყველას და ეს მონატრება არასოდეს გაგვინელდება.





*შენი და ვენერა ოჯახით*

### სოსო მიქაძის გახსენება



5 წელი შესრულდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. უცბად გაირბინა ცრემლიანმა წლებმა. მოულოდნელად გამოგვეცალე, ბევრი ვებრძოლეთ სიკვდილს, მაგრამ დაგვამარცხა, რადგან სიკვდილი ხომ უძლეველია. შენი გახსენება ყოველთვის ცრემლიანი და ტკივილიანია ჩვენთვის.

შენ ხომ სიყვარულის და კაცობის განსახიერება იყავი, გამორჩეული მასპინძლობით, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. შენ მეორე შვილიშვილის ბაბუა გახდი. გული გვტკივა, რომ ამ სიხარულს, ჩვენთან ერთად შენ არ იზიარებ. ჩვენ ყველას ლამაზ მოგონებად დაგვრჩა შენთან გატარებული დღეები. სულ სხვა სილამაზე და ხიბლი ჰქონდა ცხოვრებას, როდესაც შენ ჩვენთან იყავი.

*შენი ოჯახი*



### ვენერა ჭანტურია-ხურცილავას ხსოვნას!

შენი გარდაცვალების დღე ახლოვდება – 2 დეკემბერი, ძვირფასო დედიკო. გაუსაძლისია ტკივილი, რომელსაც უშენობა ჰქვია. ამბობენ, დრო ყველაფერს კურნავსო, მაგრამ სევდა რომ არ იკურნება?! სევდა მარადიულია.

ნუგეშად ისღა დაგვრჩება, რომ იქ ჩვენს საყვარელ მამიკოსთან ერთად ხარ. მარადიულობას შეუერთდა თქვენი ნათელი სულები. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ. გჯეროდეთ, თქვენს სახელებს დავიწყება არ უწერია.

*შენი მადონა*

### გიორგი (გოშა) კვარაცხელიას ხსოვნას!



გვიჭირს იმის წარმოდგენა, რომ შენ უკვე აღარ ხარ ჩვენ გვერდით, რომ ასე მოულოდნელად მოგრია სიკვდილი შენს გულში დაბუდებულ უსაზღვრო სიკეთესა და სიყვარულს. ალბათ თვითონაც არ გჯეროდა, თორემ თავად ექიმმა, როგორ ვერ გათვალე შენი ავადმყოფობის სიმძიმე და ადვილად შეურიგდი სიკვდილს. შენ დარჩები ჩვენს გულებში, მუდამ ახალგაზრდა, მოღიმარი და ხალისიანი. მუდამ მზად იყავი, ალალი და კეთილი გულით გვერდში დასდგომოდი ყველას, ვისაც გაუჭირდა.

დაე, შენი დათესილი სიკეთე გინათებდეს გზას სულთა სამყაროში. გაგვიჭირდება შენი ალალი, კეთილი ღიმილის გარეშე, მაგრამ ასეთი ყოფილა ღვთის ნება. ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი ნათელი, ლამაზი სული.

*ხობის მედიცინის მუშაკები*

### ზურაბ აზიკურის გახსენება



ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ხევსურეთის მთებში, დუშური სიკვდილით, მოულოდნელად შეწყდა შენი გულის ძგერა, რაც ასე მოულოდნელი იყო როგორც ოჯახისთვის, ისე ნაცნობ-მეგობრებისთვის.

ბევრი მეგობარი გყავდა. სადაც მუშაობდი, ყველგან ხალხის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურე, ყველას დაამახსოვრე თავი. დღესაც იხსენებენ, ზურაბ (მედვედ), შენს გამონათქვამებს.

უშენობით გულში უმძიმეს ტკივილს განვიცდით. ძალიან გვენატრები ყველას – შენს მეუღლე სალომეს, შენს შვილებს, ელგუჯასა და ანზორს, შენს ძმებს და მეგობრებს. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*ოჯახი – მეუღლე, შვილები, ძმები და მეგობრები*

### მერაბ შაყულაშვილს!

მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ქვეყანაზე. სიტყვა უძლურია, შვილო, იმ ტკივილის გამოსახატავად, რასაც განვიცდით შენი უბედური მშობლები. მარიკა ამბობს, ჩვენ ბედნიერები ხომ აღარასოდეს ვიქნებით. თურმე შენ ყოფილხარ ყველაფერი ჩვენთვის, ბედნიერების და სიხარულის მომტანი. რა ძალა გქონდა, შვილო!



იმ ავადსახსენებელი 2000 წლის 1-ელი დეკემბრიდან, ექვსი წელი მიდის. რა დამავიწყებს იმ უბედურ პარასკევ დღეს, ჩვენს უკანასკნელ საუბარს, მანქანას რომ მოხვედი. როგორ მიკვირს, შვილო, როგორ ვაგრძელებ სიცოცხლეს. მაპატიე, ჩემო სიცოცხლე, მერაბ, მაპატიე, ისიც იმიტომ, რომ ხსოვნა გაგიხანგრძლივო. სხვა რა შემიძლია, ჩემო ალალმართალო ვაჟკაცო; ის დღე სხვანაირად ღამდება, შენთან თუ არ მოველ. ამოვათავებ აღმართს, რომლის დასასრულს, შენ, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მელოდები, შენი წყარო კი ჩამჩურჩულებს თავის ენაზე და ეს ენა მხოლოდ მე მესმის, შვილო; როგორ შემიძლია შევიკავო თავი და ყოველდღე არ განახო, ხელ-ფეხი რომ არ მქონდეს, მკერდზე ხოხვით მოვალ, ჩემო ანგელოზო.

შენს სახელს, ვიდრე ცოცხლებში ვითვლები, დავიწყება არ უწერია. შენ ყველგან ხარ, ჩემო ტკბილო, მოსიყვარულე ვაჟკაცო. შენი თვისებებით სიკეთეს თესდი, ეს კვალი დარჩა შენს სამეგობროში. როგორ გიყვარდა სადღეგრძელო – ისე ვიცხოვროთ, უკან რომ მოვიხედოთ, შავი ლაქა არ დავინახოთ ჩვენს განვლილ გზაზეო – მართლა ულაქოდ განვლე ხიფათით სავსე 25 წელი. კაცური კვალი, შენ მიერ განვლილი, მოკლე, მაგრამ მართალი და ლამაზი გზა, წუთისოფელში არდავიწყების შარავანდედით გმოსავს. შენი სახელი უკვდავებაა, შენ ყველგან იქნები, ჩემო ღიმილის ბიჭო.

*შენი გამწარებული მშობლები*

### ბუძღუ რაფავას მონატრება

რა ჩქარა გავიდა ერთი წელიწადი. გვენატრები, რადგან ძალიან გვიყვარდი, ალალი, პატიოსანი, უზომოდ მშრომელი, გვენატრები და გვაკლიხარ. შენ ხომ ჩვენი წინამძღოლი იყავი ყველგან და ყოველთვის. ეს სტრიქონები შენი გახსენების არ არის, რამეთუ შენ არც არავის დავიწყებიხარ და არც დაავიწყდები. ვწუხვარ, რომ ვერ მოვდივართ შენ საფლავთან, ვერ ვამკობთ მას ცრემლით დანამული ლამაზი ყვავილებით.



ბუძღუ! საყვარელო, გიგონებთ შენ და ცათა სასუფეველში შენთან ერთად მყოფ, შენთვის და ყველა ჩვენგანისთვის უაღრესად ძვირფას ადამიანებს, სოხუმის მე-11 საშ. სკოლის გარდაცვლილ პედაგოგებს.

*სოხუმის მე-11 საშ. სკოლის პედკოლექტივი*

### გრიგოლ (კონო) დავითაიას!

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი გრიგოლ დავითაია. სპეტაკი და გულისხმიერი ადამიანი, შრომაში ქანცგამოცლილი, ქვეყნისა და ერის სამსახურში ვალმოხდილი მოქალაქე, კაცთმოყვარე, ოჯახის ბურჯი და მოსიყვარულე – ყველაფერი ეს, რაც მის პიროვნებაში იყო შესისხლხორცებული.



გრიგოლ დავითაია დაიბადა 1918 წელს, აბაშის რაიონში. დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1941-45 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. დაჯილდოებულია მრავალი მედლითა და ორდენით. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ახალგაზრდა თაობის აღზრდას მოახმარა, მისი შრომითი ბიოგრაფია 1937 წლიდან იწყება. ათეული წლების განმავლობაში, მუშაობდა აბაშის რაიოკომში. წლების განმავლობაში იყო ძველი აბაშის სკოლის დირექტორი. მრავალი თაობის აღმზრდელმა ადამიანმა, პირნათლად და ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი, სითბო და სიყვარული დაიმსახურა ყველა თაობის ადამიანში. მარადიულ სასუფეველში თან გაიყოლა ყველაზე დიდი ტკივილი – რასაც აფხაზეთი ჰქვია. ძმისა და ახლობლების მიტოვებული საფლავები მისი დიდი სევდა და დარდი იყო. გრიგოლ დავითაიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მათ გულებში, ვინც მას იცნობდა.

*მეგობრები*



### მანანა ტოფაძე-ელიავას გახსენება

რა რაოცარი სისწრაფით გასულა 3 წელი. მოულოდნელად წახვედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი. ნათქვამია: სანამ ხსოვნა ცოცხლობს, ადამიანიც ცოცხლობსო. მართალიც ყოფილა. შენ ხომ ყველას დიდ იმედად გვყავდი, ყველაზე მზრუნველო, ყველას დამხარევ და მომფერებელო. მუდამ პრობლემებით სავსე, მაგრამ მაინც ყველას პატივისმცემელი იყავი და ამიტომ ჯილდოდ მიიღე ის, რასაც სიყვარული ჰქვია.

ჩემო მანო, ჩემი შვილისა და შენ მერე ყველაფერი ჩაკვდა ჩემს გულში. ვერაფრით ვივსებ უთქვენობით გამოწვეულ სიცარიელეს. მჯერა, ახლაც ერთად იქნებით, თქვენ ხომ ერთმანეთი ძალიან გიყვარდათ, მეც ძალიან მიყვარდით.

ღმერთს შევთხოვ, ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროთ.

*დიდი ტკივილით – ზური, ალეკო და ნელი გუჯაბიძეები*

### ზაზა თენგიზის ძე ქებურიას მონატრება

გავიდა ოთხი ტკივილიანი, ცრემლიანი წელი, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, საყვარელო ზაზა. ვერა და ვერ შევეგუეთ შენი არყოფნის მკაცრ სინამდვილეს. როგორ გვაკლიხარ, ჩვენო მოუსვენარო, მერცხალა ბიჭო... ძალიან გვენატრები, მუდამ გვეფყარები... და შორიდან მუდამ მოგეფერებით – ჩვენო ზაზუკა.



ნათელში ყოფილიყოს შენი სპეტაკი სული. ჩვენ კი, შენი ახლობლები, ლოცვას არ მოვაკლებთ შენს ლამაზ სულსა და სახელს. დაე, ჩვენმა სიყვარულმა და ლოცვამ გაგინათოს გზა მარადისობაში.

*უსაზღვრო მონატრებით: დეიდა და დეიდაშვილები: მაიკო და ჯუანშერი*

### ზაზა ქებურიას მონატრება!

ჩვენო ზაზა, საოცრად სწრაფად გაირბინა ოთხმა ტკივილიანმა წელმა, მაგრამ დღეთა სიმრავლე ვერაფერს აკლებს შენს ნათელ ხსოვნას. უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრები. რა ვქნათ, საუბედუროდ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია, იმის გარდა, რომ გავიხსენოთ და ეკლესიაში სანთელი ავუნთოთ შენს სპეტაკ სულს.

დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა სასუფეველში.

*დეიდაშვილები: ჯუნა და ოთარ ხირაძეები*

### ზაზა ჩოჩიას მოგონება!

ზაზა, ძვირფასო! უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც მოულოდნელად წახვედი ამ ქვეყნიდან და მოუშუშებელი ტკივილი მიაყენე შენს ძვირფას მშობლებს, ერთადერთ ძმას, დეიდებს, ნათესავებს და მეგობრებს.



35 წლის ასაკში, ასე მცირე დროში მოახერხე უსაზღვრო სითბოს და სიყვარულის დათესვა, არა მარტო საქართველოში, არამედ დიდ რუსეთშიც. შენი ახალგაზრდობის საუკეთესო 12 წელი იქ გაატარე, სამშობლოსგან მოშორებით, მაგრამ იქაც ისე დაიმკვიდრე სახელი, როგორც ნამდვილ ქართველ ვაჟკაცს შეჰფერის. ნათქვამია, ღმერთსაც რჩეულები სჭირდება ცათა სასუფეველშიო. შენც უფლის რჩეული ხარ, რადგან ასე ადრეულ ასაკში ინება შენი ზეციურ საცხოვრებელში წაყვანა. გული გვატკინე, მაგრამ განგებამ ასე ინება!

გვამშვიდებს ის, რომ შენ დღეს უფალთან ხარ და ყოველთვის ისეთი სათნო, კეთილი, მოსიყვარულე და ვაჟკაცური იქნები ჩვენს გულებში, როგორიც იყავი.

### ეთერ ჩუბინიძის გარდაცვალებიდან 40 დღე გავიდა

ოცნების ფრთაშესხმის ზღვარზე იდექი, ჩემო ეთერ, ერთი კვირა ეფერებოდი ახალმოყვანილ რძალს. სიკვდილამდე ორი დღით ადრე გესტუმრე, მეცხრე ცაზე იყავი, გაბრწყინებული თვალებით მითხარი, – ისეთი რძალი შემხვდა, როგორსაც ვნატრობდიო. მე კი გეხუმრე, – აბა ჩვენი თანაქალაქელი, სხვანაირი რომ არ იქნებოდა, ეჭვი გეპარებოდა-მეთქი?..



რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი, როგორი დაუნდობელი... ორი დღის შემდეგ რას წარმოვიდგენდი, შენი საყვარელი ნონას ხელში დალევდი სულს. ვეღარ გიშველეს ახალმა მძახლებმა და საკუთარმა დამ.

58 წელი იცხოვრე ამ ქვეყანაზე, მაგრამ ალბათ ეს ღვთის განგება იყო. ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, სანთლები დაგინთოთ, შევთხოვოთ უფალს, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. წუთისოფელი ძალიან ხანმოკლეა ადამიანის ცხოვრებაში და იმასაც რომ უდროოდ დაკარგავ, ეს არის ყველაზე დიდი უბედურება. მე კი, ჩემო ტყუპისცალო დაო, მთელი მოსწავლეობის პერიოდში, ყველა საგანის საშინაო დავალებას შენგან ვიწერდი. ახლა კი, მიჭირს სიტყვების პოვნა, დამტოვე ფრთამოტეხილი. ჩვენ ყოველთვის მოვალთ შენს საფლავთან, ყვავილებით და სანთლებით, რათა გზა გაგინათოთ მარადიულ სასუფეველში.

*ეთერ! არასდროს არ დაგივიწყებ,*  
*შენს სამარეს მოვეფერები,*  
*ბოლოს ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით,*  
*როცა მეც მიწას მიმაბარებენ.*

*შენი უბედური ტყუპისცალი ძმა ლერი*

### კახა ტულუშის გახსენება

28 ნოემბერს 27 წლის გახდებოდი.



თვალცრემლიანი გილოცავთ დაბადების დღეს, კახა! ვაი, რომ ცრემლების, სანთლების, ლოცვისა და ყვავილების გარდა, ვერაფერს მოგიძღვნით, ჩემო ღიმილის ბიჭო. ბედისწერამ 25 წლის ასაკში შეჰკვეცა ფრთები შენს ლამაზ ოცნებებს. ჩვენი დილა შენზე ფიქრით იწყება და მთავრდება.

დღემდე ვერ აგვიხსნია, რატომ გამოუტანე თავს ასეთი სასტიკი განაჩენი?! ან ჩვენ რით დავიმსახურეთ ასეთი მძიმე სასჯელი? შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება და ძალას გვაცლის, შვილო. უფლის საჩუქარი იყავი ამ ცოდვილ მიწაზე. ყველაფერი უხვად გიბოძა ღმერთმა, სიცოცხლის გარდა. ყველას გულში სითბოსა და სიყვარულს ტოვებდი. ყველას უყვარდი... ღმერთს ჩვენზე მეტად ჰყვარებიხარ.

ტკივილამდე გვენატრება შენი ღიმილი, შენი იუმორი და შენი სიმღერა, რომელიც ასე კარგად გამოგდიოდა. მხოლოდ შენი სურათების ყურებაღა გვარგუნა უფალმა, საიდანაც შენი სიცოცხლით სავსე, ლამაზი, ცისფერი თვალები შემოგვყურებს, კახა. შიში გვიპყრობს, შიში, იმ დარჩენილი წლებისა, რომელიც შენ გარეშე უნდა გავიაროთ. გავუძლებ კი?! არებობას მხოლოდ იმიტომ გავაგრძელებ, რომ შენი უკანასკნელი თხოვნა შეგისრულო – ბევრი ვილოცოთ.

ღმერთს ვევედრებით, უშფოთველად განისვენოს შენმა დაუდგრომელმა სულმა მარადისობაში.

*მშობლები*

### ვენერა კოპაძის მონატრება

ყველასათვის სანატრელო და საყვარელო დედა! მესამე წელია, სასუფეველში შენს სულს დაბადების დღეს ვულოცავ. 1-ელ დეკემბერს 63 წელი შეგისრულდებოდა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული.

*შენი ოჯახი*

მეუღლე კუკური ჭანტურია; შვილები: ზაზა, თამაზი; რძალი ხათუნა გობეჩია; შვილიშვილები: ანა, გიორგი, ლუკა, ნინო ჭანტურიები; მული სვეტა ჭანტურია; სიძე ზაურ ქარდავა; მძახალი ლიანა ბესელია; რძლები: ნუნუ ქარდავა, მზია მეჯარიძე; დისშვილები: ნანა, მაია ქარდავები; მაზლიშვილები: მაია, მაკა, ნინო ჭანტურიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლელა სერგის ასული ქართბაია.**

**დასაფლავება:** ხუთშაბათს, 30 ნოემბერს, ქ. ჯვარში, 14 საათზე.

**ნათელა გოცირიძეს** თანავუგრძნობთ მამის გარდაცვალებას. ღმერთმა აცხონოს განსვენებულის სული.

*მერვეკორპუსელები*

მეუღლე გულიკო; შვილი ხათუნა; სიძე ბესო მეტრეველი; შვილიშვილები: შოთა, ანუკი; დედა მარიამი; ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**გრიგოლ ჭიკაიძე.**

**პანაშვიდი:** 27 ნოემბერს, 15 საათზე;

**დაკრძალვა:** 28 ნოემბერს, 14 საათზე.

**მისამართი:** ივანე ჯავახიშვილის №9 (ვორონცოვზე).

# წისქვილმა კი ფქვასო...



## მოთხოვნა საიქიოდან

— ერთი გავლენიანი ქალბატონის მდივნად დავიწყე მუშაობა. ერთ დღეს ჩემს ოთახში უცნობი მამაკაცი შემოვიდა და უხმოდ გაემართა უფროსის კაბინეტისკენ. წესით, ის კარი დაკეტილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უცნობმა სულ უბრალოდ გააღო და შევიდა. გაღება ვცადე — ჩაკეტილი დამხვდა. ყვირილი ავტეხე, იქ ათობით საიდუმლო დოკუმენტი ინახებოდა... თანამშრომლები შემოცვივდნენ, დაცვას დავურეკეთ. როცა კარი გავაღეთ, იქ არავინ დაგვხვდა. თავზარდაცემულმა ტირილი დავიწყე. რამდენიმე წუთში დირექტორიც გამოჩნდა. ფერნაძული შეიკეტა ოთახში, ცოტა ხანში დამიძახა, — არაფერი დაკარგულაო. ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა.

კარგა ხანი გავიდა. ერთ საღამოს ისევ გამოჩნდა. ზეზე წამოვიჭერი და დირექტორის კარს გადავეფარე:

— არავინ გახლავთ! — დავიძახე ისეთი განწირული ხმით, რომ მგონი მთელმა სართულმა გაიგო.

უცნობმა შემომხედა და მითხრა:

— ვიცი, მაგრამ უნდა გამატარო... იქ ჩემი სახლიაო.

ამის გაგონებაზე ისეთი შემოვძახე, — დამეხმარეთ-მეთქი, ჩემი უცნობი საით გაიქცა, ვერ გავიგე.

რას წარმოვიდგენდი, რომ ისევ მოვიდოდა... იმ დილით სამსახურში დამხვდა.

— იქ ჩემი სახლია! — გაიმეორა მტკიცედ და ჩემ თვალწინ კარს მიღმა გაუჩინარდა.

უფროსს დავურეკე და ჩურჩულით ვუამბე ყველაფერი. აღელვებული მოვარდა ჩემი მრისხანე უფროსი, მოიკუნტა და აქვითინდა. ბოლოს მითხრა:

— ის უნდა იყოს... ჩემი გარდაცვლილი მეგობარი. ერთი საქმე გვქონდა, ვერ გავმართლა და გაკოტრებამდე მივედით. მან სახლი გაყიდა და ფული გადმომცა საქმის გამოსასწორებლად. მირჩიეს, ახალი ბიზნესი წამომეწყო. მოკლედ, ყველაფერი ავურ-დავურიე, მერე მან თავი მოიკლა, მე კი მისი ფულით წარმატებას მივაღწიე... არ ვიცი, რა ვქნა! ფული ვის დავუბრუნო, არავინ დარჩენიაო...

იმ დღეს გატანჯული წავიდა შინ. მეორე დილით დამირეკა და მითხრა: სიზმრად მეგობარი ვნახე. მითხრა, ჩემი სახლი ამა და ამ სოფელში უნდა აგეშენებინაო... მივაგენი მის ოჯახს, სადაც 17 წლის შვილი ჰყოლია... ხვალვე ბავშვს წილს გადავუფორმებო.

ამ ამბის შემდეგ სამსახურში მსგავსი აღარაფერი განმეორებულა.

**ციცი ბ., თბილისი**

## საშიში მესკალინი...

ინგლისელი მწერალი-მისტიკოსი ოლდოს ჰაქსლი იკვლევდა ნარკოტიკების ზემოქმედებას ადამიანის ცნობიერებაზე. მწერალი ცდისპირობაზე დათანხმდა, ფსიქიატრიის დოქტორს ჰამფრი ოსმონდს, რომელიც ცდილობდა ჰალუცინოგენების მეშვეობით გამოეკვლია შიზოფრენიის მიზეზები და მიეგნო მისი მკურნალობის საშუალებებისათვის. ისინი ექსპერიმენტების დროს იყენებდნენ მესკალინს. ეს ნარკოტიკი იწვევს ხილვებს, რომელშიც ჩნდება გეომეტრიული ფიგურები, ქალაქის ლანდშაფტები, ზოგჯერ გოლიათები. ჰაქსლი, რომელიც მეტისმეტად მგრძნობიარე იყო პრეპარატების მიმართ, ამბობდა, რომ იგი ხილვებს რეალობად აღიქვამდა.



ექსპერიმენტები ოსმონდის კაბინეტში ტარდებოდა. იგი ცვლიდა პრეპარატის დოზებს და არკვევდა, როგორ აღიქვამდა ჰაქსლი მუსიკას, გამოსახულებას, ოთახის ანტურაჟს. როცა ოსმონდმა მესკალინის დოზა რამდენიმე გრამამდე გაზარდა, ჰაქსლიმ თავი ამოყო ყვავილებით მოჩითულ მინდორზე. მან მათი საამო სურნელიც კი იგრძნო. როცა გონს მოეგო, ხელში აღმოაჩნდა ორი ღერი გამხმარი ბალახი! არადა, ოსმონდის კაბინეტში არავითარი ბალახი არ ყოფილა.

მეგობრებს შემთხვევით არ აურჩევიათ კვლევის საგნად მესკალინი. ეს ნივთიერება პირველად მიიღეს პეიოტიდან, პატარა ჯიშის კაქტუსიდან.

ეს უცნაური მცენარე ევროპელთაგან პირველმა აღწერა ფრანცისკანელმა ბერმა ბერნანდინო დე საჰაგუნმა. 1560 წელს იგი წერდა: „ვინც წმინდა კაქტუსს შეჭამს ან მის ნაყენს დალევს, იხილავს საშიშ ან სასაცილო მოჩვენებებს".

კათოლიკურმა ეკლესიამ, რომელიც ძალით ავრცელებდა ქრისტიანობას სამხრეთ ამერიკაში, საჰაგუნი ჯადოქრად გამოაცხადა და აკრძალა პეიოტის მოხმარება. თუმცა მექსიკის მკვიდრი ინდიელები დღემდე იყენებენ ამ მაგიურ მცენარეს.

დასავლურმა მეცნიერებამ ამ უჩვეულო კაქტუსს ყურადღება მიაპყრო 1880-იან წლებში, როცა ახალგაზრდა ფროიდი ცდილობდა კოკაინის მეშვეობით ცნობიერების შეცვლას.

ტოქსიკოლოგმა არტურ ჰეფტერმა შეძლო პეიოტიდან გამოეყო ოთხი ალკალოიდი. ერთ-ერთ მათგანს მესკალინი უწოდეს. შეეცადნენ, იგი გამოეყენებინათ ქირურგიაში ზოგადი ანესთეზიისათვის. ნევროზების სამკურნალოდ, თუმცა, ამაოდ.

პირველად მესკალინი ხელოვნურად მიიღეს 1919 წელს და მან მაშინვე მოიპოვა პოპულარობა ბოჰემის წარმომადგენელთა შორის. მხატვრები იღებდნენ ნარკოტიკს, რათა გამოეწვიათ ხილვები, რომელიც შემდეგ ტილოზე გადაჰქონდათ. პოეტები „კაიფის ქვეშ" წერდნენ ლექსებს. მოდურმა მხატვარმა ჯულიან ტრეველიანმა კი ექსპერიმენტების წყალობით საავადმყოფოში ამოყო თავი.

1920 წლის ბოლოს ფსიქიატრმა კურტ ბერინგერმა მესკალინი გამოიყენა დეპრესიისა და პარანოიის სამკურნალოდ და წარმატებასაც მიაღწია.

ჰაქსლიმ 1939 წელს იმოგზაურა მექსიკაში, რათა გაეგო, როგორ მოიხმარდნენ აბორიგენები პეიოტს. რამდენიმე თვის მანძილზე ცხოვრობდა ინდიელთა პატარა სოფელში. აბორიგენებმა ასწავლეს მას თავიანთი სამზარეულოს რამდენიმე რეცეპტი, რომელშიც პეიოტს ხმარობდნენ. სწორედ ამ წლებში ისწავლა ჰაქსლიმ „პარალელურ სამყაროებში მოგზაურობა". როგორც თავის წიგნებში წერდა, ინდიელებს სწამთ, რომ კაქტუსის მეშვეობით ისინი გადადიან სამყაროში, სადაც ცხოვრობენ გარდაცვლილ ახლობელთა სულები და სადაც გარდაცვალების შემდეგ თავადაც გადასახლდებიან.

სამშობლოში დაბრუნებულმა ჰაქსლიმ დაიწყო ექსპერიმენტები სხვადასხვა ნარკოტიკის გამოყენებით და დაასკვნა, რომ მხოლოდ მესკალინს ძალუძს „გადაისროლოს სხეული და წარმოსახვა სხვა რეალობაში". თავისი გამოცდილება და პარალელურ სამყაროებში მოგზაურობა განაზოგადა წიგნში „აღქმის კარი", რომელიც 1954 წელს გამოიცა. წიგნი დიდ ბრიტანეთში ბესტსელერად იქცა. სწორედ წიგნის გამოცემის შემდეგ გაიცნო დოქტორი ოსმონდი, რომელმაც მას საშიშ ექსპერიმენტში მონაწილეობა შესთავაზა. ეს წამოწყება კინაღამ ტრაგიკულად დასრულდა. რამდენჯერმე აღმოჩნდა ჰაქსლი ღრმა კომაში, საიდანაც ძლივს გამოვიდა. ოსმონდმა შესთავაზა, შეეწყვიტათ ცდები, მაგრამ ცივი უარი მიიღო.

1957 წლის 11 ნოემბერს ჰაქსლი კვლავ ჩავარდა მძიმე კომაში. იგი თითქმის აღარ სუნთქავდა. ფსიქიატრმა „სასწრაფო დახმარება" გამოიძახა. იმ დღეს გონს ვერ მოიყვანეს. მეორე დილას კი იგი, აუხსნელი მიზეზით, ჩაკეტილი პალატიდან გაქრა. ჩატარდა გამოძიება, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე დღის შემდეგ ჰაქსლი, უვნებელი და ჯანმრთელი, თავის ბინაში, ლონდონში აღმოჩნდა. მოგვიანებით იგი წერდა, რომ პარალელურ სამყაროებში მოგზაურობა ძალზე სახიფათოა, შესაძლოა იქიდან ველარც კი დაბრუნდეო....

**ნლო №44**

„საზალდო-სალადო" გვერდის პასუხები

I. აბა, გამოიცანი

1 — ა); 2. — დ); 3. — ბ); 4. — ბ); 5. — დ).

II. „სიმართლე მზეზე უფრო ნათელიაო"

III. 9

IV. „აბლაბუდა"

V. ციყვი

## იდუმალი საათი

მოხუცი მესაათე ივანე პოპოვი შემთხვევით გავიცანი. თბილისი-ქუთაისის სამარშრუტო ავტობუსში ჩემ გვერდით იჯდა და ჩემი ყურადღება ძველებური ვერცხლისძეწკვიანი საათით მიიპყრო.

— ეს საათი ორ საუკუნეზე მეტი ხნისაა. მემკვიდრეობით მერგო. ჩვენ, ყველანი მესაათეები ვიყავით და ტრადიცია მხოლოდ ჩემმა შვილიშვილებმა დაარღვიეს, რადგან მესაათეობით ახალ დროში ძნელი გახდა თავის გატანა...



საათებს საოცარი მახსოვრობა აქვთ და ერთგულებაც იციან. ჩემთან ხშირად მოუტანიათ ახლობლის ნაჩუქარი საათები — მამისეულია, უნაკლოდ მუშაობდა, ახლა კი მოულოდნელად გაჩერდაო. ამას „საათის დარდი და ელდა" ჰქვია, რომელიც ძველ პატრონთან განშორებამ გამოიწვია. კიდეც რომ მოხერხდეს მისი შეკეთება, თუ ახალი პატრონი ძველივით ვერ „შეიყვარა", ისევ გაჩერდება და უკვე ვერავითარი ძალა ველარ გააცოცხლებს...

ბიძაჩემის ოჯახში მემკვიდრეობით მიღებული გუგულიანი საათი ეკიდა. პირველად ბიძაჩემმა დააფიქსირა — ბებიაჩემის გარდაცვალებამდე 30 წუთით ადრე გაჩერებულიყო... თავიდან ეს შემთხვევითობად მივიჩნიეთ, მაგრამ ორი წლის შემდეგ ბაბუას ინსულტი მოუვიდა. საათმა თითქოს ამოიკვნესა და გაჩერდა — ნახევარ საათში კი ბაბუამ მიაბარა სული უფალს...

რატომღაც ყველამ ვირწმუნეთ საათის უჩვეულო ძალა და იდუმალება. მისი შიში გაგვიჩნდა. მით უმეტეს, რომ ძალიან მალე ისევ გაჩერდა. ზუსტად ნახევარ საათში კი დაგვირეკეს, რომ ჩემი ბიძაშვილი ვალერი ავტოავარიაში დაღუპულიყო. ბიძაჩემმა საათის მოშორება გადაწყვიტა, საკმაოდ იაფად მიჰყიდა მოსკოვის ერთ-ერთ მუზეუმს. არ ვიცი, რა ბედი ეწია იმ იდუმალ საათს. მალე მამაჩემი საქართველოში წამოვიდა, დედა მყავდა ქართველი და საქართველოში ცხოვრება ამჯობინა...

**ინგა ჯაყელი**

## იაპონური სუდოკუ სენსაცია

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ" ნიშნავს ციფრს, „დოკუ" — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გაჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ განმეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ, საშუალო და რთულ სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ქროსვორდის პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 3 | 8 | 5 | 2 | 6 | 7 | 4 |
| 4 | 7 | 6 | 1 | 3 | 9 | 2 | 5 | 8 |
| 8 | 5 | 2 | 7 | 4 | 6 | 9 | 1 | 3 |
| 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 3 | 4 | 6 | 5 |
| 3 | 8 | 4 | 6 | 7 | 5 | 1 | 2 | 9 |
| 5 | 6 | 9 | 4 | 2 | 1 | 3 | 8 | 7 |
| 9 | 3 | 5 | 2 | 6 | 8 | 7 | 4 | 1 |
| 7 | 2 | 1 | 5 | 9 | 4 | 8 | 3 | 6 |
| 6 | 4 | 8 | 3 | 1 | 7 | 5 | 9 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 6 | 4 | 5 | 1 | 3 | 2 | 9 |
| 5 | 2 | 1 | 3 | 6 | 9 | 7 | 4 | 8 |
| 3 | 9 | 4 | 7 | 2 | 8 | 5 | 1 | 6 |
| 1 | 6 | 5 | 8 | 4 | 7 | 9 | 3 | 2 |
| 2 | 4 | 8 | 9 | 3 | 6 | 1 | 7 | 5 |
| 9 | 3 | 7 | 5 | 1 | 2 | 6 | 8 | 4 |
| 7 | 5 | 2 | 1 | 9 | 4 | 8 | 6 | 3 |
| 4 | 8 | 3 | 6 | 7 | 5 | 2 | 9 | 1 |
| 6 | 1 | 9 | 2 | 8 | 3 | 4 | 5 | 7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 5 | 8 | 2 | 7 | 1 | 4 | 9 |
| 8 | 2 | 4 | 6 | 1 | 9 | 5 | 7 | 3 |
| 9 | 1 | 7 | 4 | 3 | 5 | 2 | 6 | 8 |
| 6 | 7 | 8 | 1 | 5 | 3 | 4 | 9 | 2 |
| 1 | 9 | 2 | 7 | 4 | 8 | 3 | 5 | 6 |
| 5 | 4 | 3 | 9 | 6 | 2 | 7 | 8 | 1 |
| 2 | 8 | 9 | 3 | 7 | 4 | 6 | 1 | 5 |
| 7 | 3 | 6 | 5 | 8 | 1 | 9 | 2 | 4 |
| 4 | 5 | 1 | 2 | 9 | 6 | 8 | 3 | 7 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 6 | 2 | 7 | | | | |
| 5 | 2 | 4 | | | | 3 | 7 | 6 |
| | | | 5 | 6 | 4 | 8 | | 9 |
| | 9 | | 8 | | 7 | 2 | 5 | 1 |
| | 5 | | 6 | 2 | 9 | | 4 | |
| 4 | 7 | 2 | 1 | | 5 | | 9 | |
| 7 | | 5 | 4 | 8 | 1 | | | |
| 1 | 3 | 8 | | | | 4 | 6 | 5 |
| | | | | 5 | 6 | 1 | 8 | 7 |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | 3 | 7 | 1 | | 8 | |
| | | 8 | | | 6 | 4 | 5 | |
| | | 9 | | | 8 | | 7 | 2 |
| 5 | | | | 9 | | | 3 | 1 |
| 2 | 9 | | | 5 | | | 4 | 8 |
| 3 | 4 | | | 1 | | | | 6 |
| 1 | 5 | | 4 | | | 3 | | |
| | 7 | 3 | 1 | | | 8 | | |
| | 6 | | 2 | 3 | 7 | 9 | | |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | 2 | 3 | 5 | | | |
| 7 | 6 | 9 | | 4 | | | | |
| 2 | | | | | | 4 | 8 | 1 |
| | 5 | 8 | 9 | | 4 | | | |
| | 9 | 4 | | | | 2 | 6 | |
| | | | 5 | | 3 | 8 | 9 | |
| 5 | 2 | 3 | | | | | | 8 |
| | | | | 5 | | 7 | 4 | 9 |
| | | | 6 | 8 | 1 | | | 3 |

# №48 (530) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**თემა №48(530) — ეროვნული წარმოება**

**თქვენი აზრით, რას აწარმოებენ ყველაზე ხარისხიანად დღეს საქართველოში?** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

| № | თემა №48(530) | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ღვინო | |
| 2 | მინერალური წყალი | |
| 3 | ხორცის პროდუქტები | |
| 4 | ლუდი | |
| 5 | მედიკამენტი | |
| 6 | ტანსაცმელი და ფეხსაცმელი | |
| 7 | რძის პროდუქტები | |
| 8 | მშენებლობა | |

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**დამატებითი კითხვა**

„ვარდების რევოლუციის" სამი წლის თავზე როგორ შეაფასებთ ხელისუფლების მუშაობას?

| | | |
|---|---|---|
| 1. | დადებითად | |
| 2. | უფრო დადებითად | |
| 3. | უფრო უარყოფითად | |
| 4. | უარყოფითად | |
| 5. | მიჭირს პასუხის გაცემა | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________

დაასახელეთ შედარებით სუსტი ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ. გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო საშუალო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

**№48(530)** საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 29 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 30 ნოემბრის 13 საათამდე.** ©თბილისი

**ყურადღება!**

- საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგსა" და „მკითხველის პრემიაში".
- თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.
- რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.
- „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

# №47 (529) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 457 რესპონდენტი გამოეხმაურა. 9 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 150-მა ქალმა და 298-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის პრეზიდენტ სააკაშვილის ყველაზე ერთგული ადამიანი?"**

ბოლო სამი წლის მანძილზე თითქმის ყველა რეიტინგში პრეზიდენტის ნდობა და კეთილგანწყობა ძირითადად ძალოვან მინისტრებზე ნაწილდებოდა.

დღესაც პირველი ადგილის მფლობელი შს მინისტრია, რესპონდენტთა 57%-მა შეაფასა ვანო მერაბიშვილი მაქსიმალური — 8 ქულით. საშუალო ქულაა **7.07.** მხოლოდ ოთხმა მკითხველმა (0.9%) დაუწერა მას მინიმალური ქულა.

შემდეგ ადგილზეა გიგა ბოკერია. მკითხველთა 9% მიიჩნევს მას სააკაშვილის ყველაზე ერთგულ ადამიანად. საშუალო ქულაა 5.20.

ჩვენი მკითხველების აზრით, პრეზიდენტის გუნდის წევრებზე მეტად სააკაშვილი ნინო ბურჯანაძეს უნდა ენდობოდეს, რეიტინგში ბურჯანაძე წინ უსწრებს კეზერაშვილს, ბეჟუაშვილს, კირკიტაძეს, ცისკარიშვილს... მაქსიმალური ქულების მიხედვით პარლამენტის თავმჯდომარე მეორე ადგილზეა, რესპონდენტთა 12%-მა მიაკუთვნა მას 8 ქულა. 4.67 საშუალო ქულით ნინო ბურჯანაძე მესამე ადგილზეა.

რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, მკითხველის აზრით, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ოქრუაშვილი ანალოგიური რეიტინგების სათავეში იყო და სამი წლის მანძილზე ხან გენპროკურორის, ხან შინაგან საქმეთა და ხანაც თავდაცვის მინისტრის ამპლუაში ლიდერობდა.

საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა.

ჩვენი გამარჯვებული 51 წლის **თინა გოგალაძეა** (საჩხერე, სოფ. ჭორვილა).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 29 ნოემბერს, 17 საათზე.




# გამოავლინეთ ნომრის საუკეთესო სტატია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში, ნომრის რომელი ჟურნალისტური ნამუშევარი **მოგეწონათ და არ მოგეწონათ** ყველაზე მეტად. საუკეთესოდ დასახელებულ ნაშრომს თქვენგან ემატება ერთი ქულა, ხოლო იმ ნაშრომს, რომელიც ყველაზე მეტად არ მოგეწონათ, შესაბამისად აკლდება ერთი ქულა. იმ მასალის ავტორს, რომელიც საბოლოოდ ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **30 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **25 ლარი,** III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **20 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

**წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:**

1. **ვაჟა გავაშელი** — „მგლებთან შერკინება" — 86 ხმა
2. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 24
3. **დავით დევიძე** — „ძარცვა-გლეჯა მთელი ომის განმავლობაში არ შეწყვეტილა" — 23
4. ლელა ჯიყაშვილი — „მთელი საქართველო მშვენიერია, მაგრამ... ტაო-კლარჯეთი სულ სხვაა" — 10

5-6. ეთერ ერაძე — „ნაცნობი გურულების უცნობი ამბები" — 8

5-6. კახაბერ კენკიშვილი — „ოქროს სასწორის მოლოდინში" — 8

***მკითხველის პრემიის მფლობელები 245-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

**მიიღეთ მონაწილეობა «მკითხველის პრემიაში»!**
**მხარი დაუჭირეთ თქვენს ფავორიტს!**

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, ყველა ქალაქსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

**(48) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ____________

____________

____________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№48 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 30 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

**დამატებითი კითხვის შედეგები**

**სად უფრო ეფექტიანი და ნაყოფიერი იქნება ირაკლი ოქრუაშვილის მოღვაწეობა?**




1. ხელისუფლებაში
2. ოპოზიციაში
3. მიჭირს პასუხის გაცემა

***დამატებით კითხვას 331-მა რესპონდენტმა უპასუხა***

## ცნობილთა აზრით:



**ლაშა ბაქრაძე:** — სიმართლე გითხრათ, არ მაინტერესებს, სად იქნება მომავალში ირაკლი ოქრუაშვილი. ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა, მეც ამ საკითხისადმი გულგრილად ვარ განწყობილი. ალბათ ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ამ ბოლო წლებში იმდენი სახე გამოჩნდა და გაქრა პოლიტიკიდან, მათი ჩამოთვლაც კი გაუჭირდება კაცს, არამცთუ იმის განჭვრეტა, ვის რა ბედი ელის და სად ვიხილავთ მომავალში.



**თათა ვარდანაშვილი:** — ალბათ ხელისუფლებაში. ჩემი აზრით, ირაკლი ოქრუაშვილს არაერთგზის დაუმტკიცებია, რომ საქმიანი და საჭირო პერსონაა. ხელისუფლებასთან ერთად მას ქვეყნისათვის არაერთი სასიკეთო საქმე გაუკეთებია. ამდენად მიმაჩნია, რომ მისი საქმიანობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა ხელისუფლებაში.



**მანუჩარ მაჩაიძე:** — ხელისუფლებაში! მაგრამ ამ მოსაზრებისას კატეგორიული ვერ ვიქნები. ეს მისი გადასაწყვეტია, სად იქნება მომავალში. თუმცა არ მგონია, ოპოზიციაში წავიდეს. ირაკლი ოქრუაშვილი არ ჰგავს იმ ადამიანს, რომელსაც შეუძლია წყენის გამო ერთი გუნდიდან მეორეში იოლად გადასვლა.

**მოგვწერეთ თქვენთვის სასურველი თემების შესახებ, რა საკითხებზე ისურვებდით გამოკითხვის ჩატარებას. რედაქცია შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს თქვენს სურვილებსა და წინადადებებს. ველით გამოხმაურებას. წინადადებები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") ყუთების საშუალებით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიო რეიტინგები

### მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ჩაი

1. Da xun pao — ჩინეთი
2. Tai shi u-lun — ჩინეთი
3. An-si — ჩინეთი
4. Iuncin — ჩინეთი
5. Darjiling — ინდოეთი

პუერული ძირითადად ჩინური, იაპონური და ინდოეთური ჩაის სახეობები შედის. ჩაის ისტორია რამდენიმე ათასწლეულს ითვლის. ის ჩინეთის მითური მმართველის შენ ნუნგის აღმოჩენაა, რომელიც 4800 წლის წინ ცხოვრობდა. ჩაის კულტურა ამჟამად მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ტრადიციულად, ყველაზე ძვირად ღირებული ჩაი პონკონგისა და გუანჩოუს ჩაის აუქციონებზე იყიდება. 2005 წელს ყველაზე რეიტინგულ მსოფლიოში უძვირფასესი ჩაის სახეობა — Da xun pao იყნა შიშულმა. ეს სახეობა „იმპერატორად“ მონათლეს. 1 კილოგრამის ფასია $685,000.

### 2006 წლის ყველაზე ცუდი ავტომობილები

1. Chevrolet Uplander, Saturn Relay, Buick Terraza და Pontiac SV6
2. Jeep Compass, (Dodge Calibe-ის მიერ გადაკეთებული)
3. Buick Rendezvous
4. Chrysler Aspen
5. Hummer H2

პირველ ადგილზე დასახელებულ მარკების ძირითადად ასე ახასიათებენ: ძალზე მოსაწყენი დიზაინი და ყოველდ უგვანო ხარისხი. მათ „თანამედროვეობის ყველაზე ცუდი ავტობუსი“ უწოდეს.



Chevrolet Uplander

Dodge Calibe-ის მიერ გადაკეთებული Jeep Compass-ი კი პროფესორ ფრანკენშტეინის ცდების სავალალო შედეგია თავისი უაზრო დიზაინითა და შეზღუდული შესაძლებლობებით. Buick Rendezvous-ი, წარმოებიდან მოხსნილ Pontiac Aztek-თან ერთად, თანამედროვეობის ყველაზე უსახური ავტომობილია. წლის ყველაზე ცუდი მანქანების რეიტინგისა და პოპულარული ორგანიზაცია The Truth About Cars-ი გახლავთ.

### ყველაზე პოპულარული პლასტიკური ოპერაციები



Romir-მონიტორინგისა და შვეიცარიის სამედიცინო ასოციაციის ერთობლივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ევროპელი ქალბატონები თავიანთ სხეულებს თავისუფლად ახორციელებენ შვეიცარიაში და რუსეთში. ყველაზე პოპულარული პლასტიკური ოპერაციები შემდეგია:

ქალებისთვის:
1. შუბლის კანის დაჭიმვა
2. ყელის კანის დაჭიმვა
3. ბლეფაროპლასტიკა (ქუთუთოების დაჭიმვა)
4. ცხიმოვანი ქსოვილის კორექცია
5. მამოპლასტიკა (მკერდის კორექცია)

მამაკაცებისთვის:
1. ცხიმოვანი ქსოვილის კორექცია
2. ბლეფაროპლასტიკა (ქუთუთოების დაჭიმვა)
3. რინოპლასტიკა (ცხვირის კორექცია)
4. შუბლის კანის დაჭიმვა
5. ოტოპლასტიკა (ყურების კორექცია)

შვეიცარიაში ყველაზე ძვირად ღირებული ოპერაციებია: მკერდის კორექცია (8.688 ევრო), ცხვირის კორექცია (5.859 ევრო) და ყურების კორექცია (5.500 ევრო); რუსეთში: მკერდის კორექცია (4.928 ევრო) და ცხიმოვანი ქსოვილის კორექცია (4.486 ევრო).

# „დიდებული კონდე“

## ვარდისფერი ქვა, რომელსაც მხოლოდ უბედურება მოაქვს

1926 წლის 11 სექტემბრის ევროპის გაზეთები სენსაციური სათაურებით აჭრელდა: — მოიპარეს ცნობილი ალმასი „დიდებული კონდე!“

ორი თვის შემდეგ პარიზის ერთ-ერთი გარეუბნის პატარა სასტუმროს პოლიცია დაესხა თავს და მთელი შენობა გადააქოთა. სასტუმროს მეპატრონემ მათი წასვლისთანავე მსახურებს არეული ნომრების დალაგება უბრძანა. ქერათმიანი ჟანეტი 24-ე ოთახს ალაგებდა, რომლის ელეგანტურ მობინადრეს არასდროს ავიწყდებოდა გოგონასათვის ფეხის ქირის მიცემა. ჟანეტმა ხილის ლარნაკი ტუმბოდან მაგიდაზე გადადგა და ერთი მწიფე ვაშლი გადმოვარდა. გოგონამ უნებურად ხელი შეაშველა. მწიფე ნაყოფი გადასკდა და იქიდან ვარდისფერმა „შუშის ნატეხმა“ გამოანათა. დამლაგებლის ყვირილზე მეპატრონე მოვარდა, დახედა თვალისმომჭრელ ქვას და პოლიცია გამოიძახა. იმავე საღამოს პარიზის გაზეთებში ახალი სათაურები გაჩნდა: „საუკუნის ქურდობის უცნაური ამოხსნა!“, „დიდი კონდე“ ვაშლში იპოვეს!“

— მშვენიერი ფაბულაა, — უთხრა გაზეთ „პარი-მანიტადის“ გამომცემელმა ეჟენ მერლმა დამწყებ მწერალს, ჟორჟ სიმენონს, რომელიც ჟურნალებში ბულვარულ რომანებს აქვეყნებდა ფსევდონიმით, — დროა მკითხველმა გაგიცნოთ, თქვენ მის წინაშე წარსდგებით და თანაც ძალზე უჩვეულოდ — პარიზის ცენტრში დავდგამთ დიდ შუშის ვიტრინას, შიგ დაჯდებით და ხალხის თვალწინ იმუშავებთ, ჩვენ კი დილის გამოშვებებში გამოვაქვეყნებთ თქვენს ნაწერებს. ახლავე დაიწყეთ რომანის წერა „დიდ კონდეზე“.

სიმენონი ზიზღით უყურებდა ეჟენ მერლს — ეს გამომცემლები გამორჩენისთვის მზად არიან, ავტორი მაიმუნივით გალიაში გამოამწყვდიონო. მერლმა, თითქოს მისი აზრები წაიკითხაო, უთხრა: — უარი არ თქვათ, ახალგაზრდავ, პარიზი განსაკუთრებული ქალაქია: ვინც მის გაოცებას შეძლებს — ისტორიაში შევა. თანაც ორმაგ ჰონორარს გადაგიხდით!

სიმენონი დაფიქრდა, — იქნებ მართლაც ღირდეს, თან არც ფული მაწყენსო...

ამ პატიოსანი თვალის შესახებ ინფორმაციის მოძიება იოლი აღმოჩნდა — ყველა გაზეთში მისი ფოტოსურათი და აღწერილობა იყო გამოქვეყნებული. წმინდა წყლის ღია ვარდისფერი, უხინჯო, მსხლის ფორმის ქვა 21 წვრილი ალმასით მოოჭვილ ოქროს ჩარჩოში იჯდა. „დიდი კონდე“ ცხრა კარატზე ცოტა მეტი იქნებოდა, მაგრამ იმდენად ცნობილი, რომ მასზე მართლაც საინტერესო რომანი შეიძლებოდა დაწერილიყო.

თურმე „დიდებული ვარდისფერი“ ფრიად საჩოთირო ადგილას აღმოაჩინეს — XVI საუკუნის ბოლოს მზარეულმა გოგონამ თევზის შიგანში იპოვა ეს საოცრება და მაშინვე თავის ქალბატონს — რუანელი ნოტარიუსის ქვრივს მიუტანა. ეტყობა, ქვრივმა მსახური გულუხვად დაასაჩუქრა, რადგან ის მალევე გათხოვდა, თან კარგი მზითევიც გაიყოლა. ქალბატონიც გათხოვდა, მაგრამ მისი ქორწინება ბედნიერი არ გამოდგა — ქმარი ცემდა, ფულს ართმევდა და ალმასიც ხელში ჩაიგდო. ქალმა ქმრის თავიდან მოშორება გადაწყვიტა. შეარჩია დრო და კაცს სთხოვა, „ვარდისფერი ალმასი“ შევაფასებინოთ, ხომ უნდა ვიცოდეთ, რა სიმდიდრის პატრონები ვართო. იუველირმა ქვა აწონა, თურმე იმ დროს ალმასი გაცილებით დიდი იყო, თითქმის 50-კარატიანი, მაგრამ დაბზარული. იუველირმა ცოლ-ქმარს ქვის დამუშავება შესთავაზა — საგრძნობლად დაპატარავდება, მაგრამ ფასი მოემატებაო. თან დასძინა, თუ დამუშავების შედეგად დარჩენილ ნამსხვრევებს მომცემთ — უფასოდ ვიმუშავებო.

ქმარი დათანხმდა. ცოლმა კი იუველირს ქვის ნაქლიბი მტვერი სთხოვა. ხელოსანმა — ბატონი ბრძანდებიო... სადილობისას დიასახლისმა ოჯახის უფროსს მტვერი კერძში ჩაუყარა და ერთი კვირის შემდეგ, ახალი თაყვანისმცემლის გასახარად, კვლავ დაქვრივდა. ქორწილისთვის ფული იყო საჭირო და ალმასი გაყიდეს — იმავე იუველირმა შეიძინა... 1643 წელს ვარდისფერი ალმასი ლუდოვიკო XIII-ის ზარდახშაში მოხვდა.

იმ პერიოდში საფრანგეთი ესპანეთთან გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა. მეფემ მთავარსარდლად თავისი ახალგაზრდა ნათესავი, 22 წლის ლუი II დე ბურბონი — პრინცი კონდე დანიშნა. მან ესპანელები სასტიკად დაამარცხა როკრუასთან, რისთვისაც უხვად დაასაჩუქრეს. საჩუქრებს შორის ვარდისფერი ალმასიც იყო.

ლუი დე ბურბონმა ქვა ხელჯოხის ბუნიკში ჩაასმევინა. პრინც კონდეს ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა. კარდინალ რიშელიეს დისწული, კლერ კლემენსი 13 წლისა იყო, როცა 20 წლის ლუის დიდი სიყვარულით გაჰყვა ცოლად, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ქმრის გული მას კი არა, მომხიბვლელ მარტა დიუ ვიჟანს ეკუთვნოდა.

ცოლმა ლუის უძვირფასესი საჩუქარი უძღვნა — მემკვიდრე უშვა. გახარებულმა პრინცმა ცოლს მადლობის ნიშნად ვარდისფერი ქვა მიართვა — კლერი ბედნიერებისგან ცას ეწია: ქმარმა თავისი ჯილდო მომცა, ესე იგი, ვუყვარვარო!

საღამოს პატარა ქალბატონმა გადაწყვიტა, თავისი თვალით ენახა, როგორ ემზადებოდნენ საზეიმო სადილისთვის — ხუმრობა ხომ არ იყო, გამარჯვებული ქმარი, მეგობრებითურთ, ბრძოლის ველიდან დაბრუნდა! სამზარეულოში ჩავიდა, უეცრად კლერს უბიდან ვარდისფერი ალმასი გადმოუვარდა და თასში ჩავარდა. ქვა უცებ გამუქდა! კლერი გაშეშდა... გაგონილი ჰქონდა, როგორ წამლავდა ულამაზესი ლუკრეცია ბორჯია საყვარლებს და რომ ღვინოში გარეულ შხამს მხოლოდ ვარდისფერი ალმასით აღმოაჩენდნენ. ნუთუ ლუის თასში შხამი იყო? სადილის დროს ამ სასმისში ღვინოს ჩაუსხამდნენ და მისი საყვარელი მეუღლე სულს განუტევებდა. კლერმა უჩუმრად შეცვალა სასმისი. ღამე კი შეეცადა, მოეყოლა ქმრისთვის, რაც მოხდა. ლუიმ ყური არ ათხოვა, გადაბრუნდა და დაიძინა. დილაუთენა კი მარტასთან გაქანდა.

ორი დღის შემდეგ ლუიმ პარიზისკენ აიღო გეზი. გამგზავრების წინ ცოლმა მორიდებით მიმართა, — ვიდრე არ დარწმუნდებით, რომ ღვინო მოწამლული არ არის, სასმელს პირი არ დააკაროთო. როგორ უნდა შევამოწმოო, — წარბი შეკრა ლუიმ. კლერმა მთრთოლვარე ხელით გაუწოდა ვარდისფერი ალმასი — ჩააგდეთ ეს ქვა ღვინოში, შხამს გააუვნებლებს და ბედნიერებას მოგიტანთო.

ლუი ცოლის ხელისგულს დააშტერდა — ეს სულელი საჩუქარს უკან უბრუნებდა.

პრინცის გამგზავრების შემდეგ კლერი ფიქრობდა, — მთავარია, მემკვიდრის გაჩენით ქმარი გავახარე, ალმასიც ბედნიერებას მოგვიტანსო. კლერს იმედი გაუცრუვდა — პრინცმა კონდემ სასახლის ამბოხებაში მიიღო მონაწილეობა, დააპატიმრეს და ვენსენის ციხეში გამოამწყვდიეს.



პრინცი კონდე შვილთან



კლერ კლემენსი

...ერთ დილას ტუსაღი ბალიში საყვარელ მიხაკებს რწყავდა. ვარდისფერი ალმასით წვერდამშვენებული ხელჯოხი გვერდით ედო... სულელი კლერი ამბობდა, ქვა ბედნიერებას მოგიტანსო. ის კი უკვე წელიწადია, კოშკშია გამოკეტილი... მოულოდნელად სირინოზის ხმა ჩაესმა — ნუთუ ეს დიდი კონდეა?

გაკვირვებულმა ლუიმ თავი ასწია — მის წინ ლურჯთვალა მზეთუნახავი ნინონ დე ლანკლო იდგა.

— რამ მოიყვანა პარიზის მშვენება ტუსაღის სამყოფელში? — აღმოხდა ლუის.

— გზად გამოგიარეთ, — მიუგო ქალმა, მაგრამ ცნობილი კურტიზანის ცეცხლოვანი მზერა მეტყველებდა, რომ მისი სტუმრობა შემთხვევითი არ იყო. პრინცს ვნების ცეცხლი მოედო, გულში ჩაიკრა ქალი... დიდხანს იწვნენ ჩახვეულები.

ლუი იხსენებდა, როკრუასთან გამარჯვების შემდეგ როგორ ეხვეოდნენ თავს პარიზელი ლამაზმანები, ის კი მხოლოდ მომხიბვლელ ნინონ დე ლანკლოს ალერსზე ოცნებობდა. ნინონს მამისგან დიდი მემკვიდრეობა ჰქონდა მიღებული, მის სალონში პარიზის მთელი არისტოკრატია იკრიბებოდა და ქალს სხვისი მფარველობა არ სჭირდებოდა, ამიტომ საყვარლებს თავად ირჩევდა. ნინონმა ძლევამოსილ რიშელიესაც კი უთხრა უარი, კონდე კი თვითონ მიიწვია. მთელი კვირა ნებივრობდნენ... მაგრამ მერე ბედმა მათი გზები გაყარა: კაცს ახალი საგმირო საქმეები ელოდა, ქალს — ახალი საყვარლები.

გასახსენებელი ნინოსაც ჰქონდა — დიდ კონდესთან გატარებული მგზნებარე ღამეებიც და ისიც თუ ოდესღაც როგორ გადაარჩინა ნინონი გარყვნილების გამო მონასტერში გამოკეტვას. ახლა ქალმა სამაგიერო გადაუხადა: მისი გათავისუფლება მოახერხა...

— რით გადაგიხადო? — ლუიმ ნინონი ხელში აიტაცა.

— მომეცი შენი ვარდისფერი ალმასი. მე მას „დიდებულს“ ვუწოდებ და ის ბედნიერებას მომიტანს, — სთხოვა ქალმა.

მაგრამ როგორც კი ქვა ნინონის ხელში მოხვდა, მის მხიარულ ცხოვრებას ბოლო მოეღო. უგვარო ყმაწვილი შეუყვარდა, რომელსაც ცოლად ვერ გაჰყვებოდა, თუმცა მისგან ბავშვი გააჩინა. დედა შვილს თავისი ბედნიერების მწვერვალად თვლიდა. თაყვანისმცემლებს ბავშვთან ერთად ბრწყინვალე ალმასიც წარუდგინა და განუცხადა, — ბავშვი, ამ ქვასთან ერთად, კომბოსტოში ვიპოვე. ის ამ ალმასივით ძლიერი იქნებაო. მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა — იძულებული გახდა, ბავშვი აღსაზრდელად მიებარებინა. ერთი თვის შემდეგ კი პატარას გარდაცვალების ამბავი შეატყობინეს.

თვალცრემლიანმა ნინონმა კონდეს უკან დაუბრუნა ალმასი... რა იცოდა საწყალმა, წინ რა ელოდა... მისი შვილი არ მომკვდარა! 25 წლის შემდეგ, ჯერ კიდევ მშვენიერმა ნინონმა მომხიბვლელი ყმაწვილი დე ვილიე გაიცნო. მათ შორის მხურვალე რომანი დაიწყო. სასიყვარულო სარეცლამდე ერთი ნაბიჯიღა აკლდათ, როცა ნინონს ერთ-ერთმა ყოფილმა საყვარელმა უთხრა, — ალბერტი შენი შვილიაო!



„დიდებული კონდე“

საბრალო ქალს თავზარი დაეცა. ყველაზე მეტად ის აშფოთებდა, როგორ ეთქვა ეს ყმაწვილისთვის. ეტყობა, ხეირიანად ვერ მოახერხა ამის გაკეთება — „ალმასის პირმშომ“ თავი ჩამოიხრჩო...

ალმასის გაჩუქების შემდეგ კონდეს ცხოვრება კვლავ გახალისდა — ყველა ტიტულიც დაუბრუნეს, უფლებებიც. ნინონ დე ლანკლოს მიერ დაბრუნებული ალმასი კი შანტილიეში, თავისი სეკრეტერის საიდუმლო უჯრაში გამოკეტა, სადაც ეს პატიოსანი თვალი არაერთი ათწლეული იდო.

ამ საოცარი ამბის გაცნობის შემდეგ სიმენონმა დაასკვნა: საოცარ ალმასს მამაკაცებთან ყოფნა არ უყვარს, ქალებს ელტვის — პირდაპირ ხელში უვარდებაო. მოკლედ, ეს ქვა ნამდვილი მექალთანეა, მაგრამ როგორც ყველა ლოველასი, ბოლომდე არავის უნარჩუნებს ბედნიერებასო.

ლეგენდებით მოცული შანტილიეს სასახლის შენახვა ძვირი ჯდებოდა, პრინც კონდეს პირდაპირმა მემკვიდრემ ანრი დ'ომალმა იგი სახელმწიფოს გადასცა, როგორც კონდეს მუზეუმი, ოღონდ ერთადერთი პირობით — დიდებულ ვარდისფერ ალმასს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეტოვებინა სასახლის კედლები, უფრო სწორად, ვიტრინა, სადაც ის ინახებოდა — მას უბედურება მოაქვს ყველასთვის, ვის ხელშიც მოხვდებაო.

მაგრამ ზუსტად 40 წლის შემდეგ ალმასი იდუმალებით მოცულ ვითარებაში გაქრა. მუზეუმის ერთ-ერთმა მეთვალყურემ პოლიციას უთხრა, — იმ დღეს ვიტრინასთან დიდხანს იდგა დახვეწილი, სანდომიანი მამაკაციო.

მისი ჩვენებების კითხვისას ჟორჟ სიმენონს თვალწინ დაუდგა ის კაცი — ბრიოლინით გაპრიალებული თმა, მოდური კოსტიუმი, მკლავზე გადაკიდებული ლაბადა... მამაკაცი რამდენიმეჯერ აიქნევს ლაბადას ვიტრინის თავზე, მერე მიდის და, როგორც ზრდილობიან კაცს შეეფერება, მეთვალყურესაც ემშვიდობება! აი, ის უკვე მატარებელშია. რამდენიმე საათის შემდეგ კი პარიზში, აღმოსავლეთის სადგურის ერთ პატარა, უბადრუკ სასტუმროში ბინავდება. მაგრამ სასტუმროს თავს პოლიცია ესხმის. გონებამახვილი და ჭკვიანი ქურდი უძვირფასეს ნადავლს ვაშლში მალავს. ბოლოს და ბოლოს, თუ ალმასი თევზში იპოვეს, რატომ არ შეიძლება მისი ვაშლში შენახვა. ის ხომ სეიფზე უფრო სანდოა. მაგრამ ისე მოხდა, რომ „მექალთანე ქვამ“ ვერ მოითმინა და ახალგაზრდა მოსამსახურე ქალს პირდაპირ ხელში ჩაუგორდა. სრულიად წარმოუდგენელი ამბავია, სწორედ დიუმამამას ან კონან დოილის და მისი უკვდავი შერლოკ ჰოლმსის შესაფერისი. მშვენიერი სიუჟეტია ისტორიული რომანისთვის!



ნინონ დე ლანკლო

*მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა*

# „ყოველთვის ქართველად დავრჩები“

ვიქტორია რავა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფრენბურთელია. თბილისში დაბადებულ-გაზრდილი გოგონა კარგა ხანია საფრანგეთის მოქალაქე და იქაური „კანის“ უცვლელი ლიდერიც გახლავთ. უკანასკნელი წლების მანძილზე ვიკა არაერთხელ დაუსახელებიათ ევროპის ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო და ყველაზე შედეგიან ფრენბურთელად. ქართველ ქომაგებს იმის იმედიც კი ჰქონდათ, რომ ევროპის საუკეთესო მოთამაშეს საქართველოს ნაკრებში ვიხილავდით, თუმცა... ბევრმა ალბათ არც კი იცის, რომ ვიქტორიას მეუღლეც ფრენბურთელი ჰყავს — საქართველოს ნაკრების ლიდერი, ამირან ჯიოშვილი. ვარსკვლავურ წყვილს უკვე თერთმეტწლიანი სიყვარული აკავშირებს, თუმცა, მათ ოჯახს ახალი წევრები მხოლოდ რამდენიმე დღის წინ შეემატნენ — ვიქტორია ტყუპი გოგონების — ნინას და კალისტას დედა გახდა. როდის დაუბრუნდება ულამაზესი სპორტსმენი საყვარელ თამაშს, ჯერჯერობით უცნობია, მისი მთავარი საზრუნავი ხომ ამ ეტაპზე მხოლოდ პატარა გოგონები არიან. ისიც აღსანიშნავია, რომ ორივე ფრენბურთელი საფრანგეთის ულამაზესი კურორტების ღირსებას იცავს — ვიქტორია „კანში“ თამაშობს, ამირანი კი — „ნიცაში“. წყვილი ახლა საკმაოდ მოუცლელია, თუმცა „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუზე მაინც სიამოვნებით დათანხმდა.



**ვიქტორია რავა:**

— მოლოცვისთვის დიდი მადლობა. ძალიან ბედნიერი ვარ. დედობამ ბევრი რამ შეცვალა ჩემს ცხოვრებაში.

— **ამდენწლიანი კარიერის შემდეგ უცბად „შვებულება“. ფრენბურთს როდის დაუბრუნდებით?**

— იანვრიდან გუნდთან ერთად ვარჯიშს განვაახლებ და იმედი მაქვს, ფორმის აღდგენასაც მოვახერხებ. როდის მოხდება ეს, ძნელი სათქმელია, თუმცა სეზონის ბოლოსთვის მაინც, როცა გადამწყვეტი პერიოდი დადგება, ალბათ ისევ „კანის“ ლიდერი ვიქნები. გუნდი სულმოუთქმელად მელოდება და სიმართლე გითხრათ, მეც ძალიან მინდა, საყვარელ თამაშს დავუბრუნდე...

— **ვიცი, რომ საქართველო ძალიან გიყვართ...**

— სხვაგვარად როგორ იქნება! საქართველო ხომ ჩემი სამშობლოა და ყოველთვის სამშობლოდ დარჩება. იმის მიუხედავად, რომ საფრანგეთში უკვე თითქმის იმდენივე წელია ვარ, რამდენიც საქართველოში ვცხოვრობდი, ჩემი ქვეყანა, საქართველო მაინც გამორჩეულად მიყვარს. მე ქართული ტრადიციებით გამზარდეს და როცა საქართველოში ჩამოსვლას ვახერხებ, მართლა ბედნიერი ვარ.

— **ამირანს პირველად როდის შეხვდით?**

— უჰ, როდინდელ ამბებს მეკითხებით (იცინის)? პირველადაც ფრენბურთის დარბაზში ვნახე, ბავშვთა ტურნირის დროს. ის თავისი რაიონის გუნდში თამაშობდა, მე — ჩემი. მაშინვე ვთქვი კიდეც, რა კარგი ბიჭია-მეთქი. ასე რომ, ბავშვობაშივე მომეწონა და მერე...



— **მასზე, როგორც ფრენბურთელზეც თქვით რამე.**

— ამირანი ძალიან კარგი სპორტსმენია. მართალია, მისმა გუნდმა სეზონი ცუდად დაიწყო, რადგან ფინანსური პრობლემებიც შეექმნათ და რამდენიმე წამყვანი მოთამაშეც დაშავდა, მაგრამ მგონი, ყველაფერი გამოსწორდა და შედეგიც აუცილებლად იქნება. მეც ყოველთვის გვერდში ვუდგავარ...

— **საქართველოში როდის ჩამოხვალთ?**

— იმედია, მომავალი წლის ზაფხულში მაინც მოვახერხებ ჩამოსვლას. ჩემმა გოგონებმა ხომ უნდა ნახონ თავიანთი მშობლების სამშობლო. ნინა ძალიან ჰგავს მამას, რაც შეეხება კალისტას, ჯერ ვერ გავარკვიეთ, ვისი ნაკვთები აქვს, მაგრამ მგონი, უფრო მე დამემგვანება. სხვათა შორის, ტყუპები ერთმანეთს არ ჰგვანან.

— **ქართულ ფრენბურთზე რას იტყვით?**

— დიდი ხანია, ქართული გუნდების თამაში არ მინახავს. ვიცი, რომ ვაჟთა გუნდში უფრო მეტი ცვლილება და წინსვლაა — საკვალიფიკაციო ეტაპზეც ითამაშეს და ამირანიც იყო ჩამოსული. ჯერჯერობით, ქართული ფრენბურთი ძალზე შორს არის ევროპული დონისგან, მაგრამ თუ არაფერი გაკეთდა, სპორტის ეს სახეობა საერთოდ ჩაკვდება. ქართველებს დიდი ტრადიციები აქვთ, საბჭოეთის დროსაც ჩინებული გუნდები ჰყავდათ და იმედია, თანდათანობით ყველაფერი გამოსწორდება.

— **ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ხართ. საფრანგეთში თუ იციან თქვენი ქართული წარმოშობის შესახებ და საერთოდ, რას ფიქრობენ თანამედროვე ფრანგები თქვენზე?**

— ჩემ გარშემო მყოფმა ადამიანებმა, ბუნებრივია, ბევრი რამ იციან საქართველოს შესახებ. როცა სტუმრად მოდიან, აუცილებლად ქართული სუფრა იშლება, რა თქმა უნდა, ჩვენებური სადღეგრძელოებით. რაც შეეხება ინფორმაციას, უკანასკნელ წლებში საქართველო მუდმივად ყურადღების ცენტრშია და ფრანგებიც ინტერესით ადევნებენ თვალს ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს.

**ამირან ჯიოშვილი:**

— კლუბში არც ისე კარგად გვაქვს საქმე. „ნიცას“ ძირითადი მოთამაშეების უმრავლესობა ტრავმირებულია და ბევრი თამაში წავაგეთ. ამიტომაცაა, ჯერჯერობით, სატურნირო ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილზე რომ ვართ, თუმცა, ერთიც არის — განვლილი მატჩების უმრავლესობა ძლიერ გუნდებთან ჩავატარეთ, ახლა შედარებით სუსტი მეტოქეები გვეყოლება და ცოტას ამოვისუნთქავთ.

— **როგორც ვიცი, თავდაპირველად თურქეთში თამაშობდით. საფრანგეთში როგორ აღმოჩნდით?**

— თურქული კლუბის ღირსებას ვიცავდი, როცა „კანმა“ ჩემს მეუღლეს კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. საფრანგეთში ვიქტორიასთან ჩავედი. გავიკითხ-გამოვიკითხე იქაური ამბები და საბოლოოდ, მესამე დივიზიონის გუნდი დაინტერესდა ჩემით. ასე რომ, მესამედან დავიწყე და ახლა უმაღლეს დივიზიონში ვთამაშობ...

— **არა მხოლოდ თამაშობთ, „ნიცას“ ერთ-ერთი ლიდერიც ხართ, ისევე, როგორც საქართველოს ნაკრებისა. ჩვენი ეროვნული გუნდის პერსპექტივაზე რა იტყვით?**

— საქართველოს ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს. ეგაა, ცენტრალურ ხაზში არ გვყავს ძლიერი მოთამაშეები, თორემ, თუ ეს პრობლემა მოვაგვარეთ, ყველა დაინახავს, რა შეუძლია რეალურად ჩვენს გუნდს. გამოცდილ, ევროპაში ნათამაშებ ფრენბურთელებს ახალგაზრდა მოთამაშეებიც დაემატებიან და მართლა კარგი გუნდი გვეყოლება.

— **იქნებ რამდენიმე სიტყვით გაიხსენოთ, სად გაიცანით ვიქტორია?**

— ერთმანეთს დიდი ხანია ვიცნობთ. პირველად კი თბილისში ვნახე — იმავე სკოლაში დადიოდა ფრენბურთზე, სადაც მე ვვარჯიშობდი. ახლა 31 წლის ვარ, 17-18 წლისანი ვიყავით, როცა მივხვდით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. ოჯახი კი ოცი წლის ასაკში შევქმენით...

— **ყველაზე სასიამოვნო თემასაც მივადექით — რამდენიმე დღის წინ ტყუპი გოგონების მშობლები გახდით..**

— ოო, ძალიან ბედნიერები ვართ. წინასწარ კი ვიცოდით, რომ გოგონები უნდა დაბადებულიყვნენ, მაგრამ... ის გრძნობა, რაც მათი დანახვის შემდეგ განვიცადე, ძნელი გადმოსაცემია. ჩემი ცხოვრება მომენტალურად შეიცვალა და დიდ ბედნიერებასთან ერთად, უზომო პასუხისმგებლობაც ვიგრძენი...

## „მხიარული ჩემპიონები“

სპორტული ასპარეზობები სხვა არაფერია, თუ არა მწვავე, დრამატული მომენტები და პირველობისკენ სწრაფვა, მაგრამ ასეთი დაძაბულობის ფონზეც ხშირია ისეთი კურიოზული სიტუაციები, რომლებიც შესაძლოა ნებისმიერ სპორტსმენს (მათ შორის, საქვეყნოდ აღიარებულსაც) შეემთხვეს და წლების შემდეგაც კი ღიმილი მოჰგვაროს. ვფიქრობთ, „კვირის პალიტრის“ მიერ შემოთავაზებული „კურიოზული ფოტოგალერეა“ მხიარულ განწყობაზე დაგაყენებთ.










# განსხვავებული ჟურნალი

აკაკი გოგიჩაიშვილი და ნინო ხაჟომია გამოცდის წინაშე — დაკარგული შვილი და ნაგებული ფული

ქრისტინე იმედაძე გათხოვებას მალავს — მომღერლის რჩეული ფეხბურთელი ლაშა ჯაკობია გახდა

ახალი რუბრიკა: „მიხას ნააზრევი“ — რა მანძილია ხულოდან „რუსთავი-2“-მდე

გიორგი ჩხეიძეს ესიამოვნება, თუ მისი ცოლი ქალიშვილი იქნება

ყურადღება! „ეტალონი“ გრძელდება!
მოიპოვე გაორმაგებული სტიპენდია!



ორშაბათობით!

# ახალი დროის გლადიატორები

## საქართველოს ნაკრები მსოფლიო თასზე მეორედ ითამაშებს

მოვიგეთ! არა, შაბათის შეხვედრა არ მოგვიგია, მაგრამ ორი მატჩის ჯამში მართლა დავჯაბნეთ საკმაოდ ძლიერი პორტუგალიის ნაკრები და ზედიზედ მეორედ დავიმსახურეთ უმთავრესი სარაგბო ფორუმის — მსოფლიო თასის საგზური. პორტუგალიელ ლობუშს („მგლები“) თბილისიდან წამოღებული 14-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა მშობლიურ „ბუნაგში“ სურდა, მათმა მწვრთნელმა ქართველებთან დუელი სულაც „ცხოვრების დაპირისპირებად“ მონათლა, მაგრამ ქართული ბორჯღალის დაჩაგვრა იოლი საქმე რომ არ არის, კიდევ ერთხელ საკუთარ თავზე იწვნიეს პირენეელებმა. ისევე, როგორც არაერთხელ უწვნევიათ ათასი ჯურის „დათვებს“, „ლომებს“, „მუხის ფოთლებსა“ და ასე შემდეგ...

კიდევ რომელი ქართული ნაკრები გახსენდებათ, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უთამაშია? ვერც გაიხსენებთ! ქართველი ბორჯღალოსნები პირველნი (და სამწუხაროდ, ჯერჯერობით უკანასკნელნი) იყვნენ, ვინაც გუნდურ სახეობებში ესოდენ დიდ სიმაღლეზე გაჭრა მოახერხა. ფრანგი კლოდ სორელის მიერ დამოძღვრილმა ბიჭებმა მართლაც სასწაული მოახდინეს, გზიდან ძალზე პრინციპული მეტოქეები ჩამოიცილეს (მარტო რუსთა ბრწყინვალედ ძლევა რად ღირს!) და ქართულ დროშას რაგბის უმთავრეს დღესასწაულზე მიუჩინეს ადგილი. ის ბიჭები მაშინ გმირებად მოიხსენიეს. იყვნენ კიდეც, ოღონდ არანაკლებ დასაფასებელია იმ თაობის თავდადებაც, შაბათს ლისაბონის „ესტადიო უნივერსიტარიოზე“ რომ ეომა მასპინძლებს.

ეს მართლაც ომი იყო, ამავდროულად, ფსიქოლოგიურიც. ამიტომ ქართველ მორაგბეთა წარმატება გაცილებით მეტად ფასობს. ჩვენები წამითაც არ გატეხილან, მოწინააღმდეგეს მოედნის გოჯიც არ დაუთმეს და პორტუგალიის მთავარი ქალაქიდან საფრანგეთის საგზური წამოიღეს. პორტუგალიური რაგბის არსებობის ისტორიაში, მსოფლიო თასზე მოხვედრასთან ასე ახლო პირენეელები არასდროს ყოფილან და იქ მოსახვედრად ცდა არ დაუკლიათ. ოღონდ, ძალამ აღმართი მაინც მოხნა, ქართულმა ტრადიციამ, კლასმა და თავდადებამ თავისი გაიტანა და 2007 წლის მსოფლიო თასზე საქართველო ითამაშებს. თუმცა რატომ მხოლოდ საქართველო? საფრანგეთის სტადიონებზე მოხვედრის შანსი „მგლებს“ ჯერ კიდევ აქვთ. ამისთვის ორმატჩიან დაპირისპირებაში მაროკოს უნდა მოუგონ, მერე ურუგვაის და „სულ ეგაა“...

კარგია, ამხელა შემოვლითი გზის გავლა ქართველებს რომ არ უწევთ. ოთხი წლის წინ მიღწეულის გამეორება იოლი საიდან იქნებოდა, თუმცა, ბორჯღალოსნებმა სანადელს მაინც მიაღწიეს და მომავალი წლის ზაფხულში მსოფლიოს თასზე ქართული ჰიმნიც აჟღერდება. ორიოდე სიტყვით იმ გუნდებზეც, რომლებიც საქართველოს ნაკრების ქვეჯგუფში ითამაშებენ. ჩამონათვალი მართლაც რომ შთამბეჭდავია: მასპინძელი საფრანგეთი, ირლანდია, სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდი არგენტინა და ნამიბია. ამხელა ბობოლებში ბორჯღალოსანთა წარმატებულ თამაშზე ლაპარაკი არასერიოზული იქნებოდა, თუმცა, მთავარი ის არის, რომ ტრადიცია დამკვიდრებულია — ზედიზედ მეორედ ვხვდებით მსოფლიოს საუკეთესო გუნდებს შორის და ერთი ლამაზი ღელოთიც რომ დავამახსოვროთ თავი მილიონობით მაყურებელს, ეს ქართული რაგბის კიდევ ერთი გამარჯვება იქნება.



ახლა თანმიმდევრობით: თბილისში 17:3 გამარჯვების შემდეგ, საქართველოს ნაკრები ლისაბონს არცთუ შთამბეჭდავი, მაგრამ დაახლოებით თანაბარი რანგის გუნდებისთვის მაინც წონადი ფორით ჩავიდა. მთავარი იყო, 13 ქულაზე მეტი სხვაობით არ დავმარცხებულიყავით, სხვაგვარი შედეგი კი წყალს ქართულ წისქვილზე ასხამდა. არაერთხელ ვთქვით — პორტუგალიას ჩვენთვის ხუთ ქულაზე მეტით არასდროს მოუგია და ვითომ ახლა რატომ მივუშვებდით თავის ნებაზე? მასპინძლებზე ნაკლებად გვსურდა მსოფლიო თასზე თამაში, თუ...



ამ ორ გუნდს შორის შეხვედრათა საერთო მაჩვენებელი 5:4 გახლდათ ქართველთა სასარგებლოდ, ფრე კი სულაც პირველად დაფიქსირდა ქართულ-პორტუგალიურ დუელში. ორი მატჩის ჯამში, ლობუში 28:14 დავჯაბნეთ, ოღონდ ნურავინ იფიქრებს, პირენეელები ბორჯღალოსნების ნახევარი ძალისანი არიანო. ამ გუნდს რამდენჯერმე გავუმწარებივართ, ძალზე სწრაფი კოლექტივია და თუ სივრცე მიეცი, ელვის უსწრაფესად დაგსჯის. თანაც, ადრეც ვთქვით — რაგბის საერთაშორისო ფედერაციაში „თავისი“ კაცი ჰყავთ და მსაჯების მხარდაჭერა ლამის მუდმივად აქვთ დაბევებული. კოლეგებს არც უელსელი ტიმ ჰეისი ჩამორჩა და ცალკეულ ეპიზოდებში ისე აილო ნამუსზე ხელი, მგონი თავად პორტუგალიელებსაც შერცხვათ. იმაზე ალარაფერს ვიტყვით, ბრიტანელმა ქართველები მასპინძლებზე სამჯერ მეტად რომ დააჯარიმა.

აღსანიშნავია, რომ მატჩის საბოლოო ანგარიში — 11:11 პირველი ტაიმისა გახლავთ. მეორე ნახევარში ქულის აღება ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო, საფინალო სასტვენის მოახლოებასთან ერთად კი, პორტუგალიელთა თავკაცის სახე ლამის მისივე შეგირდების მაისურის ფერის ხდებოდა. რაკილა ძალით ვერ გვჯობნიან, მასპინძლებმა სწრაფი, ხელდახელ თამაშით (ტრადიციულად) მოინდომეს ფონს გასვლა. ქართველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველ მატჩთან შედარებით გაცილებით ნაკლები შეცდომა დაუშვეს და მეტოქეს „განავარდების“ შესაძლებლობა მხოლოდ ერთ ეპიზოდში მისცეს. რამდენად სახიფათოა ლაღ თამაშში პორტუგალიის ნაკრები, სწორედ იმ ეპიზოდში დამტკიცდა: მარჯვენა ფლანგზე წამოწყებული შეტევა მასპინძლებმა უსწრაფესად გაშალეს, ბურთი უმალ საპირისპირო ფლანგზე აღმოჩნდა და მარცხნიდან შემოჭრილმა თავდამსხმელმა დაგვალელოვა...

მართლაც ულამაზესი შეტევა გახლდათ, ოღონდ, ორი მატჩის ჯამში, ერთადერთი პორტუგალიური ლელო. მანამდე, წინ მუდმივად ქართველები იყვნენ. პალიკო ჯიმშელაძემ საჯარიმო დარტყმით ორჯერ დაგვაწინაურა, თუმცა მისმა კოლეგამ გონსალო მალეირუმ ორივეჯერ გაქვითა ანგარიში. ეს ის მალეირუა, თბილისშიც რომ გაიტანა ერთადერთი ჯარიმა. მისდა „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ შაბათს მიჯრით სამი საჯარიმო ააცილა და მეორე ნახევრის დასაწყისში შეცვალეს კიდეც.

ეფექტური გამოდგა ქართული ლელოც... მეტოქის 22-ში ჩვენივე აუტი წავაგეთ, თუმცა ვეტერანმა გია ლაბაძემ მასპინძელს ბურთი ჩაუჭრა, წინ შეიგდო და უმნიშვნელოვანესი ქულები მოუტანა ნაკრებს. მეორე ნახევარიც დაძაბულ ბრძოლაში გაილია და მასპინძლებისა და არბიტრის დიდი მცდელობის მიუხედავად, უქულოდ ჩამთავრდა. არბიტრისა იმიტომ, რომ უნამუსო გადაწყვეტილებებთან ერთად ტიმ ჰეისმა იმდენიც მოახერხა, შეხვედრას მთელი 10(!) წუთი დაამატა და საფინალოდ მხოლოდ მას მერე ჩასტვინა, როცა მიხვდა, რომ პორტუგალია შეხვედრის შემომბრუნებელი არ იყო. მანამდე, უელსელმა არაფრის გამო ორი ბორჯღალოსანიც გააძევა მოედნიდან, თუმცა, რიცხვით მცირე ქართველებმა ეს ბრძოლაც ისევე მიიყვანეს გამარჯვებამდე, როგორც არაერთხელ მიუყვანიათ ჩვენს წინაპრებსაც...

ასეა, ქართველი მორაგბეები ახალი დროის გმირები არიან! ვითომ რა იყო, თუ უკანასკნელ წამებზე რიცხვით მეტი მასპინძლებისგან ლელოს მივიღებდით — ამით ხომ საბოლოო შედეგში ბევრი არაფერი შეიცვლებოდა. მაგრამ არა, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, კბილებით დაიცვეს თავიანთი ჩათვლის მოედანი და მასთან ერთად, ქვეყნის ღირსებაც. ამიტომაც, უცხოელებზე მეტად, თავადვე უნდა დავაფასოთ ჩვენი მორაგბეების თავდადება.

— რამდენს გიხდიან, ასე რომ იწევთ საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ, — გაკვირვება ვერ დაუმალავს მავან ფრანგ მწვრთნელს და როცა შეიტყო — არავინ არაფერს უხდის (ბევრჯერ საკუთარი ხარჯით ჩამოსულან), გლადიატორები ხართო, — წამოსცდენია... გლადიატორები არა, მაგრამ თავისი ქვეყნის პატრიოტი ბიჭები არიან. იმათ ახალი ისტორია შაბათს დაწერეს — ჯერი დანარჩენებზეა...

*რუბრიკა მოამზადა რატი შელეგიამ*

## პირწმინდად წააგეს

სამწუხაროდ, ტყუილად გაემგზავრნენ დაღესტანში ქართველი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები. ჩვენი ბიჭები მაგომედალ მაგომედოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე იყვნენ მიწვეულნი, რომლის საპრიზო ფონდიც 100 ათასი დოლარი გახლდათ და რომელშიც რუსეთის ნაკრები მსოფლიო ნაკრებს მასპინძლობდა. ამ ამბიდან სასიხარულოდ მხოლოდ ის შეგვრჩა, რაც ასპარეზობის დაწყებამდეც ვიცოდით: მსოფლიო ნაკრების შვიდი წევრიდან ოთხი ქართველი გახლდათ.

სამწუხაროდ, ოთხივე ქართველი ფალავანი დამარცხდა — ოთარ თუშიშვილმა (66 კგ), რევაზ მინდორაშვილმა (84 კგ), გიორგი გოგშელიძემ (96 კგ) და ლუკა კურტანიძემ (მძიმე წონა) მასპინძლებთან ვერაფერი გააწყვეს და პირწმინდად დაარიგეს ქართული ქულები. აღნიშნულ ტურნირს ტიტულები არავისთვის მოუტანია და იქ გამარჯვება პრესტიჟის ასამაღლებლად, ან კიდევ ჯიბის შესავსებად თუ წაადგებოდათ ჩვენს ფალავნებს, მაგრამ ასე დიდიან-პატარიანად რომ დამარცხდნენ, სასიამოვნო არ უნდა იყოს. მით უფრო, რომ იგივე მეტოქეები ოფიციალურ ტურნირზეც არაერთხელ გადაუყრებიან და მერე...

## გინესის რეკორდსმენი მეკარე




ბრაზილიური კლუბის „სან-პაულუს“ 33 წლის გოლკიპერი, როჟერიო სენი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც ყველაზე შედეგიანი მეკარე მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. ამის აღმნიშვნელი სერტიფიკატი სენის უკანასკნელი ტურის წინ, მატჩის დაწყებამდე გადაეცა. ყველაზე შედეგიან მეკარედ როჟერიო მიმდინარე წლის აგვისტოში გახდა, როცა „კრუზეიროს“ კარში ორი გოლი გაიტანა და გატანილი ბურთების რაოდენობა 64-მდე გაზარდა. მანამდე, რეკორდი პარაგვაელ კარის დარაჯს, ხოსე ლუის ჩილავერტს ეკუთვნოდა, რომელმაც კარიერის მანძილზე 62 გოლის გატანა მოახერხა. ისიც აღსანიშნავია, რომ პარაგვაელი უკვე კარგა ხნის წინ ჩამოშორდა ფეხბურთს, 33 წლის სენი კი, ჯერჯერობით, სულაც არ აპირებს ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას. მეტიც, აგვისტოს შემდეგ, მან კიდევ 5 ბურთი გაიტანა და 67 გოლი აქვს აქტივში. აღსანიშნავია, რომ როჟერიოს მხოლოდ ბომბარდირული თვისებები არ გამოარჩევს. იგი კარის მშრალად შენახვასაც წარმატებით ახერხებს, რაზეც „სან-პაულუს“ გაჩემპიონებაც მიუთითებს.

## ფეხბურთელებს უფლებებს შეუზღუდავენ?

უეფა სერიოზულად განიხილავს ფეხბურთში რაგბის წესების დანერგვას, რაც იმაში გამოიხატება, რომ გუნდის კაპიტნების გარდა, დანარჩენ ფეხბურთელებს არბიტრთან გამოლაპარაკების უფლება ჩამოერთმევათ, BBC-სთან ინტერვიუში უეფას პრესატაშემ უილიამ გეილარმა განაცხადა, რომ ფეხბურთში სახიფათო ვითარება შექმნილი. მისი მტკიცებით, გუნდების კაპიტნებს დამატებითი უფლებამოსილებანი უნდა მიენიჭოთ, რათა დანარჩენი მოთამაშეები მსაჯთან ყოველწუთიერ კამათს შეეშვან. ფეხბურთელების რეაქცია ამასთან დაკავშირებით უცნობია, ოღონდ, ძნელი წარმოსადგენია, ამ წინადადებით ისინი აღფრთოვანებულნი დარჩენილიყვნენ. საფეხბურთო მოედანზე ხომ ძალზე ხშირია ეპიზოდი, როცა მოთამაშე საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულია და საპირისპიროში მსაჯი კი არა, მთელი სტადიონიც ვერ დაარწმუნებს...


კომფორტული მომსახურება საკუთრების უფლებისათვის

პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფმა დაიწყო საკონსულტაციო და სარეგისტრაციო მომსახურება მიწის ნაკვეთების, ბინების, აგარაკების და სხვა უძრავი ქონების პრობლემური და სარეგისტრაციო საკითხებზე.

მისამართი: მარჯანიშვილის ქ. 5;
მესამე სართული, ოთახი 3; ტელ: 45 19 00

პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფი

ომის მონაწილეებს და ვეტერანებისთვის საკონსულტაციო მომსახურება უფასოა

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას ჩინური, იაპონური, კორეული, არაბული, თურქული, სპარსული, ინდური (ჰინდი) ენების შემსწავლელ კურსებზე

კურსის ხანგრძლივობაა — 24 კვირა

ჩვეულებრივი კურსი - 72 საათი (კვირაში 3 საათი)
ნახევრადინტენსიური კურსი - 144 საათი (კვირაში 6 საათი)
ინტენსიური კურსი - 244 საათი (კვირაში 10 საათი)

მის: აკად. გ. წერეთლის ქ. №3 (ვაკის პარკთან),
III სართ, ოთ. №309 ☎ 29-08-64; 893-30-89-38

# ფოტო კომენტარით



ჰელოუინის დღესასწაულმა მაიამის ზოოპარკში დიდი ზარ-ზეიმით ჩაიარა. ზოოპარკის 300-მა ბინადარმა გულიანად მოილხინა: ტრადიციულ გოგრას ცხოველებმა ჯერ უყურეს, მერე კბილიც გაჰკრეს, ბურთივით აგორავეს და ბოლოს ნაწილ-ნაწილ დამალეს...

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ტყლაპი; 6. პესო; 7. ქაბული; 8. ძერა; 9. ტუნისი; 10. ბაიადერი; 14. ნესი; 16. ბროდვეი; 18. ტატრა; 19. მალამო; 22. ცოფი; 23. ჭოტი; 24. ნიანგი; 26. სეული; 27. ჭიათურა; 31. დოგი; 33. ცელოფანი; 34. პაულსი; 35. ბოლი; 36. დიქცია; 37. შოვი; 38. ყაყაჩო.

**შვეულად:** 1. ტექსტი; 2. ლებანიძე; 3. პოლუსი; 4. თეკერეი; 5. ვოლანი; 10. ბაქტრიანი; 11. იუსტიცია; 12. დაბა; 13. რკო; 15. სპა; 17. სოლარიუმი; 19. მუჭი; 20. ალილუევა; 21. წირი; 25. გოა; 26. საბო; 28. ინფლაცია; 29. უბე; 30. უგულავა; 31. დებოში; 32. ბაცილა; 33. ციცაბო.

28/XI
პირველი მეოთხედი



**თარაზულად:** 5. მგალობელი ფრინველი; 6. სასულე; 7. შეხვედრა უმაღლეს დონეზე; 10. ფოტოგრაფის სახელოსნო; 13. ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელებული გარეული ხარი; 14. ფრანგი კომპოზიტორი, ავტორი ოპერისა „ლაკმე"; 15. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის აგებულებას; 17. სისხლძარღვი; 18. ყაიმი; 19. მსახიობი ქალი ... ელიავა; 20. რუსი პაროდისტი; 23. მინების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა; 26. ნაკვერჩხლიანი ნაცარი; 27. მსუბუქი არშიყი; 32. კოლუმბიის დედაქალაქი; 33. თურქეთის დედაქალაქი; 34. კანადის ფულის ერთეული; 35. რისამე განვითარების უმაღლესი წერტილი.

**შვეულად:** 1. მცირე რაოდენობა; 2. მიმატების შედეგად მიღებული რიცხვი; 3. ვულკანი სიცილიაზე; 4. ერთგვარი ქუდი; 8. იაპონური ავტომობილი; 9. არგენტინული ცეკვა; 11. ლექსის სტრიქონი; 12. რბილი ტყავი; 16. გზის საფარი; 17. დარდი, სევდა; 21. ნაკლი, ხინჯი; 22. ინდოეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე; 24. ქალაქი საქართველოში; 25. თითი; 28. ირანდიელი როკმუსიკოსი, ჯგუფ „U-2"-ის სოლისტი; 29. თავისუფალი, თამამი; 30. ინდონეზიის კუნძული; 31. თხის ჯოგი.




ახალი ბომონდი
ასეთი ჯერ საქართველოში არ ყოფილა

## დედ-მამა—ბებია-ბაბუა?!

ინტერნეტაუქციონზე გასაყიდად გაიტანეს გასული საუკუნის 20-იან წლებში აშენებული სახლი, რომელიც მდებარეობს ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ნეპტანეში.





სახლი დიდი ვერაფერი არქიტექტურული ნაგებობაა, მხოლოდ იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ 69 წლის წინ აქ დაიბადა ჯეკ ნიკოლსონი.

განცხადების გამოქვეყნებამ ყველას გაახსენა მსახიობის ოჯახის რთული ცხოვრება, რომლის დავიწყებაც ძალიან უნდოდა ნიკოლსონს. ერთი შეხედვით ის ჩვეულებრივ ოჯახში გაიზარდა. მხოლოდ 37 წლისამ შეიტყო, რომ დედ-მამა სინამდვილეში მისი ბებია-ბაბუა ყოფილა...

სახლის საწყისი ფასი 449.000 დოლარია.

## სკანდალი „ნაგვის" გამო



როცა „სასოწარკვეთილმა დიასახლისმა", 44 წლის მარსია კროსმა ლოს-ანჯელესში თავისი ვილის საგულდაგულოდ დალაგება გადაწყვიტა. რას იფიქრებდა თუ ეს ძვირი დაუჯდებოდა. ეზოსა და სარდაფის დასალაგებლად დაქირავებულმა მუშებმა ნაგავში ვარსკვლავის უამრავი მეტისმეტად თამამი ფოტო იპოვეს. ახლა მსახიობი ამტკიცებს, სურათები შეცდომით გადავყარე და მათი დაბრუნება მინდაო, მაგრამ მუშებმა უარი სტკიცეს — ეს ნაგავი ჩვენია და მის გაყიდვას ვაპირებთო.

მსახიობის ადვოკატი მარსიას სთავაზობს, თავადვე გამოისყიდოს ფოტოები. რა თანხა დაუჯდება მარსიას ამ „ნაგვის" შესყიდვა, ჯერჯერობით უცნობია.

## რას არ გააკეთებ შვილის გულისთვის



სერ პოლ მაკარტნიმ და მისმა ყოფილმა მეუღლემ, ჰიზერ მილზმა შეაჩერეს განქორწინების ბატალიები, რათა ერთად აღენიშნათ ქალიშვილის დაბადების დღე — ბეატრისი 3 წლის გახდა. მშობლებმა გოგონას ზეიმი გაუმართეს საბავშვო გასართობ ცენტრში, სადაც უამრავი ბავშვი დაპატიჟეს. ცოლ-ქმარი, რომელიც რამდენიმე თვის მანძილზე მაქსიმალურად არიდებდა თავს შეხვედრას, სუფრასთან ტკბილად ეღურტულებდა, ხოლო წვეულების დასრულების შემდეგ თავ-თავის გზას გაუდგა.

პირველი წავიდა სერ პოლი, ბეატრისთან ერთად, შემდეგ — ჰიზერი, თან ხელს სადღესასწაულო ტორტის ნაჭრებიც გააყოლა. მეორე დღიდან კი ყოფილი ცოლ-ქმარი კვლავ შეუდგა ერთმანეთის თათხვას...

## ბრძოლა როლისთვის დასრულდა

ჰოლივუდი ემზადება კოკო შანელისა და მისი სახელგანთქმული სამოდელო სახლის შესახებ ფილმის გადასაღებად.

ლეგენდარული მოდელიერის როლისთვის იბრძოდნენ ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავები. ნიკოლ კიდმანი ოცნებობდა ეკრანზე გაეცოცხლებინა სახელგანთქმული ფრანგი ქალის სახე. მაგრამ პროდიუსერებმა 43 წლის დემი მური არჩიეს.



საგულისხმოა, რომ მსახიობისთვის, რომელიც სამი წელი არ გამოჩენილა ეკრანზე, ეს როლი მშვენიერი შანსია ჰოლივუდში ეფექტიანად დასაბრუნებლად.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: იოსებიძის ქ. №49

ტელ.: რედაქცია: 389-888
რეკლამა: 377-807, ფაქსი: 389 888

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა"
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში".